ავთანდილ სონღულაშვილი

ისტორია პოლიტიკა
საერთაშორისო ურთიერთობები

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2021

UDC (უაკ) 94 (479.22)+327(479.22)
ს- 677

ნაშრომში ქართული და უცხოური მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით, დოკუმენტური წყაროებისა და პერიოდიკის ანალიზის საფუძველზე შესწავლილია საქართველოს ისტორიის, მსოფლიო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების აქტუალური საკითხები. წარმოჩენილია ნაციზმის, ანტისემიტიზმის, „ცივი ომის“, თანამედროვე პოლიტიკური კონფლიქტების საფრთხეები. ასევე, შეფასებულია სახელმწიფოებს შორის სადავო ტერიტორიების კუთვნილების სამართლებრივი გადაწყვეტის გზები.

ცალკე ადგილი ეთმობა რელიგიის, სოციალური სტრუქტურისა და ტრადიციების განხილვას ინდოეთსა და იაპონიაში.

ნაშრომი განკუთვნილია სპეციალისტების, სტუდენტების და მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი: ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი **იგორ კვესელავა**
რეცენზენტები: პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი,
პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **გივი ლობჟანიძე**

© ა. სონღულაშვილი, 2021

გამომცემლობა **„უნივერსალი“, 2021**
თბილისი, 0186, ა. ჰოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-035-3

AVTANDIL SONGULASHVILI

HISTORY POLICY
INTERNATIONAL RELATIONS

Publishing House **“UNIVERSAL”**
Tbilisi 2021

UDC (უაკ) 94 (479.22)+327(479.22)
ს- 677

Taking into account the rich Georgian and foreign scientific literature, the paper examines current issues of Georgian history, world politics and international relations based on the analysis of documentary sources and periodicals. The dangers of Nazism, anti-Semitism, the Cold War, and modern political conflicts are presented. Ways to legally resolve the ownership of disputed territories between states are also assessed.

A separate place is devoted to the discussion of religion, social structure and traditions in India and Japan.

The work is intended for a wide range of professionals, students and readers.

Editor: Doctor of Historical sciences,
Professor **Igor kveselava**

Reviewer: Doctor of Political sciences,
Professor **Jemal Gakokhidze**
Doctor of Juridical sciencies,
Professor **Givi Lobjanidze**

© A. Songulashvili, 2021

Publishing House “UNIVERSAL”

4,A. Politkovskaia st., 0186, Tbilisi,Georgia ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-035-3

შინაარსი

საქართველოს სამეფოს აღდგენის იდეა (დავით ბატონიშვილის პროექტების მიხედვით) 7
ფარული საზოგადოებების ჩამოყალიბება რუსეთსა და საქართველოში XIX საუკუნის 20-იან-30-იან წლებში 23
კარიბის (კუბის) კრიზისი და საქართველო..... 40
ამერიკელი მზვერავის მკვლელობა საქართველოში..... 74
სასაზღვრო პრობლემები და პოლიტიკური კონფლიქტები საქართველოში პოსტსაბჭოთა პერიოდში (ზოგადი ანალიზი) 105
გენდერის პრობლემები საბჭოური რეჟიმის პერიოდში (XX საუკუნის 20-იან წლებში) 162
ახდენილი წინასწარმეტყველება (ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში) 175
ჰიტლერი და ანტისემიტიზმი..... 200
კურილის კუნძულები რუსეთ-იაპონიის ურთიერთობებში..... 225
ყირიმის კუთვნილების საკითხისათვის 246
სირიის საკითხი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში..... 286
პანდემია – ბუნებრივი და ხელოვნური..... 340
„მიუკარებლები“ ინდოეთსა და იაპონიაში 392

რეზიუმე ინგლისურ ენაზე..... 422

CONTENTS

The idea of restoring the Kingdom of Georgia
(according to the projects of Davit Batonishvili)..... 7
Establishment of secret societies in Russia and
Georgia in the 20-30s of the XIX century..... 23
The Caribbean (Cuba) crisis and Georgia..... 40
Murder of an American spy in Georgia 74
Border Problems and Political Conflicts in
Post-Soviet Georgia (General Analysis)..... 105
Gender Problems During the Soviet Regime (1920s)..... 162
Fulfilled prophecy (Hitler in power)..... 175
Hitler and anti-Semitism 200
The Kuril Islands in Russian-Japanese Relations 225
On the issue of Crimean ownership 246
The Syrian issue in modern international relations..... 286
Pandemic - natural and artificial 340
The "Outcastes" in India and Japan 392

Summary..... 422

საქართველოს სამეფოს აღდგენის იდეა
(დავით ბატონიშვილის პროექტების მიხედვით)

მშვიდობიანი ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიას საფუძველი ჩაუყარა დავით გიორგის ძე ბაგრატიონმა, რაც ,,გაახმოვანა“ რუსეთის იმპერატორისადმი წარდგენილ „ბარათებში“. იმ დროს, როცა ალექსანდრე ერეკლეს ძე სახალხო ლაშქრის სათავეში იდგა და იარაღით იბრძოდა ეროვნული სახელმწიფოს აღდგენისათვის, მისმა ძმისშვილმა დავითმა პირველი ბარათი – „საქართველოს უკეთესი მოწყობის შესახებ“ მიართვა ალექსანდრე I-ს (1812 წლის სექტემბერი).

ამ ბარათში დასახულია ღონისძიებანი საქართველოს შინაგანი მმართველობის დარგში და ქვეყნის სამეურნეო აღმავლობისათვის. ასევე მასში ჩამოყალიბებულია საკმაოდ შორსგამიზნული და გაბედული გეგმები საგარეო პოლიტიკაში და იმდროინდელი ევროპის დიპლომატიურ ურთიერთობათა სფეროში [1, 128-155].

უფლისწული სინანულს გამოთქვამდა 1783 წლის ტრაქტატის დარღვევის გამო, რასაც მოჰყვა ქართული სახელმწიფოს გაუქმება, ქვეყნის ნორმალური მართვა-გამგეობის მოშლა და გაუთავებელი ანტირუსული აჯანყებები. ყოველივე ამაში დავით ბაგრატიონი ადანაშაულებდა არა რუსეთის იმპერატორს, არამედ ბრალს სდებდა საქართველოს მთავარმმართებლებს, რომლებმაც დაუშვეს დანაშაულის ტოლფასი შეცდომები.

დავითი მოუწოდებდა იმპერატორს, გამოესწორებინა მის მოხელეთა მიერ ჩადენილი დანაშაული და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღედგინა ქართლ-კახეთის სამეფო [2, 29]. ამავე დროს ბატონიშვილის წერილი ეხმიანება 1799 წლის „არტიკულებს“ და მათ დანამატ „პუნქტებს“. სხვა ღონისძიებებს სარჩულად უდევს იმის დაჟინებული მტკიცება, რომ ბატონი-შვილთა გაძევება საქართველოდან ქვეყნის საზიანოა და მის მმართველს დასახმარებლად (!) ერთ-ერთი ბატონი-შვილი უნდა მიეჩინოს ...

ბარათის შესავალ ნაწილში დავითი წერს, რომ „საქართველო ერთ მცირედ ქვეყანას წარმოადგენს. მას თავდაპირველად (უხსოვარ დროს) ჰქონდა სახალხო მმართველობა, შემდეგ რამდენსამე ხანს მას ალექსანდრე მაკედონელის ნაცვალი განაგებდა, ალექსანდრეს გარ-დაცვალების შემდეგ ქვეყანა ჩამოყალიბდა მონარქიული სახელმწიფოს სახით და მას მართავდნენ მეფეები. მთელი ისტორიის განმავლობაში – განაგრძობს დავით ბაგრა-ტიონი – საქართველოს ურთიერთობა (როგორც მშვიდობიანი, ისე საბრძოლო) ჰქონდა მეზობელ სახელმწიფოებთან: ჩვენ გვებრძოდნენ არაბნი, ხონთქარი, ყაენი, დაღესტანი, მაგრამ ამეებს არც ერთს თავი არ დავუდევით, მათ ჩვენში ვერ მოშალეს მეფობა ... უფრო ხშირად საქართველო იმყოფებოდა სპარსეთის პროტექტორატის ქვეშ, ამ გაჭირვებაში რომ ვიყავით, ჩვენი მეფეები ევედრებოდნენ ყოვლად მოწყალე ხელმწი-

ფეს რუსეთისას, რომ ქრისტიანობისთვის რუსეთის საფარველი გვდებოდა... ხელმწიფემ საქართველო რუ-სეთს შეაერთა, მანიფესტი გვიბოძა ...“ დავითს არ რჩება მხედველობიდან ამბების უფრო დაწვრილებით გადმო-ცემა: „1799 წელს იმპერატორმა – განაგრძობს იგი – პავლე I-მა ქართლ-კახეთის მეფედ დაამტკიცა გიორგი XII-ის ძე, რომელმაც მოითხოვა 1783 წლის ტრაქტატის ზოგი მუხლის შეცვლა. კიდეც იქნა წარდგენილი სათხოვარი პუნქტები, მაგრამ პავლე I-ის გარდაცვალების გამო იგი დაუმტკიცებელი დარჩა“.

ბუნებრივია, დავითი ვერ ბედავს სათხოვარი პუნქტების იგნორირება და ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება იმპერატორს ბრალად წაუყენოს და მთავარ-მმართებლებს ადანაშაულებს [3, 92]. ანუ ამ შემთხვევაში დავითს სავსებით შეგნებულად მთელი აქცენტი და დანაშაულის სიმძიმის ცენტრი იმ დროინდელ რუს მოხელეებზე: ციციანოვზე, გუდოვიჩზე და ტორმასოვ-ზე გადააქვს.

ქართველი ხალხის უკმაყოფილების, აქ მართვა-გამგეობის მოუწესრიგებლობის მთავარ მიზეზად წე-რილის ავტორს შემდეგი მომენტები მიაჩნდა: 1. ციცია-ნოვს არ უნდა გადაესახლებინა ბატონიშვილები რუ-სეთს, რადგან ამან ძალზე ცუდად იმოქმედა ქართვე-ლებზე, შეარყია და გააქარწყლა ქართველთა არჩევანი – რუსული ორიენტაცია. ეს გარემოება თვით რუსეთი-სათვის იყო პოლიტიკურად მძიმე და საზარალო; 2. თუ

საქართველოში მოხელე მთავარსარდალი დაინიშნე-ბოდა, აუცილებელი იყო მის მოადგილედ ქართველი ბატონიშვილის დანიშვნა; 3. თუ საქართველოს მართვა-გამგეობა მიენდობოდა ერთ-ერთ ბატონიშვილს, თურ-ქეთს უფლება აღარ ექნებოდა პრეტენზიები განეცხადე-ბინა იმერეთსა და ახალციხეზე, რადგან ეს ქვეყნები თავის დროზე საქართველოს ერთიანი სამეფოს განუ-ყოფელ ნაწილებს შეადგენდნენ; 4. თუ საქართველოში სამეფო ხელისუფლება შენარჩუნებული იქნებოდა, საჭირო აღარ გახდებოდა რუსის ჯარისკაცთა დიდი რაოდენობით შემოყვანა აქ. ამ ფუნქციას ქართული ლაშქარი შეასრულებდა, რომელიც ჩამოყალიბდებოდა ერეკლესდროინდელი მორიგე ლაშქრის განჩინების საფუძველზე; 5. მომდევნო წინადადებად სახაზინო შემოსავლის გაზრდის მიზნით დავითი იმპერატორს სთავაზობდა სამეფო მრეწველობის განვითარებას ქართლ-კახეთში, ხე-ტყის წარმოებას იმერეთში, შავი ზღვის გადაქცევას რუსეთ-საქართველოს საზღვაო-სანა-ოსნო ურთიერთობის მთავარ წყაროდ. შემდეგ დავითი იმპერატორს უყენებს კონკრეტულ წინადადებებს ქვეყ-ნის მართვა-გამგეობის პროგრესულ ღონისძიებათა განხორციელებისა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ [4, 331-332].

განსვენებული მეცნიერის პროფესორ გულივერ იობაშავილის აზრით ,,დავითი იმედოვნებდა, რომ შეიძლებოდა ცარიზმის რუსეთი წასულიყო იმ დათმო-

ბაზე, რომ 1783 წლის ტრაქტატის უფლებრივ ნორმათა საფუძველზე მომხდარიყო ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა ვ ტ ო-ნ ო მ ი ი ს ა ღ დ გ ე ნ ა (ხაზგასმა ჩემია ა.ს.) და ამ გზით იქნებოდა შენარჩუნებული ქვეყნის ეროვნული თვით-მყოფადობა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ქართველი პროგრესული ზედაფენის და კერძოდ ბაგრატიონის ეს პროგრამა არ ეთანხმებოდა რუსეთის კოლონიურ პო-ლიტიკას“ [4, 229-230]. ავტორი ამ აზრების გადმო-ცემისას იმოწმებს სომეხი მეცნიერის ა. იოანისიანის 1958 წელს გამოცემულ ნაშრომს. ,,მაგრამ მიუხედავად ამისა, – განაგრძობს მკვლევარი – ბაგრატიონები და თვით დავითი იმედს არ კარგავდნენ ხან დიპლომატიის ენით, ხან ბრძოლით, რუსეთი დათმობაზე წაეყვანათ და ქ ა რ თ უ ლ ი ა ვ ტ ო ნ ო მ ი უ რ ი ს ა მ ე ფ ო ს ა ღ დ გ ე-ნ ა ზ ე (ხაზგაზმა ჩემია ა.ს.) დაეყოლიებინათ“ [4, 330].

ძნელია იმის წარმოდგენა, რომ რუსეთის სამეფო კარის ცხოვრებაში ღრმად ჩახედული ბატონიშვილი ილუზიებით ცხოვრობდა და მისი მცდელობა რაიმე გავლენას მოახდენდა რუსეთის იმპერიულ პოლიტი-კაზე. მაგრამ ჩვენ ახლა სხვა რამე გვაინტერესებს: ყბადაღებული ავტონომია, რომლის იდეა განსხვავებით უშუალო პერსონაჟებისაგან რატომ გაუჩნდათ ,,საბჭოთა ისტორიკოსებს“? დავითსაც და მის თანამოაზრეებსაც შეიძლება ეთხოვათ ავტონომიური მმართველობა, როგორც ეს შემდეგში ფინეთსა და პოლონეთს გააჩნდა იმპერიის შემადგენლობაში, მაგრამ ,,დაეყოლიებინათ“

საიმპერატორო კარი ,,ავტონომიის აღდგენაზე“ ნიშნავს, რომ რუსეთს ქართლ-კახეთის ავტონომია გაუუქმებია და არა სამეფო.

გ. იობაშვილის აზრით ,,დავით ბაგრატიონის აქ მოყვანილი და სხვა წინადადებები აშკარად რეალური აზროვნებვის ნაყოფი იყო. რუსეთს, თუკი იგი ანგარიშს გაუწევდა ბაგრატიონთა საგვარეულოს და ქართველი ხალხის სურვილს და ნებას, შეეძლო აღედგინა საქა-რთველოს სამეფო 1783 წლის სამართლებრივ ნორმათა საფუძველზე, ისე, რომ მას თვითონ პლიტიკურად არ წაეგო. ტრაქტატით გათვალისწინებული დამოუკიდებ-ლობის აღდგენისათვის ქართველი პროგრესული საზოგადოებისა და პირადად დავით ბაგრატიონის ბრძოლა პოლიტიკუარდ რეალური და პერსპექტიული იყო“ [4, 332].

ძნელია ასეთ შეფასებას დაეთანხმო. იმპერატორს როცა უნდა გაეწია ანგარიში მაშინ არ გაუწია, ერთი ხელის მოსმით გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, სისხლში ჩაახშო დასავლეთ საქართველოს გამოსვლა, გააუქმა იმერეთის სამეფო. რომელი ტრაქტატის აღდგენაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, როდესაც რუსეთმა სწორედ იმიტომ შექმნა ასეთი სახის დოკუმენტი, რომ მომავალში საქართველო დაეპყრო და გზა კავკასიის დასამორჩილებლად გაეკაფა. ტრაქტატი რუსეთმა უკვე ხელშეკრულების დადებიდან ოთხი წლის შემდეგ ცალმხრივად ქააუქმა, როდესაც 1787 წელს ოსმალეთ-

თან ომის საბაბით ორივე ბატალიონი გაიყვანა თბილისიდან და ოთხივე ზარბაზანიც თან მიაყოლა. დოკუმენტის ამოქმედება კი, როდესაც ჭირდებოდა მაშინ ახსენდებოდა. იქნებ აღა მაჰმად-ხანის შემოსევის დროს შეასრულა ნაკისრი ვალდებულება?

ტრაქტატით გათვალისწინებული ფორმით დამოუკიდებლობის აღდგენა არამც თუ რეალური, ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული და საერთოდ რუსეთისაგან რაიმე დათმობაზე წასვლა ფანტაზიის სფეროს მიეკუთვნებოდა. დავითის წერილამდე 11 წლით ადრე რუსეთმა გაგვაუქმა, ყველა აჯანყებაში დავმარცხდით, ძალით ვერ აღვადგინეთ დამოუკიდებლობა და 11 წლის შემდეგ ერთი წერილის შინაარსის გაცნობისას თურმე შეიძლებოდა რუსეთის კეთილშობილ იმპერატორს მოენანიებინა, ეს რა გავაკეთე? საქართველო დავიპყარი და მოდი დაუბრუნო წართმეული დამოუკიდებლობა ან ავტონომიური მმართველობა მაინც უბოძოვო!

დავით ბატონიშვილი რეალურად მაშინ იაზროვნებდა, რომ თავის დროზე დაეჯერებინა სოლომონ ლიონიძესა და სხვა პოლიტიკოსებისათვის, აეღო ხელში ძალაუფლება, რაც ლეგიტიმურად ეკუთვნოდა და ლაზარევისთვის არ ჩაეგდო ხელში მმართველობა სამეფო ინსიგნიების მოლოდინში. შეინარჩუნებდა თუ არა დამოუკიდებლობას ქართლ-კახეთის სამეფო ეს სხვა საკითხია ...

გ. იობაშვილის სხვა შეფასებები პოლიტიკურ

პროცესებთან მიმართებაში მისაღებია. კერძოდ, ცნობილია რომ სწორედ ამ პერიოდში ცარიზმმა იარაღით დაიპყრო ფინეთი, პოლონეთი, მაგრამ მათ თვითმმართველობა, სეიმი და კონსტიტუცია დაუტოვა. რა თქმა უნდა, რუსეთი დაპყრობილი ხალხების მიმართ ასეთ მოპყრობას არ იყო ნაჩვევი, მაგრამ მას ეშინოდა, ჯერ ერთი, იმისა, რომ ევროპის ცენტრში მდებარე კონსტიტუციურ სახელმწიფოებთან უშუალოდ მომიჯნავე პოლონეთისა და ფინეთისათვის ისევე აეყარა ეროვნულ-პოლიტიკური უფლებანი, როგორც ამას საქართველო-ამიერკავკასიაში აკეთებდა, რომელიც გარშემორტყმული იყო ბარბაროსული სახელმწიფოებით.

მეორეც, რუსეთი ანგარიშს უწევდა იმ პროგრესულ ეროვნულ ძალებს, რომლებიც ევროპაში, კონკრეტულად კი პოლონეთსა და ფინეთში მომძლავრებულიყვნენ და ეროვნული გამოსვლების კონსოლოდაციას ეწეოდნენ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღსადგენად.

ამიტომ ითმენდა რუსეთი მოწინავე ევროპის საზღვარზე (უნდოდა თუ არ უნდოდა) ფინეთისა და პოლონეთის თვითმმართველობათა, ანუ ავტონომიების არსებობას და საქართველოს შეერთებისას ამ გარემოებათათვის ანგარიშის გაწევას სრულიადაც არ ფიქრობდა [4, 332]. იმპერიას, ან მოგვიანებით ,,თეთრსა“ თუ ,,წითელ“ რუსეთს, როგორც დასჭირდებოდა პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე ისე მოქმედებდა კოლონიებთან მიმართებაში. გავიხსენოთ ბოლშევი-

კური ხელისუფლების ,,ჟესტი“, ,,ერთა თვითგამორკვევის“ ლოზუნგით, როდესაც სტალინი, როგორც ეროვნული საკითხების კომისარი, პირველად საჯაროდ ბოლშევიკური გადატრიალებიდან სამი კვირის შემდეგ, მოულოდნელად ჰელსინკში, ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე გამოვიდა. ფინელებისათვის ეს უჩვეულო და დასამახსოვრებელი შეხვედრა იყო. რუსეთის ახალმა მთავრობამ გააკეთა განცხადება მათი ქვეყნის რუსეთის შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ.

1917 წლის 18 დეკემბერს საბჭოთა მთავრობამ ოფიციალურად აღიარა ფინეთის დამოუკიდებლობა. დეკრეტს ლენინი და სტალინი აწერდნენ ხელს [5, 172].

განსხვავებით ფინეთისა და პოლონეთისაგან რუსეთმა კარგად იცოდა, რომ საქართველო გარემოცული იყო ფეოდალიზმის დაბალ სტადიაზე მდგომი მუსლიმანური სამთავრო სახელმწიფოებით, სადაც აზიური დესპოტიზმი იყო გამეფებული და კონსტიტუციის ხსენებაც არ არსებობდა [4, 332].

ძნელია იფიქრო, რომ ვერ ერკვეოდა ვითარებაში პოლიტიკური და დიპლომატიური ალღოს მქონე ევროპულად განათლებული დავით ბაგრატიონი, მაგრამ მაინც შეეცადა რამე ,,შეესმინა“ იმპერატორისათვის.

იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ო. კ ო ზ ო - დ ა ვ ლ ი ე ვ მ ა დავით ბაგრატიონის ბარათი

,,განსახილველად“ მთავარმართებელ პაულუჩის გადაუგზავნა. ამ უკანასკნელმა კი აღნიშნულ დოკუმენტზე ვრცელი უარყოფითი დასკვნა დაწერა, სადაც ვკითხულობთ: ,,ფართოა წამოწყებანი ბატონიშვილი დავით გიორგის ძისა, რომელიც საქართველოს უკეთ მოწყობის საბაბით... ყველაფერს იქით წარმართავს, რომ იქ მეფე იქნას აღდგენილი. იგი დიდი ხანია ირწმუნება, რომ რუსებს არ აქვთ საქართველოს მართვის უნარი... დავითი მოითხოვს მეფის სახლის წევრებისათვის სამშობლოში დაბრუნების უფლებას, მაგრამ ეს არც საქართველოსათვის იქნება ხელსაყრელი და არც რუსეთისათვის, მათი პეტერბურგში ყოფნაც კი საშიშია, რადგან შეუძლიათ ანტირუსული პარტიის შექმნა... თუ სიფრთხილის ზომა დროზე არ იქნება მიღებული, ქართველი ბატონიშვილები რუსეთს დიდ ვნებას მოუტანენო“ [1, 140].

გასაგებია, რომ ბატონიშვილის ძალისხმევას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია, დავითმა რატომღაც გადაწყვიტა და ხუთი წლის შემდეგ, 1817 წელს იმპერატორ ალექსანდრე I-ს მეორე ბარათი მიართვა. წერილში ბატონიშვილი აღნიშნავდა: ,,უხსოვარი დროიდან საქართველოს ყოველთვის ჰყავდა საკუთარი მეფე, ჰქონდა თავისი კონსტიტუცია (რას გულისხმობდა კონსტიტუციაში? ა. ბენდიანიშვილი მართვა-გამგეობის სისტემას გულისხმობს ა.ს.), რომელსაც მფარველები არ არღვევდნენ... VI საუკუნეში საქართველოს სამეფო ტახ-

ტის მფლობელ ხოსროიანთა დინასტიიდან ცოცხალი აღარავინ დარჩა. მიუხედავად ამისა, იუსტინიანეს საქართველოს სამეფო არ გაუუქმებია. ბიზანტიის იმ-პერატორმა მეფედ გამოგზავნა ბაგრატიონთა საგვარეუ-ლოს წარმომადგენელი, რადგან მან კარგად იცოდა, რომ აქაური ხალხი არავისთვის არ იქნებოდა სასარგებლო თავის წინანდელი და საკუთარი კონსტიტუციის გარე-შე... ჩემი პაპა ერეკლე – განაგრძობს დავითი – შევიდა რუსეთის მფარველობაში ხელშეკრულების მე-6 მუხ-ლის ძალით. იმპერატორი პირობას დებდა დაეცვა მეფე ერეკლე და მისი მემკვიდრენი საქართველოს სამეფო ტახტზე. გიორგი XII-ის გარდაცვალების შემდეგ 1783 წლის ტრაქტატისა და 1800 წლის სათხოვარი პუნქტების საფუძველზე ელოდა თქვენგან მეფედ დამტკიცებას... მაგრამ თბილისში გახსნეს რუსული მართველობა... ათას ორასი წელი და მეტი არის, რომ ბაგრატოვანნი მემკვიდრეობენ და სისხლი დაუთხევიათ ჩვენთვის. ჩვენი ვითარება ის არის, რომ ჩვენზე მრავალგვარად გარჯილის მეფის ირაკლის ანდერძი დაგვიმტკიცოთ“.

გ. იობაშვილი ანდერძად ტრაქტატს მიიჩნევს, რასაც ვერ გავიზიარებთ. ტრაქტატი ხელშეკრულებაა და არა ანდერძი. დავითს სავარაუდოდ ანდერძად ერეკლეს მიერ მემკვიდრეობის კანონის შეცვლა მიაჩნია. ამ შემთხვევაში გ. იობაშვილი ფიქრობს, რომ დავითი დიპლომატიური დემარშებით ცდილობს, მოხიბლოს ხელმწიფე-იმპერატორი და გ ა მ ო ს ტ ყ უ ო ს კ უ დ-

შ ე კ ვ ე ც ი ლ ი ა ვ ტ ო ნ ო მ ი ა (ხაზგასმა ჩემია ა.ს.), ე.ი. კი არ აღადგინოს, არამედ ავტონომიური მმართველობის მსგავსი ფორმა მიიღოს.

დავითი ალექსანდრე პირველს ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკური ბედ-იღბალის მებაირახტრედ მიიჩნევს: ,,თქვენ სამართლიანი ბრძანდებით და ზრუნავთ არა მარტო საკუთარი ქვეშევრდომების, არამედ გარეშე ხელმწიფეთა კეთილდღეობისათვის. თქვენ აღადგინეთ ტახტზე ავსტრიის, პრუსიის, საფრანგეთის, ესპანეთისა და პორტუგალიის მეფენი... ბაგრატიონთა გვარი ელოდება თქვენგან თავის აღდგენას – თუ ეს ასრულდა, საქართველო მოიწმენდს ცრემლს... და მადლობით მოიყრის მუხლს თქვენი უდიდებულესობის წინაშე“.

ისტორიული მაგალითების შეხსენება ბაგრატიონთა საგვარეულოს შესახებ იმპერატორ ალექსანდრეს გულს ვერ აუჩუყებდა. რუსეთის საიმპერატორო კარი, რომელიც თავგამოდებით იბრძოდა ევროპული დემოკრატიისა და რევოლუციების წინააღმდეგ, ბატონიშვილის ვედრებისადმი კეთილშობილი ვერ აღმოჩნდებოდა.

რუსეთის მინისტრთა კაბინეტმა 1817 წლის 20 ნოემბერს დავით ბატონიშვილს თხოვნაზე უარი უთხრა და თანაც არაკჩეევის მკაცრი გაფრთხილებით ციმბირს გადასახლებით დაემუქრა [4, 333-334].

პროფ. ა. ბენდიანიშვილი მიიჩნევდა, რომ ბატონიშვილის მეორე ბარათი ,,გაცილებით დამაჯერებელი და

დასაბუთებული“ იყო [13, 29]. ძნელია ასეთ შეფასებას დაეთანხმო. ან დავითია ბრიყვი ან იმპერატორი მიაჩნია გონებაჩამორჩენილად. ეს ბარათი არც რეალობას ასახავს და არც დიპლომატიურ ნაბიჯს. ე.ი. გამოდის, რომ ალექსანდრემ არც კი იცოდა მისი ნების გარეშე როგორ გააუქმა თვითნებურად ნაძირალა კნორინგმა ქართლ-კახეთის სამეფო და ფაქტის წინაშე დააყენა ამ საქმეში უდანაშაულო იმპერატორი, რომელიც ,,შესაძლოა“ დავითს მეფედ დამტკიცებას უპირებდა?!

ა. ბენდიანიშვილის დასკვნით: ,,ღვთიური განგება, საერთაშორისო სამართალი და თანმიმდევრული მსჯელობა ნათლად იკვეთება დავით ბაგრატიონის ბარათებში. მაგრამ ისტორიული ფაქტების და მონარქიული ლეგიტიმიზმის პრინციპის შეხსენება რუსეთის იმპერატორის შემეცნების მიღმა დარჩა. „ყოვლად მოწყალე“ იმპერატორმა არ ინება თავისი სკიპტრის ქვეშ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა ვ ტ ო ნ ო მ ი უ რ ი ს ა მ ე ფ ო ს ა ღ დ გ ე ნ ა (ხაზგასმა ჩემია ა.ს.). მეტიც, იმპერატორის დიდმოხოლეებმა მკაცრად გაკიცხეს რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფი გენერალ-ლეიტენანტი ოცნებისა და ყოვლად მიუღებელი თხოვნის წარდგენის გამო“ [2, 30].

აღნიშნულ ბარათში დავითი, მხოლოდ 1783 წლის ტრაქტატს ახსენებს და ამ დოკუმენტის მიხედვით ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენას მოითხოვს. აქ არ არის ნათქვამი ავტონომიაზე და არც შეიძლება ყოფილიყო, რადგან ბატონიშვილს, როგორც პროფესიონალ

იურისტს კარგად ესმოდა აღნიშნული ხელშეკრულების არსი. ამავე დროს სამეფოს აღდგენის შემთხვევაში ქართლ-კახეთს რუსეთის ვასალის სტატუსს უმატებს [6, 311].

ქართველი ავტორების მიერ XIX საუკუნის პირველ ნახევარში მოწყობილი აჯანყებების ავტონომიის აღ-დგენის მიზნად მონათვლა არასწორად მიგვაჩნია. ტრაქტატის ხელშეკრულება არ ნიშნავდა ქართლ-კახე-თის სამეფოს ავტონომიური მმართველობის დაკანო-ნებას. ამდენად, რაც არ იყო ვერ აღდგებოდა. აჯან-ყებების მიზანი სამეფოს აღდგენას ითვალისწინებდა და არა ავტონომიური მმართველობისა. ეს ტერმინი პირ-ველად ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში XX საუკუ-ნის დასაწყისში ჩნდება და დაკავშირებულია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ამოცანებთან. კერძოდ, ცნობილი ეროვნული მოღვაწე გ. გვაზავა ტერმინის შესახებ განმარტავდა, რომ „თარგმნით ავტონომია ნიშნავს თვითკანონმდებლობას (ბერძნულად ავტოს – თვით, ნომოს – კანონი), რასაც იურიდიულ სფეროში უმაღლესი მნიშვნელობა აქვს“ [7, 205].

გულივერ იობაშვილი შეფასების დასკვნით ნაწილში აღნიშნავს, რომ „დიდმა პატრიოტმა და „ვოლ-ტერიანელმა“ დავით ბაგრატიონმა მწარედ განიცადა პოლიტიკური იმედების გაცრუება და ერთი წლის შემდეგ (ე.ი. ბარათის გაგზავნიდან – ა.ს) – 1818 წელს გარდაიცვალა“ [4, 334].

ჯერ ერთი დავითი გარდაიცვალა 1819 წელს. მეორეც, ძნელია იმის თქმა, რომ დავით ბატონიშვილს რაიმე მოლოდინი ჰქონოდა მისი თხოვნის დაკმაყოფილებაზე, და თითქოს იმედის გაცრუებამ დააჩქარა მისი გარდაცვალება. ასევე ფიქრობდა ა. ბენდიანიშვილი. მისი სიტყვებით დავითმა „როგორც ჩანს, მწვავედ განიცადა წარუმატებლობა, იმედების დამსხვრევა“ [2, 30].

დავით ბატონიშვილი ღრმად იყო ჩახედული საიმპერატორო კარის ლაბირინთებში და ვერ იქნებოდა დარწმუნებული, რომ „ორი ფარატინა ქაღალდის“ შინაარსს შეეცვალა იმპერატორის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში. დავითი, მხოლოდ თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე შეეცადა ხმა აღემაღლებინა უსამართლობის წინააღმდეგ.

სხვა საქმეა საბჭოური და არა მხოლოდ საბჭოური ისტორიოგრაფიის კომენტარები, ავტორები, რომლებიც დაჟინებით ცდილობენ რუსეთის წინააღმდეგ მოწყობილი თითქმის ყველა აჯანყება თუ წერილობითი მიმართვა „ავტონომიის აღდგენად“ მონათლონ. ცნობილი მეცნიერები: ა. ბენდიანიშვილი, ა. კიკვიძე, მ. სამსონაძე, გ. იობაშვილი და სხვ. ვინც ამ პრობლემის გაშუქებას შეეცადა ყველა ერთ ხმაში ავტონომიის აღდგენის მოთხოვნას აფიქსირებს. სავარაუდოდ, ეს ავტორები ტრაქტატს ავტონომიად მიიჩნევენ, როცა არც ერთ წერილობით წყაროში მსგავსი არაფერია. უფრო მეტიც, ყველა ქართველი თუ უცხოელი ავტორი, ვინც შეის-

წავლა ტრაქტატის სამართლებრივ-პოლიტიკური საფუძვლები, არავის მოსვლია აზრად, რომ ეს დოკუმენტი ქართლ-კახეთის ავტონომიურ სტატუსს გულისხმობდა იმპერიის შემადგენლობაში.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Две записки царевича Давида „О лучшем устройстве Грузии“, изд. И. Е н и к о л о п о в, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაწ. 1, თბ., 1942
2. საქართველოს ისტორია ოთხ ტომად, ტომი IV, თბ., 2012
3. ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921, თბ., 1980
4. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II ნაწილი, მთავარი რედაქტორი რ ო ი ნ მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, თბ., 1998
5. ი ს ა ა კ დ ო ი ჩ ე რ ი, სტალინი, ნაწილი I, თბ., 2014
6. ივ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1985
7. ო. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002

ფარული საზოგადოებების ჩამოყალიბება რუსეთსა და საქართველოში XIX საუკუნის 20-იან-30-იან წლებში

კაცობრიობის განვითარების გარკვეულ საფეხურზე ეთნოსების ტერიტორიული გამიჯვნა, ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება სავსებით კანონზომიერი მოვლენაა. სიცოცხლისუნარიანი ხალხი, როგორც წესი, ვერ ურიგდება დამოუკიდებლობის დაკარგვას, ყოველთვის ცდილობს თავისი სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ქართველი ერი გამონაკლისი არ ყოფილა. იგი საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა თავის სუვერენულ უფლებათა დაცვისათვის და არც რუსეთის ბატონობას შერიგებია [1, 38].

საქართველოში რუსეთის კოლონიური პოლიტიკის ანალიზიდან ერთი ძირითადი დასკვნა გამომდინარეობს: ეს პოლიტიკა ანექსიონისტურ-მძარცველური იყო და ქართველი ხალხის ეროვნულ გადაშენებას, მათ გარუსებას ისახავდა მიზნად. ერების სუვერენიტეტის ხელყოფა, დაჩაგვრა-დამონება, უცხოური რეჟიმის თავზე მოხვევა, რასაც დიდი და ძლიერი სახელმწიფოები მცირე ერების მიმართ ახორციელებდნენ და ახორციელებენ დღესაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, თავისი შინაარსით, ცხადია, რეაქციულია და მიუღებელი. ასევე რეაქციული, მძარცველური იყო ცარიზმის

კოლონიური პოლიტიკაც; ამიტომაც, რუსეთის იმპე-რიას ხალხთა საპყრობილეს უწოდებდნენ.

მეფის რუსეთი განაპირა კოლონიურ მხარეში განგებ ნერგავდა სიბნელესა და უვიცობას, ასახლებდა იქ რუს კოლონიზატორებს, რომ რუს და არარუს მოხელეთა შორის ეროვნული შუღლი გაეძლიერებინა; ახშობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ძირშივე კლავდა დაჩაგრული ერების საუკეთესო ადამიანთა ინიციატივას და იარაღით ებრძოდა განაპირა ქვეყნების ხალხთა ყოველგვარ აქტივობას [2, 147].

საბჭოური ისტორიოგრაფიის ყბადაღებული კონცეფცია „ორი რუსეთის“ შესახებ თითიდან გამო-წოვილი შეფასებაა. რუსეთი ერთია თავისი გლეხით, ინტელიგენციით და გაბატონებული წოდებით. ეს არის დამპყრობელი, სხვისი ტერიტორიის მიმტაცებელი და აგრესორი ქვეყანა... საილუსტრაციოდ მოვიტანოთ „კარგი“ რუსეთის წარმომადგენელი, გამოჩენილი მწერალი ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი (1828-1910), რომელსაც ბევრი რამ აკავშირებდა საქართველოსთან. თბილისში წერდა იგი თავის პირველ ნაწარმოებს „ბავშვობა“ 1851-1852 წლებში და მოხიბლული იყო ამ ქალაქით; მიმოწერა თუ პირადი ურთიერთობა ჰქონდა ილია და ნინო ნაკაშიძეებთან, ისტორიკოს სიმონ ესაძესთან, ხალხოსან მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანთან და სხვა ჩვენს მოღვაწეებთან. ხშირად ითარგმნებოდა

მისი თხზულებები ქართულად; სისტემატიურად ქვეყნდებოდა ჩვენს ქართულ და რუსულ პრესაში წერილები და ცნობები „აღდგომის“ ავტორის შესახებ [3, 140-141]. აი, ასეთ პიროვნებას, როგორც „კარგი“ რუსეთის წარმომადგენელს 1852 წელს დღიურში ჩაუწერია: „მთელი დღე კავკასიაზე და მის დაპყრობაზე ვფიქრობდი და ვოცნებობდი“ [4, 2]. მაშინ რა უნდა მოგეკითხა რუსეთის იმპერატორებისა და მათი შთამომავლებისათვის?

წარუმატებელი, მარცხით დამთავრებული აჯანყებების, განცდილი დიდი ფიზიკური და მატერიალური ზარალის მიუხედავად, ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზეც გრძელდებოდა, მის სათავეში ბაგრატიონთა საგვარეულო რჩებოდა. საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ ფარული საზოგადოების ფუძემდებლები, ახალი ანტირუსული აჯანყების მომზადების იდეოლოგები ოქროპირ გიორგის ძე და დიმიტრი იულონის ძე ბაგრატიონები იყვნენ [5, 253].

XIX საუკუნის პირველი ათეული წლების შეიარაღებულ აჯანყებათა დამარცხება ქართველი პატრიოტებისაგან ბრძოლის გზებისა და მეთოდების შეცვლას მოითხოვდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის აშკარა ბრძოლა შენელდა, მაგრამ არ ჩამქრალა, ამასობაში საოკუპაციო რეჟიმი კიდევ უფრო განმტკიც-

და. საქართველოს მასშტაბით რუსული ჯარი იყო დისლოცირებული. მმართველობის აპარატი მთლიანად იმპერიის სტრუქტურის ნაწილი გახდა.

XIX საუკუნის 20-იან წლებში სამშობლოს მომავალზე მოწინავე ინტელიგენტები ფიქრობდნენ და ქართული სახელმწიფოს დაკარგვას ვერ ურიგდებოდნენ. ქართული სამეფოს აღდგენისათვის ბრძოლაში ყველაზე აქტიურობით თავადები გამოირჩეოდნენ, რომლებმაც თავიანთი ძველი სამემკვიდრეო-ადმინისტრაციული პრივილეგიები და სამეფო კარის მაღალი თანამდებობები დაკარგეს. მაგრამ მათივე ბანაკში იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ სამეფოს აღდგენას აზრი აღარ ჰქონდა [8, 937].

აჯანყების მოწყობის ორგანიზაციული ჩანაფიქრი პირველად პეტერბურგსა და მოსკოვში მცხოვრებ ბატონიშვილთა წრეში აღმოცენდა. ქართველი ბატონიშვილები მიუხედავად იმისა, რომ ცარიზმმა უზრუნველყო მათი მატერიალური ცხოვრება, ვერა და ვერ შეურიგდნენ სამშობლოდან იძულებით გადასახლებას, მამაპაპური ღირსებისა და მამულების ჩამორთმევას.

20-იან წლებამდე საქართველოში ბაგრატიონთა სამეფო ტახტის აღდგენისათვის ბრძოლის მეთაური დავით ბატონიშვილი იყო, რომელიც მტკივნეულად განიცდიდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსასრულს და რუსეთის დედაქალაქში ცარიზმის ფხიზელი მეთვალყურეობის ქვეშაც განაგრძობდა ბრძოლას, რათა

მშობლიური ქვეყნის ავტონომიური უფლებებისათვის მაინც მიეღწია [6, 37].

1819 წლიდან, დავით ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ, ამ იდეალის მოთავენი პეტერბურგში პირველყოვლისა ფარნაოზი, ხოლო შემდეგ დიმიტრი იულონის ძე და მოსკოვში ოქროპირ გიორგის ძე ბაგრატიონები იყვნენ. ბატონიშვილთა ოჯახები პეტერბურგსა და მოსკოვში მოსწავლე და მოსამსახურე ქართველი ახალგაზრდების თავშესაფარს წარმოადგენდა. პეტერბურგში, მაგალითად, დიმიტრი ბატონიშვილის ბინაზე სისტემატიურად იკრიბებოდნენ დიმიტრი, ვახტანგ ორბელიანები; ალექსანდრე, ლუარსაბ, ივანე ჩოლოყაშვილები, გაბრიელ მამაცაშვილი, სოლომონ რაზმაძე და სხვა. სწორედ ამ ხანებშივე ცხოვრობდა ბაგრატ ბატონიშვილთან სოლომონ დოდაშვილი, რომელსაც გარდა ბაგრატისა, ახლო ურთიერთობა ჰქონდა თეიმურაზ და იოანე ბაგრატიონებთანაც.

საქართველოდან პეტერბურგში სასწავლებლად წასულ ქართველ თავადიშვილებს, რომელთაც მამაპაპეული ოჯახებიდან ჩრდილოეთში გაჰყვათ საქართველოს მონარქიის აღდგენისათვის ბრძოლის რომანტიკული მოგონებანი და მისი მომავალი ბედისადმი მზრუნველობის მაღალი შეგნება, ბატონიშვილების ოჯახებში შექმნილი ატმოსფერო კიდევ უფრო უღვივებდათ საბრძოლო სულისკვეთებას და სამოქმედოდ განაწყობდათ.

პეტერბურგში მოსახლე ქართველი ბაგრატიონები დედაქალაქის კულტურული ცხოვრების ცენტრში ტრიალებდნენ და იმ დროის მოწინავე იდეებით სულდგმულობდნენ [6, 38-39].

ოქროპირ და დიმიტრი ბაგრატიონების მართებული შეხედულებით რუსეთის იმპერატორმა დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები, 1783 წლის მფარველობით-სამოკავშირეო ტრაქტატი შეცვალა საქართველოს რუსეთთან შეერთების მანიფესტით და მოსპო ერთ-ერთი უძველესი სახელმწიფო. ბატონიშვილების აზრით, რუსეთის წინააღმდეგ ქართველი ხალხის შეიარაღებული ბრძოლის პარალელურად საჭირო იყო საგარეო ძალის გამოყენებაც. ბატონიშვილებსა და მათ თანამებრძოლებს სჯეროდათ, რომ ინგლისის, საფრანგეთის და სხვა სახელმწიფოთა მთავრობებს შეეძლოთ დათმობაზე წაეყვანათ რუსეთი, აეძულებინათ იგი 1783 წლის ტრაქტატის უფლებრივ ნორმათა საფუძველზე აღედგინა საქართველოს დამოუკიდებლობა [1, 38-39].

პეტერბურგი. პირველი საიდუმლო ორგანიზაცია ჩამოყალიბდა პეტერბურგში 1825 წელს. იგი შემდეგში გაიზარდა და გაძლიერდა. ორგანიზაციის წევრთა მსჯელობის მთავარი თემა იყო საქართველო, მისი წარსული, აწმყო და მომავალი. მათ იმთავითვე ფართო საგნმანათლებლო მუშაობა გააჩაღეს. სწავლობდნენ ისტორიას, სახელმწიფო მმართველობის ფორმებს,

დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ მდგომარეობას, მხატვრულ ლიტერატურას, ბერძნულ-ლათინურსა და ევროპულ ენებს; ეცნობოდნენ რუსულ კულტურას. ყოველივე ეს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლის უკეთ წარმართვისათვის სჭირდებოდათ.

საიდუმლო ორგანიზაციას შემდეგი ამოცანა ჰქონდა დასახული: თავადაზნაურობის ფართო წრეების ჩაბმა დაწყებულ მოძრაობაში, განათლების გავრცელება, ფარული უჯრედების შექმნა, მეზობელ სახელმწიფოებთან კავშირის დამყარება და სხვ.

ფარული ორგანიზაციის წევრები პეტერბურგში ხშირად იკრიბებოდნენ: დიმიტრი ბატონიშვილი, სოლომონ რაზმაძე, ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, ელიზბარ ერისთავი, დიმიტრი ორბელიანი და სხვები. მათ ხელმძღვანელობდა დიმიტრი ბატონიშვილი, რომელიც ითვლებოდა განათლებულ და ჭკვიან კაცად, თავისიანებში სარგებლობდა დიდი პატივისცემით. რაზმაძე იყო მწერალი, დაინტერესებული ზოგადი ისტორიის პრობლემებით (თარგმნა სამ წიგნად „უნივერსალური ისტორიის პირველი საფუძვლები“), ყურადღებას აქცევდა პოლონურ საზოგადოებრივ აზრს. ჩოლოყაშვილმა იცოდა ევროპული ენები. იყო განსწავლული ფილოსოფიაში. ელიზბარ ერისთავი 1823 წელს ჩავიდა პეტერბურგში სამხედრო განათლების მისაღებად. სწავლობდა წარმატებით.

პეტერბურგში ორგანიზაციის წევრები იკრიბებოდ-ნენ დიმიტრი ბატონიშვილის სახლში. აქ, ერთ-ერთი წევრის – დავით ჯორჯაძის გადმოცემით, შეკრებებზე მას ყოველთვის ესმოდა დიმიტრი ბატონიშვილის „ბაასი თავისუფლების შესახებ, მოჰყავდა რა სანიმუ-შოდ ხან საფრანგეთი და მათი კანონები, ხან თავისუფალი ქალაქები...“

საინტერესოა, აგრეთვე გიორგი რევაზის ძე ერისთავის გადმოცემაც: „პეტერბურგში ურთიერთ-შორის ვკამათობდით ჩვენ, ე. ი. დიმიტრი ბატო-ნიშვილი, თავადები ელიზბარ და დიმიტრი ერისთა-ვები, თავადი დიმიტრი ორბელიანი და თავადი ჯორჯაძე საქართველოს შესახებ, რომ შეუძლია თუ არა მას დამოუკიდებლობა, ასევე აგრეთვე ჩვენი მემამუ-ლეების მიმართ მთავრობისაგან მიყენებულ უსამართ-ლობის გარშემო“.

შეკრებათა მიზანი იყო არა მარტო საზოგადოების წევრის იდეურ-პოლიტიკური მომზადება, არამედ შეია-რაღება ყოველივე იმით, რაც საჭირო იქნებოდა დასა-ხული დიდი მიზნების გასაიდუმლოებისა და წრეობ-რივი მუშაობის გაფართოებისათვის. დიმიტრი ბატო-ნიშვილი ელ. ერისთავს ავალებდა: „თქვენ, ვინც საქართველოში მიდიხართ, უნდა ეცადოთ შეადგინოთ საზოგადოება, მიიმხროთ ხალხი, რათა იმოქმედოთ და სამშობლო გაანთავისუფლოთ“.

პეტერბურგის ჯგუფის იდეური ხელმძღვანელი დიმიტრი ბატონიშვილი იყო. დიმიტრის მებრძოლ სულისკვეთებას ჯგუფის წევრები ერთხმად თანაუგრძნობდნენ [8, 942]. პეტერბურგის სამხედრო სასწავლებელში მყოფი ზოგიერთი ქართველი ახალგაზრდა თავისებურად აკრიტიკებდა დეკაბრისტების მიერ დაშვებულ შეცდომებს და მოსწავლეთა შორის ცარიზმის საწინააღმდეგო პროპაგანდას ეწეოდა. ასეთი იყო, მაგალითად, პაჟთა კორპუსის მსმენელი ივანე მუხრანბატონი, რომლის აზრითაც თვითმპყრობელობის დამამხობელ აჯანყებას უფრო ფართო ხასიათი უნდა მისცემოდა და ასეთი აჯანყება ხანგრძლივი, 10-15 წლის განმავლობაში წარმოებული პროპაგანდისტული მუშაობით უნდა მოემზადებინათ.

მოწინავე ქართველები რუსი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად ფიქრობდნენ ბრძოლას თვითმპყრობელობის დასამხობად და კოლონიური ჩაგვრისაგან ხალხის განსათავისუფლებლად [7, 430-431].

ქართველი და რუსი მოაზროვნეები ერთ პოზიციაზე, მხოლოდ თვითმპყრობელობის დამხობაში იყვნენ. მათი შეხედულებები რადიკალურად განსხვავდებოდა ეროვნული საკითხის სფეროში. კერძოდ, ქართველებისათვის მთავარი და ძირითადი იყო დამოუკიდებლობის აღდგენა, მაშინ, როცა რუსებს მხოლოდ სოციალური და მმართველობის ფორმის შეცვლა აინტერესებდათ. ქართველების ამოცანა რუსების ყველა

მიმდინარეობისათვის მიუღებელი იყო. მათ შორის იყვნენ დეკაბრისტებიც...

საიდუმლო წრის ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე ფილადელფოს კიკნაძე ჯერ კიდევ 1826 წელს ფიქრობდა გაეცა პასუხი ყველასთვის საჭირბოროტო კითხვაზე, – „როგორ შეუძლია საქართველოს დაპყრობად თავისა თვისისა?“, ე. ი. კიკნაძე და მისი თანამოაზრეები საქართველოს „თავისა თვისისა“, ანუ დამოუკიდებელი არსებობის პრობლემებზე ფიქრობდნენ. სწორედ ეს იყო ქართველთა განმათავისუფლებელი ბრძოლის მაგისტრალური მიმართულება, რომელიც ჩვენში ძველთაგანვე მომდინარეობდა. მას შემდეგ, რაც ფეოდალური საქართველო პოლიტიკურ ერთეულებად დაიშალა და ცალკეულ პერიოდებში ჩვენს ქვეყანაში ხან ირანი, ხან კიდევ ოსმალეთი ბატონობდა, ქართველი პოლიტიკოსები ყოველთვის მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ რა გზებითა და საშუალებებით შეიძლებოდა, რომ საქართველოს თავისი მთლიანობა და დამოუკიდებელი არსებობა აღედგინა.

ეროვნული ჩაგვრის მოსპობა იმ დროს მსოფლიოს მოწინავე ადამიანთა ყურადღების ცენტრში იდგა. ფრანგი განმანათლებლები, მაგალითად, ამას ადრევე მოითხოვდნენ. დროის „კეთილ სულად“ ითვლებოდა ეროვნული ჩაგვრის აღკვეთა. ევროპის აღმავალი ბურჟუაზიული განვითარებისათვის ეს სავსებით ბუნებრივი იყო.

პეტერბურგის პერიოდთან დაკავშირებით საიდუმლო ორგანიზაციის საგამოძიებო მასალებში შემონახულია დოკუმენტი ე. წ. „კანდრახტი“. როგორც პროფ. გ. გოზალიშვილი ვარაუდობდა, მისი ორგანიზაციული გაფორმების პირველ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს. დოკუმენტში აღნიშნულია: „წელსა 1828-სა დღესა 13 მაისისა შევკარით კანდრახტი, ასე რო რაც ჩვენის სარგებლობისათვის იყოს და ან რაც ჩვენ გვიფიქრია ვინც უმტყუნოს ან ამხანაგობაში და ან საერთო სარგებლობისათვის იყოს შეჩვენებული ღვთისაგან...

მე ამ ზემოხსენებულზე ხელს ვაწერ თავადი

დ ი მ ი ტ რ ი ე რ ი ს თ ა ვ ი

მეც ამ ზემოხსენებულზე ხელს ვაწერ

თა ვადი ე ლ ი ზ ბ ა რ ე რ ი ს თ ა ვ ი

მეც ამ ზემოხსენებულზე ხელს ვაწერ

თავადი გ ი ო რ გ ი ე რ ი ს თ ა ვ ი

1828-სა წელსა მაისის 13-ს დღესა პეტერბურგში ლიდეინში ჟანდსკის სახლში“ [9, 17].

დოკუმენტიდან არ ჩანს რაზეა საუბარი, რა ჩანაფიქრზე ან საერთოდ რა სარგებლობაზე შეთანხმებულან ხელისმომწერნი. ბუნებრივია ეს უნდა ყოფილიყო კონსპირაციის მიზნით. დაკითხვის დროსაც ხელმოწერის ავტორები ამტკიცებდნენ, რომ „კანდრახტი“ მათ შინაურ საქმეებს შეეხებოდა, მაგრამ გამოძიებამ, სამართალში მიცემულთა დაპირისპირებამ დაადასტურა,

რომ „კანდრახტი“ საიდუმლო საზოგადოების პირველ ორგანიზაციულ უჯრედს და მათ ფიცს წარმოადგენდა.

პროფ. ა. სურგულაძის სამართლიანი შეფასებით საიდუმლო საზოგადოების შექმნის იდეა „კანდრახტის“ დადების დღეს არ აღმოცენებულა და მას წინ უსწრებდა ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობა, ხანგრძლივი ფიქრი და მრავალნაირი გეგმა [2, 245].

მოსკოვი. პეტერბურგის წრის ჩამოყალიბებიდან ერთი წლის შემდეგ, 1826 წელს ახალი „უჯრედი“ გაჩნდა მოსკოვში. მას საფუძველი ჩაუყარა ოქროპირ ბატონიშვილმა. 1827 წელს მოსკოვში სოლომონ დოდაშვილი ფარულ დავალებას ღებულობს საქართველოში მოქმედებისათვის. მოსკოვის ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ გ. ერისთავი, დ. ორბელიანი და სხვები შემდეგ ამოცანებს აყენებდა: სამშობლოსადმი სიყვარულის გაძლიერებას მოწაფეებსა და, საერთოდ, ახალგაზრდობაში და ამ გზით ჩაბმას თავისუფლების მომხრეთა ბანაკში, ქართული რეგულარული არმიის შექმნას და ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის აღდგენას. ამ უკანასკნელ საკითხზე საზოგადოების წევრების მსჯელობიდან თითქოს ჩანდა, რომ ისინი უპირატესობას აძლევდნენ მაშინდელი საფრანგეთის სახელმწიფოებრივ წყობილებას.

მოსკოვის ორგანიზაციის ცენტრალური ფიგურა ოქროპირ ბატონიშვილი იყო. მის გარშემო ქართველთა ერთი ნაწილის დაჯგუფება, როგორც ჩანს, მომავალი ბრძოლისათვის საჭირო სახსრებითაც აიხსნებოდა,

საზოგადოების წევრთა შორის გავრცელებული იყო ხმები, რომ ოქროპირ ბატონიშვილმა განგებ შეირთო სენატორის ქალიშვილი, რათა ამ გზით მიღებული ფული შეთქმულების საჭიროებას მოახმაროსო. მართლაც ბატონიშვილის მეუღლემ ოქროპირს პირად განკარგულებაში გადასცა 200 000 მანეთი ვერცხლის ფული. ოქროპირს, როგორც დიდი ქონების პატრონს, რუსეთის სახელმწიფოს დიდ მოხელეებთან დაახლოებულს, რუსეთში უმდიდრეს კაცად აღიარებულ სენატორის სიძესა და ქართველ ბატონიშვილს ორგანიზაციის წევრები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ [8, 942-943].

თბილისი. პეტერბურგისა და მოსკოვის საიდუმლო ორგანიზაციების მუშაობის ცენტრმა თანდათანობით გადმოინაცვლა საქართველოს დედაქალაქში, სადაც უფრო ძლიერი და მრავალრიცხოვანი გახდა. აქვე ჩამოყალიბდა საბოლოოდ ბრძოლის მაგისტრალური ხაზი – „საქართველო ქართველებისათვის“. ამ დიდ ამოცანას ისინი ორგანულად უკავშირებდნენ რუსეთის იმპერიის სხვა ხალხების სანუკვარ ოცნებებს – აღედგინათ თავიანთი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, თავი ეხსნათ თვითმპყრობელობის ეროვნული ჩაგვრისაგან. საქართველო მათ შეგნებაში უკვე აღარ იყო ისე იზოლირებული, რომ მისი საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ქართველთა საქმედ დარჩენილიყო. საქართველო უნდა

ეხსნა საკუთარ ენერგიას და პროგრესულ საგარეო ძალებთან კავშირს.

1827 წელს პეტერბურგიდან თბილისში ჩამოდის ს. დოდაშვილი, რომელმაც მოსკოვის საიდუმლო ჯგუფისაგან სათანადო დავალება მიიღო. ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსულმა სოლომონმა 1827 წელს დაასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტი. იგი მხოლოდ მოწმე კი არ იყო 1825 წლის დეკემბრის აჯანყებისა, არამედ დეკაბრისტების განმათავისუფლებელ იდეებსაც იზიარებდა. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს დაისახა მან მიზნად, რომ მთელი თავისი მომავალი მოღვაწეობა და ცხოვრება სამშობლოს კეთილდღეობისათვის შეეწირა.

უნივერსიტეტში ყოფნის დროს დოდაშვილმა რუსულად დაწერა და 1827 წელს გამოსცა „ფილოსოფიის კურსის“ პირველი ნაწილი – „ლოგიკა“, რომელმაც მაშინდელ რუსეთში დიდი მოწონება დაიმსახურა.

1827 წლიდან დოდაშვილი უკვე სამშობლოში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1829 წელს დაინიშნა მაშინდელი თბილისის გაზეთის „ტიფლისსკიე ვედომოსტის“ ქართული გამოცემის („თბილისის უწყებანი“) რედაქტორად. რუსული გამოცემის რედაქციაში თანამშრომლობდნენ აქ გადმოსახლებული დეკაბრისტები. გაზეთის გარშემო თავი მოიყარეს ქართველმა ახალგაზრდებმა – გ. ერისთავმა, დ. ყიფიანმა, ალ. ორბელიანმა, ი. მამაცაშვილმა და სხვებმა. ეს გაზეთი

რაზმავდა ქართველ ხალხს ოსმალო და ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამავე დროს პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე ქადაგებდა რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობას და ხელს უწყობდა ამ ორი ხალხის ერთიმეორესთან დაახლოებას.

ს. დოდაშვილის მეთაურობით ქართველმა ინტელიგენტებმა 1832 წლის იანვარში დაიწყეს გამოცემა პირველი ქართული ჟურნალისა – „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, რომელმაც გააჩაღა ბრძოლა ქართული ენის, მწერლობისა და საერთოდ კულტურის განვითარებისათვის. ჟურნალი ეწეოდა ერეკლე II-ის საქმეთა პოპულარიზაციას. ესეც, ბუნებრივია პრორუსული კუთხით (ცენზურიდან გამომდინარე). პარალელურად სამშობლოსადმი თავდადებულ სიყვარულს ქადაგებდა. როგორც აღვნიშნეთ, მაშინდელი მკაცრი ცენზურის პირობებში, როდესაც მეფის მსახურები ახშობდნენ ყოველგვარ მოწინავე აზრს, ჟურნალი შენიღბულად ახერხებდა კოლონიური ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი იდეების პროპაგანდას.

სოლომონ დოდაშვილმა და მისმა დასმა XIX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე სერიოზული როლი ითამაშეს ქართული საზოგადოების განვითარებაში. მათ გამოაფხიზლეს ხალხში განმათავისუფლებელი ბრძოლის სულისკვეთება [7, 431-432].

1829 წელს თბილისში ჩამოდის აგრეთვე თამარ ბატონიშვილი, რომელიც შემდეგში ფარულ საზოგადოებაში ერთ-ერთ წამყვან როლს ასრულებს. თბილისშივეა იმ დროს ფილადელფოს კიკნაძე. მოსკოვიდან ჩამოდის ოქროპირ ბატონიშვილიც. იგი განსაკუთრებით ფართო მუშაობას ეწევა: იკრებს ძალებს, სწავლობს ადგილობრივ პირობებს, იძლევა მითითებებს ორგანიზაციული მუშაობის შესახებ. 1830 წლის ნოემბერში პოლონეთში იწყება აჯანყება, რამაც საზოგადოების წევრები აღაფრთოვანა. მათ რიგებს მრავალი ახალი წევრი შეემატა. აჯანყებისათვის მზადება ახალ ფაზაში შედიოდა. თბილისის საზოგადოებას შეუერთდნენ გიორგი და დავით ერისთავები, ი. ფალავანდიშვილი, თ. ამილახვარი, ლ. ორბელიანი, გრ. ორბელიანი, ალ. ჭავჭავაძე, გ. ავთანდილაშვილი, გ. ყიფიანი, მამუკა ორბელიანი, რუსეთიდან ჩამოსული დ. ჯორჯაძე, ს. რაზმაძე, დ. ერისთავი, დ. ორბელიანი, ზ. ჩოლოყაშვილი და მრავალი სხვა [8, 944].

აღნიშნულ ეტაპზე თბილისის ფარულ საზოგადოებას, წევრების რაოდენობიდან გამომდინარე აღარ ეთქმის წრე, ჯგუფი, უჯრედი. ეს უკვე მტკიცედ შეკრული ფარული ორგანიზაციაა, რომელიც აჯანყებისთვის ემზადება.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ალ. ბენდიანიშვილი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1999
2. ა. სურგულაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქა, თბილისი, 1968
3. ვ. შადური, რევოლუციამდელი ქართველი მწერლები რუსეთის შესახებ, თბილისი, 1983
4. ე. კვიტაშვილი, დღიურებში გაცხადებული ცხოვრება, „ლიტერატურული საქართველო“, 2018, 27 აპრილი
5. ა. ბენდიანიშვილი, ქართული ეროვნული სახელმწიფოს განვითარების ეტაპები, თბილისი, 2006
6. ა. სურგულაძე, 1832 წლის შეთქმულება, თბილისი, 2013
7. ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1958
8. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973
9. გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, თბილისი, 1935

კარიბის (კუბის) კრიზისი და საქართველო

XX საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში ორი მსოფ-ლიო ომისა და მრავალი ლოკალური დაპირისპირების არენად იქცა, რამაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. პლანეტას განადგურების საფრთხე დაემუქრა მასობრივი მოსპობის, – ატომური და წყალბადის იარაღის შექმნით. საუკუნის მეორე ნახევარში ორ სისტემას შორის მეტოქეობამ კიდევ უფრო გაამძაფრა პოლიტიკური პროცესები. ბერლინის, კორეის და შემდეგ განსაკუთრებით, კარიბის კრიზისმა მსოფლიო ყოფნა-არყოფნის ზღურბლთან მიიყვანა.

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა გრძნობდა რომ, განვითარებულ კაპიტალისტურ სამყაროსთან „პაექრობისათვის“ ძლიერი კუნთები სჭირდებოდა. ამისთვის იგი, უპირველეს ყოვლისა, აქცენტს ბირთვუ-ლი და სარაკეტო შეიარაღებაზე აკეთებდა. 1950 - იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირმა მართლაც მნიშვნე-ლოვან წარმატებებს მიაღწია. 1957 წელს, მან პირველმა მსოფლიოში გამოსცადა კონტინენტთაშორისი ბალის-ტიკური რაკეტა, რაც იმას ნიშნავდა, რომ აშშ-ის უსაფრ-თხოება სერიოზული კითხვის ქვეშ დგებოდა. იმავე წელს საბჭოთა კავშირმა დედამიწის კოსმოსურ ორბი-ტაზე ხელოვნური თანამგზავრი „სპუტნიკი“ გაუშვა, რაც მსოფლიო მასშტაბის სენსაციად იქცა. საბჭოთა მეცნიერების ამ წარმატებებმა მსოფლიოში ბევრი აღაფ-

რთოვანა, ბევრი კი სევდიანად დააფიქრა. პესიმისტებს ეჭვის საფუძველი აშკარად ჰქონდათ – შემდეგი ნაბიჯი უთუოდ „სპუტნიკებზე“ ბირთვული იარაღის განთავსება იქნებოდა.

მიუხედავად ამისა, ბირთვული პოტენციალის თვალსაზრისით საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა აშშ-ს, რაც ხრუშჩოვს საშინლად აღიზიანებდა. „ბირთვული უკმარისობის“ კომპლექსის დასაკმაყოფილებლად იგი ხშირად ბლეფობდა კიდევაც და არწმუნებდა დასავლეთს, რომ საბჭოთა სამხედრო ინდუსტრია ერთიმეორის მიყოლებით „სოსისებივით“ აწარმოებდა ბირთვულ რაკეტებს. ერთ-ერთ დიდ თავყრილობაზე მან განაცხადა, რომ ამ უზუსტესი რაკეტებით ბუზების ჩამოგდებაც კი შეიძლებოდა. ხრუშჩოვის შავი იუმორი ბევრ დასავლელ პოლიტიკოსს საგონებელში აგდებდა. ასე მაგალითად, ამერიკელ სენატორ ჰ უ ბ ე რ ტ ჰ ე მ ფ რ ი ს ნიკიტა სერგის ძემ სთხოვა რუკაზე ეჩვენებინა, თუ სად იყო მისი მშობლიური ქალაქი მინეაპოლისი: „თუ რაკეტები მაგ მხარეს გამოფრინდება, შევეცდები ავაცილო ამ ქალაქსო“ – დააწყნარა მეგობრულად მან ამერიკელი სტუმარი. მოგვიანებით თავის მოგონებებში ხრუშჩოვმა აღიარა, რომ ყველაფერი ეს გაზვიადებული და დასავლეთის დასაშინებლად იყო გამიზნული.

ხრუშჩოვის ბაქიბუქი აშშ-ში სერიოზულ შეშფოთებას იწვევდა. 1956 წლიდან პენტაგონმა დაიწყო უ-2

ტიპის თვითმფრინავებით საბჭოთა ტერიტორიის დაზვერვა. ამერიკელებმა მალე აღმოაჩინეს, რომ დიდი სიმაღლიდან ამ თვითმფრინავების ჩამოსაგდებად საბ-ჭოელებს შეიარაღება არ ჰქონდათ და ამერიკელმა მზვერავებმა ლენინგრადისა და მოსკოვის ფოტოგრაფი-რება დაიწყეს. გაცეცხლებული ხრუშჩოვი სამხედ-როებისგან კატეგორიულად ითხოვდა შესაბამისი ზომების მიღებას. ამ ფაქტებს მოსკოვი გამუდმებით აპროტესტებდა, რითაც თავს უხერხულ მდგომარეო-ბაში იგდებდა, რადგან ჩნდებოდა კითხვა: რატომ არ ესვრიან ამ თვითმფრინავებს უზუსტეს საბჭოთა რაკეტებს?

ამერიკელმა მზვერავებმა მალე ისიც დააზუსტეს, რომ ხრუშჩოვის ბაქიბუქი საბჭოთა ბირთვული რაკეტების რაოდენობის შესახებ რეალობას არანაირად არ შეესაბამებოდა [1, 74–75].

მაგრამ, 1960 წლის 1 მაისს ამერიკული მზვერავი თვითმფრინავების ბოგინს საბჭოთა ტერიტორიაზე ბოლო მოეღო. ახალი ტიპის ჰაერსაწინააღმდეგო საბჭო-თა რაკეტამ უ-2 სწორედ ერთ-ერთი საბჭოთა კოლმეურ-ნეობის ტერიტორიაზე ჩამოაგდო და მისი პილოტი კ ო ლ ი ნ პ ა უ ე რ ს ი ცოცხლად ჩაიგდეს ხელში.

ეს ინციდენტი მოსკოვმა ზედმიწევნით ოსტატუ-რად გამოიყენა. კერძოდ, თვითმფრინავის ჩამოგდების ფაქტი კრემლმა მყისიერად არ გაახმაურა, და ამერი-კელების რეაქციას დაელოდა. მართლაც ამერიკულ

პრესაში მალე გაჩნდა ცნობა, რომ თურქეთში განთავსებული ამერიკული სამხედრო ბაზიდან აფრენილი თვითმფრინავი საბჭოთა კავშირის საზღვართან გაუჩინარდა. ხრუშჩოვი სწორედ ამას ელოდა. მან უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დიდი შოუ მოაწყო და ამცნო მთელ მსოფლიოს, რომ უ-2 საჭოთა უზუსტესმა რაკეტამ ჩამოაგდო და რომ ამიერიდან საბჭოთა ტერიტორიაზე ცხვირს ვერავინ შემოყოფდა. ვაშინგტონში უ -2-ის პილოტი მკვდარი ეგონათ, ამიტომ კატეგორიულად დაიწყეს ამ ფაქტის უარყოფა, რასაც ნიკიტამ კიდევ უფრო ძლიერი დარტყმით უპასუხა: საქვეყნოდ გამოამზეურეს საღ-სალამათი პაუერსი, რომელმაც ყველაფერი აღიარა.

შოკირებულ ვაშინგტონში ჯერ იმის მტკიცება დაიწყეს, რომ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი ამ საჰაერო დაზვერვის შესახებ საქმის კურსში არ იყო, მაგრამ საბოლოოდ იძულებული გახდნენ ეღიარებინათ, რომ ყველაფერი ეს პრეზიდენტის მითითებით კეთდებოდა აშშ-ის უსაფრთხოების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ამ ინციდენტიდან სულ ორიოდე კვირაში, პარიზში გაიმართა საბჭოთა კავშირის, აშშ-ის, ინგლისისა და საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურთა შეხვედრა. შეხვედრა პრეზიდენტმა დე გოლმა გახსნა, რის შემდეგაც სიტყვა ხრუშჩოვმა მოითხოვა. მისი კეტეგორიული განცხადებით, თათბირი მხოლოდ იმ შემთხვევაში გაგრძელდებოდა, თუკი აშშ-ის პრეზიდენტი ბოდიშს

მოუხდიდა საბჭოთა კავშირს სადაზვერვო პროვოკაციისათვის. პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ბოდიში არ მოიხადა. ამის შემდეგ საბჭოთა დელეგაციამ სრულად დატოვა სხდომის დარბაზი [1, 75–76].

მოგვიანებით ამერიკელ პილოტს ფრენსის პაუერსს საბჭოთა სასამართლომ 10 წელი თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. აშშ-ს პრეზიდენტმა უკვე თავადვე დაადასტურა ჯაშუშობის ფაქტი. მან ასევე აღნიშნა, რომ რუსებიც ამ საქმით იყვნენ დაკავებული და მაგალითისათვის პოლკოვნიკი აბელი დაასახელა. პრესამ მაშინვე „შემოაგდო“ იდეა: რატომ არ შეიძლება გავცვალოთ აბელი პაუერსზე?

მაგრამ ეს ყველაფერი ცოტა მოგვიანებით მოხდა. უბრალოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ჯაშუშობის ფაქტის სახალხოდ აღიარება, ყველაზე მოწინავე საგარეო პოლიტიკის დისკრედიტაციასაც იწვევს.

პოლკოვნიკი რუდოლფ ივანეს ძე აბელი – ამ გვარით იყო ცნობილი სუკ-ის პირველ მთავარ სამმართველოში. სინამდვილეში მას ეძახდნენ ვილჰელმ ფიშერს, რომელიც დაიბადა ლონდონში გერმანელი „კომინტერნელის“ ოჯახში.

პოლკოვნიკი აბელი დააპატიმრა აშშ-ის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ნიუ-იორკში, როგორც საბჭოთა აგენტი. მისი სასამართლო პროცესი სენსაციად იქცა [2, 103–104].

ამერიკის მხარის წინადადებით პაუერსი გაცვალეს აბელზე. გაცვლა მოხდა 1962 წლის 10 თებერვალს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია-ზე – გლინკა-ბრიუკეს ხიდზე [2, 106].

ამერიკის პოზიციების კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, ახალმა პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ 1961 წელს თურქეთის ქალაქ იზმირის გარშემო ხუთ წერტილში „იუპიტერი“-ს ტიპის 15 ბალისტიკური რაკეტა განათავსა. თითოეულ რაკეტას 1,44 მეგატონის ტრო-ტილი ეკვივალენტის სიმძლავრის ერთი ბირთვული ქობინის გადატანა მაქსიმალურ 2400 კმ-ზე შეუძლია. მისი მოქმედების რადიუსში მოსკოვიც ხვდებოდა. სწორედ ამ პროცესებმა წამოსწია წინა პლანზე კუბის საკითხი.

ახლა ცოტა რამ კუბის შესახებ: კუბის რესპუბლიკა მდებარეობს კარიბის ზღვის ჩრდილოეთით, რომელიც კუნძულოვან სახელმწიფოთა რიგს მიეკუთვნება. სახელწოდება მომდინარეობს სიტყვიდან „ა კ ო ბ ა“, რაც ადგილობრივი ინდიელების ენაზე „მიწას, ხმელეთს“ ნიშნავს. ქვეყანა შედგება კუნძულ კუბისაგან, კუნძულ ჰუვენტუდისა და პატარა კუნძულებისაგან – მარჯნის რიფებისაგან (სულ 1600 კუნძული). სანაპიროებისათვის დამახასიათებელია ღრმა ყურეები. კუბას ხშირად ადარებენ ხვლიკს, რომელსაც თავი მიმართული აქვს ატლანტიკის ოკეანისკენ, კუდი კი – მექსიკის ყურის შესასვლელში. კუბის სამხრეთით მდებარეობს კარიბის

ზღვა, ჩრდილო-დასავლეთით – მექსიკის ყურე, ჩრდილო-აღმოსავლეთით – ატლანტის ოკეანე.

კუბასა და აშშ-ს შორის უმოკლესი მანძილი ფლორიდის სრუტეზე გადის და 180 კმ-ს შეადგენს. კუნძლ ჰაიტამდე 77 კმ-ია, მექსიკამდე 140 კმ.

2013 წლის აღწერით კუბის მოსახლეობა 11, 4 მილიონს შეადგენდა. აშშ-ში ცხოვრობს დაახლოებით 1 მილიონი. კუბაში ესპანელების გამოჩენამდე აქ ცხოვრობდნენ ინდიელების ტომის ს ი ბ ო ნ ე ე ბ ი ს წარმომადგენლები. აგრეთვე, ჰაიტიდან გადმოსახლე-ბული ინდიელები. ესპანელებმა, როდესაც კუბა კოლონიად აქციეს, იაფი მუშახელი შეიყვანეს - ძირითადად აფრიკელი მონები. მათი შთამომავლობა დღეს 35-40%-ია. ესპანეთიდან კი, ძირითადად, გადმოსახლდნენ გალისელები, კასტილიელები და ნავარელები. კუნძულზე ცხოვრობენ ფრანგებისა და იტალიელების შთამომავლებიც. საერთოდ კი, კუბის მოსახლეობის 65% - ევროპელთა შთამომავალია, 20% - მულატი; 12% - აფრიკელი; ცხოვრობენ, აგრეთვე ჩინე-ლებიც. დედაქალაქი ჰავანა 2,2 მილიონ მოსახლეობას ითვლის [3, 26].

ესპანელთა ბატონობის 400 წლის შემდეგ [4, 156], კუბა აშშ-ის გავლენაში აღმოჩნდა. 1934 წელს გაუქმდა კუბა-ამერიკის ხელშეკრულების პ ლ ა ტ ი ს დისკრიმინაციული შესწორება, რომელიც აშშ-ს კუბის საქმეებში ჩარევის უფლებას აძლევდა. ამერიკა

თითქმის სრულად აკონტროლებდა ამ ქვეყნის, როგორც საგარეო, ასევე საშინაო პოლიტიკას და, შეიძლება ითქვას, რომ კუბა გარკვეულწილად ამერიკის პროტექ-ტორატს წარმოადგენდა. ამერიკელები იქ ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით გაცილებით უფრო მყარად გრძნობდნენ თავს. ხანგრძლივი პოლი-ტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული გავლენა მათ პატერნალისტურ გრძნობებს უჩენდა.

1950-იანი წლებისათვის კარიბის სამოთხედ წოდე-ბული კუბა მდიდარ ამერიკელთა გართობის ერთ-ერთ უდიდეს და მეტად პოპულარულ ცენტრად იქცა, სადაც აზარტული თამაშები, პროსტიტუცია, ლოთობა და სექსუალური შოუები ყვაოდა. შეერთებული შტატების პურიტანიზმს გამოქცეული მდიდარი ამერიკელები სწორედ აქ იკმაყოფილებდნენ ყველაზე მიწიერ ვნებებს და ვერც წარმოედგინათ, რომ ასეთი ვითარება ბევრი კუბელისათვის შეიძლება დამამცირებელი ყოფილიყო [5, 221].

მართალია ამერიკული ტურიზმი კუბას საკმაოდ დიდ შემოსავალს აძლევდა, მაგრამ კუბა, რომ ამავე დროს ამერიკის საროსკიპოდ და კაზინოდ იქცა დადე-ბით გრძნობებს ნამდვილად არ აღძრავდა კუბის საზოგადოებაში.

კუბის კაზინოებს ამერიკელი განგსტერები ფლობ-დნენ. მოგების ნაწილს კი კუბის პრეზიდენტს და ფაქ-ტობრივ დიქტატორს ფ უ ლ გ ე ნ ს ი ო ბ ა ტ ი ს ტ ა ს

უხდიდნენ. მაგალითად, ჰავანას მთავარ კაზინოებს ამერიკელი განგსტერი მ ე ი ე რ ლ ა ნ ს კ ი აკონტროლებდა და დიქტატორს თვეში მილიონზე ერთ დოლარს უხდიდა [5, 222].

ბატისტას რეჟიმის პერიოდს 20 ათასი კუბელის სიცოცხლე შეეწირა. მისი გარემოცვიდან იყვნენ მკვლელები, რომელთაგან თითოეულზე ასამდე მსხვერპლს ანგარიშობდნენ. მხოლოდ ერთ დღეს ბატალიონის უფროსის ბრძანებით 50 გლეხი დახვრიტეს [6, 46].

1957 წლისათვის ბატისტას რეჟიმს გაუარესება დაეტყო და ამერიკის სახელმწიფოს დეპარტამენტშიც იმატა სკეპტიციზმმა მის მიმართ. როდესაც ბატისტას კონტროლქვეშ მყოფი მედია ფიდელ კასტროს დამარცხებაზე ქადაგებდა მისი აღარავის სჯეროდა. სამაგიეროდ კუბელთა უმრავლესობას სწამდა ფიდელის რადიოს ყოველი ინფორმაციისა. ამავე პერიოდში როგორც ამერიკელმა, ასევე ევროპელმა სწავლულებმა კასტროს საქებარი უამრავი წიგნი დაწერეს. მათ შორის იყვნენ რაიტ მილსი, კოლუმბიის უნივერსიტეტიდან, ნორმან ბაილი, სამუელ შაპირო, ჟან პოლ სარტრი, უალდო ფრანკი და სხვები. ფრანკი კასტროს გენიოსსაც კი უწოდებდა და უფრო პოეტად მიიჩნევდა, ვიდრე პოლიტიკოსად [5, 225].

ფაქტია, რომ ფიდელ კასტროს გავლენა უკვე იმდენად ძლიერი იყო კუბაში, რომ ბატისტას შემცვლელი ზომიერი პოლიტიკოსის მოძიება უკვე შეუძლებელი

შეიქმნა. ამჯერად ამერიკელებმა დაიგვიანეს. და ეს მათი დიპლომატიის სერიოზული მარცხი იყო. კუბაში კი სულ უფრო მეტ ადამიანს კასტრო ლეგენდარულ, ტირანიის წინააღმდეგ მებრძოლ გმირად ესახებოდა.

საბოლოოდ, როდესაც 1958 წლის ბოლოს კასტრო სიერა მაესტრას მთებიდან ბარში ჩამოვიდა, მის რამდენიმე ათასი მებრძოლისგან შემდგარ სამხედრო დაჯგუფებას ბატისტას 40 ათასმა ჯარისკაცმა და 30 ათასმა პოლიციელმა თითქმის ვეღარაფერი დაუპირისპირა. კუბაში ჩასული ამერიკელები გააოგნა ფიდელის და მისი „26 ივლისის მოძრაობის“ მიმართ საშუალო ფენის, როტარიანელების, პროფესიონალების თითქმის უპირობო მხარდაჭერამ [5, 226].

1959 წლის 8 იანვარს ფიდელ კასტრო ჭეშმარიტ ტრიუმფატორად შევიდა ჰავანაში. ეს იყო შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი მარცხი „ცივი ომის“ განმავლობაში, რომელმაც არა მარტო ამერიკის უსაფრთხოება დააყენა რისკის ქვეშ, არამედ მნიშვნელოვნად შეარყია მისი ავტორიტეტი და გავლენა მსოფლიოში, განსაკუთრებით კი ლათინურ ამერიკაში. კუბამ ყველას აჩვენა, რომ თურმე შესაძლებელი ყოფილა ამერიკის დამარცხება და ისიც მის უახლოეს, თითქმის საკუთარ ტერიტორიაზე. ყოველივე ეს ცოტა უფრო გვიან, ჯონ კენედის მმართველობის წლებში გახდა ნათელი [5, 231].

1961 წელს ფიდელ კასტრომ განაცხადა, რომ კუბა ირჩევდა სოციალიზმის გზას. საბჭოთა კავშირმა

მაშინვე დაიწყო კუნძულისათვის დახმარების გაწევა. რამდენიმე თვის განმავლობაში გაიშალა გრანდიოზული სამხედრო მშენებლობა. აეროდრომები, საზღვაო ნავსადგურები, სასტარტო მოედნები და ყველა აუცილებელი ინფრასტრუქტურა... ასევე, იარაღის საწყობები, ყაზარმები და პატარა ქალაქური დასახლებები სამხედროებისათვის. დაიწყო მძლავრი მრავალფუნქციური რადიოელექტრონული სადაზვერვო ცენტრის მშენებლობა, რისთვისაც გამოიყო ჰავანის სამხრეთ გარეუბანში - ლ უ რ დ ე ს ე ს ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთი.

კარიბის კრიზისის პერიოდში, როდესაც მსოფლიოს ბედი ბეწვზე ეკიდა, ლურდესეს ცენტრიდან შემოდიოდა ობიექტების კოორდინატები, რომელზეც დამიზნებული იყო კუბაში განლაგებული საბჭოთა რაკეტები. აღნიშნულ იარაღს აუცილებლობის შემთხვევაში შეეძლო რამდენიმე წუთში მოეხდინა ამერიკის სამხრეთი სანაპიროების პარალიზება.

გარდა ძირითადი ამოცანებისა - სამხედრო დაზვერვა - ცენტრი, ასევე ეწეოდა ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაციის შეგროვებას. ცენტრის შესაძლებლობები იმდენად მძლავრი იყო, რომ დაზვერვის ერთ-ერთმა ვეტერანმა ის შეადარა „თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტში დამაგრებულ „ხოჭოს“ .

აქვე აღვნიშნავთ, რომ გახურებული „ცივი ომის“ პერიოდში ცენტრში მუშაობდა 3 ათასი სპეციალისტი

და მომსახურე პერსონალი. სისტემა იცავდა კუბას, როგორც ხმელეთიდან, ასევე ჰაერიდან. მისი მშენებლობა და აღჭურვა საბჭოთა კავშირს 3 მილიარდი დოლარი დაუჯდა. მიუთითებდნენ, რომ ცენტრი ამერიკელებისთვის იყო, როგორც „თვალში შერჭობილი ეკალი“ [7, 6].

რამ გამოიწვია კუბაში საბჭოთა რაკეტების განლაგება, რომელმაც კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომის დაწყების საფრთხის წინაშე დააყენა? განსვენებული მკვლევრის, ალექსანდრე რონდელის მოსაზრებით „იმისათვის, რათა საბჭოთა რაკეტების კუბაში განლაგებით თავი უსაფრთხოდ ეგრძნო ფიდელ კასტრომ დიდი დაწოლა განახორციელა კრემლზე, რომელიც ადრე თავისუფლების კუნძულის დაცვის პირობას იძლეოდა. კასტრომ იმდენს მიაღწია, რომ საბჭოთა ბალისტიკური რაკეტები კუბაში განლაგდა (ცხადია, ამის წინააღმდეგი არც საბჭოთა კავშირი ყოფილა)“ [8, 144]. ასეთ ახსნას ჩვენ ვერ გავიზიარებთ. ყველაზე გავრცელებული ვერსიით, რევოლუციურ კუბაში საბჭოთა ბირთვული იარაღის განთავსების იდეა ხრუშჩოვს პირველად თავდაცვის მინისტრ მალინოვსკისთან ერთად შავი ზღვის სანაპიროზე სეირნობის დროს მოუვიდა. მინისტრმა პრემიერის ყურადღება იმაზე გაამახვილა, რომ შავი ზღვის მეორე მხარეს - თურქეთის ტერიტორიაზე განლაგებულ ამერიკულ რაკეტებს 6-7 წუთის მანძლზე შეეძლოთ გაენადგუ-

რებინათ უკრაინის და რუსეთის სამხრეთი ნაწილის მსხვილი ქალაქები.

მაშინ ხრუშჩოვმა ჰკითხა მალინოვსკის, თუ რატომ არ შეეძლო საბჭოთა კავშირს გაეკეთებინა იგივე, რასაც აკეთებდა აშშ. მაგალითად, რაკეტები განელაგებინა რევოლუციურ კუბაში, მითუმეტეს, რომ ამერიკას საბჭთა კავშირი გარშემორტყმული ჰყავდა სამხედრო ბაზებით, ხოლო საბჭოთა რაკეტები და ატომური ბომბები, მხოლოდ საბჭოთა ტერიტორიაზე იყო განთავსებული. აშკარა უთანაბრობა!

ცალმხრივი შეფასება რომ არ გამოგვივიდეს და საბჭოთა ბირთვულ-ქობინიანი რაკეტების გამშვები დანადგარების განთავსება კუბის ტერიტორიაზე, საიდანაც აშშ-ზე იერიშის მიტანას სულ რამდენიმე წუთი დასჭირდებოდა მხოლოდ ხრუშჩოვის ახირებით არ ავხსნათ, გავიხსენოთ, რომ 1961 წელს ამერიკამ თურქეთის ტერიტორიაზე დამატებით განალაგა იუპიტერები.

„კუბის რევოლუციის გადასარჩენად საჭიროა გაბედული ნაბიჯი“ - ფარისევლურად განაცხადა ხრუშჩოვმა მის აგარაკზე გამართულ „ჩაიზე“ სკკპ პოლიტბიუროს ყველა წევრის, აგრეთვე, ა. გრომიკოს და რამდენიმე სამხედრო სარდლის თანდასწრებით... „მაგრამ კასტრომ არ უნდა იცოდეს, - აღნიშნა ხრუშჩოვმა, - რომ ჩვენ უკვე გადაწყვეტილი გვაქვს ასეთი რაკეტების განლაგება კუბაში და ვითომ ახლა ვაყენებთ ასეთ წინადადებას“.

„რაკეტები“ - განმარტა ხრუშჩოვმა - აუცილებელია

ჩავიტანოთ და განვალაგოთ ყველა წესის დაცვით და ამერიკელები უკვე მომხდარი ფაქტის წინაშე დავაყენოთ. მნიშვნელოვანია - აღნიშნა მან - თავიდან ავიცილოთ პრესაში ამ ამბის გაჟონვა აშშ-ში შუალედური არჩევნების პერიოდში, რათა არ გამწვავდეს იქ ვითარება. როცა არჩევნები ჩატარდება და წინასაარჩევნო მარათონი მიწყდება, ამერიკელებს არაფერი დარჩებათ გარდა იმისა, რომ გადაყლაპონ ეს მწარე აბი“ [9, 367-368]. გაურკვევლი იყო მხოლოდ ერთი რამ: შეიძლებოდა თუ არა საიდუმლოდ განელაგებინათ სარაკეტო მოწყობილობა კუბაზე და მოეყვანათ ისინი სამხედრო მზადყოფნაში. კუნძული პატარა იყო და ყოველი მხრიდან გრშემორტყმული ამერიკული სადაზვერვო ავიაციით. ისიც გაურკვეველი იყო, დათანხმდებოდა თუ არა კუბის ხელისუფლება სსრკ-ის წინადადებას. ამ საკითხების გადასაწყვეტად უაღრესად საიდუმლო ვითარებაში კუბაში საბჭოთა დელეგაცია გაიგზავნა. საბჭოთა ელჩი კუბაში ალექსეევი იგონებდა, რომ ფიდელმა მისდა გასაკვირად, წყნარად მიიღო საბჭოთა წინადადება ბირთვული რაკეტების კუბაში განლაგების შესახებ. მისი პასუხი ასეთი იყო: თუკი ეს საჭიროა სოციალიზმისათვის, მე მზად ვარ გადავდგა ასეთი ნაბიჯი.

საბჭოთა კავშირის ელჩი ვაშინგტონში დობრინინი აღნიშნავს, რომ 1962 წლის მაისიდან, მკაცრი საიდუმლოების ვითარებაში მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი კონფიდენციალური შეთანხმება საბჭოთა ხელმძღვანე-

ლობასა და კასტროს შორის კუბაში ბირთვული რაკეტე-ბის შეტანის თაობაზე. ამავე წლის ივნისში აღნიშნული იდეის სამხედრო ასპექტების განსახილველად მოსკოვს ლეგენდარული ჩე გევარა და რაულ კასტრო ეწვივნენ. რაულ კასტრომ თავდაცვის მინისტრ მალინოვსკისთან მოახდინა ხელშეკრულების პარაფირება, კუბაში რაკეტების განლაგების შესახებ. [9, 368].

კრემლის გეგმით რაკეტების განლაგებას კუბის ტერიტორიაზე ორი მიზანი ჰქონდა: პირველი, როგორც თავად ხრუშჩოვი ამტკიცებდა, ეს იყო კუბის დაცვა, რადგან არსებობდა სერიოზული ალბათობა იმისა, რომ ვაშინგტონი კასტროს რეჟიმს არ შეურიგდებოდა. თუმცა ისიც ნათელი იყო, რომ კუნძულზე რაკეტულ - ბირთვული ბაზების შექმნა უფრო მეტად ზრდიდა ამერიკელების კუნძულზე შეჭრის რისკს. ასეთ რისკზე რომ მიდიოდა, ხრუშჩოვი ერთდროულად ცდილობდა შეეცვალა სსრკ-სა და აშშ-ს შორის ძალთა სტრატეგიუ-ლი ბალანსი, ეჩვენებინა საბჭოთა სიძლიერე და შეექმნა პირობები სამხედრო თუ არა, პოლიტიკური პარიტეტი-სა მაინც. რა თქმა უნდა, ხრუშჩოვს მშვენივრად ესმოდა, რომ ომის შემთხვევაში საპასუხო დარტყმით ამერიკას შეეძლო დაენგრია საბჭოთა კავშირი და გაენადგუ-რებინა მისი მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

სავარაუდოა, რომ ხრუშჩოვს სხვა მოსაზრებებიც ჰქონდა. მას სურდა შეექმნა აშშ-თან მოლაპარაკების ახალი პირობები და თანაბარი კომპრომისების მიღწე-

ვის საშუალებები. იგი ასევე ცდილობდა ამ გზით მიეღო ის, რისკენაც ისწრაფვოდა 1958–962 წლების განმავლობაში. კერძოდ, გდრ-ის აღიარება, დასავლეთ ბერლინის ახალი სტატუსი, ომის შემდგომი საზღვრების ცნობა, აგრეთვე სერიოზული ცვლილებები საბჭოთა კავშირ - ამერიკის ურთიერთობებში [1, 89 – 90].

1962 წლის ივლისის ბოლოდან სექტემბრის შუა რიცხვებამდე საბჭოთა კავშირმა კუბაში დაახლოებით 100 ხომალდი გაგზავნა. ამჯერად მათ დიდ ნაწილს იარაღი გადაჰქონდა. ამერიკელთა გათვლით გადაიზიდა საშუალო მოქმედების რადიუსის მქონე 42 რაკეტის დანადგარი „დედამიწა - ჰაერი“ ტიპის საზენიტო მოწყობილობები და სხვ. გარდა ამისა, როგორც ეს მოგვიანებით დადგინდა, კუბაში გადაისროლეს დაახლოებით 40 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი [1, 90].

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ნაბიჯი ძალზედ გასაიდუმლოებული იყო არა მარტო საზოგადოებისათვის, არამედ მთელი დიპლომატიური კორპუსისათვის. საბჭოთა ელჩმა აშშ-ში დობრინინმა და გაეროში სსრკ-ს მუდმივმა წარმომადგენელმა ვალენტინ ზორინმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. უფრო მეტიც, მათ ინსტრუქცია ჰქონდათ: ყველა სახის შეკითხვაზე რაკეტების შესახებ გასცენ პასუხი, რომ კუბას ჩვენ ვაწვდით მხოლოდ თავდაცვის იარაღს და არავითარი დაწვრილებითი პასუხი არ გაეცათ რაიმე ბირთვული იარაღის შესახებ კუბაში. ჩვენ თავდაპირველად არცერ-

თი ამერიკელი არ გვისვამდა კითხვას – იხსენებს ელჩი, ვინაიდან არავის თავში, მათ შორის მეც არ მოგვივიდოდა „ასეთი დაუჯერებელი აზრი“.

მოსკოვმა, საიდუმლოს შენახვის მიზნით ფაქტიურად საბჭოთა ელჩი მოტყუების იარაღად გადააქცია, როდესაც, ეს უკანასკნელი ამერიკელ თანამოსაუბრეებს უმტკიცებდა, რომ კუბაში მხოლოდ საბჭოთა თავდაცვითი ხასიათის იარაღი იყო შეტანილი. გაეროს უშიშროების საბჭოშიც იგივეს ამტკიცებდა ზორინი, რომელმაც ასევე არაფერი იცოდა [9, 368].

თეთრ სახლს ამ დროს მთელი ყურადღება გერმანიის პრობლემაზე ჰქონდა გადატანილი. მოულოდნელად კი მოხდა მეხის გავარდნა: აშშ-ს უსაფრთხოებას ორი ასეული კილომეტრის მანძილიდან სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა.

ბუნებრივია, საბჭოთა ხომალდების გადაადგილება არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო ამერიკელებისათვის. ამერიკის მთავრობამ თავისი შეშფოთება აცნობა საბჭოთა ელჩს და, ამავე დროს, კუბის მახლობლად დიდი წვრთნები ჩაატარა, რომლებშიც 45 სამხედრო ხომალდი და 10 ათასი საზღვაო სამხედრო მონაწილეობდა. თვითმფრინავები აწარმოებდნენ კუბის ტერიტორიის ფოტოგრაფირებას. სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში ძლიერმა ღრუბლიანობამ ხელი შეუშალა ფოტოდაზვერვის გაგრძელებას. ამერიკელებმა მხოლოდ 10 ოქტომბერს შეძლეს

განეახლებინათ დაზვერვა. პარალელურად, სრულმა საიდუმლო ინფორმაციამ შემდეგნაირად გაჟონა: საბჭოთა სუკ-ის მაღალი თანამდებობის პირი ო ლ ე გ პ ე ნ კ ო ვ ს კ ი, რომელიც მოგვიანებით ჯაშუშობის გამო დახვრიტეს, თვითონ გავიდა კავშირზე ამერიკის დაზვერვასთან. კუბაში საბჭოთა ბირთვული რაკეტების ჩატანის შესახებ არსებული საიდუმლო ინფორმაცია დასავლეთის დაზვერვამ მისი მეშვეობით მიიღო.

გარდა ამისა, 1962 წლის 14 ოქტომბერს თვით-მფრინავმა უ-2 კუბაში აღმოაჩინა სასტარტო მოედნები, რომელიც განკუთვნილი იყო საშუალო სიშორის რაკე-ტების მონტაჟისა და მოქმედებისათვის. მოპოვებულმა მონაცემებმა ვაშინგტონის შოკი გამოიწვია. 16 ოქტო-მბერს ფოტო გადაღებები და ექსპერტის დასკვნები პრეზიდენტის მაგიდაზე იდო. კენედის ბრძანებით თეთრ სახლში სასწრაფოდ „კრიზისის ჯგუფი“ შეიქმნა. პენტაგონის გენერალიტეტის და კონგრესის ლიდერე-ბის მხარდაჭერით ხელისუფლების ნაწილი მოითხოვდა გამომჟღავნებული რაკეტების სასტარტო მოედნების დაუყოვნებლივ დაბომბვასა და ამერიკის ჯარების გა-დასხმას კუბაში. ზოგიერთი გენერალი ბირთვული იარაღის გამოყენებასაც კი მოითხოვდა, თუმცა ეს საკითხი სერიოზულად არ დაუყენებიათ [9, 369]. კენედის პოზიცია გამოსავალს დიპლომატიური საშუა-ლებების გამოყენებაში ხედავდა. ამავე დროს სამხედრო

წვრთნების მოტივით სასწრაფოდ დაიწყო მზადება ძალების სრული მობილიზაციისათვის [1, 90–91].

18 ოქტომბერს თეთრ სახლში გაიმართა კენედის შეხვედრა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთან ანდრეი გრომიკოსთან, რომელიც აშშ-ში გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაში მონაწილეობის მისაღებად იმყოფებოდა.

შეხვედრის დაწყებამდე კენედის მაგიდაზე ედო უტყუარი ინფორმაცია (ფოტოები, დაზვერვის მონაცემები) კუბაში საბჭოთა ბირთვული იარაღის არსებობის შესახებ. როდესაც საუბარი კუბის თემას შეეხო, პრეზიდენტი დაინტერესდა, ხომ არ აპირებდა მოსკოვი კუბისათვის რაიმე „შეტევითი ხასიათის“ იარაღის მიწოდებას, რაზეც გრომიკომ კატეგორიული უარი, ანუ მისი ცნობილი „Нет“ განაცხადა. ცოტა ხნის შემდეგ პრეზიდენტი კვლავ დაუბრუნდა ამ თემას, მაგრამ კვლავ დაბეჯითებითი „Нет“ მიიღო.

მომდევნო წლებში, თუნდაც დღემდე, ბევრს მსჯელობენ იმაზე, თუ რატომ არ დაუდო წინ საბჭოთა მინისტრს კენედიმ უტყუარი ფაქტები. ნეტავ რას იტყოდა ამ შემთხვევაში გრომიკო?

როგორც ჩანს, პრეზიდენტს ჯერ არ ჰქონდა სრულად მოფიქრებული შემდგომი მოქმედების გეგმა. შეხვედრის შემდეგ კენედის მთავარი დასკვნა ის იყო, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობის ნდობა არანაირად არ შეიძლებოდა. მათთვის ტყუილსა და მართალს ერთი

ფასი ჰქონდა. აბა სხვანაირად როგორ შეიძლებოდა აეხსნა ასეთი უტიფარი საქციელი?

ამ ისტორიული საუბრის შემდეგ კი გრომიკომ კრემლში ასეთი სახის ინფორმაცია გაგზავნა: „ვაშინგტონმა არაფერი იცის“.

თავის მოგონებებში გრომიკო წერს: „დასავლეთში გავრცელებული ცნობების მიუხედავად, მთელი საუბრის განმავლობაში კენედის საერთოდ არ დაუყენებია საკითხი კუბაში საბჭოთა სარაკეტო იარაღის არსებობის შესახებ. შესაბამისად, მე არ ვიყავი ვალდებული გამეცა პასუხი იმაზე, იყო თუ არა ასეთი იარაღი კუბაში“ [10, 393]. ამგვარად, გრომიკომ მოგვიანებით არა მარტო დაადასტურა თავისი საქციელი, არამედ შეეცადა გაემართლებინა კიდეც იგი, რაც, ალბათ, ისევ და ისევ უზნეობაა. თუმცა გრომიკო აღიარებდა, რომ მის ხანგრძლივ დიპლომატიურ ცხოვრებაში ეს ყველაზე რთული შეხვედრა იყო.

ფაქტია, რომ საბჭოთა ელჩმა ამერიკაში დობრინინმა ეს ყოველივე შეიტყო 22 ოქტომბერს სახელმწიფო დეპარტამენტში, სადაც მას გადასცეს კენედის წერილი ხრუშჩოვის სახელზე და გამოსვლის ტექსტი, რომლითაც რამდენიმე საათში კენედიმ ამერიკელ ხალხს მიმართა [11, 65].

თავის ისტორიულ გამოსვლაში კენედიმ ისაუბრა იმ საშიშროებაზე, რაც აშშ-ის უსაფრთხოებას შეუქმნა

საბჭოთა კავშირის ამ უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებამ.

მანამდე კი რობერტ კენედი, პრეზიდენტის დავალებით, თითქმის ყოველდღე ესაუბრებოდა სსრკ-ს ელჩს ვაშინგტონში, გადაკვრით აცნობდა „კრიზისულ ჯგუფში“ შექმნილ მკაცრ განწყობილებას, დრამატული სახით ხატავდა სამხედროების დაწოლას პრეზიდენტზე და პრეზიდენტის მიერ მათ შეკავებას, რათა საბჭოთა მხარესგან მიეღო თანხმობა კუბიდან რაკეტების გატანაზე [9, 375].

ვითარება კიდევ უფრო დაიძაბა მას შემდეგ, რაც კენედიმ მიმართა ამერიკელ ხალხს და ხრუშჩოვს გაუგზავნა წერილი. საბჭოთა მთავრობამ აშშ-ს პრეზიდენტის მიმართვას და წერილს უპასუხა მუქარით: „სსრკ-ს არ ეშინია და იგი მზად არის მუქარას უპასუხოს მის შესაბამისად, თუ ამერიკის ხელმძღვანელობა არ მოუხმობს კეთილგონიერებას“ [9, 377].

23 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭომ საგანგებო სხდომაზე განიხილა კუბაში შექმნილი ვითარება. ეს იყო ყველაზე დაძაბული სხდომა გაეროს არსებობისა და შემდგომი წლების მანძილზე.

ამერიკის ელჩის შეკითხვას, განალაგა თუ არა მოსკოვმა კუბაში სარაკეტო შეიარაღება, საბჭოთა ელჩმა „ზღაპრების მოყოლით“ უპასუხა. „გთხოვთ მიპასუხოთ, კონკრეტულად – ხო თუ არა !“ – კატეგორიულად მოითხოვა ამერიკის ელჩმა. საბჭოთა დიპლომატის

პასუხი კვლავ მიკიბულ - მოკიბული იყო [1, 93]. ამავე დღეს 19 საათსა და 36 წუთზე (გრინვიჩის დროით) პრეზიდენტმა კენედიმ ხელი მოაწერა „3504 პროკლამაციას“, რომელიც აცხადებდა, რომ 1962 წლის 24 ოქტომბრიდან კუბის ირგვლივ კარანტინი მყარ-დებოდა. პროკლამაცია „შემტევ იარაღად“ თვლიდა არა მარტო რაკეტებს „დედამიწა - დედამიწას“, არამედ ბომბდამშენებსაც.

თავდაცვის სამინისტროს მიეცა მითითება პრეზი-დენტის გადაწყვეტილების ცხოვრებაში განხორციე-ლების შესახებ. მთავრობამ კარიბის ზღვის აუზში თავი მოუყარა სამხედრო-საჰაერო ძალებს, პარაშუტისტებს და საზღვაო ძალებს. საბრძოლო მზადყოფნაში იქნა მო-ყვანილი ამერიკის ჯარები დასავლეთ ევროპაში. ჰაერში მუდმივად იმყოფებოდა სტრატეგიული ავიაციის ბომბდამშენების 50 პროცენტი, რომლებიც ბირთვული რაკეტებით იყვნენ აღჭურვილი. წყალქვეშა ნავებმა, რომელიც ასევე შეიარაღებული იყო ბალისტიკური ბი-რთვული რაკეტებით „პოლარისით“ დაიკავა ოპერა-ტიული პოზიციები. მსოფლიო იდგა თერმობირთვული ომის საშიშროების წინაშე. აი, რა შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს კაცობრიობა ტოტალური რეჟიმის დროს ერთმა პიროვნებამ – კაცობრიობა დაღუპოს და სრული მოსპობის საშიშროების წინაშე თუ არა უდიდესი კატასტროფის წინაშე დააყენოს. ხრუშჩოვი კი, თავის ოჯახთან და პოლიტბიუროს სხვა წევრებთან

ერთად დიდი თეატრის სპექტაკლებით ნებივრობდა. ამაზე მეტი ცინიზმი და კაცობრიობის ასეთი სახით აბუჩად აგდება, არავის გაუკეთებია.

ჩვენ ზოგადად აღვნიშნეთ აშშ-ის შეიარაღებული ძალების მზადყოფნაში მოყვანის სიტუაციის შესახებ, მაგრამ, ალბათ, არანაკლები ძალები მზადყოფნაში მოყვანილი ჰყავდა საბჭოთა მხარეს, თუმცა ეს დღევან-დლამდე გასაიდუმლოებულია [9, 374].

დადგა 24 ოქტომბერი. მთელი ამერიკა პირდაპირ ეთერში უყურებს, თუ როგორ სრულდება კენედის მიერ გამოცხადებული კარანტინი კუბის გარშემო. ყველა აღელვებული შესცქერის როგორ უახლოვდება „წითელ ხაზს“ საბჭოთა ხომალდი, რომელზეც, ალბათ, ბირთვული იარაღია. რჩება 20 მილი ... 10 მილი ... 5 მილი ... საბჭოთა ხომალდმა გადაკვეთა „წითელი ხაზი“, მაგრამ ამერიკელებმა ეს „გადაყლაპეს “. როგორც საბჭოთა ელჩი კუბაში ალექსეევი იგონებს „ ამერიკის სამხედრო გემებმა არ გახსნეს ცეცხლი, გაატარეს იგი, შემდეგ საერთო ამოსუნთქვა შვებით, პირველ რიგში საელჩოს თანამშრომლებისა“ [9, 380].

იმავე დღეს კუბისაკენ მიემართებოდა კიდევ საბჭოთა ორი სავაჭრო გემი წყალქვეშა ნავების თანხლებით. 500 მილის დაშორებით, კუნძულ კუბიდან ღია ზღვაში შეხვდნენ აშშ-ის სამხედრო გემებს. ამერიკის გემის კაპიტნებს ბრძანება ჰქონდათ მიღებული, რომ ჩაეძირათ წყალქვეშა ნავები თუ, ისინი

უარს იტყოდნენ ზღვის სიღრმიდან ამოსვლაზე. საბჭოთა გემები დამორჩილდნენ და შეჩერდნენ. ამ ამბის შესახებ ცნობის მიღების შემდეგ სახელმწიფო მდივნამა რასკმა შვებით ამოისუნთქა და თქვა: „ჩვენ ერმანეთს თვალი თვალში გავუყარეთ და მე ვფიქრობ რომ, ჩვენმა მტერმა თვალები დაახამხამა“. ამრიგად, 24 ოქტომბერს, ოთხშაბათს, დილით საბჭოთა გემები დაემორჩილნენ ამერიკის პრეზიდენტის მიერ გამოცხადებულ კარანტინს.

მაგრამ კრიზისი კვლავ გრძელდებოდა. 25 ოქტომბერს საბჭოთა სამხედროებმა კუბაში ჩამოაგდეს უ-2, დაიღუპა პილოტიც. მაგრამ ეს იყო საბჭოთა სამხედროების მოსკოვთან შეუთანხმებელი მოქმედება, რის გამოც მათ საყვედური მიიღეს. უ-2 თვითმფრინავის ჩამოგდებამ, არამარტო ვაშინგტონში, არამედ მოსკოვში ერთგვარი შოკი გამოიწვია. ამერიკის პრეზიდენტმა მართლაც მაღალი პოლიტიკური ნება გაამჟღავნა, არ დაემორჩილა „ქორების“ ზეწოლას და უარი თქვა შეიარაღებულ აქციებზე კუბის წინააღმდეგ და საბჭოთა რაკეტების დაბომბვაზე ... დაელოდა ხრუშჩოვის პასუხს [9, 382].

პარალელურად, აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ხომალდები და მზვერავი თვითმფრინავები კარიბის ზღვაში კუნძულისკენ მიმავალ საბჭოთა ხომალდებს დაეძებდნენ. აშშ-ის თავდაცვის მინისტრის რობერტ მაკნამარას დავალება სამხედროებისადმი შემდეგი იყო:

ნებისმიერი უცნობი წყალქვეშა ნავის აღმოჩენის შემთხვევაში ამერიკულ სამხედრო ხომალდებს ის უნდა ეიძულებინათ ამოსულიყო წყლის ზედაპირზე, გამოეაშკარავებინა თავი და რაც მთავარია, არაფრის დიდებით არ უნდა დაეშვათ მისი მიახლოება კუბასთან. ერთ-ერთი ასეთი წყალქვეშა „ ნავი“ იყო ბ-59 (ნატო-ს კლასიფიკაციით ფ ო ქ ს ტ რ ო ტ ი) – უმძლავრესი შეიარაღებით – ბირთვულ ქობინიანი ტორპედოებით აღჭურვილი ეს სუბმარინი, კიდევ ოთხ სხვა წყალქვეშა ნავთან ერთად, კუბის მიმართულებით მიცურავდა. მათი ამოცანა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ კუნძულის გარშემო შექმნილი საზღვაო ბლოკადის დაძლევა და კუბის ჩრდილო სანაპიროზე, მარიელის ყურეში წყალქვეშა ნავების ბაზაში შეღწევა იყო. აღნიშნულ სუბმარინს ვიტალი სავიცკი მეთაურობდა. მას ორი თანაშემწე ჰყავდა – ერთი, ვასილი არხიპოვი და მეორე, მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში. სუბმარინის ამ სამ უფროს ოფიცერს საბჭოთა ხელმძღვანელობისგან წინასწარვე ჰქონდათ ნებართვა, რომ საჭიროების შემთხვევაში, ერთობლივად მიეღოთ ბირთვული იარაღის გამოყენების გადაწყვეტილება.

1962 წლის 27 ოქტომბერს, დღის მეორე ნახევარში, მოვლენები ელვისებურად განვითარდა. ამერიკული საესკადრო ნაღმოსნების ჯგუფმა საბჭოთა წყალქვეშა ნავები აღმოაჩინა. ამერიკელებს ვერ წარმოედგინათ თუ საქმე ბორტზე ბირთვული შეიარაღების მქონე

სუბმარინთან ექნებოდათ და წყლის სიღრმეში ბომბების გაშვება დაიწყეს, რათა წყალქვეშა ნავები ეიძულებინათ ზედაპირზე ამოეყვინთათ [12, 62-63].

სიღრმული ბომბები, რომელსაც ამერიკული ნაღმოსნები უშვებდნენ, საბჭოთა სუბმარინის კორპუსის სიახლოვეს სკდებოდა. ბ-59-ის ეკიპაჟი პანიკამ და ქაოსმა მოიცვა ... ბორტზე მყოფი კავშირის ოფიცერი ორლოვი იხსენებდა: „ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს რკინის კასრში ვისხედით, რომელსაც გარედან ვიღაც ჩაქუჩს ურტყამდა“.

და ამ დროს მეთაური სავიცკი, რომლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა უკვე კრიტიკულ ზღვარზე იყო, კიდევ ერთხელ შეეცადა მოსკოვთან დაკავშირებას, მარამ ამაოდ. სასოწარკვეთილი ეკიპაჟი კი ამერიკელებისათვის საპასუხო დარტყმის მიყენებას მოითხოვდა. მეთაურმა, რომელიც ფიქრობდა, რომ აშშ-სა და საბჭოთა კავშირს შორის ომი უკვე გაჩაღდა ბირთვული ტორპედოების გაშვება გადაწყვიტა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცოდა, ეს როგორც მისი, ისე მთელი ეკიპაჟის აღსასრულს ნიშნავდა.

„ავაფეთქებთ მათ. ყველანი დავიღუპებით, მაგრამ ჩავძირავთ მათ ხოლამდებსაც!“ – ამბობდა და უხმო კიდეც თავის ორ თანაშემწეს, რათა ჩანაფიქრის აღსრულებისთვის მათგან აუცილებელი ნებართვა მიეღო.

კარიბის ზღვის სიღრმეში, როდესაც ირგვლივ ბომბები სკდებოდა სამმა საბჭოთა ოფიცერმა თათბირი

ჩაატარა და, პრაქტიკულად, კაცობრიობის ბედი გადაწყვიტა. სავიცკი ბირთვული ტორპედოს გაშვების წინადადებით გამოვიდა. იგივე მოსაზრება გაიზიარა მეთაურის თანაშემწემ პოლიტიკურ ნაწილში და გადამწყვეტი სიტყვა ვასილ არხიპოვზეა.

დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, ზუსტად რამ განაპირობა არხიპოვის „არა“ და, ალბათ, ამას არც აქვს არსებითი მნიშვნელობა. ფაქტია, რომ უმძიმეს წუთებში მხოლოდ იმ ერთი კაცის ცივსისხლიანობამ და სიჯიუტემ და გონიერებამ აარიდა პლანეტას კატასტროფა, სახელად ბირთვული ომი.

არხიპოვმა დაიყოლია სავიცკი, ხელი აეღო საპასუხო ცეცხლის გახსნაზე და ამოეყვინთად წყლის ზედაპირზე. მართლაც, საბჭოთა წყალქვეშა ნავმა, კრემლთან კავშირზე გასვლამდე, შეძლო აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ოპერატიულ ჯგუფს გარიდებოდა, რამდენიმე საათის შემდეგ კი კენედიმ და ხრუშჩოვმა, მიაღწიეს კიდეც შეთანხმებას ... მსოფლიომ შვებით ამოისუნთქა. თუმცა კი, ერთეულების გარდა, მაშინ არავინ იცოდა, რომ იმ შაბათ დღეს მსოფლიო ბირთვული ომის დაწყებისგან პრაქტიკულად ერთმა ადამიანმა – ვასილ არხიპოვმა იხსნა.

ამ ისტორიის შესახებ ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი მხოლოდ 2002 წელს გახდა. კარიბის კრიზისიდან მეორმოცე წლის თავზე, ჰავანაში გამართული კონფერენციის დროს, რობერტ მაკნამარამ აღიარა, რომ

სინამდვილეში ბირთვული ომის დაწყების ალბათობა გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე ბევრს წარმოედგინა. კონფერენციის ორგანიზატორმა, აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოების არქივის დირექტორმა, ტომას ბლენ-ტონმა კი განმარტა: „მაშინ მსოფლიო ერთმა კაცმა, ვასილ არხიპოვმა გადაარჩინა“.

ამ დროს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ვიცე-ადმირალი ვასილი არხიპოვი ცოცხალი აღარ იყო. ის 1998 წლის 19 აგვისტოს, 72 წლის ასაკში გარდაიცვალა. 2012 წელს დიდმა ბრიტანეთმა და რუსეთმა გმირის შესახებ ერთობლივი დოკუმენტური ფილმი გადაიღეს, რომელიც 1962 წლის მოვლენების მონაწილეთა ინტერვიუებზეა აგებული [12, 63].

მოლაპარაკების პროცესი კი შემდეგნაირად წარი-მართა: მოსკოვსა და ვაშინგტონში ნათლად გააცნობიე-რეს, როგორ ეკიდა ბეწვზე მსოფლიოს ბედი და რა მყიფე იყო საერთაშორისო მშვიდობა. ხრუშჩოვი კენედის კომპრომისს სთავაზობს, იგი მზადაა გაიტანოს კუბიდან საბჭოთა რაკეტები, თუკი აშშ ივალდებულებს კასტროს რეჟიმის ხელშეუხებლობას. ასევე, ვაშინგტონ-მა თურქეთიდან უნდა გაიტანოს სარაკეტო ბირთვული შეიარაღება.

28 ოქტომბერს საბჭოთა საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს ცნობას, რომელსაც მსოფლიო გაფაციცებით ელის – კრიზისი დასრულებულია!

კუბაში, საკითხის საბოლოო მოგვარებისათვის მოსკოვმა იქ გაგზავნა სკკპ-ს ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი ანასტას მიქოიანი. 1962 წლის 3 ნოემბერს მიქოიანი შეხვდა კასტროს. ფიდელმა უკმაყოფილება გამოთქვა საკითხის ასეთი მოგვარების გამო. იმაზე კი არ ლაპარაკობდა, რომ მსოფლიომ თავიდან აიცილა ბირთვული ომი, არამედ იმაზე, რომ შეიქმნა ღრმა იმედგაცრუება. როგორც ჩანს კუბის ლიდერი თავს ბირთვულ სახელმწიფოდ წარმოიდგენდა. იგრძნო, რომ ორი დიდი სახელმწიფოს თამაშში იგი პაიკის როლს ასრულებდა, მან ხრუშჩოვს „მამაძაღლი“ უწოდა და უარი თქვა თანამშრომლობაზე რუსეთთან რაკეტების გატანასთან დაკავშირებით. თუმცა მისი დახმარების გარეშე ეს საქმე რუსებმა კეთილსინდისიერად შეასრულეს [9, 389].

ა. რონდელი კასტროს გაზვიადებულ უფლებებს ანიჭებს და თვითნებობას ავტორიტეტად წარმოაჩენს. კერძოდ, მისი შეხედულებით „კუბაში საბჭოთა რაკეტებით გამოწვეული კრიზისის შემდეგაც კასტრო ურჩობდა და საბჭოთა ხელმძღვანელობას დიდი ძალისხმევა დასჭირდა იმისათვის, რომ იგი გაეროს მიერ ინსპექტირებაზე დაეთანხმებინა“ [8, 146]. ვინ ეკითხებოდა ფიდელს იარაღის შეტანას ან გამოტანას კუბიდან, როდესაც 1961 წლიდან აქ ფაქტიურად საბჭოთა სამხედრო ბაზა და მთელი საოკუპაციო სისტემა ფუნქციონირებდა.

კენედი აცხადებდა, რომ არ იყო წინააღმდეგი საბჭოთა მხარის მიერ იარაღის მიწოდებისა კუბისათვის და თვით საბჭოთა ჯარების ყოფნისა კუბაში, მაგრამ სტრატეგიული შეტევითი ბირთვული რაკეტების განლაგება კუბაში ნიშნავდა აშშ-ზე თავდასხმის მომზადებას და რა თქმა უნდა, ამერიკა ამ გარემოებას გულხელდაკრეფილი არ შეხვდებოდა [9, 395].

ნოემბრის შუა რიცხვებში საბჭოთა კავშირმა კუბიდან გაიტანა სტრატეგიული იარაღი. ასევე, 21 ნოემბერს აშშ-მ მოხსნა სამხედრო-საზღვაო ბლოკადა და უკან გაიძახა ყველა სამხედრო გემი ამ რაიონიდან. ცოტა ხანში, კუბიდან საბჭოთა ბალისტიკური რაკეტების სანაცვლოდ აშშ-ებმა თურქეთიდან ყველა „იუპიტერი“ გაიტანეს.

„საბჭოთა ხალხს“ და მათ შორის ჩვენს სამშობლოს წარმოდგენაც არ ჰქონდა იმაზე, რომ საბჭოთა ბირთვული რაკეტების კუბაში განლაგების შედეგად რა უბედურება მოელოდა მას და მთელ მსოფლიოს თუ ბირთვული ომი გაჩაღდებოდა. პრესა ძალიან მოკლედ და ზედაპირულად აშუქებდა შექმნილ ვითარებას და ცდილობდა, დაეფარა ის გამანადგურებელი საშიშროება, რომელიც ამ ავანტიურისტულ მოქმედებას შეიძლება მოჰყოლოდა.

ახლა ავხსნათ, რა საფრთხე ემუქრებოდა საქართველოს კარიბის კრიზისიდან გამომდინარე. ბირთვული ომის შემთხვევაში, თურქეთიდან ამერიკული „იუპიტერები“ უმიზნებდნენ ჩვენი ქვეყნის (და არა მარტო

საქართველოს) ტერიტორიაზე განლაგებულ მსხვილ სტრატეგიულ პუნქტებსა და სამხედრო ობიექტებს. „იუპიტერების“ და უფრო მცირე რადიუსის ამერიკული ბირთვული რაკეტების სამიზნეში იყო თბილისიც, როგორც უდიდესი მნიშვნელობის საბჭოთა სამხედრო-პოლიტიკური ცენტრი. საქმე იმაშია, რომ 1989 წლამდე ჩვენი სამშობლო მსოფლიოში ერთ-ერთი მილიტა-რიზებული ქვეყანა იყო. ჩვენთან იმდენი საბჭოთა ბირთვული ქობინი ინახებოდა, რაც მთელი კონტი-ნენტის გასანადგურებლად იკმარებდა.

„ცივი ომის“ დროს საქართველოში ალბათ ხვდებოდნენ, რომ საბჭოთა ბირთვული შეიარაღება სადღაც იყო გადამალული, მაგრამ ეს იმ დროს ზესაიდუმლო თემას წარმოადგენდა და ვინმეს მცირე დაინტერესებაც რომ გამოეხატა, სუკ-ის „კლანჭებს“ ვერ გადაურჩებოდა [13, 50].

საბჭოთა კავშირმა პირველი ატომური ასაფ-ეთქებელი მოწყობილობა 1949 წელს გამოსცადა, ოთხი წლით გვიან აშშ-თან შედარებით. ორი წლის შემდეგ, 1951 წელს მოსკოვს მხოლოდ 35 ატომური ბომბი ჰქონდა, რომელთა გასატანად ტუ-4 ტიპის 22 ბომბდამშენისაგან სპეციალური პოლკი შეიქმნა.

გასაგებია, რომ ატომური იარაღის ასეთი მცირე მარაგის გამო ისინი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე, და მათ შორის საქართველოში, არ განთავსდებოდა. კრემლის სამხედრო-პოლიტიკური

ხელმძღვანელობა ასაიდუმლოებდა ბირთვული ქობინების შესანახ ადგილებს. თავდაპირველად, 1951 წლისთვის ბირთვული იარაღის შესანახი ოთხი საჭირო ბაზა შეიქმნა, რომელიც შორეული ავიაციის ოთხი აეროდრომის სიახლოვეს იყო განთავსებული. ეს ტაქტიკა გასაგები იყო, რადგან მაშინდელი საავიაციო ბომბები ქარხნიდან საწყობებში დაშლილი სახით იგზავნებოდა, რომლებსაც საჯარისო ბაზებში აწყობდნენ.

მომდევნო წლებში მოსკოვი აგრძელებდა ბირთვული იარაღის შემნახველი ცენტრალური და საჯარისო ბაზების მშენებლობას მთელ საბჭოთა კავშირში, მათ შორის – საქართელოშიც. ჩვენს ტერიტორიაზე პირველი ბირთვული ქობინები 60-იანი წლების დასაწყისიდან შემოიტანეს, რაც სავარაუდოდ 70-იან წლებშიც გრძელდებოდა. აღნიშნულ პერიოდში კოპიტნარსა და სენაკში შედარებით თანამედროვე რეაქტიული საბრძოლო თვითმფრინავები განთავსდა, ხოლო გომბორზე და შაუმიანში სარაკეტო ნაწილები შეიყვანეს.

დღეს უკვე ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ინახებოდა ტაქტიკური და ოპერატიულ-ტაქტიკური შეიარაღებისთვის განკუთვნილი 320 ერთეული ბირთვული ქობინი. ეს საკმაოდ დიდი ციფრია რადგან საფრანგეთს ამჟამად მხოლოდ 350 ცალი ბირთვული ქობინი აქვს, დიდ ბრიტანეთს - 225, ისრაელს - 150-მდე, ინდოეთსა და პაკისტანს – ას-ასი. ჩინეთის ბირთვული არსენალი 400 ქობინითაა შეფასებული.

აღარაფერს ვამბობთ სსრკ-სა და აშშ-ზე. აღნიშნულ პერიოდში სომხეთში 200 ასეთი საშიში „სათამაშო“ ინახებოდა, ხოლო აზერბაიჯანში 75. ბირთვული ქობინების რაოდენობით საქართველო საბჭოთა რესპუბლიკებს შორის მეექვსე ადგილს იკავებდა [13, 52].

როგორც ვხედავთ, ამ ქვეყნად ყველაფერი ერთმანეთზეა გადაბმული, – ერთი შეხედვით შორეულ კუბაში მიმდინარე მოვლენები ნაკლებად უნდა შეხებოდა საქართველოს ... ორივე მხარის მიერ მომაკვდინებელი იარაღის გამოტანამ შეანელა ის საფრთხე, რომლის ბაიბურშიც არ იყვნენ იმდროინდელი საქართველოს მოქალაქეები [14, 47].

კარიბის კრიზისის შემდეგ აშშ-ში და სსრკ-ში დაიწყო უპრეცედენტო გამალებული ბირთვული შეიარაღება. მიუხედავად ორივე მხარის დაინტერესებისა, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობაზე, ორივე ეს ზესახელმწიფო ცდილობდა ერთმანეთისთვის გაესრწო და უპირატესობა მოეპოვებინა ბირთვულ შეიარაღებაში. მოსკოვმა ბირთვული იარაღი განალაგა გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიაში, ხოლო აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა კი დასავლეთ გერმანიასა და იტალიაში. დასავლეთის წამყვანმა ქვეყნებმა ინგლისმა და საფრანგეთმა, ნახეს რა, რომ მათ ინტერესებს არავინ არ იცავდა და ვაშინგტონსა და მოსკოვზე იყო დამოკიდებული მათი ბედი, იწყეს თავისი ქვეყნის უშიშროებისათვის დამოუკიდებლად ზრუნვა და ბირთვული შეიარაღების შექმნა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ზ. აბაშიძე, ცივი ომი წარსული თუ დღევანდელობა? თბ; 2009
2. ა. სონღულაშვილი, დაზვერვის ისტორიიდან, თბ; 2008
3. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2015, #9
4. ა. მექვაბიშვილი, მსოფლიო დღეს, თბ; 2006
5. ვ. კაჭარავა, კუბის რევოლუცია და ეიზენჰაუერის ადმინისტრაცია, კრ. „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2010, #2
6. Антонио Нуньес Хименес, В походе с Фиделем 1959, М., 1984
7. К. Ришес, Нам дорогой друг, Журн. „Загадки истории“, 2019, №6
8. ა. რონდელი, პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, თბ; 2008
9. ნ. ნანიტაშვილი, ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლის ისტორია – XX საუკუნე, თბ; 2002
10. А. Громыко, Помятное, Книга первая, М., 1988
11. А. Добрынин, Сугубо доверительно, М., 1996
12. გ. უშარიძე, ადამიანი, რომელმაც კაცობრიობას მესამე მსოფლიო ომი აარიდა, ჟურნ. „არსენალი“, 2015, #5
13. ი. ალადაშვილი, საქართველოში 320 ბირთვული ქობინი ინახებოდა, ჟურნ. „არსენალი“, 2012, #23
14. ი. ალადაშვილი, კუბიდან ბირთვული რაკეტების გატანით საქართველომაც იხეირა, ჟურნ. „არსენალი“, 2012, #24

ამერიკელი მზვერავის მკვლელობა საქართველოში

1993 წლის 8 აგვისტოს ანანურიდან თბილისისაკენ მანქანით მომავალი ამერიკელი ,,დიპლომატი“ ფ რ ე დ ე რ ი კ რ ა ს ე ლ ვ უ დ რ ო ფ ი ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. ვუდროფის სიკვდილი თავიდანვე უბედურ შემთხვევად და არა წინასწარ ქმედებად გამოცხადდა.

საქართველოში ძალზე სერიოზული და მრავალ-მხირივი მიზნით ჩამოსული მაღალი რანგის ოპერატიუ-ლი თანამშრომლის ბრმა ტყვიით შემთხვევითი მკვლელობა თავიდანვე დაუჯერებელი ჩანდა. ბევრი ექსპერტი და ჟურნალისტი მკვლელობაში ბრალდებულ და 15 წლის მანძილზე ციხეში მყოფ ანზორ შარმაიძეს ამჟამადაც უდანაშაულოდ მიიჩნევს. მათი აზრით, გამოძიების პროცესში ბევრი საყურადღებო ფაქტი და დეტალი გაყალბდა ან უბრალოდ საქართველოს გენერა-ლური პროკურატურის გამომძიებლებმა მხედველო-ბაში არ მიიღეს. აშკარად უნდა ითქვას, რომ მართლაც ბევრ ლოგიკურ კითხვაზე დღემდე არაა დამაჯერებელი პასუხი გაცემული. თუნდაც, რომელ საათზე მოხდა მკვლელობა? რატომ განვითარდა გვამის სწრაფი გაშეშება? რატომ ვერ იპოვა თავიდანვე ამერიკელმა ექსპერტებმა ტყვიის გულას კვალი ,,ნივაში“? რატომ არ აღმოჩნდა გულას ფრაგმენტი არც ვუდროფის სხეულში და არც ავტომობილის სალონში? რა ტრაექტორიით და

რა მანძილიდან ისროლეს? რატომ არ ამოიღეს მკვლელობის მოწმეების ტანსაცმელი? რატომ განსხვავდება მკვლელობის მოწმეების ჩვენებები აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს ექსპერტების დასკვნისგან? როგორ მოხვდა მიდევნებული ტყვია კეფაში ვუდროფს, თუ ის შემოტრიალებული იყო და იარაღიანი ხალხისკენ იყურებოდა?

ასე, რომ ფრედ ვუდროფის მკვლელობის საქმეში ბევრ კითხვას მოწმეთა არეული ჩვენებები და ბალისტიკურ ექსპერტიზასთან დაკავშირებული საკითხები იწვევს [1, 13].

ანზორ შარმაიძე, რომელიც წლების მანძილზე არ აღიარებდა დანაშაულს და საქმის ხელახლა გამოძიებას ითხოვდა, მხოლოდ 2008 წლის შემოდგომაზე გაათავისუფლეს. ბუნებრივია, დიდ ინტერესს იწვევს სიმართლის გარკვევა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძნელია იმის თქმა, რა მდგომარეობაშია და არსებობს თუ არა ნივთმტკიცებები. უცნობია, სად იმყოფებიან ან საერთოდ ცოცხალი არიან თუ არა ძირითადი მოწმეები (უპირველესად ის ორი ქალი, რომლებიც გამოძიების მტკიცებით იმ ,,ნივაში“ ისხდნენ, სადაც ვითომდა ვუდროფი მოკლეს). ამიტომ ძალზე ნაკლები შანსია სიმართლის სრული დადგენა.

თავად შარმაიძის ალაპარაკება ბევრს არ აძლევს ხელს საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეთაც, რადგან ამ კაცმა შეიძლება ბევრი დეტალი და ნიუანსი

გაიხსენოს, რაც თავდაყირა დააყენებს ამ თეთრი ძაფით შეკერილ საქმეს. შემთხვევითი არ იყო, რომ 2003 წლის გაზაფხულზე ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში საქართველოს მაშინდელი პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე აცხადებდა, რომ შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს არავის აძლევს ხელს შარმაიძის ციხიდან გამოსვლა, რადგან სიმართლე გაირკვევაო [1, 51].

ვუდროფის საქმის გამოძიება, რომ თეთრი ძაფითაა შეკერილი ეჭვი არ არის, ხოლო თავად მკვლელობა ნაჩქარევად დაგეგმილისა და ჩატარებულის შთაბეჭდილებას ტოვებს.

დღემდე აუხსნელია, რომ სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მისი ხელისუფლების დასახმარებლად ათასობით კილომეტრიდან ჩამოსული კაცის მკვლელობის საქმე ბოლომდე არ მიიყვანა და აშკარა შეუსაბამო და გაყალბებული ,,მტკიცებულებები“ დაიჯერა?

მკვლელობიდან ერთი დღის შემდეგ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ფრედ ვუდროფის ოჯახს ოფიციალური სიმძიმრის წერილი გაუგზავნა, რომელშიც ვკითხულობთ: ,,ძვირფასო ქალბატონო ვუდროფ, ამ მწუხარების დროს ძნელია მოძებნო ნუგეშის სიტყვები და შეუმსუბუქო ადამიანს ტანჯვა. მე მაინც გადავწყვიტე, ჩემო ძვირფასო, გამოგიგზავნოთ თქვენ ეს

მცირე წერილი და ჩემი ხალხის სახელით გამოვხატო მწუხარება ფრედის გარდაცვალების გამო. დარწმუნებული ვარ, ეს იყო ბრმა შემთხვევა. ფრედი საქართველოში ჩამოვიდა როგორც ჩემი ქვეყნის მეგობარი და მუდამ ასეთად დარჩება ქართველების ხსოვნაში.

ღრმა პატივისცემითა და თანაგრძნობით ედუარდ შევარდნაძე. 10.08.93 წ“.

გასაოცარია, მკვლელობიდან სულ ერთი დღე იყო გასული, გამოძიება ფაქტობრივად არც კი დაწყებულიყო, რომ საქართველოს ხელისუფლების პირველმა პირმა მიითვისა გამოძიებისა და სასამართლოს პრეროგატივა და მკვლელობას ,,ბრმა შემთხვევის“ კვალიფიკაცია მისცა.

რა სახისა და ვის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასა და მტკიცებულებებს ეყრდნობოდა შევარდნაძე, როდესაც მკვლელობის გამოძიებას თავიდანვე ასეთი მიმართულება მისცა? გააზრებული ჰქონდა თუ არა მაშინ მას, რომ ამ ორი სიტყვით – ,,ბ რ მ ა შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა“ დამნაშავეებს ხელს აფარებდა და ვიღაც, სრულიად უდანაშაულო პირს ხანგრძლივი პატიმრობისთვის წირავდა?

შევარდნაძის ,,ჯიბის“ პროკურორებისთვის და მინისტრებისთვის ეს იყო პირდაპირი ბრძანება და მათაც ყველაფერი უნდა ეღონათ, რომ შევარდნაძის შეკვეთა შეესრულებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სულ მცირე, უმუშევრობა ემუქრებოდათ. ამიტომაც

არის, რომ მკვლელობიდან ათი წლის შემდეგ, 2003 წელს, საქართველოს გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ ვახტანგ გვარამიამ, ვის უშუალო ზედამხედველობაშიც მკვლელობის გამოძიება იყო, ერთ-ერთ ინტერვიუში პირდაპირ განაცხადა, რომ ,,ბრმა შემთხვევის“ ვერსიის გარდა სხვა ვერსიებზე არც გვიფიქრია, იმდენად ნათელი იყო ყველაფერიო [1, 50-51].

ძალიან საშიში მითია, თითქოს ქვეყნის დამოუკიდებლობა სრულ თავისუფლებას ნიშნავდეს, თითქოს დამოუკიდებელ ქვეყანას შეუძლია მხოლოდ საკუთარი სურვილით განსაზღვროს საგარეო პოლიტიკა და თითქოს ყველა სხვა ქვეყანა ვალდებულია პატივი მიაგოს მის სუვერენიტეტსა და შესაბამისად მის მიერ მიღებულ ყველა გადაწყვეტილებებს. პოლიტიკური განცხადებების დონეზე ეს მართლაც ასეა, მაგრამ რეალურად სხვა ვითარებაა. ილიასეული სიტყვების ,,ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნესო“ ბუკვალური და პრიმიტიული გაგება, თითქოს სახელმწიფო თავისუფალია ყველა თავის ქმედებაში და პასუხს არ აგებს სხვა სახელმწიფოთა წინაშე, დამანგრეველია ქვეყნისათვის და განუხორციელებელ იმედებს უსახავს ადამიანებს.

სინამდვილე კი ბევრად უფრო მკაცრია: ყველა ქვეყანამ თავისი საგარეო პოლიტიკა უნდა აწარმოოს არა მხოლოდ საკუთარი ინტერესების, არამედ სხვა ერების კანონიერი ინტერესების გათვალისწინებითაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი დამოუკიდებლობა და

არსებობა საფრთხის წინაშე დადგება. მხოლოდ ის სახელმწიფოები რჩებიან დიდი ხნის მანძილზე პოლიტიკურ რუკაზე, ვისი არსებობა საჭიროა არა მხოლოდ თავისი მოსახლეობისათვის, არამედ სხვა სახელმწიფოებისათვის, უწინარესად ზესახელმწიფოებისა და მეზობლებისათვის [2, 245].

დამოუკიდებლობა აღდგენილმა საქართველომ, თავისი ეროვნული ხელისუფლებით ცოტა ხანს იარსება. შიდა და გარე ანტისახელმწიფოებრივმა ძალებმა დაამხეს ზვიად გამსახურდიას მთავრობა და სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე შევარდნაძე მოიყვანეს.

როგორც ცნობილია დიპლომატიური ურთიერთობა საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დამყარდა 1992 წლის 23 აპრილს. ოფიციალური ვაშინგტონის მიერ დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების დღიდან აშშ-მა საქართველოს დიდი პოლიტიკური, სამხედრო და ჰუმანიტარული დახმარება გაუწია [3, 24].

სწორედ ამ პროცესების ფონზე შეიძლება ითქვას, რომ რაც დრო გადის, უფრო მყარდება აზრი, რომ ვუდროფის მკვლელობა არ იყო რიგითი შემთხვევა, ის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა იყო, რადგან საქართველოს ტერიტორია მაშინ პირველად გახდა ორი ზესახელმწიფოს ფარული დაპირისპირების არენა.

რატომ არის ეს მკვლელობა კვლევ აქტუალური? იმიტომ, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში

დანაშაულის ფაქტების გაყალბებით ,,დადასტურებულია“, რომ მკვლელობისა და ,,თვითმკვლელობის“ შემთხვევებს ერთი ხელწერა აქვთ, რაც მრავალჯერ განმეორდა და გამორიცხული არ არის მომავალშიც განმეორდეს. საქართველოს სასიკეთოდ ჩამოსული ამერიკელი მზვერავის, ფრედ ვუდროფის მკვლელობამ დიდად შეაფერხა აშშ-საქართველოს სამხედრო და სპეცსამსახურების თანამშრომლობა.

ჩვენს ქვეყანაზე თავს დამტყდარ ბევრ უბედურებას შესაძლებელია სათავე სწორედ ვუდროფის მკვლელობის შემდეგ დაედო. ფრედ ვუდროფის მკვლელობაზე გამოქვეყნებული მრავალი პუბლიკაციის მიუხედავად, ამ პიროვნების შესახებ ძალზე ცოტა რამაა ცნობილი. ბუნებრივიცაა, რადგან მზვერავის ბიოგრაფია დიდი საიდუმლოებაა.

ფრედერიკ რასელ ვუდროფი დაიბადა 1947 წლის 14 იანვარს ამერიკის შეერთებულ შტატებში, არკანზასის შტატის პატარა ქალაქ სერისში, რომელიც შტატის დედაქალაქ ლითლ-როკიდან სულ რაღაც 50 მილის მანძილზე მდებარეობს.

მამამისი ჰარდინგ-უნივერსიტეტის პროფესორი იყო. ფრედმა ამ უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. საინტერესოა, რომ ამ პატარა, კერძო უნივერსიტეტმა 90-იანი წლების ბოლოს ლექციების წასაკითხად მიიწვია საბჭოთა ,,პერესტროიკის მამა“

მიხეილ გორბაჩოვი და საკმაოდ დიდი ჰონორარიც გადაუხადა.

ვუდროფი 1971 წლიდან მსახურობდა აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში. იცოდა რამდენიმე უცხო ენა, მათ შორის – რუსულიც.

ფრედი, ისევე როგორც ბევრი ამერიკელი მზვერავი, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოში კონტრდაზვერვიდან, ანუ გამოძიების ფედერალური ბიუროდან 30 წლის ასაკში მივიდა. ამ დროისათვის ის უკვე გფბ-ს გამოცდილი სპეციალური აგენტი იყო, რომელმაც ნარკომაფიასა და ტერორიზმთან ბრძოლაში თავი გამოიჩინა.

1978 წლიდან სახელმწიფო დეპარტამენტის შტატში ირიცხება და სადაზვერვო მისიას ასრულებს. დიპლომატიის საფარქვეშ მუშაობდა ანკარაში, ადისაბებაში, ხარტუმსა და ლენინგრადში. ვუდროფისთვის საქართველოში მივლინება დაწინაურება იყო – ის ოპერატიული დირექტორატის კასპიის დეპარტამენტის საქართველოს სექტორის („სადგურის“) უფროსად დაინიშნა. აშშ-ის საელჩოში კი პოლიტიკური განყოფილების თანამშრომლად ირიცხებოდა.

ცსს-ში მოქმედი წესის თანახმად, ოპერატიული თანამშრომელი 60 წლის შესრულების შემდეგ აუცილებლად უნდა გავიდეს თადარიგში. ფრედი კი ჯერ 46 წლის იყო და წარმატებული კარიერა წინ ჰქონდა. თუმცა მისი მისია საქართველოში, ობიექტური თუ

სუბიექტური მიზეზების გამო, ურთულესი აღმოჩნდა [1, 10-11].

რუსეთმა იმპერიული ამბიციები ჯერ კიდევ ბორის ელცინის პრეზიდენტობის დროს გამოიჩინა. თავიდან ფარულად ეწინააღმდეგებოდა აშშ-ის საგარეო პოლიტიკასა და ნატოს გაფართოებას. რუსეთის არმიისა და სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს აღიზიანებდათ ამერიკის თავდაცვის უწყებისა და ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მცდელობა, დაემყარებინათ ოფიციალური და მეგობრული კონტაქტები საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებთან.

რუსეთის ფედერაცია 90-იანი წლების დასაწყისში თავად დაშლის პირას იყო და თან სხვა, უკვე დამოუკიდებელი ქვეყნების ტერიტორიებს ეპოტინებოდა. საკუთარი ინტერესების ზონად რუსეთის ხელისუფლებას კვლავ ნახევარი მსოფლიო მიაჩნდა და ყველა ხერხით ცდილობდა იანკებისთვის ხელის შეშლას, რისთვისაც ყველანაირ, ფარულ და აშკარა პროვოკაციაზე მიდიოდა. რუსეთის სპეცსამსახურები მაშინაც და ახლაც საბჭოთა კა-გე-ბეს მეთოდებით მოქმედებენ, პოლიტიკურ მკვლელობებსა და ტერორისტულ ოპერაციებზეც არ ამბობენ უარს და პრინციპი ,,მიზანი ამართლებს საშუალებას“ კვლავ მათი მოქმედების კრედოა. იმ პერიოდიდან საქართველოს უშიშროების სტრუქტურები რუსული სპეცსამსახურების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. პარალელურად აშშ-

ის სპეცსამსახურებიც ცდილობდნენ პოზიციების გამ-ყარებას, რაც თანდათან ფარულ საკადრო დაპირის-პირებაში გადაიზარდა [1, 12].

1993 წლის ზაფხულის დასაწყისში აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა საჯაროდ განაცხადა, რომ ამერიკა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნიკურ კონფლიქტებში დაპირისპირებულ მხარეებს შუამავლობას სთავაზობ-და. რამდენიმე კვირის შემდეგ კი, 1993 წლის 6 აგვისტოს, გაეროს უშიშროების საბჭომ აშშ-ის მო-თხოვნით მიიღო რეზოლუცია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე დამკვირვებლების გაგზავნის შესახებ.

აშშ-ის ადმინისტრაცია იწყებდა კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარების რეალურ და არა მოჩვენებით პროცესს. შეიძლება ითქვას, რომ თუ ეს პოლიტიკა მოქმედებაში მოვიდოდა, დღეს ოკუპირე-ბული რეგიონები აღარ იქნებოდა!

პარალელურად აშშ-ის სპეცსამსახურები ცდი-ლობდნენ თანამშრომლობა დაეწყოთ საქართველოს შესაბამის სტრუქტურებთან. შევარდნაძის უსაფრთხოე-ბის უზრუნველყოფის მიზნით ქართველების ორმოც-დაათკაციანი სპეცრაზმი ამერიკაში მოამზადეს და იმ დროისათვის თანამედროვე იარაღითა და ეკიპირებით აღჭურვეს. ფრედ ვუდროფიც იმიტომ იყო ჩვენთან მოვ-ლინებული, რომ უფრო კარგად გარკვეულიყო ოპერა-

ტიულ მდგომარეობაში და დახმარებოდა ქართველ კოლეგებს.

აშშ-ის ადმინისტრაცია საქართველოს განიხილავდა, როგორც სამხრეთ კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ (უპირველესად კი ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების ახალი პროექტების) პროცესებში აქტიურად მონაწილეობის პლაცდარმს. ყოველივე ამის შედეგად კი რუსეთი დაკარგავდა ამ ქვეყნებზე ზემოქმედების მძლავრ ბერკეტს, კრემლი კი ამას არ დაუშვებდა. რუსეთის (მანამდე კი საბჭოთა) სპეცსამსახურებს კარგად აქვთ შესწავლილი რიგითი ამერიკელის (თუ ევროპელის) ბუნება და იციან, რომ ისე არაფერი აღიზიანებს პატრიოტ ამერიკელს, როგორც მშვიდობიან პერიოდში ცხრა მთას იქით თანამემამულის (მით უფრო დიპლომატისა და მზვერავის) მკვლელობა.

ყველამ იცის რომ ამერიკელი ამომრჩეველი ხმას არ მისცემს იმ პოლიტიკურ პარტიასა და ადმინისტრაციას, რომელიც საკუთარი მოქალაქის სიცოცხლეს ვერ დაიცავს. ამიტომაც საჭირო იყო ,,საჩვენებელი მკვლელობა“, რათა ამერიკელებს ცხვირი აღარ შემოიყოთ რუსეთის ეროვნული ინტერესების ზონაში. ალბათ, შემთხვევითი არ იყო, რომ ამ მკვლელობის შემდეგ ბილ კლინტონის ადმინისტრაციაში ბევრი უკვე სპექტიკურად უყურებდა და მიუღებლად თვლიდა საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში აშშ-ის სტრატეგიუ-

ლი ინტერესების დაცვას. მათ საფიქრალი და საზრუნავი ევროპაშიც ბევრი ჰქონდათ, – ყოფილი იუგოსლავია ცეცხლის ალში იყო გახვეული და საქართველო, რომლის არსებობა ბევრმა ამერიკელმა არც კი იცოდა და, სადაც ამერიკელ დიპლომატებს მთვრალი ჯარისკაცები ხოცავდნენ, უკვე ზედმეტი თავსატეხი და არასასურველი რისკის ზონა აღმოჩნდა. ასევე ფიქრობდნენ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ლიდერებიც. ამიტომაც მიზანშეწონილად ჩათვალეს ჩვენი ქვეყნისთვის დახმარება მხოლოდ საფინანსო-ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებში.

საერთაშორისო სკანდალის შემდეგ, რაც ვუდროფის მკვლელობას მოჰყვა, ბევრი ჩვენი მეგობარი დაფრთხა და ფაქტობრივად, საქართველო კვლავ რუსეთს დაუტოვა საჯიჯგნად. მტერსაც სწორედ ეს უნდოდა [1, 12-13].

როგორც ავღნიშნეთ საქართველოში ძალზე ძლიერი იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის, მაშინ უკვე რუსეთის სპეცსამსახურების (კა-გე-ბე და გე-ერ-უს) პოზიციები. აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, შეიარაღებული ძალები და სპეცსამსახურები მათი აგენტურით იყო გადავსებული. საქმე იქამდე მივიდა, რომ ისინი უკვე მოსკოვის დავალებით ერთმანეთის საიმედოობას აკონტროლებდნენ. ამავე დროს იყო ძალზე მძაფრი ფარული დაპირისპირება – რუსეთის საგარეო დაზვერვის შინაგან საქმეთა სამი-

ნისტროსა და ეფ-ეს-ბეს ქართველ აგენტებს შორის. ყველა ცდილობდა კრემლისთვის კონკურენტზე მეტად მოეწონებინა თავი და საქართველოში უფრო მაღალი პოსტი დაეკავებინა.

ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი რგოლის, – უშიშროების სისტემის ფაქტობრივი არარსებობა გახდა ერთ-ერთი მიზეზი ყველა იმ უბედურებისა, რაც 1991 წლიდან საქართველოს თავს დასტყდომია. ამას მეზობელი ქვეყნების სპეცსამსახურებმაც მძლავრად „წაახმარეს“ ხელი. მათ კარგად შეისწავლეს ქართული გენის სიღრმეში მიმალული უმნიშვნელო სისუსტეები და ძველი-ახალი ცოდვა-შეცდომები.

ალბათ, მსოფლიოში არ არის ქვეყანა, სადაც სადაზვერვო და ოპერატიულ-აგენტურული მუშაობა ასე იოლი იყოს, როგორც საქართველოში. დანა რომ კარაქს ჭრის, ისე თამაშ-თამაშ მოქმედებდნენ და მოქმედებენ ჩვენს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნების სპეცსამსახურები. შედეგადაც მათ სამხრეებზე ვადამდელი „ვარსკვლავთცვენა“ და ჯილდოები არ აყოვნებდა.

1991 წელი ეროვნული ხელისუფლების მმართველობის ერთადერთი სრული წელი იყო. გარდა იმისა, რომ ეს წელი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთი ტრაგიკულია (იმ მოვლენებმა რამდენიმე ათწლეულით უკან დასწია საქართველოს პოლიტიკური

და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება), სწორედ ამ პერიოდში დაიწყო უშიშროების სისტემის ნგრევა.

ამ დამანგრეველ პროცესში შეგნებულად თუ შეუგ-ნებლად დიდი უარყოფითი მუხტი შეიტანა მაშინ-დელმა ხელისუფლებამაც. „სუკისა“ და „კრემლის აგენტების“ ძახილმა, უშიშროების ორგანოების ხელაღე-ბულმა განქიქებამ, ამ სისტემის ძველი, გამოცდილი თანამშრომლებიდან ეროვნული სულისკვეთების კად-რების არშერჩევამ და მხოლოდ ახალგაზრდა, ძირითა-დად, გამოუცდელ მუშაკებზე დაყრდნობამ ძირშივე მოსპო ახალი, ქართული სპეცსამსახურების შექმნის შანსი (იგივე შეცდომა განმეორდა ,,ვარდების რევოლუ-ციის“ შემდეგაც).

–1991 წლის ტრაგიკული მოვლენების დროს დაწვეს და გაანადგურეს უშიშროების არა მარტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, არამედ (რაც ყველაზე მეტად გვჭირდება დღეს) არქივების ნაწილი (აგენტუ-რის ოპერატიული აღრიცხვის საქმეები, მოქმედი სპეცკონტინგეტის სია – ფსევდონიმების მითითებით, აგენტურასთან კავშირის ხერხები, არქივული ოპერა-ტიული აღრიცხვის საქმეების ოპერატიულ-საცნობარო კარტოთეკა, ფარული ლეგენდების გასაღებები, საფარი დოკუმენტების სია, შიფრები, შიფრტექნიკა და ა.შ.) უშიშროების სამინისტროს ზოგიერთი თანამშრომლის ხელშეწყობით რუსეთის სპეცსამსახურებმა გაიტანეს.

მეორე რესპუბლიკის (ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის პერიოდი) გამოცხადების პირველი წუთებიდანვე ჩვენი ქვეყნის ყველაზე საიდუმლო გეგმებიც კი მოწინააღმდეგისათვის უსწრაფესად იყო ცნობილი. ან რატომ და როგორ ხდებოდა, რომ ხშირად ეს გეგმები, სავარაუდოდ, ჯერ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურებში დამუშავებული და შემდეგ ჩვენი მთავრობის რომელიმე წევრის ფაქსიმილეთი დამშვენებული ,,სრულიად საიდუმლო“ გრიფმიღებული, ნორმატიული, ანუ სავალდებულოდ შესასრულებელი დოკუმენტის ძალას იძენდნენ?

საქართველოს უშიშროების სისტემის ნგრევას ყველაზე მეტად საკადრო ცვლილებები უწყობდა ხელს. საკადრო ციებ-ცხელებასა და ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ არასტაბილურობას კარგი არაფერი მოუტანია საქართველოს უშიშროების სისტემისათვის.

იმ პერიოდში საქართველოში მოქმედი კანონიერი და უკანონო სამხედრო ფორმირებების ფონზე უშიშროების სისტემა აშკარა აუტსაიდერი იყო და მისი თანამშრომლები ყოველმხრივ შევიწროებული იყვნენ. აფხაზეთის ომში უშიშროების ბევრი თანამშრომელი ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა, ბევრი მათგანი გმირულად დაიღუპა.

დამარცხების შემდეგ საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკა აშკარად პრორუსული გახდა, რასაც

დსთ-ში შესვლის გარდა, ედუარდ შევარდნაძის საკადრო პოლიტიკაც ადასტურებს. მაგალითად, – 1993 წლის 11 ოქტომბერს, ფაქტობრივად ომში მყოფ ქვეყანაში ორ უმნიშვნელოვანეს პოსტზე – უშიშროებისა და შსს-ს მინისტრებად, შესაბამისად, იგორ გიორგაძე და შოთა კვირაია დაინიშნენ. ექვსი თვის შემდეგ, 1994 წლის 26 აპრილს, საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისთვის სასიცოცხლო – თავდაცვის მინისტრის პოსტი მაშინდელმა პრეზიდენტმა ვარდიკო ნადიბაიძეს ჩააბარა. სამივე გენერლის მჭიდრო კავშირი რუსეთთან არც მაშინ და არც ახლა სკოლის მოსწავლეებშიც არ იწვევს ეჭვს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სპეცსამ-სახური კარგად ორგანიზებულ ბანდიტურ დაჯგუ-ფებად იქცა, სადაც საქმის გარჩევები, მოტაცებები და ჩა-ცხრილვები ჩვეულებრივ და ყოველდღიურ მოვლენას წარმოადგენდა. ამ ,,ბანდას“ ჰყავდა ძალზე მკაცრი მეთაური (,,კომანდოსი“), რომელიც ამ გზით მიღებული თანხების ნაწილს მინისტრის ერთგული დანაყოფების გაძლიერებას, აღურიცხავი იარაღისა და და ოპერატიუ-ლი ტექნიკის შეძენას ახმარდა, ხოლო დანარჩენს ერთ-გულ კადრებს უნაწილებდა. პარალელურად უშიშროე-ბის სისტემა კვლავ დატოვეს პატრიოტმა და პროფე-სიონალმა კადრებმა. აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ უმაღლეს დონეზე მომზადებული რამდენიმე ათეული ქართველი ინსტრუქტორიდან, გიორგაძისა და კვირაიას მინისტრობის პერიოდში, ზოგი დაიჭირეს, ზოგი

ფიზიკურად გაანადგურეს, ხოლო ზოგი სამსახურიდან გააგდეს [4, 22-23].

ეს პერიოდი იმითაც არის საყურადღებო, რომ მაშინდელი მინისტრი კვირაია არ მალავდა თბილ და მეგობრულ დამოკიდებულებას რუსეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელებთან. ის პრესაში ამაყად აცხადებდა, რომ რუსეთის ეფ-ეს-ბეს დირექტორთან ისეთი ახლო მეგობრობა აკავშირებდა, რომ ნიკოლაი პატრუშევს სულ ზეპირად სცოდნია კვირაიას კაბინეტი და თურმე ისიც კი, თუ რამდენი და რა ფერის თევზები ჰყოლია საქართველოს უშიშროების ,,ფხიზელ" შეფს აკვარიუმში. კომენტარი მართლაც ზედმეტია.

ასე რომ, ვუდროფი საქართველოში იმ დროს ჩამოვიდა, როცა ქვეყანა სისხლისგან იცლებოდა – რუს იმპერიალისტებსა და აფხაზ სეპარატისტებთან ომს, ადგილობრივი ფინანსური წურბელების მიერ ორგანიზებული და ჭიაკოკონასავით გაჩაღებული ინფლაცია, კუპონის კატასტროფული გაუფასურება და უმძიმესი ეკონომიკური კრიზისი დაემატა. ქვეყანაში შეიარაღებული ბანდები დაძრწოდნენ. საქართველო კრიმინალურ ქაოსს მოეცვა. ამიტომ ვუდროფის მისია არ ჰგავდა გასეირნებას უცნობ, ეგზოტიკურ ქვეყანაში. სამწუხაროდ, როგორც მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, ფრედმა სრულად ვერ გაითვალისწინა არსებული საფრთხე და ვერც ქართველმა კოლეგებმა შეძლეს მისი გადარჩენა.

ვუდროფის მკვლელობის მიზეზი შესაძლოა მისი ინფორმირებულობაც გახდა. ის თითქმის 30 წელი კონტრდაზვერვასა და დაზვერვაში მუშაობდა და დიდი გამოცდილება ჰქონდა. ამიტომაც მან სწრაფადვე გაშიფრა საქართველოს ხელისუფლებაში (უპირველესად კი, უშიშროებაში, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში, პროკურატურასა და მინისტრთა საბჭოში) ლაღად მოქმედი რუსეთის აგენტურა, რაც საბოლოოდ მისი მკვლელობის მიზეზი გახდა.

ათასობით კილომეტრიდან ჩვენს დასახმარებლად ჩამოსული კაცი მალევე მიხვდა, რომ ყველა საიდუმლო სამხედრო თუ პოლიტიკური გადაწყვეტილება (უპირველესად აფხაზეთთან დაკავშირებული) წინასწარ იყო გაყიდული. ისიც უნდა ითქვას, რომ იმ დროს სხვადასხვა სტრუქტურაში ჩვენდა საბედნიეროდ მუშაობდა პატრიოტი და პროფესიონალი ხალხიც, რომლებთანაც ერთად ვუდროფი მალე გაერკვა რეალურ სიტუაციაში. მისდა გასაკვირად აღმოჩნდა, რომ ქვეყანას ფაქტობრივად რუსეთის აგენტურა მართავდა. რუსეთის „მეხუთე კოლონა“ ყველა სფეროში იყო ფეხმოკიდებული. [1, 13].

1993 წლის გვიან შემოდგომაზე თურქეთის ერთ-ერთ კურორტზე ამერიკის დაზვერვის ეგიდით ჩატარდა ნარკოტიკების ტრანზიტის წინააღმდეგ მიმართული შავი ზღვის აუზის ქვეყნების სპეცსამსახურების ხელმძღვანელთა შეხვედრა, რომლის ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ამერიკის დაზვერვის მაღალჩინო-

სანი ო ლ დ რ ი ჩ ე ი მ ს ი იყო. საინტერესოა, რომ ეს კონფერენცია თბილისში უნდა გამართულიყო და ეიმსი ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად 1993 წლის ივლისის ბოლოს საქართველოში იმყოფებოდა. ის შევარდნაძესა და საქართველოს სპეცსამსახურების ხელმძღვანელებსაც შეხვდა [1, 50].

ამერიკელი მზვერავი ო ლ დ რ ი ჩ ჰ ე ი ზ ე ნ ე ი მ ს ი იყო აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი [5, 17]. „ნიუ-იორკ თაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია: „სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე ვუდროფი ცენტრა-ლური სადაზვერვო სააგენტოს ოფიცერს ოლდრიჩ ეიმსს შეხვდა ... “ ოფიციალური შეხვედრის შემდეგ ორმა ამერიკელმა – ეიმსმა და ვუდროფმა პიკნიკი მოაწყვეს ბუნებაში, ყაზბეგთან ახლოს. ვუდროფის საყვარელ ადგილას – ანანურის ციხესთან დიდხანს შეჩერდნენ და ფოტოსურათები გადაიღეს.

ისინი 70-იანი წლების ბოლოდან იცნობდნენ ერთმანეთს. გარდა იმისა, რომ ერთ „კანტორაში“ – ცენ-ტარულ სადაზვერვო სააგენტოში მუშაობდნენ, საერთო ისიც ჰქონდათ, რომ ორივე ბახუსისა და ამურის ღმერთებს უდრეკდა მუხლს. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ იმავე გზაზე ფრედ ვუდროფს მოკლავენ. დამთხვევაა? საეჭვოა ... ფაქტია, რომ 1993 წლის ზა-ფხულში საქართველოში ყოფნისას ვუდროფმა გაცი-ლებით დიდი საიდუმლო შეიტყო (ან ეჭვი გაუჩნდა),

ვიდრე ჩვენს ქვეყანაზე გამავალი ნარკოტიკების ტრან-ზიტული გზებია. მისი სიცოცხლე აშკარა საფრთხეს უქმნიდა ვიღაცას. ამიტომაც გადაწყდა სასწრაფოდ ვუდროფის ლიკვიდაციის ოპერაციის დაგეგმვა და ჩატარება.

ვუდროფმა საიდუმლო ინფორმაცია ოლდრიჩ ეიმსს გაანდო. საფიქრებელია რომ ეს არაფორმალურ ვითარებაში მოხდა, რადგანაც იმ დროს ვუდროფი ეიმსის საკურატორო სფეროში (ნარკოტრანზიტთან ბრძოლა) მხოლოდ ნაწილობრივ შედიოდა. ეიმსი კი, როგორც მოგვიანებით გაირკვა აღმოჩნდა ამერიკელი მზვერავის „ქურქში გახვეული“ რუსეთის უმნიშვნე-ლოვანესი აგენტი.

შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე „ძვირადღირე-ბული“ აგენტი საბჭოთა კავშირისა და შემდეგ რუსეთის ფედერაციისათვის იყო ეიმსი. 80-იან წლებში ფინან-სურად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რაც დაკავ-შირებული იყო განქორწინებასა და ქალებთან ურთიერ-თობის პრობლემებით. სიტუაციიდან თავის დაღწევის მიზნით, 1985 წლის 16 აპრილს გამოცხადდა ვაშინგ-ტონის საბჭოთა საელჩოში. მან დაცვის თანამშრომელს გადასცა კონვერტი, რომლშიც იდო შემდეგი შინაარსის წერილი: „მე, ოლდრიჩ ეიმსი ვმუშაობ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს, საბჭოთა კავშირისა და აღმო-სავლეთ ევროპის კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსად. ნიუ-იორკში ვმსახურობდი ე ნ დ ი რ ო ბ ი-

ნ ს ო ნ ი ს ფსევდონიმით. მჭირდება 50 ათასი დოლარი, რის სანაცვლოდ გადმოგცემთ ინფორმაციას სამი აგენტის შესახებ, რომელთა გადმობირების პროცესს ვაწარმოებთ საბჭოთა კავშირში“.

ეიმსს შეხვდა საბჭოთა კავშირის რეზიდენტი ვ ი ქ ტ ო რ ჩ ე რ კ ა შ ი ნ ი, რომელმაც ეიმსისაგან მრავალი საიდუმლო ინფორმაცია მიიღო. „თხუნელამ“, როგორც მოღალატე აგენტებს უწოდებენ გასცა გრუ-სა და სუკ-ის 25 აგენტი, რომლებიც ამერიკელებისთვის მუშაობდნენ. ზოგიერთი მათგანი რუსებმა სიკვდილით დასაჯეს, რის გამოც ეიმსს აშშ-ში ზედმეტსახელად „სერიული მკვლე-ლი“ უწოდეს. თანამშრომლობის ცხრა წლის განმავლობაში ეიმსმა დააგროვა 4 მილიონი დოლარი.

1993 წლის ბოლოს ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ და გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დაადგინეს, რომ იტალიის დედაქალაქიდან დაბრუ-ნებულმა ეიმსმა ვაშინგტონის გარეუბანში შეიძნა 540 ათას დოლარად კოტეჯი, ხოლო მისი მეორე მეუღლე მარია დელ როსარიო ორი აპარტამენტისა და ფერმის მფლობელი გახდა. გარდა ამისა „ოფიცერმა“ იყიდა ახალი „იაგუარი“ და ანტიკვარული ნივთები, რაშიც გადაიხადა 455 ათასი დოლარი. ასევე, 165 ათასის აქციები. სწორედ, ასეთი სიხარბე გახდა ეიმსის ჩავარდნის მიზეზი. [6, 11].

ამასთან ერთად ზემოაღნიშნულმა სტრუქტურებმა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ ეიმსის

საბანკო ანგარიშები იზრდებოდა მაშინ, როდესაც ის ხვდებოდა საბჭოთ მხარის წარმომადგენლებს. 1994 წლის თებერვალში ეიმსი დააპატიმრეს. მან დამნაშავედ ცნო თავი ბრალდების ყველა პუნქტში. სასამართლომ მიუსაჯა სამუდამო პატიმრობა შეწყალების გარეშე [7, 17].

დავუბრუნდეთ ისევ იმ ფაქტს, როდესაც ეიმსი სრულიად საიდუმლო ინფორმაციას გაეცნო საქართველოს შესახებ. წარმოვიდგინოთ რუსეთის აგენტის შეშფოთება – ვუდროფის მუშაობა დიდ საფრთხეს უქმნიდა მისი პატრონისა და ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ინტერესებს და აგენტურულ ქსელს. სავარაუდოა, რომ ეიმსმა თბილისშივე გადასცა რუსეთის საგარეო დაზვერვას (ვისთანაც იყო ოპერატიულ კავშირზე) ეს ინფორმაცია. ვუდროფის მოცილება მოსკოვში დაიგეგმა, სცენარი იქ დაიწერა, შემსრულებლები კი საქართველოში იყვნენ [1, 13].

თუ კარგად გავიაზრებთ ვითარებას, გასაგები გახდება საიდუმლო ოპერაციის მიზანი. სად უფრო იოლი იქნებოდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო საგენტოს ბევრი საიდუმლოების მცოდნე თანამშრომლის მკვლელობა, პოლიციელებითა და სპეცაგენტებით ყოველთვის გაძეძგილ ვაშინგტონში, თუ იმდროინდელ საქართველოში? როგორც აღინიშნა, ვუდროფის მკვლელობის გადაწყვეტილება მოსკოვში სწრაფად მიიღეს და

ლიკვიდაციის გეგმის შესამუშავებლად საქართველოში სპეც ჯგუფი მოავლინეს.

რუსეთის რომელი უწყება იდგა ამ ოპერაციის უკან? სავარაუდოდ, ეს იყო რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახური (რომელსაც მაშინ საქართველოს „დიდი მეგობარი“, „პლეხანოველი“ ევგენი პრიმაკოვი ხელმძღვანელობდა) ან რუსეთის არმიის გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველო (რომელსაც 1992-1997 წლებში გენერალ-პოლკოვნიკი ფიოდორ ლადიგინი ედგა სათავეში). შესაძლებელია რუსეთის ორივე სპეცსამსახური ერთობლივადაც მოქმედებდა. ორივეს საქართველოში დიდი დასაყრდენი ძალა ჰყავდა. განსაკუთრებით კი, სპეცსამსახურებსა და ძალოვან უწყებებში[1, 50].

დავიწყოთ კვლავ იქიდან, რომ ფრედ ვუდროფი თავის არეში მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალა. მკვლელობა მოხდა იმ დროს, როდესაც იგი შევარდნაძის დაცვის ხელმძღვანელთან, ელდარ გოგოლაძესთან და ორ გოგონასთან ერთად ქალაქგარეთ გასეირნებიდან თბილისში ბრუნდებოდნენ. გვერდით მას ბარმენი მარინა ეჯდა. სამხედრო ფორმაში ჩაცმულმა ახალგაზრდებმა მათ გზა გადაუღობეს და გაჩერება მოსთხოვეს. გოგოლაძე არ დაემორჩილა, რის შემდეგაც მოხდა ერთი გასროლა. უკანა სკამზე მჯდომ ვუდროფს ტყვია თავში ჰქონდა მოხვედრილი. იგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. თავიდანვე გაჩნდა მტკი-

ცებულება, რომ გასროლა მოხდა 21 წლის ანზორ შარმაიძის მიერ [8, 185].

ვუდროფის მკვლელობა ერთი კვირა მსოფლიოს მთავარი სენსაცია იყო – ამერიკის და ევროპის მასმედიაში დაწვრილებით შუქდებოდა მკვლელობის დეტალები. მთავარი სკანდალური გარემოება, რომელიც მეორე დღესვე ცნობილი გახდა, იყო ის, რომ ამერიკელი დიპლომატი სინამდვილეში აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს გამოცდილი თანამშრომელი აღმოჩნდა, ხოლო მკვლელობა საქართველოს საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის სამთავრობო დაცვის სამმართველოს უფროსის, ელდარ გოგოლაძის მანქანაში მოხდა.

სწორედ ამ ორი გარემოების გამო, ვერსია, რომლის მიხედვითაც, ამერიკელი მზვერავი მთვრალი ჯარისკაცის მიერ შემთხვევით ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა, ეჭვს იწვევდა.

დამკვიდრებულია შეხედულება, რომ სპეცსამსახურების მოქმედი და ყოფილი თანამშრომლები, მით უფრო ამერიკელი და რუსი მზვერავები (ან მათი აგენტები), უბედური შემთხვევის გამო არ იღუპებიან. მათ ყოველთვის ვიღაც ,,ეხმარება“ [1, 12].

ცხედრის გადასასვენებლად თვით მაშინდელი ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დირექტორი ჯ ე ი მ ს ვ უ ლ ს ი ჩამოფრინდა. ამის შემდეგ ვირჯინიაში, ლენგლის ძველი სამმართველოს ფოიეს

კედელზე ფრედის ღირსების ვარსკვლავი ჩამოკიდეს. მაგრამ ამით არ დასრულებულა ყველაფერი. გავიხსენოთ, რომ გოგოლაძე და ვუდროფი მარტონი არ იყვნენ მანქანაში. დაცვის უფროსს თავისი მეგობარი გოგონა ეჯდა გვერდით, ფრედის კი სასტუმრო მეტეხის ,,ბარმენშა“ მარინა კაპანაძე. სასამართლომ ფრედის სამივე თანმხლებს ჩვენება ჩამოართვა, რომლებშიც ისინი ადასტურებდნენ მთვრალი ანზორ შარმაიძის საბედისწერო გასროლის ფაქტს. სასამართლოს აღარ სჭირდებოდა დამატებითი მტკიცებულებები, სანამ შარმაიძეს დამნაშავედ სცნობდა. ბრალდებულს ათწლიანი პატიმრობა შეუფარდეს და ყველამ შვებით ამოისუნთქა. ამოსუნთქვის ხმამ თბილისიდან მოსკოვსა და ვაშინგტონშიც ჩააღწია. ვუდროფის საქმე ოფიციალურად გადაწყდა; შემდეგ დაიხურა და დაილუქა. მაგრამ ჰორიზონტზე გამოჩნდა ჰიუსტონელი ადვოკატი მ ა ი კ ლ ფ უ ლ ა რ ა, რომლის ძირითად საქმიანობასაც „კომპლექსური კომერციული სამართალწარმოება“ წარმოადგენდა [8, 295].

ცსს-ს ერთ-ერთი ყოფილი თანამშრომელი მოგონებებში წერს, რომ შევარდნაძე იმ პერიოდში ვულკანზე იჯდაო. თუმცა, როგორც აღნიშნავს პოლკოვნიკი ბესიკ ალადაშვილი „ის ორ, რუსულ და ამერიკულ „ვულკანზე იჯდა“. მაგრამ იმდენი შეძლო, რომ 12 წლის მანძილზე ამ ორ სახელმწიფოს შორის არსებული დაპირისპირება თავისი სკამის შესანარჩუნებლად გამოიყენა.

კიდევ უფრო გასაოცარი იყო, რომ საქართველოს მომდევნო პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ვუდროფის მკვლელობის საქმის გამოძიება ბოლომდე ვერ მიიყვანა [1, 51]. ასე დაიწყო საგარეო სამართლებრივ სისტემებში ფულარას მოწამეობრივი ოდისეა, სადაც იურისპრუდენციის ნორმებში გამონაკლისი უფრო ხშირია, ვიდრე დადგენილი წესები.

ათ წელზე მეტი გაატარა საპატიმროში ანზორ შარმაიძემ იმის გამო, რომ თბილისს ვაშინგტონსა და, სავარაუდოდ მოსკოვს ხელს აძლევდათ უდანაშაულო ადამიანის დასჯა, ნაცვლად იმისა, რომ გამოეძიათ ვინ და რატომ მოკლა ფრედი ვუდროფი. მაგრამ არავის აინტერესებდა, მაიკლ ფულარას გარდა.

ახალი მტკიცებულებების საფუძველზე 2004 წლის ზაფხულში ფულარამ საქართველოს სახელმწიფო პროკურორს სამი პეტიცია გაუგზავნა: ერთი ვუდროფის ოჯახისგან, მეორე შარმაიძის და მესამე სახალხო დამცველისაგან. სამივე პეტიციის თანახმად, იგი მოითხოვდა თვითმხილველთა ჩვენებებისა და გამოძიების ფედერალური ბიუროს ექსპერტთა დასკვნების საფუძველზე მოეხსნათ შარმაიძისათვის წაყენებული ბრალდება. მოითხოვდა ასევე სახელმწიფო მოხელეების მხრიდან მომხდარიყო მტკიცებულებათა გაყალბების აღიარება და შარმაიძეზე ზეწოლის შედეგად გამოწურული აღიარების გაუქმება.

პირველ კატეგორიაში იგი ეჭვქვეშ აყენებდა გამოძიების მიერ გამოყენებულ თვითმხილველთა ჩვენებებს და მიუთითებდა სრულ შეუსაბამობაზე ელდარ გოგოლაძის ჩვენებასა და არსებულ ფაქტებს შორის. გოგოლაძის თქმით, როცა იგი ვუდროფთან და ორ ქალბატონთან ერთად ბრუნდებოდა ქალაქგარე ექსკურსიიდან, უკვე ღამე იყო და ,,ძალიან ბნელოდა“. ე.ი. საჭირო იყო ანთებული ფარებით სიარული. ჩვენების თანახმად, დაახლოებით ცხრა საათისთვის მათ ჩაუარეს სამ ფორმიან მამაკაცს, რომლებმაც გაჩერების ნიშნად ხელი დაუქნიეს, სავარაუდოდ, ბენზინის სათხოვნელად. გოგოლაძემ არ გაუჩერა. უეცრად უკანა სავარძელში მჯდომი ვუდროფი შეტორტმანდა და გვერდზე გადავარდა. როცა გოგოლაძემ გააცნობიერა, რომ მას ესროლეს, იგი ყველაზე ახლომდებარე საავადმყოფოში მივიდა, დაახლოებით 9:30-ზე. ექიმებმა იქ დაადგინეს, რომ ვუდროფი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ უშუქობის გამო პაციენტი ვერ მიიღეს. ჭრილობის პირველადი კვლევა სანთლის შუქზე უწარმოებიათ. ამის შემდეგ გოგოლაძე მეორე, შემდეგ კი მესამე საავადმყოფოში მიდის. ეს უკვე 10:00-ზე ხდება და ამ დროისთვის ვუდროფი უკვე გარდაცვლილია. შემდეგ გოგოლაძე უშიშროების თანამშრომლებთან ერთად შემთხვევის ადგილზე ბრუნდება. ბევრი პრობლემაა ამ ჩვენებასთან დაკავშირებით. გოგოლაძემ ასევე განაცხა-

და, რომ შოკში იყო და სათანადოდ ვერ მიჰყვა პოლიციის პროცედურულ სტანდარტებს.

ჯერ ერთი, გოგოლაძემ სროლითვე არ უპასუხა თავდამსხმელს, არც 300 მეტრში მყოფ მორიგე პოლიციელებს შეატყობინა ამ სავარაუდო სროლის შესახებ. მან არასწორად დაასახელა სროლის ადგილიც და დროც. არ ჩააბარა საკუთარი იარაღი ბალისტიკური ტესტირებისთვის. არ გამოაჩინა საექსპერტო ანალიზისთვის ტანსაცმელი, რომელიც მას ეცვა და არც თანამგზავრ ქალებს გაუკეთებიათ იგივე. ფულარას აზრით, ეს ყველაფერი შეუთავსებელი იყო ისეთი კაცის მოქმედებასთან, როგორსაც წარმოადგენდა გამოცდილი გამომძიებელი და შევარდნაძის უსაფრთხოების დაცვის უფროსი [8, 298-299].

კიდევ უფრო პრობლემატური იყო შარმაიძის წინააღმდეგ გამოყენებული ნივთმტკიცებები. პირველი, გამოძიების პროცესში ბრალმდებლის განცხადებით, ადგილზე ნაპოვნი მასრა სწორედ იმ ფატალურ ტყვიას ეკუთვნოდა, რომლითაც ფრედი იყო მოკლული. შემდეგ უშიშროების ყოფილმა მინისტრმა პოლიცია დაადანაშაულა მტკიცებულებათა გაყალბებაში – მისი თქმით, შემთხვევიდან რამდენიმე დღის შემდეგ პოლიციამ შარმაიძის იარაღი შემთხვევის ადგილზე წაიღო, გაისროლა და ახლად ,,აღმოჩენილი“ ტყვიის მასრა თან წამოიღო, როგორც შარმაიძის საბედისწერო გასროლის მტკიცებულება.

გარდა ამისა, იყო სხვა კითხვებიც. რომელი მხრიდან შევიდა ტყვია მანქანაში? გოგოლაძის პირველადი ჩვენების თანახმად, ტყვია შემოვარდა წინა ღია სარკმლიდან და უკანა სავარძელში მჯდომ ვუდროფს მოხვდა, თუმცა როგორც სასამართლოზე განაცხადა, შარმაიძე 15-20 მეტრით უკან იყო, როცა გასროლა მოხდა. აშშ-ს გამოძიების ფედერალურმა ბიურომ მანქანის შესამოწმებლად მეორე დღესვე გამოგზავნა ექსპერტები. ნატყვიარი ვერსად იპოვეს, თუმცა ქართველი ექსპერტის განცხადებით, ტყვიის კვალი შეუიარაღებელი თვალითაც შეიძლებოდა შეემჩნიათ. ეს განცხადება ეყრდნობოდა რამდენიმე დღის შემდეგ ქართველების მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგებს. ექსპერტის აღწერით ნატყვიარი ,,ნივის“ უკანა მარჯვენა ზედა კუთხეში იყო. გამომძიებლის მტკიცებით ტყვია უკნიდან იყო ნასროლი და როგორღაც სარკმლის რეზინოვანი საფენის გავლით, მინის დაუზიანებლად შეუღწევია სალონში [8, 299-300].

ფაქტი ერთია: გაურკვეველი მიზეზების გამო, შევარდნაძის და სააკაშვილის ხელისუფლებაში ბევრს არ სურდა სიმართლის დადგენა. რაც მთავარია, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ანზორ შარმაიძეს ბრალეულობა ობიექტური გამოძიებით არ იქნა დადგენილი. მიზეზთა გამო შარმაიძე აღმოჩნდა ის ,,დამნაშავე“, რომელიც ყველას აძლევდა ხელს.

ბევრის მანიშნებელი იყო 2004 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გამართული პრესკონ-ფერენცია, როდესაც საქართველოს პრეზიდენტს ,,ვუდროფის საქმის“ ხელახალი გამოძიების დაწყება მაიკლ ფულარამ საჯაროდ სთხოვა, რასაც სააკაშვილის გაავებული პასუხი მოჰყვა, ჩვენ თვითონ ვიცით, რა გამოვიძიოთ და რა არაო [1, 51]. ,,შენი აქაურ საქმეებში ჩარევა, კერძოდ, თბილისში, იგივეა, რაც ქართველმა რომ მოითხოვოს ჩემი მეგობარი ჯორჯ ბუშის ამერიკაში რომელიმე ძველი სასამართლოს საქმის გამოქექვა. – წამოიძახა მიშამ აუდიტორიის მქუხარე ტაშის ფონზე“.

რაც შეეხება ელდარ გოგოლაძეს, ბოლოს იგი შიდა ქართლის დაცვის პოლიციის უფროსად მუშაობდა. როგორც საბედისწერო ქალბატონის მარინა კაპანაძის შესახებ იტყობინებოდნენ, იგი აფხაზეთში წასულა საომრად და მას მერე არავის უნახავს. შეიძლება სუკ-მა ააორთქლა კიდეც, ან სხვა სახელით არხეინად ცხოვ-რობს თბილისში. თუმცა მისი მომხიბვლელი სახე ერთ-ხელ გაკრთა კბილის პასტის სარეკლამო ბილბორდზე [8, 302].

საქართველომ ახალ ოფიციალურ სპონსორს მიაგ-ნო და ყველა ოფიციალური რიტორიკა უკვე მიმარ-თული იყო კლიენტური ტიპის სახელმწიფოს სადიდებ-ლად. მზე უკვე აღარ ამოდიოდა ჩრდილოეთიდან, როგორც ეს შევარდნაძემ აუწყა მზრუნველ რუსეთს, იგი

ახლა დასავლეთიდან, ჯორჯ ბუშის ამერიკიდან ამოდიოდა...

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. ალადაშვილი, ვინ მოკლა ამერიკელი მზვერავი საქართველოში? ჟურნ. ,,არსენალი“, 2013, #10
2. ვ. რჩეულიშვილი, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ფუნქციების შესახებ, კრ. ,,ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, 2009, # 2 (6)
3. თ. შურღულაია, ამერიკის როლი საქართველოს საგარეო პოლიტიკურ სივრცეში, თბ., 2010
4. ბ. ალადაშვილი, რთული გზა: პოლიტიკური პოლიციიდან ეროვნულ სპეცსამსახურებამდე, ჟურნ. ,,არსენალი“, 2012, # 22
5. С. Соловьева, Наружным наблюдением не установлено..., Журн. „Загадки истории“, 2019 №22
6. А. Аникин, „Зарплата“ для шпиона, Журн. „Тайны ссср“, 2019, №24
7. В. Ярхо, Ликвидатор предателей, Журн. „Тайны ссср“, 2019, №16
8. თომას გოლცი, საქართველო ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავშირში, ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ქოიავამ, თბ., 2014

სასაზღვრო პრობლემები და პოლიტიკური კონფლიქტები საქართველოში პოსტსაბჭოთა პერიოდში

(ზოგადი ანალიზი)

წ ი ნ ა თ ქ მ ა

ტერიტორია ანუ დედამიწის ზედაპირი - ხმელეთი, წყალი და მათ ზემოთ მდებარე საჰაერო სივრცე ყოველთვის იყო და იქნება ადამიანისათვის საარსებო წყარო, რომლის გარეშეც შეუძლებელია არა მარტო მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა, არამედ, საერთოდ, საზოგადოების ფიზიკური არსებობაც კი.

თანამედროვე ეტაპზე არ დარჩენილა კუთხე, სადაც ადამიანს არ მოეკიდოს ფეხი. საცხოვრებლად გამოსადეგი ტერიტორიების მთელი ფართობი დანაწილებულია სახელმწიფოებს შორის და მათ კუთვნილ სახელმწიფო ტერიტორიებადაა ქცეული. მხოლოდ ანტარქტიკა, კოსმოსი და ე.წ. ღია ზღვა საერთო სარგებლობაში ითვლება და არც ერთ სახელმწიოფოს არ მიეკუთვნება.

სახელმწიფო ტერიტორია არის დედამიწის ის ნაწილი, რომელიც მოცემული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ქვეშ იმყოფება.

სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებში ერთი სახელმწიფოს ძალაუფლება უნდა ბატონობდეს, ხოლო

მისი იურისდიქცია უნდა იყოს სრული და შეუზღუდავი. ეს თვისება სახელმწიფო სუვერენიტეტის ერთ-ერთ ძირითად მხარეს წარმოადგენს და, როგორც ცნობილია, ტერიტორიული უზენაესობის სახელწოდებას ატარებს.

სახელმწიფო ტერიტორია არა მარტო სახელმწიფოს ტერიტორიული უზენაესობის სივრცით ზღვარს წარმოადგენს, არამედ მისი საქმიანობის მატერიალურ ბაზასაც, რომლის მიმართ სახელმწიფო ხელისუფლება უზენაესი მფლობელის სახით გვევლინება. სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებში საჯარო ხელისუფლება სხვა სახელმწიფოებისაგან დამოუკიდებლად განაგებს თავის ტერიტორიას, არა მარტო პოლიტიკურ სფეროში (ამყარებს მასზე სათანადო სამართლებრივ რეჟიმს, ყოფს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად, უზრუნველყოფს ტერიტორიის დაცვას, აწესებს თავისი საზღვრების უფლებრივ რეჟიმს და ა.შ.), არამედ აქტიურად იყენებს მას ეკონომიკურ სფეროშიც (არეგულირებს ყველა იმ საკითხებს რომლებიც ბუნების სიმდიდრისა და რესურსების ექსპლოატაციასა და გამოყენებასთანაა დაკავშირებული, განკარგავს თავის ტერიტორიას საჭიროებისამებრ და ა.შ.) [1, 318-319].

ზოგიერთი ევროპელი თეორეტიკოსები სხვადასხვა თეორიებს თხზავენ მომავალში სახელმწიფოთა საზღვრების შესახებ. მაგალითად, ბრიტანელი ი ვ ე ნ ლ უ ა რ დ ი მიიჩნევს, რომ ტრანსნაციონალური „ტიპის

საერთაშორისო საზოგადოებაში თანამედროვე სამყაროს ერთი ტენდენცია - სახელმწიფო საზღვრების მნიშვნელობის დაკნინების პროცესი - კიდევ უფრო ინტენსიური გახდება. ერი - სახელმწიფო, ტერიტორიული სახელმწიფო თავის მნიშვნელობას თითქმის დაკარგავს. მსოფლიოში ტრანსნაციონალური პროცესები გაბატონდება. საზღვრების მნიშვნელობის დაკნინების გამო ტერიტორიული კონფლიქტების და, აქედან გამომდინარე, მათი ძირითადი წყაროს - ნაციონალიზმის როლი მეტად შემცირდება. კონფლიქტები უფრო სამოქალაქო ხასიათს მიიღებს. ამავე დროს შესაძლოა განვითარდეს სხვადასხვა სახის ტერორიზმი, რაც მწვავე პრობლემად შეიძლება იქცეს“ [2, 268].

ნობელის პრემიის ლაურეატი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯ ო ზ ე ფ ს ტ ი გ ლ ი ც ი კი აღნიშნავს: „ადრე ეკონომისტები ამტკიცებდნენ, რომ გლობალურ მსოფლიოში საზღვრები არაფერს ნიშნავს, მაგრამ ახლა საზღვრებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა. კორონა ვირუსთან დაკავშირებულმა კრიზისმა ყველას შეგვახსენა, რომ საბაზისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ერთეულად სახელმწიფო რჩება“ [3,14]. ნებისმიერი ქვეყანა გულისხმობს ტერიტორიას, რომელიც მკაფიოდ არის შემოსაზღვრული და ზოგჯერ ამ საზღვარს შეიარაღებული ძალით იცავენ. როგორც წესი, ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს უფრო პატარა ტერიტორიები, მაგალითად, ავტონომიებისა და რეგიო-

ნების ხაზით, ისინი მოიცავენ კიდევ უფრო პატარა ტერიტორიებს, რომლებსაც ქალაქებს ან დაბებს უწოდებენ და რომლებიც შედგება უბნებისაგან, სადაც მრავალი ქუჩაა; ისინი თავისთავად დახურულ ტერიტორიას ქმნიან მათთვის ვინც იქ ცხოვრობს [4, 172].

საინტერესოა, რომ ისეთი სახელმწიფო, როგორიც არის ინგლისი არ გააჩნია სახმელეთო საზღვრები. ის კუნძულოვანი სახელმწიფოა. ძნელია მოძებნო ქვეყნის შიგნით პუნქტი, რომელიც 100 კილომეტრზე მეტი იქნებოდა ზღვის სანაპიროდან [5, 162].

ყოველი სახელმწიფო მოვალეა, თავს იკავებდეს ძალისმიერი მუქარის ან ძალის გამოყენებისგან მეორე სახელმწიფოს არსებული საზღვრების დარღვევის მიზნით ან საერთაშორისო დავების, მათ შორის ტერიტორიული დავებისა და სახელმწიფო საზღვრებთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად [1, 51].

ყველამ უნდა იცოდეს, რომ ხელშეუხებელია სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა. ყოველი აქტი, რომელიც ლახავს სახელმწიფოს საზღვრების მყუდროებას, მიუხედავად იმისა, რა მოტივით ხდება ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, მართლსაწინააღმდეგო აქტია და უფლებას ანიჭებს დაზარალებულ სახელმწიფოს გამოიყენოს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული საშუალებანი. სახელმწიფოს საზღვრების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ დაინტერესებული ქვეყნების ინტერესების გათვალისწინების

საფუძველზე, ე.ი. თანასწორუფლებიანი შეთანხმების შედეგად [1, 55].

საზღვრების დაცვის საკითხი იმდენად მნიშვ-ნელოვან და წმინდა საქმედ მიაჩნდათ, რომ ძველ რომში ერთ-ერთ გამორჩეულ ღვთაებად საზღვრის ღმერთი ტ ე რ მ ი ნ უ ს ი ითვლებოდა. მისი თაყვანისცემის დღედ 23 თებერვალი იყო დაწესებული [6, 69].

ბიპოლარული სისტემის პერიოდში, „ცივი ომის“ დროს ყველაზე მკაცრად დაცული საზღვრები ჰქონდა საბჭოთა კავშირს, თითქოს ამ უკიდეგანო ქვეყანას გარს ეკრა კაციჭამიების სამყარო. უზარმაზარი ტერიტორია მკაცრად იყო შემოსალტული, მავთულხლართებით დაცული, შეიარაღებული ძალებით და ტექნიკით გამაგრებული, რათა არავინ გაკარებოდა. (მაგალითად, 1983 წელს ანდროპოვის დროს, რუსებმა ჩამოაგდეს სამხრეთ კორეის სამგზავრო თვითმფრინავი მხოლოდ იმიტომ, რომ შემოვიდა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში. დაიღუპა 269 ადამიანი).

ესეც არ იკმარეს და შექმნეს მრავალკილომეტრიანი სასაზღვრო ზოლი, სადაც შესვლა ნებართვის გარეშე შეეძლოთ მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებლებს. საქართველოში დახურულ ზონას განეკუთვნებოდა ასპინძა და ახალციხე, სარფი და კვარიათი. უცხოეთში წასვლა შეიძლებოდა მხოლოდ ტურისტად, ისიც მკაცრი ფილტრაციისა და შეზღუდვის შედეგად, ან

დელეგაციის შემადგენლობასა და სპორტულ შეჯიბ-
რებებზე [7, 66-67].

სახელმწიფო საზღვარი არის სახელმწიფო ტერი-
ტორიის განმსაზღვრელი ხაზი, რომლის უკან დგას
ეროვნული, სუვერენული სახელმწიფო და ერი,
რომელმაც შექმნა ეს სახელმწიფოებრიობა. ერთი რამ
ცხადია: თანამედროვე მსოფლიოში დამოუკიდებელი
სახელმწიფოს არსებობის ერთ-ერთი მთავარი (თუ
უმთავრესი არა) ფაქტორია მისი ტერიტორია,
სახელმწიფო საზღვრები და მათი ხელშეუხებლობა.

ხალხი, რომელიც თავისი უფლების შელახვას დუ-
მილით პასუხობს, ამ გულგრილობით თავს დასაღუპად
წირავს. ერი, რომელიც ნებას აძლევს მეზობელს, დაუს-
ჯელად მიიტაცოს თუნდაც ერთი გოჯი კუთვნილი
სამფლობელოსი, მის დანარჩენ ნაწილსაც დაკარგავს,
ვიდრე, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი მას აღარაფერი
დარჩება და, როგორც სახელმწიფო, წყვეტს არსებობას;
თუმცაღა სხვაგვარ ხვედრს ასეთი ერი არც იმსახურებს -
აღნიშნავდა რ უ დ ო ლ ფ ფ ო ნ ი ე რ ი ნ გ ი.

როგორც აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი ბრძანებ-
და, ,,ქართველი ერი და მისი მთავრობა შთამომავ-
ლობისა და ისტორიის წინაშე მოვალეა თავის რესპუბ-
ლიკის სახელმწიფოებრივი საზღვრების მოხაზულობას
ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ფხიზელ დარაჯად
უდგეს. ეს არც ძმობა-ერთობას და არც კეთილ მეზობ-
ლობას დაუშლის იმათთან, ვინც მართლა ძმობაზე და

მეზობლობაზე ფიქრობს და ქართველ ერსაც ყოველგვარ მოსალოდნელ ხიფათისგან გადაარჩენს“.

საერთაშორისო სამართალში არის ზოგიერთი შეუსაბამობა. მაგალითად, ერს შეუძლია თვითგამორკვევა, მაგრამ არ შეიძლება სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა. ამავე დროს არსებობს „ისტორიული სამართლიანობის პრინციპი“. კერძოდ, ყოველი სახელმწიფო, რომელსაც თავის დროზე წაართვეს ტერიტორია აგრესიული ომის ან კაბალური ხელშეკრულების შედეგად, უფლებამოსილია დაიბრუნოს ეს მიწები აგრესორის დამარცხების შემთხვევაში ან ახალი ხელშეკრულება დადოს [1, 328-329]. ამ პრინციპზე დაყრდნობით ყირიმისა და პოტსდამის შეთანხმებებმა ჩამოართვეს გერმანიას რამდეიმე საუკუნის წინ მიტაცებული ოდერი და დასავლეთ ნეისსზე მდებარე პოლონეთის მიწები და დაუბრუნეს მათ ნამდვილ პატრონს [1, 329,სქოლიო 190].

ჯერ კიდევ პრეისტორიული პერიოდიდან მოყოლებული ყოველ ომს ტერიტორიული მიტაცების სურვილი ედო საფუძვლად. ანექსია, ე.ი. ძლიერი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს ან ხალხის ტერიტორიის შემოერთება მისი მოსახლეობის ნების გაუთვალიწინებლად, წითელ ზოლად გასდევს კაცობრიობის მთელ ისტორიას. ძლიერი სახელმწიფოები უტიფრად თელავდნენ სხვა სახელმწიფო ტერიტორიას

დაყოფით, მისი მთლიანად ან ნაწილობრივ მითვისებით.

საერთაშორისო ურთიერთობების მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში სახელმწიფო საზღვრები მხოლოდ საზავო ხელშეკრულებებით რ ვ ა ა თ ა ს ჯ ე რ იქნა გადანაწილებული [1, 326].

ამდენად, ისტორიის ხანგრძლივი მსვლელობის პერიოდში, ასწლეულების განმავლობაში, მსოფლიოს პოლიტიკური რუკა მუდმივად იცვლებოდა. დედამიწის ზურგზე არ დარჩენილა არც ერთი სახელმწიფო, რომლის საზღვარი ამა თუ იმ მოვლენის (ძირითადად ომის) გამო არ შეცვლილა. ცხადია ცვლილებები საქართველოსაც შეეხო. ძველად ქართული სახელმწიფოს ტერიტორია ბევრად უფრო დიდი იყო (კიდევ უფრო ვრცელი - ქართველ ტომთა განსახლების არეალი). საქართველოც, როგორც სხვა სახელმწიფოები, თავისი ძლიერების ხანაში დროდადრო იერთებდა და კარგავდა ტეტირორიებს. ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო [8,5].

საქართველოს გეოპოლიტიკური სივრცის ფორმირებას განაპირობებს მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული და სატრანსპორტო-ეკონომიკური მდებარეობა, ბუნებრივ-რესურსული და დემოგრაფიული პოტენციალი. საქართველო მდებარეობს ევრაზიის კონტინენტზე, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ კავკასიის ყელზე, სადაც კავკასიონის წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთითა და

სამხრეთით განლაგებულ ტერიტორიებს ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასია ეწოდება. სამხრეთი კავკასია აერთიანებს საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, ხოლო ჩრდილოეთი კავკასია - რუსეთის ფედერაციაში შემავალ 7 რესპუბლიკასა და 2 მხარეს.

დღემდე აქტუალურია კითხვა: სად მდებარეობს საქართველო, ევროპასა თუ აზიაში? არსებობს საზღვრის რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის:

1. კუმა-მანიჩის ღრმული, სადაც გეოლოგიურ წარსულში შავი და კასპიის ზღვების დამაკავშირებელი და ევრაზიის კონტინენტის გამყოფი სრუტე იყო. ამ თვალსაზრისით, სამხრეთი კავკასია მთლიანად აზიაშია.

2. კავკასიონის წყალგამყოფი ქედი, რომელიც ბუნებრივ ბარიერს წარმოადგენს. ამ ვარიანტით, კავკასიონის მთავარი ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარე საქართველოს ტერიტორიის ნაწილი (ხევი, პირიქითა ხევსურეთი, თუშეთი) ევროპაში ხვდება, საქართველოს დანარჩენი ტერიტორია - აზიაში.

3. პოლიტიკური საზღვარი თურქეთსა და ირანთან. ამ თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასია მთლიანად ევროპაშია [9, 10-11].

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ სახმელეთო საზღვარი ევროპასა და აზიას შორის პირობითია, მასზე მრავალი ვერსია არსებობს. ფიზიკურ-გეოგრაფიულად ყველაზე სწორია: ურალის მთის აღმოსავლეთით მთის-

წინების გასწვრივ მდინარე ემბაზე, კასპიის ზღვის ჩრდილო სანაპიროზე, კუმა-მანიჩის ღრმულზე, აზოვისა და შავ ზღვებზე, ბოსფორის სრუტეზე, მარმარილოს ზღვაზე, დარდანელის სრუტეზე, ხმელთაშუა ზღვაზე.

სახელები - ევროპა და აზია წარმოდგა ფინიკიური სიტყვებიდან ,,ერებ“ - დაისი და ,,ასუ“ - აისი, რომელიც შემოტანილია ძველი ბერძენი გეოგრაფების მიერ [10, 5].

ჩვენი წინაპრებისათვის საზღვრის დაცვა, რომ წმიდათაწმინდა მოვალეობა იყო, კარგად აისახა ერთ ხალხურ თუშურ ლექსში:

,,უწინ ჩვენ მამა-პაპანი
სისხლით რწყავდეს მთის კალთებსა,
მტერსა მტრულად უხვდებოდეს,
ხმლით იცავდნენ ჩვენს საზღვრებსა“ [8, 67].

საქართველოს ძირძველი ტერიტორიები დროთა განმავლობაში ჩვენმა მეზობლებმა გაინაწილეს. მაგალითად, დღეს ქვემო ქართლის მხოლოდ ჩრდილოეთი ნაწილია საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში (გარდაბნის, მარნეულის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, დმანისის, წალკის მუნიციპალიტეტები). სხვა ტერიტორიები სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებშია მოქცეული, ხოლო მესხეთის (ქართლის) მიწაწყლის უმეტესი ნაწილი თურქეთის შემადგენლობაშია [8, 17-18]. კახეთის აღმოსავლეთი (ზაქათალა, იგივე საინგილო) და სამხრეთ ნაწილი (ყარაიასა და ელდარის სტეპები) აზერბაიჯანის საზღვრებშია.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოს არ უპყრია სხვისი ტერიტორიის ერთი მტკაველიც კი. პირიქით, მას დაკარგული აქვს თავისი ისტორიული მიწაწყლის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც მოქცეულია, როგორც ავღნიშნეთ მეზობელი სახელმწიფოების (თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი) ფარგლებში.

საქართველოს სახელმწიფოს გარეთ არსებულ საქართველოს ისტორიულ მიწაწყალზე იურისდიქციას ავრცელებს მხოლოდ საქართველოს სამოციქულო, მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის შემადგენლობაში შემავალი ეპარქიები მოიცავენ საინგილოს, ლორეტაშირს, კოლა-არტაანს, ერუშეთს, ტაოს, კლარჯეთს, შავშეთს და ლაზეთს [8, 5].

რუსეთის და შემდეგ ,,მოკავშირე“ რესპუბლიკების ტერიტორიების განიავება ბოლშევიკებმა დაიწყეს მაშინვე, როგორც კი 1917 წლის ოქტომბერში მოვიდნენ ხელისუფლებაში. სამწუხარო რეკორდი გახდა ბრესტის ზავი, რომლის საფუძველზე ლენინმა გერმანიას გადასცა იმდენი ტერიტორია, რამდენიც შემდეგ ჰიტლერმა ოკუპაციის დროს 1941 წელს დაიკავა. ,,მსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა“ იცნო ფინეთის დამოუკიდებლობა. 1920 წლის რიგის სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად პოლონელ ,,პანებს“ გადაეცა უკრაინისა და ბელორუსიის ნაწილი. ტერიტორიების გაცემის პოლიტიკა გრძელდებოდა შემდგომ პერიოდშიც.

მაშინაც კი, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებას შეეძლო ემოქმედა ძალის პოზიციიდან, ხშირად უთმობდა უცხოელებს ტერიტორიის ნაწილს [11, 18].

საბჭოთა რეჟიმის დროს რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო საზღვრები შეგნებულად წაიშალა, რაც საბაჟოების, პიკეტებისა და სხვა ტექნიკური ფორმების გაუქმებით გამოიხატა. ბოლშევიკებს რესპუბ-ლიკათაშორისი საზღვრები დროებით მოვლენად მიაჩნდათ... [8, 138]. ასეთი მიდგომის გამო, მხოლოდ 1921-1936 წლებში ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, სხვა ფართობზე რომ არაფერი ვთქვათ საქართველოს ბოლშევიკურმა მთავრობამ გაასხვისა 6105 კმ2 ფართობი ისტორიული ქართული მიწა: აქედან სომხეთს დაეთმო 2478 კმ2, ხოლო აზერბაიჯანს - 3627 კმ2 ტერიტორია [8, 153]. საბჭოთა კავშირის დაშლამ, ეროვნული რესპუბლიკების სუვერენიზაციამ და სხვა ფაქტორებმა შექმნეს ისეთი სივრცე, სადაც არ არსებობდა მკაცრი იურიდიული ნორმები, ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი, სადაც თითოეულ რესპუბლიკას და ეროვნულ ოლქსაც კი არა მარტო თავისი სუვერენული არამდგრადი ტერიტორია ჰქონდა, არამედ ამორფული საკანონმდებლო ბაზაც [12]. ამიტომ არის, რომ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის დადგენილი სახელმწიფო საზღვრები. ამ დროს საქარ-თველოსთან მიმართებაში სომხეთი და აზერბაიჯანი ამაგრებენ საზღვრებს და ქმნიან საყრდენ პუნქტებს თავიანთი შეხედულებისამებრ.

1. სახელმწიფო საზღვრების სახეები და სასაზღვრო ტერმინოლოგია

საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის გულს წარმოადგენს სახელმწიფო, რომელიც ამავე დროს არის საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტი. იმისგან დამოუკიდებლად, როგორ განისაზღვრება სახელმწიფოებრიობის მოთხოვნათა ნიშნები, ტერიტორიის კრიტერიუმი წარმოადგენს აბსოლუტურ აუცილებლობას. უაზრობაა წარმოვიდგინოთ სახელმწიფო საერთაშორისო სამართლის მხარედ, რომელსაც ექნება უფლებები და მოვალეობები არსებული ტერიტორიული ჩარჩოების გარეშე. როგორც აღნიშნავდა ო პ ე ნ ჰ ე ი მ ე რ ი, „სახელმწიფო ტერიტორიის გარეშე არ შეიძლება (შეუძლებელია)“ [13,62].

სახელმწიფო საზღვარი წარმოადგენს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზღვარს, რომელიც ლიმიტირებულია სახელმწიფო წყობით, ეროვნული განცალკევებულობით, საბაჟო და სასაზღვრო კონტროლით, გარე ვაჭრობის წესებით და ა.შ.

საზღვრები და სასაზღვრო რეგიონები, რომლებიც გარე სამყაროსთან სახელმწიფოს კონტაქტურ წერტილებს წარმოადგენენ, განსაკუთრებულ სამართლებრივ და გეოპოლიტიკურ სტატუსს ფლობენ. საზღვრების გეოპოლიტიკური პრობლემა ყოველთვის მაშინ იჩენს თავს, როდესაც პოლიტიკური სივრცის გაკონტროლე-

ბასა და მის მითვისებაზე იწყება ბრძოლა. გეოპოლიტიკის კლასიკოსებიდან ამ ვითარებას ყურადღება ფ რ ი დ რ ი ხ რ ა ტ ც ე ლ მ ა მიაქცია. მისი მტკიცებით, საზღვარი სახელმწიფოს პერიფერიული ორგანოა და როგორც ასეთი მისი აღზევების, ძლიერების, ასევე უძლურების და სახელმწიფო ორგანიზმში ცვლილებების მაჩვენებელია.

გერმანულ გეოპოლიტიკაში საზღვრების პრობლემას სპეციალური შრომები მიუძღვნა ა ლ ბ ე რ ტ ჰ ა უ ს ჰ ო ფ ე რ მ ა. მეცნიერს მიაჩნდა, რომ საზღვრები არ უნდა განხილულიყო, როგორც მარადიული მოცემულობა. ის ცოცხალ ორგანიზმებს ადარებდა და თვლიდა, რომ საზღვარი იყო „გაფართოებადი და კუმშვადი“.

რიგ ავტორებს საზღვრის გეოპოლიტიკური პრობლემების ერთ-ერთ მკვლევრად ლორდი ჯ.ნ. კერზონი (1859-1925) მიაჩნიათ. ინდოეთის ვიცე-მეფედ ყოფნის დროს, მან აზიის ხალხების გამიჯვნის გამოცდილება შეისწავლა და დაასკვნა, რომ ბევრი მათგანი ხისტად დაფიქსირებულ საზღვრებს თავს არიდებდა, რასაც მათი მომთაბარე ცხოვრებით და რეგლამენტირებული ჩარჩოების უარყოფით ხსნიდა. კერზონის აზრით, საზღვარი, როგორც „ხისტად ფიქსირებული ხაზი“ პირველ რიგში ევროპაში გავრცელდა. სახელმწიფოთა შორის სასაზღვრო დავების დროს კერზონი ბუფერული ზონების შექმნის რჩევით გამოდიოდა [14, 41-42].

მიუხედავად იმისა, რომ საზღვრების თემა, ძირითადად პოლიტიკური გეოგრაფიის კვლევის ობიექტია, ასევე გეოპოლიტიკურ კატეგორიად ითვლება. მოცემული პოლიტიკური სივრცის საზოგადოებრივი და სამხედრო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში საზღვრები მთავარ როლს ასრულებენ, გარე სამყაროსთან სივრცულ საზღვრებს განსაზღვრავენ და უცხოური ჩარევისგან იცავენ.

რაც შეეხება საზღვრის ძირითად გეოპოლიტიკურ ფუნქციებს, შეიძლება შემდეგი კლასიფიკაცია მიენიჭოს: 1. ეროვნული სუვერენიტეტების ზონების დაყოფა; 2. სახელმწიფოს თავდაცვის წინა ხაზის და მისი უსაფრთხოების დაცვა; 3. მომიჯნავე ან სხვა უცხოური ქვეყნებიდან უკანონო მიგრაციის თავიდან აცილება, არასასურველი პირების შემოსვლა-გასვლა; 4. დამნაშავეების დაკავება; 5. შემოსული და გასული საქონლიდან ბაჟის აკრეფა; 6. შემოსულ საქონელზე კონტროლის დამყარება; 7. სავალუტო ბრუნვის და ფრენის კონტროლი, სანიტარული უსაფრთხოება და ა.შ. [14, 41].

საერთო საზღვრის მქონე სახელმწიფოების ოფიციალური წარმომადგენლები, რომლებიც ინიშნებიან მოსაზღვრე სახელმწიფოების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად სახელმწიფო საზღვრის რეჟიმის დაცვის, სელმწიფო საზღვრის გარკვეულ მონაკვეთებზე სასაზღვრო ინციდენტების რეგულირების გადასაწყვეტად, რომლებიც ასრულებენ შემათან-

ხმებელი კომისიის როლს - სასაზღვრო წარმომადგენ-ლები ეწოდებათ.

სასაზღვრო წარმომადგენელს უნდა ჰყავდეს მოად-გილე, რომელიც მისი არყოფნისას ასრულებს მის ვალდებულებებს. სასაზღვრო წარმომადგენლების საქ-მიანობის განხორციელებაში შეიძლება მონაწილეობდ-ნენ თარჯიმნები, ექსპერტები და სხვა თანამშრომლები.

სასაზღვრო ინციდენტების გამოძიების შედეგების მიხედვით შეთანხმებული გადაწყვეტილებები ფიქსირ-დება მოსაზღვრე სახელმწიფოების სასაზღვრო წარ-მომადგენლების ერთობლივი სხდომის ოქმში და ის ექვემდებარება შესრულებას. თუ სასაზღვრო წარმომად-გენელი ვერ ახერხებს ინციდენტის დარეგულირებას, ის წყდება დიპლომატიური გზით.

მოსაზღვრე სახელმწიფო ტერიტორიაზე სასაზ-ღვრო წარმომადგენლების არსებობისას ისინი და მათი თანმხლები პირები სარგებლობენ ხელშეუხებლობით (არ შეიძლება მათი დაკავება ან დაპატიმრება ნების-მიერი ფორმით). საზღვარზე გადასვლისას მათ შეუძ-ლიათ დადგენილი ფორმის და პირადი იარაღის ტა-რება. ასევე, ბაჟის გარეშე შეუძლიათ გადაიტანონ სამუშაოსთვის საჭირო საგნები, სატრანსპორტო საშუა-ლებები და სხვა ქონება მათი უკან დაბრუნების პირობით. ასევე ხელშეუხებელია მათი სამსახურებრივი ქაღალდები. ზოგჯერ, შესაძლებელია სხვა პრივილე-გიებიც, მათ შორის, დაცვა. საკმაოდ ფართო უფლებამო-

სილებების მიუხედავად, სასაზღვრო წარმომადგენლებს უფლება არა აქვთ, გადაწყვიტონ საკითხი პირის მიერ საზღვრის გადაკვეთის თაობაზე, განიხილონ ტერიტორიული დავები და ა.შ. [15,526].

საზღვრების შესწავლის სამეცნიერო მიმართულების ჩამოყალიბებასთან ერთად დაიწყო შესაბამისი ენის (ტერმინოლოგიის) ფორმირებაც. იმდენად, რამდენადაც საზღვრების შესახებ მეცნიერების ჩამოყალიბების პროცესი ჯერ არ დასრულებულა, ამ მომენტისთვის არ არის ფორმირებული საზღვრებთან დაკავშირებული ერთიანი და რაც მთავარია ერთმნიშვნელოვნად მიღებული ტერმინების ლექსიკონი. ძირითადი ტერმინებია: ,,საზღვარი“, ,,ფრონტირი“, ,,საზღვრისპირა რეგიონი“, ,,საზღვრისპირა თანამშრომლობა“ და სხვ. [16, 15].

სულხან-საბა ორბელიანი საზღვარს შემდეგნაირად განმარტავს: ,,საზღუარი არს სიტყვა მოკლე საცნაურმყოფი... და ჰნიშნავს საზღვრის დადებასა და დასასრულსა... საზღვრად ადგილისა სხვათა ადგილი“ [17, 29].

დავით ჩუბინაშვილი საზღვრის შესახებ აღნიშნავს: ,,სამზღვარი, სამანი, სინორი, მიჯნა...“ [18, 1070].

სხვადასხვა მიდგომების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, შეიძლება გამოვყოთ საზღვრების ტიპოლოგიის განსაზღვრის ორი მიდგომა: 1) ფუნქციებზე დაყრდნობით; 2) სხვადასხვა მახასიათებლებზე დაყრდნობით - გეოგრაფიული, სოციალური, პოლიტიკური,

სამართლებრივი და ა.შ. ამ ორ მიდგომას შორის არსებობს კორელაციაც, რადგანაც საზღვრის გარკვეულ ტიპს გააჩნია საკუთარი ფუნქცია და პირიქით, საზღვრის გარკვეული ფუნქციის არსებობა შეიძლება განსაზღვრავდეს მის ტიპს.

ყველა სახელმწიფო საზღვარს აქვს ფუნქციების ორი კლასი: კონსტიტუირების ფუნქციების კლასი (ადგენს კონკრეტული სახელმწიფოს სუვერენიტეტის ფარგლებს) და მარეგულირებელი ფუნქციების კლასი (ადგენს ტრანსსასაზღვრო ურთიერთობებზე გავლენის მიზნებს) მკვლევარების არანაკლებ მნიშვნელოვან მიღწევად მიიჩნევა საზღვრის სამი ძირითადი ფუნქციის განსაზღვრება:

1. ბარიერული (კავშირის გამაძნელებელი, დამაბრკოლებელი);

2. კონტაქტური (დამაკავშირებელი);

3. ფილტრაციული (გაცხრილვის, გადარჩევის) ფუნქციები.

აგრეთვე მნიშვნელოვანია იმ ფაქტორების განსაზღვრება, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ აღნიშნულ ფუნქციებზე [16, 16].

ხაზს, რომელიც მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებს საზღვრავს, სახელმწიფო საზღვარი ეწოდება. საზღვრები შეიძლება იყოს სხვადასხვა ს ა ხ ი ს:

ა) ო რ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი გაიყვანება ადგილობრივი რელიეფის გათვალისწინებით (ხევი, მდინარე, ბორცვი, ქედი და ა.შ.).

ბ) გ ე ო მ ე ტ რ ი უ ლ ი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი წარმოადგენს ერთი წერტილიდან მეორე წერტილამდე გაყვანილ სწორ ხაზს.

გ) ა ს ტ რ ო ნ ო მ ი უ ლ ი ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი გაიყვანება მერიდიანების ან პარალელების გასწვრივ. მაგალითად (რუსეთის პოლარული სექტორი, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის საზღვარი - 38 პარალელი და ა.შ.

ყოველი სახელმწიფოს საზღვრები შედარებით იშვიათი მოვლენაა. საზღვრები ორი მოსაზღვრე სახელმწიფოს შეთანხმებით გაიყვანება. ხელშეკრულება ზუსტად განსაზღვრავს მომავალი საზღვრების მიმართულებას. დართული რუკა ასახავს ამ შეთანხმებას. აღნიშნულ პროცედურას დ ე ლ ი მ ი ტ ა ც ი ა ეწოდება. ადგილზე საზღვრის გავლებას - დ ე მ ა რ კ ა ც ი ა ს - ორივე სახელმწიფოს მიერ შექმნილი კომისიები ახორციელებენ. უკვე არსებული საზღვრის შემოწმებას, სასაზღვრო ნიშნების აღდგენას ან დამატებას რ ე დ ე მ ა რ კ ა ც ი ა ეწოდება [1, 324].

უფრო გასაგებად საზღვრების დ ე მ ა რ კ ა ც ი ა (ლათ. დემარცატიო - გამიჯვნა), ნიშნავს სახელმწიფო საზღვრის ადგილზე გატარებას და მისი სპეციალური სასაზღვრო ნიშნებით აღნიშვნა - დაფიქსირებას. დემა-

რკაცია ხორციელდება პარიტეტულ საწყისებზე ჩამოყალიბებულ კომისიათა მიერ, რომლებიც ხელმძღვანელობენ დელიმიტაციის შედეგად შექმნილი დოკუმენტებით (ხელშეკრულება, რუკა, საზღვრის აღწერა). დემარკაციის დროს ტარდება ადგილის დათვალიერება, ტოპოგრაფიული და აეროფოტოგადაღება, რის საფუძველზეც დგება მსხვილმასშტაბიანი რუკა და დგინდება სასაზღვრო ნიშნების კოორდინატები.

დემარკაციის ჩატარების შემდეგ ყოველ სასაზღვრო ნიშანზე დგება სპეციალური ოქმი სქემებითა და ფოტოებით და საზღვრის ხაზის აღმწერი რუკა. აღნიშნული დოკუმენტები ძალაში შედის მხარეთა მიერ დადგენილი წესის საფუძველზე [19, 159-160].

რაც შეეხება ს ა ზ ღ ვ რ ი ს რ ე დ ე მ ა რ კ ა ც ი ა ს, ითვალისწინებს მოსაზღვრე სახელმწიფოების მიერ სახელმწიფო საზღვრის დემარკირებული ზოლის ერთობლივ შემოწმებას. არსებული შეთანხმების საფუძველზე სასაზღვრო ხელშეკრულებები, ჩვეულებრივ, შეიცავს დებულებებს, რომელთა თანახმად, მოსაზღვრე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან განახორციელონ რედემარკაცია ან საზღვრის ზოლის შემოწმება გარკვეული პერიოდებით, რაც განსაკუთრებით ეხება საზღვრის სამდინარო მონაკვეთებს (სასაზღვრო მდინარეები). რედემარკაციას თან ახლავს ახალი დოკუმენტების შედგენა სპეციალური კომისიების მიერ, რომლებიც, როგორც წესი, ექვემდებარება დამტკიცებას მხარეთა

კანონმდებლობის შესაბამისად და ძალაში შედის მათი დამტკიცების შესახებ უწყებათა გაცვლის შემდეგ [19, 181].

თუ საზღვარი სანაოსნო მდინარეზე გადის, ფარ-ვატერის (ე.ი. გემისათვის მისაწვდომი გზის) მიხედვით გაიყვანება. იგი ხშირად არ ემთხვევა ხაზს, რომელიც ზუსტად მდინარის შუაში გადის. ზოგადად, მდინარის შუაში საზღვარი გაყავთ მხოლოდ ნაოსნობისათვის უვარგის მდინარეზე, სასაზღვრო ტბებზე, საზღვარზე ან ტბის შუაში, ანდა სახმელეთო ტერიტორიის ყველაზე უფრო გამოშვერილ ორ წერტილს შორის.

თუ დროთა განმავლობაში მდინარე ან ტბა იცვლის კალაპოტს, საზღვარი უცვლელი რჩება, თუ სხვა რამ არის გათვალისწინებული სათანადო ხელშეკრულებით ან, შემდგომ არ იქნება მოწესრიგებული მხარეების მიერ.

ასეთია ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც საერთაშორისო სამართლებრივმა პრაქტიკამ შეიმუშავა და რომელსაც უკლებლივ ყველა სახელმწიფო აღია-რებს. ყოველი სახელმწიფო თვითონ განსაზღვრავს თავისი საზღვრების უფლებრივ რეჟიმს. მაგრამ კეთილ-მეზობლური ურთიერთობების პრონციპი მთელი რიგი საკითხების მოსაზღვრე სახელმწიფოებთან შეთანხმე-ბით მოგვარების აუცილებლობას კარნახობს [1, 324-325].

საზღვრების ცალკე ტერიტორიას გულისხმობს უ კ ო ნ ტ რ ო ლ ო ს ი ვ რ ც ე ე ბ ი. ტერიტორიების ეს ახალი სახეობა საბჭოთა კავშირის დაშლის და მსოფლიოში

თანამედროვე კონფლიქტური რეალიების ჩამოყალიბების შედეგად გაჩნდა. აღნიშნული სივრცე არც საერთაშორისო სამართლის ფარგლებში, და არც კონკრეტული სახელმწიფოს სუვერენული მართვის ფარგლებში იმყოფებიან. მაგალითად, მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთის, ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთის", დნესტრის პირეთის ტერიტორიები დე-იურე აზერბაიჯანს, საქართველოსა და მოლდოვას ეკუთვნიან, მაგრამ დე-ფაქტო - არავის. სასაზღვრო - ტერიტორიის ეს სახეობა სამართლებრივი სტატუსის არმქონე უკონტროლო სივრცედ ითვლება და ცალკე არალეგიტიმური რეჟიმების მიერ, ეთნო-სეპარატისტული ჯგუფებისა ან შეიარაღებული პირების მიერ იმართებიან [14, 33].

ასევე, სახელმწიფოს შიგნით ს ა ს ა ზ ღ ვ რ ო ვ ე ლ ი ეწოდება ისეთ ტერიტორიას, რომელიც ტ ო ტ ა ლ უ - რ ი ვ ე ლ ი ს გარეთ იმყოფება და რომელიმე სახელმწიფოს მიერ არის კონტროლირებული.

აქვე აღვნიშნავთ, რომ არის საზღვრის მონაკვეთი, რომელსაც მ ტ კ ა ვ ა ლ ი ს ი ვ რ ც ე ეწოდება და ერთი ან რამდენიმე ქვეყნის მითვისების ობიექტს წარმოადგენს. ხშირად ეს მითვისება გარე გეოპოლიტიკური ზეწოლის ქვეშ მიმდინარეობს [14, 35].

2. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და სასაზღვრო პრობლემები

ჩვენი სამშობლოს დღევანდელი საზღვრები მოიცავს ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ,,ნებაყოფლობით“ გაერთიანებული საქართველოს ტერიტორიას. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო მსოფლიო თანამეგობრობის წევრი ქვეყანა სწორედ ამ „საბჭოური“ ტერიტორიითა და საზღვრებით გახდა [8,5].

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტიდან, ქვეყანა, როგორც სხვა ახლადდამოუკიდებელი სახელმწიფოები, მუშაობს საკუთარი საზღვრების რეგულირების საკითხებზე და მსოფლიო პოლიტიკიდან გამომდინარე საკუთარი საზღვრების დადგენაზე. საზღვრების, როგორც სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი უმთავრესი ატრიბუტების საკითხი მნიშვნელოვანია, როგორც საქართელოს მდგრადი განვითარებისა და უსაფრთხოებისათვის, ასევე კავკასიის რეგიონისათვის მთლიანობაში.

სახელმწიფო საზღვრების უშიშროების საკითხი სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა და პირდაპირაა დაკავშირებული თვით სახელმწიფოს, საზოგადოების და საზღვრისპირა ტერიტორიებზე მცხოვრები თითოეული მოქალაქის ინტერესების დაცვასთან. საზღვრისპირა თანამშრომლობა

საგარეო პოლიტიკის გატარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ევროპული გამოცდილება ასევე გვაჩვენებს, რომ სწორი მიდგომა და საზღვრისპირა თანამშრომლობის განვითარების დაგეგმვა ხელს უწყობს საერთაშორისო ურთიერთობების გაუმჯობესებას [16, 5].

საქართველოს გააჩნია მაღალი ტრანსსასაზღვრო პოტენციალი: საქართველოს ყველა მხრიდან მხოლოდ ერთია შიდა მხარე. ყველა დანარჩენს გააჩნია გარე საზღვრები (სახმელეთო და საზღვაო ერთად). ამიტომ, საზღვრების დადგენის საკითხი, საზღვრების ეფექტური დაცვის უზრუნველყოფა, უაღრესი მნიშვნელობის მქონე საკითხია. მეზობელ ქვეყნებს შორის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების მდგომარეობა, შიდა პოლიტიკური, ეკონომიკური ფაქტორები და მთლიანობაში გარშემო არსებული გეოპოლიტიკური სიტუაცია პირდაპირ ახდენს გავლენას ქვეყნის უნარზე, დაიცვას საკუთარი საზღვრები.

საზღვრების დაცვის რეჟიმის ცვლილება გავლენას ახდენს საზღვრისპირა რეგიონების დემოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. გაუკაცრიელებული დასახლებები საზღვრებთან ახლოს, იქ სადაც დელიმიტაციის და დემარკაციის პროცესი დასრულებული არ არის, საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში საზღვრების შემოწევისათვის მოხერხებულ სიტუაციას ქმნის. შედეგად სახეზე გვაქვს რეალობა, როდესაც ერთის მხრივ საზღვრები და საზღვრისპირა რეგიონები

მინიმუმ ფორმალურად მაინც არის სახელმწიფოს ცენტრში, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც წესი, სუ-ბიქეტური და ობიექტური მიზეზების გამო საზღვრის-პირა რეგიონები მეტად წამგებიან სიტუაციაში არიან და უხდებათ რიგ შეზღუდვებთან გამკლავება, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანების, პროდუქციის, იდეების და მომსახურებების გადაადგილებასთან, რაც გამოწ-ვეულია საზღვრის სიახლოვით [16, 5-6].

1992 წლის გაზაფხულიდან დაიწყო საქართველოს დე იურე ცნობის პროცესი (მაგალითად, აშშ-მ დიპლო-მატიური ურთიერთობა დაამყარა საქართევლოსთან 1992 წლის 23 აპრილს, რასაც წინ უძღვოდა აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის განცხადება 1991 წლის 25 დეკემბერს საქართველოს აღიარების შესახებ).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს დამოუ-კიდებელი სახელმწიფოებრიობის აღიარების პროცესი ერთი შეხედვით 1918-1921 წლების მსგავსად განვითარ-და. პირველ ხანებში, მანამ სანამ საბჭოთა კავშირის დაშლა რეალურ ფაქტად არ იქცა, დასავლეთის ქვეყნებ-ში თავს იკავებდნენ საქართველოს რესპუბლიკის ყო-ველგვარი ცნობისაგან. ამას კიდევ ხელს უწყობდა ის ფაქტორი, რომ „პოსტკომუნისტური რეჟიმი საქართვე-ლოში (როგორც ამას დასავლეთის ლიდერები მიიჩ-ნევდნენ ა.ს.) ვერ აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტან-დარტებს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში“.

1992 წელს საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 179-ე წევრი გახდა. აღსანიშნავია, რომ გაეროში საქართველოს მიღების ფაქტი არ ნიშნავდა ჩვენი ქვეყნის ავტომატურ ცნობას ამ ორგანიზაციის ყველა წევრის მიერ [1, 97-98].

შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო საზღვრების დაცვის სტრუქტურის ფორმირება. 1992 წელს, საქართველოს სასაზღვრო სამსახური ჩამოყალიბდა, როგორც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ქვედანაყოფი. ამის შემდეგ აუცილებელი გახდა მეზობელ სახელმწიფოებთან საზღვრების დამტკიცების აუცილებლობა. მიუხედავად იმისა, რომ საზღვრების დადგენის პროცესი დაიწყო 1993-1994 წლებში ორმხრივი კომისიების მეშვეობით, თურქეთთან საზღვრის გარდა, დანარჩენი მონაკვეთების (აზერბაიჯანთან, რუსეთთან, სომხეთთან სახმელეთო საზღვრების და ასევე, შავი ზღვის აკვატორიის) დელიმიტაციის პროცესი არ არის დასრულებული.

ს ა ს ა ზ ღ ვ რ ო პ ო ლ ი ტ ი კ ა კი წარმოადგენს ,,ოფიციალურად მიღებული შეხედულებების სისტემას ქვეყნის საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებზე, ამოცანებზე, პრინციპებზე, ძირითად მიმართულებებსა და მექანიზმებზე“. ის სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, რომელიც

უზრუნველყოფს სახელმწიფოს უშიშროების უზრუნ-ველყოფისთვის საჭირო ამოცანების გადაჭრას საზღვრის დაცვის მიმართულებით [16, 18-19].

16 ივლისი საქართველოს ს ა ნ ა პ ი რ ო დაცვის დღედ არის დაწესებული. ეს ტრადიცია სათავეს 1998 წლიდან იღებს. საზღვაო საზღვრების დაცვის დაწყებით წერტილი დაესვა იმ განუკითხაობას, რაც მანამდე საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ხდებოდა [20, 14].

2006 წლის 20 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტი რეფორმირებულ იქნა სასაზღვრო პოლიციად. ამავე წლის 10 ნოემბრიდან ამ სისტემაში აღარ მსახურობენ წვევამდელები, და მთელი სტრუქტურა გადავიდა საკონტრაქტო სამსახურზე. ეს იყო ევროკავშირისა და ნატოს მთავარი მოთხოვნა საქართველოსადმი. ორგანიზაციული ტრანსფორმაციის პროცესს თან სდევდა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ფორმირება და დამტკიცება.

დღევანდელი საზღვრის მართვის მოდელი დაფუძნებულია კონტროლის ოთხ-დონიან მექანიზმზე - კონტროლის ღონისძიებები ქვეყნის შიგნით, სასაზღვრო კონტროლი, თანამშრომლობა მეზობელ ქვეყნებთან და ღონისძიებები გატარებული მესამე ქვეყნებთან თანამშრომლობით.

გათვალისწინებულია თანამშრომლობის სამი მიმართულება - შიდაუწყებრივი, უწყებათაშორისი და საერთაშორისო. ამგვარი მიდგომა მეტად მნიშვნელო-

ვანია საზღვრების მართვის ინტეგრირებული სისტემის ეფექტური რეალიზაციის პროცესში, რადგანაც შიდაუწყებრივი ურთიერთქმედების არასაკმარისი ეფექტურობა უარყოფითად მოქმედებს უწყებათაშორის და საერთაშორისო თანამშრომლობაზე [16, 19].

ზოგადად, სიტუაციამ განვითარება ჰპოვა საქართველოს ევროპული მეზობლების (2004წ.) პოლიტიკაში ჩართვის, საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შექმნის (2009წ.), საქართველოს აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკაში ჩართვის (2009წ.) და ევროკავშირიდან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის (2014წ.) შემდგომ.

ზემოთ აღნიშნული ნაბიჯების შედეგად ქვეყანამ მიიღო ახალი შესაძლებლობები და ინსტრუმენტები საზღვრისპირა და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ფორმირებისათვის. კერძოდ, 2009 წლის ივლისში შეიქმნა პირველი და ჯერჯერობით კავკასიაში ერთადერთი ე ვ რ ო რ ე გ ი ო ნ ი ,,ევროკავკასია“, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოსა და სომხეთის საზღვარზე.

2012 წლიდან მოქმედებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ტერიტორიული თანამშრომლობის პროგრამა, რომელიც საზღვრისპირა ტერიტორიების საერთო ამოცანების დადგენის და ერთობლივი მოგვარების შესაძლებლობას იძლევა. პროგრამის ფარგლებში არსებული ტერიტორიული თანამშრომლობა მოიცავს ოთხ რეგიონულ პროგრამას საზღვრისპირა რეგიონებს

შორის: აზერბაიჯანი და საქართველო, სომხეთი და საქართველო [16, 7].

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 მარტის #226 დადგენილების შესაბამისად, ,,საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მართვის სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“, დელიმიტაციის და დემარკაციის საკითხი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია; ასევე აღნიშნულია, რომ ამ საკითხის გადაწყვეტის გარეშე დატოვება უარყოფითად იმოქმედებს სახელმწიფო საზღვრის მართვის პროცესზე და, როგორც ქვეყნის, ასევე მთლიანად რეგიონის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სტაბილურობაზე [16, 5].

საზღვრების და საზღვრისპირა ტერიტორიების ფორმირების პროცესი საკმაოდ რთული პროცესია, რომელზეც გავლენას ფაქტორების მთელი კომპლექსი ახდენს, როგორიცაა: ეკონომიკური, პოლიტიკური, ისტორიული, ეთნოგრაფიული, სოციალური და სხვა ფაქტორები. შესაბამისად, საზღვრები და საზღვრისპირა რეგიონები და მათში მიმდინარე პროცესები კვლევის საგანი ხდება მრავალი სხვადასხვა დისციპლინების ფარგლებში - ისტორია, გეოგრაფია, პოლიტოლოგია, ეთნოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობები, სოციოლოგია, ეკონომიკა და მრავალი სხვა. XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო ცალკეული დისციპლინათაშორისი მიმართულების ფორმირება, რომელსაც სხვადასხვა სამეცნიერო სკოლებში მიესადაგა ისეთი ტერმინები, როგო-

რიცაა ,,ლ ი მ ო ლ ო გ ი ა“, ,,საზღვრისმცოდნეობა“. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ საზღვრების შესწავლის საწყის ეტაპზე დომინირებდა მიდგომები, რომლებიც საზღვარს განიხილავდა როგორც ,,არსებულ რეალობას“, ადამიანური ფაქტორის გათვალისწინების გარეშე. თუმცა, ასეთი მიდგომა ვერ იძლეოდა პასუხს ისეთ კითხვებზე, როგორიცაა, მაგალითად, თუ რატომ იწვევს გარკვეულ შემთხვევებში საზღვრის უმნიშვნელო ცვლილება სისხლისმღვრელ ომს და სხვა შემთხვევებში კი, ეგრეთ წოდებულ ,,ახალ საზღვრებთან“ დაკავშირებით დავა საერთოდ არ წარმოიშვება.

მხოლოდ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო საზღვრის შესწავლის ახალი მიდგომები, რომლის მიხედვითაც საზღვრები განიხილებოდა როგორც სოციალური სტრუქტურები, გეოპოლიტიკის, უშიშროების და ეკოლოგიის საკითხების გათვალისწინებით [16, 8].

საქართველოს გაჩნია საზღვრისპირა და ტრანსსასაზღვრო ურთიერთობების სხვადასხვა ფორმების განხორციელების გარკვეული გამოცდილება. საზღვრისპირა რეგიონებში აქტივობას ადგილობრივი მოსახლეობის, ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფო სტრუქტურების და ადგილობრივი ხელისუფლების კომუნიკაციის დონეზე მდიდარი ისტორიული წარსული გააჩნია, რამაც შექმნა დღევანდელი და მომავალი განვითარების ბაზა.

საზღვრისპირა რეგიონების მაცხოვრებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ სხვადასხვა სფეროებში. ძირითადად ეს ეხება ვაჭრობას, ჯანდაცვის სამსახურებს, რელიგიურ და კულტურულ დღესასწაულებში მონაწილეობას და საგანგებო სიტუაციებში ერთმანეთის დახმარებას. თუმცა, მოცემული აქტივობები, გარკვეულ მომენტამდე ქაოტურად და სპონტანურად ვითარდებოდა [16, 6-7].

3. პოლიტიკური კონფლიქტები საზღვრისპირა რეგიონებში

ხშირ შემთხვევაში კონფლიქტური კერები ჩნდება სახელმწიფოს სასაზღვრო ზოლში, იქ, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ არადომინანტი ეთნოსის წარმომადგენლები - ეროვნული უმცირესობა, რომელიც თავისი ეროვნული შემადგენლობით ენათესავება ამ ტერიტორიის მოსაზღვრე სახელმწიფოს მოსახლეობას. ასეთ რეგიონებში უფრო ადვილად იჩენს თავს სეპარატისტული მოძრაობა, იმისდა მიუხედავად, აქ დაძაბული ვითარებაა, თუ არა. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოს სასაზღვრო ზოლია.

საქართველოში არაქართველი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული ექვსი რეგიონია: აფხაზეთი, შიდა ქართლის ჩრდილო ნაწილი (ე.წ. სამხრეთ ოსეთი), ქვემო ქართლი, ჯავახეთი, პანკისის ხეობა და ყვარლის

რაიონი [21, 50-51]. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის დადგენილებით, ,,სამხრეთ ოსეთის ოლქი“ იწოდება ,,ცხინვალის რეგიონად“, ხოლო ადმინისტრაციული რაიონი - მუნიციპალიტეტად [9, 30]. ამ გადაწყვეტილებით საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ გააუქმა ხელოვნურად შექმნილი ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულთან ქვეყნის შიდა საზღვარი, თუმცა საქართველოს იურისდიქცია აღნიშნულ ტერიტორიაზე კვლავ არ ვრცელდება.

როდესაც სუსტდება პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, ეთნიკური უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლებში ამოქმედებას იწყებს ეთნიკურობის ყველაზე საშიში ფორმა - ნაციონალიზმი, რომლის სათავეშიც დემაგოგი პოლიტიკოსები დგებიან. კონფლიქტებში ვლინდება გარკვეული მიზნების მქონე ადამიანების, ან ადამიანთა ჯგუფების უკმაყოფილება მათთვის არახელსაყრელი გარემოს მიმართ. ეს მაშინ ხდება, როდესაც თავს იჩენს ის სადავო საკითხები, რომელთა შესახებ მოლაპარაკება შეუძლებელია. ამის შედეგია ადამიანთა ჯგუფების ისეთი ქცევა, რომელიც სერიოზულ ზიანს აყენებს როგორც ინდივიდებს, ასევე საზოგადოებებს, ერებს და ემუქრება მათ ფიზიკურ, თუ ფსიქოლოგიურ უშიშროებას. დაპირისპირება სხვადასხვა ფორმით ვლინდება: ქუჩის ძალადობით, მკვლელობებით, რელიგიური ომით, ეთნიკურ ურთიერთო-

ბათა გამწვავებით, ტერიტორიული ექსპანსიითა და ერთაშორისო კონფლიქტებით [[22, 7].

ეთნოკონფლიქტები ქართველებსა და საქართველოში მცხოვრებ ოსებს, ,,აფხაზებს“, ჩეჩნებს, ლეკებს, აზერბაიჯანელებს, სომხებსა და სხვა ეროვნულ უმცირესობებს შორის ისტორიული სინამდვილე გახლავთ. მომხდარი ბრძოლები, როგორც შორეულ ისე ახლო წარსულში კი არ უნდა მივჩქმალოთ, პირიქით, ყოველმხრივ - ფოლკლორული თუ დოკუმენტური წყაროებით უნდა გამოვიტანოთ დღის სინათლეზე. იმ ხ ლ ა რ თ ე ბ ი ს მხილებაც მხოლოდ ამ საშუალებით მოხერხდება და დაახლოების გზებიც ასე მოიძებნება, თორემ საბურველის ჩამოფარება როდის ყოფილა დაახლოების საწინდარი.

რა თქმა უნდა, მხოლოდ ის, რომ კონფლიქტში მხარეები სხვადასხვა ეროვნების არიან, ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ეთნიკურ კონფლიქტთან გვაქვს საქმე. თუ კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი და მიზანი ერთი სახელმწიფოს ისტორიული ტერიტორიის ხელყოფაა მეორის სასარგებლოდ და იგი გარკვეულწილად გარედან იმართება, ეს უკვე პოლიტიკური კონფლიქტია [23, 597].

საერთაშორისო სამართალი ეწინააღმდეგება სეპარატიზმს, რომლის მიზანია ცალმხრივად ძალის გამოყენებით ხელყოს სუვერენული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა, ერის (ხალ-

ხის) თვითგამორკვევის მოტივით. ამის ნათელი მაგალითია კონფლიქტი, რომელიც მოახვიეს საქართველოს აფხაზმა და ოსმა სეპარატისტებმა [1, 68].

ვინ იყვნენ და არიან აფხაზები (აფსუები) [24] და ოსები [25], როგორც საქართველოს მოსახლეობა? ოსები წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ უმცორესობას, მსგავსად აფხაზებისა (იგივე აფსუებისა) და მათ ჰქონდათ საქართველოში ყველაზე მაღალი დონის ავტონომია (განსხვავებით კულტურული ავტონომიისაგან).

საერთოდ, ეროვნულ უმცირესობათა წინაპრად გვევლინება ,,რელიგიური უმცირესობა“. ფეოდალური სამყარო, რომელიც ძირითადად არ იცნობდა ,,ეროვნული უმცირესობის“ ცნებას, სახელმწიფოები ცდილობდნენ სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ერთმორწმუნეთა დაცვას ამ ქვეყანაში გაბატონებული უცხო რელიგიისაგან, რისთვისაც ამ ქვეყნებთან დებდნენ სათანადო შეთანხმებას. XVII საუკუნიდან ხშირდება ასეთი სახის ხელშეკრულებანი ევროპული სახელმწიფოების პრაქტიკაში, როგორც ერთმანეთს შორის (ვესტფალიისა და ინსბრუკის 1648 წლის ხელშეკრულებანი, ვენის 1815 წლის კონგრესის აქტები), ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებთან (რუსეთ-თურქეთის 1774 წლის ხელშეკრულება და ა.შ).

XX საუკუნიდან რელიგიურ უმცირესობათა დაცვა ,,ეროვნულ“ უმცირესობათა ინტერესების ,,უზრუნველყოფით“, იცვლება, დიდმა სახელმწიფოებმა დაქსაქსეს

პატარა ერები ევროპის გულში ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ი ს ხელოვნურად გატარების მეშვეობით: ცნობილია, რომ ვერსალის სისტემამ (1919 წელს) ავსტრია-უნგრეთის ადგილას შექმნა რამდენიმე სახელმწიფო, სადაც დიდი პროცენტი ,,ეროვნული უმცირესობანი“ იყო.

პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასთან, იუგოსლავიასთან, უნგრეთთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან, საბერძნეთთან და თურქეთთან დადებულ ხელშეკრულებებში ინგლისმა და საფრანგეთმა შეიტანეს სპეციალური პუნქტები ,,ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“. მაგრამ შემდგომ ამ უმცირესობათა ჩივილებს და მოთხოვნებს არავინ ყურადღებას არ აქცევდა; ყრუ იყო მათი მოთხოვნებისადმი ერთა ლიგაც, რომელსაც უშუალოდ ეკისრებოდა უმცირესობათა ინტერესების დაცვა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია უარყოფს ეროვნულ უმცირესობათა უფლებას - უშუალოდ მიმართონ მას პეტიციით, მაგრამ, აძლიერებს მოთხოვნას თვით სახელმწიფოების მიმართ ადამიანის და ერების ღირსებისა და თავისუფლების ხელშეუხებლობის დარგში. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავე სახელმწიფოს მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იძულება. საკითხის დასმის უფლება გააჩნია ყველა წევრ-სახელმწიფოს და ორგანიზაციის გენერალურ მდივანს. ამგვარად, გაერო-ს წესდება არ ხმარობს ტერმინს - ,,ეროვნული უმცირესობა“, მაგრამ ქმნის მათი დაცვის რეალურ გარანტიებს.

შემდგომ გაერო-ს ორგანოებში დაიწყო ეროვნული უმცირესობის ცნების და შინაარსის შემუშავება. ძალზე ძნელი გახდა ,,ეროვნული უმცირესობის“ ცნების დადგენა. ამან განაპირობა, რომ პაქტი ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ იხსენიებს ,,ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ ჯგუფებს“, რომლებსაც მიეცემათ უფლება ისარგებლოს თავისი კულტურით, რელიგიით, მშობლიური ენით. ამდენად, ამ ჯგუფებს მიეცემა ფართო ეროვნულ-კულტურული ავტონომიის უფლება და ,,ა რ ა უ ფ ლ ე ბ ა შ ე ქ მ ნ ა ნ ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ- პ ო ლ ი კ უ რ ი წ ა რ მ ო ნ ა ქ მ ნ ი, მ ი თ უ მ ე ტ ე ს, ს უ ვ ე რ ე ნ უ ლ ი ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო“, რადგანაც ეს ჯგუფები ცხოვრობენ ტერიტორიაზე, რომელიც ისტორიულად მიეკუთვნება ამ სუვერენული სახელმწიფოს ხალხს (ერს) და მოქცეულია მისი სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში.

ეს დებულება შემდგომ კიდევ უფრო გაღრმავდა - ის ერიც, რომელიც ამა თუ იმ სახელმწიფოში ცხოვრობს და, თუნდაც ძირძველი მოსახლეობაა, მაგრამ ამ უმცირესობას წარმოადგენს, მასაც თვითგამორკვევის უფლება არ გააჩნია, თუ ის დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრობს და მისი ინტერესები ადეკვატურად არის დაცული სხვა სტრუქტურებში.

ურღვევ პრინციპად არის აღიარებული, რომ ე რ ო ვ ნ უ ლ ი უ მ ც ი რ ე ს ო ბ ი ს პ რ ე ტ ე ნ ზ ი ა ა რ შ ე ი ძ

ლ ე ბ ა ე ხ ე ბ ო დ ე ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ტ ე რ ი ტ ო რ ი უ ლ მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა ს ა და ს უ ვ ე რ ე ნ ი ტ ე ტ ს.

ეს კიდევ ერთხელ დამტკიცებული იქნა ,,პარიზის ქარტიაში ახალი ევროპისათვის“ და ,,ჰელსინკი-2“-ის გადაწყვეტილებებში.

დღეს ,,ეროვნული უმცირესობის“ ცნების ქვეშ იგულისხმება ჯგუფი, რომელიც რიცხობრივად მცირეა ძირითად მოსახლეობაზე და განსხვავდება მისგან თავისი ენით, რელიგიით, ეთნიკური კუთვნილებით [1, 275-276].

სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ სცნობს ისეთი ერთეულების გამოყოფას, რომლებიც ძალით გამოეყვნენ დემოკრატიულ სუვერენულ სახელმწიფოს და ცდილობენ შექმნან თავისი ,,დამოუკიდებელი“ სახელმწიფო, მით უმეტეს, თუ სეპარატისტების რეჟიმმა განახორციელა ეთნიკურად განსხვავებული მოსახლეობის გენოციდი ან ჩაატარა ეთნიკური წმენდა გენოციდური მეთოდების და საშუალებების გამოყენებით. ამიტომ არ ცნობს სახელწმიფოთა თანამეგობრობა არც აფხაზეთისა და არც ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობას და მოითხოვს რუსეთის ფედერაციისაგან, უარი თქვას ამ რეჟიმების ცნობაზე, რაც მან გააკეთა საქართველოს ამ ტერიტორიების ოკუპაციის დროს [1, 94-95].

ჯერ კიდევ 1932 წელს აშშ-მა მიიღო ე.წ. ს ტ ი მ ს ო ნ ი ს დ ო ქ ტ რ ი ნ ა, რომლის მიხედვითაც აშშ უარს

აცხადებდა ძალის ნებისმიერი სახის გამოყენებით შეძენილი ტერიტორიების დიპლომატიურ ცნობაზე. უნდა ითქვას, რომ აშშ დღემდე ერთგულად ასრულებს აღნიშნული დოქტრინით ნაკისრ ვალდებულებებს. სწორედ ამის შედეგია რუსეთის მიერ ოკუპირებული ქართული ტერიტორიების არცნობის პრინციპული პოზიცია, რომელსაც აშშ ახორციელებს. თეთრი სახლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა განცხადებით შეერთებული შტატები არასდროს აღიარებს აფხაზეთისა და ე.წ. ,,სამხრეთ ოსეთის" დამოუკიდებლობას. საერთაშორისო თანამეგობრობა დაჟინებით მოითხოვს რუსეთისგან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დატოვებას [26, 6].

გავიხსენოთ, რომ 1992 წლის 3 მარტს ვაშინგტონში, რადიოსადგურ ,,ამერიკის ხმის" სააქტო დარბაზში ჩატარდა კონფერენცია, რომელიც ბჭობდა ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებულ მდგომარეობაზე. განხილულ საკითხთაგან ერთ-ერთი ცენტრალური იყო სიტუაცია კავკასიაში, მათ შორის საქართველოში. ამ თემაზე ისაუბრა ცნობილმა ამერიკელმა სოვეტოლოგმა, პროფესორმა ვ ი ქ ს მ ა ნ მ ა. პროფესორმა აღნიშნა, რომ ,,ჩემს მრავალ პუბლიკაციაში ვსვამ კითხვას: რატომ არსებობს აფხაზეთის ავტონომია? განა საგულისხმო არ არის ის ფაქტი, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა თავიდან მხოლოდ 34 ათასი აფხაზისათვის შეიქმნა?"

კონფერენციის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში პროფესორი ვიქსმანი შეეხო ,,სამხრეთ ოსეთის“ საკითხს: ,,ეჭვი არ არის, რომ ქართველებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია სამხრეთ ოსეთის პრობლემა. ეს საქართველოა. ოსებმა გადმოლახეს საქართველოს საზღვარი მონღოლ-თათართა კავკასიაში ყოფნისას. ქართველებმა შეიფარეს ოსები. ჩემთვის - ამბობს ამერიკელი ექსპერტი, ნახსენებ საკითხთა შორის ყველაზე ბუნდოვანია ოსეთის პრობლემა. საერთოდ, ისმის კითხვა: რატომ გაჩნდა ეს პრობლემა? არაფერია იმაზე ნათელი, რომ სამხრეთ ოსეთი საქართველოა“.

ვიქსმანის მართებული დასკვნით - თავიანთი ტერიტორიის საკითხებს ქართველები საქართველოში კი არ წყვეტდნენ, არამედ მოსკოვში ხდებოდა [27].

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის დარღვევასთან დაკავშირებით, რამაც გამოიწვია ს ა ს ა ზ ღ ვ რ ო ც ვ ლ ი ლ ე ბ ე ბ ი, საინტერესოა ეუთოში აშშ-ის ელჩის ჯ ე ი მ ს გ ი ლ მ ო რ ი ს, ვენაში მუდმივმოქმედი საბჭოსადმი წარდგენილი განაცხადი. აღნიშნული მიმართვა შეტანილია 2020 წლის 29 მაისს, სადაც აღნიშნულია: ,,სამხრეთ ოსეთის ტერიტორია არ არსებობს, ეს საქართველოს ოკუპირებული ნაწილია... სამხრეთ ოსეთის საზღვარი არ არსებობს. ეს მთლიანად საქართველოს ტერიტორიაა“ [28, 20].

საერთაშორისო სამართალში არ არის შემუშავებული არასაერთაშორისო კონფლიქტების დროს მოქმედი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების ზუსტი განსაზღვრება და ბევრი რამ განისაზღვრება კონფლიქტში ჩაბმული ძალების დამოკიდებულებით ცივილიზაციის მიერ შემუშავებული ფასეულობების მიმართ.

ამ თვალსაზრისით ნათლად ჩანს აფხაზ სეპარატისტთა ბარბაროსული სახე, რომლებიც არღვევდნენ ომის წარმოების ელემენტარულ წესებს: ბომბავდნენ მშვიდობიანი მოსახლეობით სავსე რაიონებს. სოხუმში უმოწყალოდ აწამებდნენ და კლავდნენ მოქალაქეებს დროებით დაკავებულ იზოლატორებში. მთელ მსოფლიოს მოედო გაგრის და გალის რაიონების ტრაგედია, სადაც ასობით ქართული ოჯახი განადგურდა, დაიღუპა და დასახიჩრდა მრავალი ადამიანი, ხოლო მათი სახლები გადაწვეს და მიწასთან გაასწორეს. ამასთან, 250 000 ქართველი გააძევეს აფხაზეთიდან ტერორისა და დახვრეტის მუქარით. ეს ქმედება საერთაშორისო დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება და მისი ჩამდენნი მკაცრად უნდა დაისაჯონ საჩვენებელი სასამართლო პროცესის ჩატარებით [1, 410-411].

პირველ რიგში აღსანიშნავია გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 8 დეკემბერს მიღებული კონვენცია გენოციდის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. იგი განსაზღვრავს გენოციდს, როგორც ,,მოქმედებას, რომლის მიზანია მთლიანად ან ნაწილობრივ გაანად-

გუროს ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფი“, აცხადებს მას საერთაშორისო-სამართლებრივ დანაშაულად და ითვალისწინებს დამნაშავეთა დასჯას (მუხ.7).

ბოლო წლებში გენოციდის ახალი ფორმა წარმოიშვა - ე თ ნ ი კ უ რ ი წ მ ე ნ დ ა, რომელიც აგრესიული სეპარატიზმის მთავარი იარაღია, მის მიერ ხელში ჩაგდებული ტერიტორიიდან არასასურველი მოსახლეობის ფიზიკური განადგურებით ან ძალისმიერი დეპორტაციის საშუალებით ლიკვიდაციისა.

დღეს ეთნიკური წმენდა გამოიხატება შემდეგში: მკვლელობა, წამება, თვითნებური დაპატიმრება და დაკავება, გაუსამართლებელი დასჯა, გაუპატიურება და სექსუალური ხელყოფა, სამოქალაქო მოსახლეობის ძალადური განდევნა, გადაადგილება და დეპორტაცია, სამოქალაქო მოსახლეობასა და რაიონებზე მიზანმიმართული სამხედრო თავდასხმები თუ თავდასხმების მუქარა, საკუთრების უაზრო განადგურება.

ეთნიკური წმენდა ესაა ერთი ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფის მიერ შემუშავებული მიზანმიმართული პოლიტიკა გარკვეული გეოგრაფიული რაიონებიდან სხვა ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფის სამოქალაქო მოსახლეობის ძალადური და ტერორის მეთოდებით განდევნისა. მნიშვნელოვანწილად იგი ხორციელდება ფსევდონაციონალიზმის, ისტორიული წყენისა და შურისძიების გრძნობის მეშვეობით ტერიტორიის ოკუპაციისა და ამ

ტერიტორიიდან ამა თუ იმ ჯგუფისა თუ ჯგუფების განდევნის მიზნით, რომელთა მიმართ გამოყენებულია ეს წმენდა.

ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ახალი ფორმა მკაფიოდ გამოიხატა აფხაზ სეპარატისტთა მოქმედებაში მათ მიერ დაკავებულ და მითვისებულ ტერიტორიებზე, რაც არაერთხელ დაგმობილ იქნა ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მიერ (1994 წლის 6 დეკემბერი, ბუდაპეშტი). ლისაბონის სამიტზე (1996 წლის 5 დეკემბერი) განისაზღვრა ეთნიკური წმენდის შინაარსი აფხაზეთში ძირითადად ქართველი მოსახლეობის მასობრივი განადგურება და ძალადური გაძევება მიუთითებს ამ გადაწყვეტილებას თავის რეზოლუციაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, აგრეთვე, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების სამიტები [1, 271-272].

,,დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ ხელმოწერილ ოქმში 1991 წლის 8 დეკემბერს მინსკში გათვალისწინებულია, რომ ხელმომწერი მხარეები ცნობენ და პატივს სცემენ წევრი ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას და არსებული საზღვრების ხელშეუხებლობას. ისინი გარანტიას იძლევიან საზღვრების გახსნის შესახებ და გადაადგილების თავისუფლებას თანამეგობრობის მოქალაქეთათვის. ასევე ინფორმაციის გავრცელების ვალდებულებას.

აღნიშნული მდგომარეობის შემდგომ განმტკიცებას ემსახურებოდა ამავე წლის 21 დეკემბრის ალმა-ათის დეკლარაცია, რომელსაც ხელი მოაწერა თერთმეტმა ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ (ბალტიისპირეთის სახელმწიფოებისა და საქართველოს გარდა). დეკლარაციაში ხაზგასმით დაფიქსირდა: ,,ვცნოთ და პატივი ვცეთ ერთმანეთის ტერიტორიულ მთლიანობას და ურღვევობას არსებულ საზღვრებში“ [13, 17-18].

ის ფაქტი, რომ საქართველო არ იყო ხელმომწერ მხარეთა შორის, რუსეთს ერთგვარ კოზირს აძლევდა გულგრილი ყოფილიყო საქართველოს საზღვრებისადმი და საკუთარი გეგმების რეალიზაციაზე ეფიქრა მის მიერვე გაჩაღებული კონფლიქტების ესკალაციისათვის.

,,დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის“ წესდება მიღებული იქნა 1993 წლის 22 იანვარს მინსკში. შევარდნაძემ საქართველო თანამეგობრობაში ,,შეიყვანა“. წესდების მე-3 მუხლში ხაზგასმულია სახელმწიფოთა საზღვრების ურღვევობა, არსებული საზღვრების ცნობა და უარის თქმა ტერიტორიის არასამართლებრივი მითვისებისაგან, რაც გამოიწვევს სახელმწიფოს ტერიტორიულ რღვევას. ,,უარის თქმა ნებისმიერ ქმედებაზე, რომელიც მიმართული იქნება სხვისი ტერიტორიის დანაწილებისათვის“ [13, 79]. 2002 წლის 7 ოქტომბერს წესდება შეიცვალა ,,კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულებით“.

მკითხაობა არ ჭირდება იმ ფაქტის აღნიშვნას და შეფასებას, რომ თანამეგობრობის სულისჩამდგმელმა

რუსეთმა უხეშად დაარღვია მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი 2008 წლის აგვისტოს ომში. გაკვირვებას იწვევს იმაზე კამათი და მსჯელობა, თუ ვინ დაიწყო ომი? და ტალიავინის კომისიის ტენდენციური და არაფრის მომცემი დასკვნების ჭეშმარიტებად მიჩნევა. აქ, სააკაშვილის სიმპატია - ანტიპატია და მისი მცდარი ნაბიჯების განხილვა არ უნდა იყოს შეფასების კრიტერიუმი. პასუხი დღესავით ნათელია! ვის ტერიტორიაზე მიდიოდა საბრძოლო ოპერაციები და, რომელი ქვეყნის საზღვრებში შემოიჭრა უცხო ქვეყნის სამხედრო ძალა. და ბოლოს, ვისი ტერიტორიის ოკუპაცია განხორციელდა?

რა გასაკვირია ოსების პრეტენზიები ქართული ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად, როცა მათ ფანტაზიას ,,საზღვარი“ არ გააჩნია. 1994 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოცემულ წიგნში ვკითხულობთ, რომ სკვითებს შეუქმნიათ უდიდესი ცივილიზაცია ბერძნების შემდეგ; მათ მემკვიდრეებს ალანებს, „მსოფლიოში ამ უკეთილშობილეს და უმამაცეს ხალხს“, თავისი ხმლით შემოუხაზავთ ევროპა, აზია, ჩრდილოეთ ამერიკა და ყველგან თავისი კვალი დაუტოვებიათ, დაუმკვიდრებიათ თავისი კულტურა; „აზია“ ოსური სახელი ყოფილა, „კავკასია“ - ოსებიდან მომდინარეობს, ისინი ყოფილან ამ კუთხის პირველი მაცხოვრებლები, ლონდონიც ოსური ქალაქი ყოფილა. წიგნის შემდგენელი (კ. ჩელეხსათი) და რედაქტორი (ლ. ჩიბიროვი) თავიანთ

მკითხველებს მოძღვრავენ“, რომ 406 წლის 31 დეკემ-ბერს ალანების ნაწილი რეინზე გადავიდა და ვანდა-ლებთან ერთად გალიაში განსახლდა, 409 წელს ესპა-ნეთს მიაღწიეს და შექმნეს დამოუკიდებელი სახელმწი-ფო, 418 წელს კი გარდაიცვალა ალანების უკანასკნელი მეფე აუდაკი და ამით დასრულდა ალანთა სამეფო. ალანია უმდიდრესი ქვეყანა ყოფილა ოქროთი, ძვირ-ფასი ქვებით, ფოლადის იარაღით, ბრწყინვალე ტანსაცმლით, თავად ალანები კი - კავკასიაში იყვნენ მოდების კანონმდებელნი და ა.შ.

ჩ. ბაგათი ზემოთ აღნიშნულს იმასაც უმატებს, რომ საფრანგეთის ცნობილი ქალაქი ორლეანიც ალანებს დაუარსებიათ და ის ალანთა სამეფოს დედაქალაქიც ყოფილა. იგივე ავტორი თავის პუბლიკაციაში ანვითა-რებს აზრს, რომ ოსები „მიეკუთვნებიან ინდო-გერმა-ნულ ხალხებს და ცხოვრობენ ვრცელ ტერიტორიაზე კუნძულ ცეილონიდან ისლანდიამდე“. ოსი ავტორები ბოლო ხანს გამოცემულ წიგნებსა თუ საგაზეთო წერილებში თავიანთ მკითხველებს არწმუნებენ, რომ სკვითებმა შექმნეს უძველესი დიდი ცივილიზაცია; ისინი იყვნენ პირველნი, რომელთაც ჰქონდათ თავისი დამწერლობა; სკვითები პირველნი დამკვიდრდნენ იმიერ და ამიერ კავკასიაში; სკვითები იყვნენ კავკასიის ხალხების წინაპრები, ცხადია, ქართველების გარდა; ისინი იყვნენ მხოლოდ ოსების წინაპრები; სახელოვანი წინაპრების დიდებულმა შთამომავლებმა ალანებმა - „

მსოფლიოში ამ უმამაცესმა და ამ უკეთილშობილესმა ხალხმა“ ხმლით შემოხაზა მთელი კავკასია და არა მარტო კავკასია, არამედ მსოფლიოს ხუთივე კონტინენ-ტი და ყველგან თავისი კვალი დააჩნიეს; „გარკვეულია ქვედა პალეოლითელი ადამიანის ეთნიკური ვინაობაც, ისინი ოსები იყვნენ, ჩრდილოეთ და სამხეთ ოსეთში განსახლებულნი და აქედან ედება სათავე ბრძოლას ორი ოსეთის გასაერთიანებლად; სამხრეთელი ოსების ისტო-რიული სამშობლო იყო ვრცელი ტერიტორია სოხუმი-დან ბაქომდე და ერევნიდან სოფელ თლიმდე; გარდა ამისა, სად არ ვხვდებით ოსთა სამეფოებს: ევროპაში, აზიაში, ამერიკაში, აფრიკაში. სად არ ვხვდებით ოს მოღვაწეებს, უძველესი ხანის ფილოსოფოსებს, ისტორი-კოსებს, მხედართმთავრებს, სად არ დამშვრალა მათი ხმალი, არ დაფრქვეულა უბადლო ნიჭი და შემოქმედება და ა.შ. ალბათ, ჭეშმარიტი მეცნიერი უხერხულად ჩათვლის თავს, რომ ყოველივე ამას კომენტარი გაუკე-თოს. თქმულს ისიც უნდა დაემატოს, რომ ბოლო დროს „მეცნიერები“ ოსების წმინდა არიული წარმომავლობის შესახებაც საუბრობენ; „ამტკიცებენ“, რომ თითქოს ინდო-ირანელები ოდითგანვე ცხოვრობდნენ კავკასიო-ნის მთავარი ქედის ორივე მხარეს; ყობანისა და თლის კულტურების შემქმნელნიც ირანული მოდგმის ტომები იყვნენ [29,71-72].

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ სამხედრო გზით შეძლო ცხინვალის

რეგიონისა და აფხაზეთის აშკარა ოკუპირება. ამ ფაქტი-დან 11 წლის შემდეგ კი ოსი სეპარატისტეების ხელით დაიწყო ოკუპაციის ხაზის ფარულად გადმოწევა ერთბაშად რამდენიმე კილომეტრზე.

ხაშურის რაიონის სოფელ ჩორჩანასთან, ადმი-ნისტრაციული საზღვრის სიახლოვეს ქართული პოლი-ციის საგუშაგოს გახსნის საპასუხოდ, ოსმა სეპარატის-ტებმა, რუსი ოკუპანტების მხარდაჭერით ოკუპაციის ხაზი (რომელიც მანამდე ადმინისტრაციულ საზღვარზე გადიოდა) თითქმის ორი კილომეტრით გადმოგვიწიეს.

ოკუპაციის ხაზის ასეთი მანძლით გადმოწევა უკავშირდებოდა სასარგებლო წიაღისეულის საბადო-ებს, რომლებიც საოკუპაციო ხაზთან არის და რომელთა ხელში ჩაგდებაც სურდათ ცხინვალელ სეპარატისტებს, რათა შემდეგ აქ უცხოელი ინვესტორები შემოეყვანათ და მოგება მიეღოთ.

ჩორჩანას ხაზთან 2019 წლის სექტემბერში დაწყე-ბული დაძაბულობა წლის ბოლოს მინელდა, რადგან ლამის მთელი ყურადღება დედაქალაქის ცენტრში ოპოზიცია-სამართალდამცავების დაპირისპირებისკენ იყო მიპყრობილი. სეპარატისტებმა ამით ისარგებლეს და „ახალმოპარულ“ ქართულ მიწაზე ახალი სამანქანო გზები გაჭრეს, თავდაცვის ზღუდეები მოაწყვეს და ოკუპაციის ახალი ხაზი „დაამტკიცეს“ [30, 8-9].

მთლიანობაში, კავკასიაში არსებული პოლიტი-კური კონფლიქტები უარყოფითად მოქმედებს მის

უსაფრთხოებაზე და ჰუმანიტარული კრიზისების განვითარების პოტენციური წყაროა. ამასთანავე რუსეთი პარალელურად ცდილობს საქართველოს წინააღმდეგ განაწყოს რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის მოსახლეობა.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მონაკვეთებზე რუსეთის ფედერაციასთან საქართველოს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა ზ ღ ვ რ ი ს კონტროლის არარსებობა ხელსაყრელ გარემოს ქმნის ტრანსნაციონალური დანაშაულისათვის და ამ პრობლემის ეფექტიანი გადაჭრის ხელშემშლელი დამატებითი ფაქტორია [31, 373-374].

აფსუებისა და ოსების გარდა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს პოტენციური კონფლიქტები საქართველოს სასაზღვრო ზონაში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობები და მეზობლად მათი ეროვნების კუთვნილი სახელმწიფოებია. ახალი კონფლიქტის გამომწვევი შეიძლება გახდეს რუსეთის ინტერესები, რადგან ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ამოცანაა მაქსიმალურად დაძაბულ რეჟიმში მოაქციოს ჩვენი ქვეყანა, რათა მასზე კონტროლის მექანიზმების გამოყენება გაუადვილდეს. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ეროვნულ უმცირესობას.

ფაქტია, რომ სამცხე-ჯავახეთში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სომეხია, ხოლო ქვემო ქართლში - აზერბაიჯანელი. საქართველოს ეს რეგიონები ახლოსაა

შესაბამისად სომხეთთან და აზერბაიჯანთან, რაც ზრდის სეპარატიზმის საფრთხეს. ამ შემთხვევაში ყველაზე უარეს ვარიანტად შეიძლება განვიხილოთ მდგომარეობა, როცა სეპარატიზმის ზრდის შემთხვევაში ,,თავის“ მოსახლეობას ,,დაიცავს“ სომხეთი და აზერბაიჯანი, ჩვენ შედეგად მივიღებთ მნიშვნელოვანი სახის ახალ დაპირისპირებას, რომელიც კიდევ ერთი პოლიტიკური კონფლიქტი იქნება რეგიონის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს განსხვავებული გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ინტერესები გააჩნიათ, რაც ზრდის არასტაბილურობას რეგიონში. კერძოდ, საქართველოს პოლიტიკური კურსი აშკარად პროდასავლურია. მისთვის მნიშვნელოვანია გაწევრიანება ისეთ ორგანიზაციებში, როგორიცაა ნატო და ევროკავშირი. რაც შეეხება სომხეთს, იქიდან გამომდინარე, რომ მისი ეკონომიკა და სამხედრო შეიარაღება მთლიანად რუსებზეა დამოკიდებული, აიძულებს მას მთლიანად ამ ქვეყანაზე იყოს ორიენტირებული. აზერბაიჯანი კი სასურველი პარტნიორია, როგორც დასავლური მოთამაშეებისათვის, ისე რუსეთისათვის [32, 171].

შეიძლება გაყიდული საზღვრები დავარქვათ, რაც მოხდა ბოლო პერიოდში. კომუნისტების დროს ჰ უ ჯ ა ბ ი ს მონასტერი მარნეულის რაიონში შედიოდა. დღეს კი სომხეთშია. 2020 წლის მონაცემებით სომხეთი საქართველოს სიღრმეში 500 მეტრით, ხოლო აზერბაიჯანი 3 კილომეტრით არის შემოჭრილი [33, 21]. როგორც

ცნობილია, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის განცხადებით არათუ ქვემო ქართლი და რუსთავი, არამედ თბილისიც კი უძველესი აზერბაიჯანული ტერიტორია ყოფილა.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს ქართველებს აზერბაიჯანელებთან დაეძაბათ ურთიერთობა. კერძოდ, ქვემო ქართლში, როცა ქართველებს ერთ მტკაველ სამოსახლოს არ აძლევდნენ, ირგვლივ აზერბაიჯანულ სოფლებში სოკოებივით მრავლდებოდა აზერბაიჯანელთა ახალ-ახალი ნებართვიანი თუ უნებართვო სახლები. სხვათათვის მიწების დაკანონებას ადვილად ახერხებდა რაიონული ცენტრი, ქართველები კი საკუთარ მიწაზე უიღბლო გერის როლში იმყოფებოდნენ.

საინტერესოა, რომ ღამით ქართულ თამარისს სინათლეს შეგნებულად უთიშავდნენ. ირგვლივ, აზერბაიჯანულ სოფლებში კი ელექტროდენი კაშკაშებდა. მარნეულის რაიონში მხოლოდ ხუთი ქართული სოფელიღა ბჟუტავდა - თამარისი, წერეთელი, ორჯონიკიძე, სიონი და წერაქვი. ხუთივე, განსხვავებით აზერბაიჯანული სოფლებისაგან, მძიმე დღეში იმყოფებოდა [34, 26].

ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის ურთიერთობა დღითიდღე იძაბებოდა. მარნეულისკენ გზა თითქმის გადაიკეტა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებითა და მილიციის ოპერატიული ღონისძიებით

განმტკიცებული მეგობრობა, ბუნებრივია, საიმედო არ იყო [34, 38].

რამდენად ძირძველი ქართული სოფლებია ქვემო ქართლში, წერაქვის მაგალითიც იკმარებს. უძველეს დროში წერის იარაღის ხასიათს დიდი ზომით განსაზღვრავდა მასალა, რაზედაც წერდნენ. მაგალითად, ქვაზე წერა არ შეიძლებოდა ბატის ფრთისგან გაკეთებული კალმით. საჭირო იყო და გაჩნდა წერაქვი, რასაც მშვენიერი ქართული სახელიც აქვს [35, 50], წ ე რ ა - ქ ვ ი თ, არქაული ქართული სახელი.

როდის და ვის მიერ ჩამოსახლდნენ ღვთივკურთხეულ ქართულ მიწაზე აზერბაიჯანელად წოდებული თურქული ტომები: ბორჩალუ, ჯავანშირი, ქეშალუ, ნაჯმა დილუ, არუხლო, დემურჩი, ჰასანლუ, აჰმადლუ, ხიალუ, სარაჯლუ და სხვ. [36, 308] ჩვენთვის კარგად არის ცნობილი. ისარგებლეს ქვეყანაში არსებული რთული მდგომარეობით, რაც 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედიის ფონზე მიმდინარეობდა და 1989 წლის 24 ივნისს ჩვენს მიწაზე უკანონოდ დამკვიდრებულმა და გამრავლებულმა აზერების ერთმა ნაწილმა ,,ბორჩალოს ავტონომიური ოლქის“ შექმნა მოითხოვა, ხოლო ადმინისტრაციულ ცენტრად რუსთავი დაასახელა.

დღეს ყველაზე აქტუალური გახდა აზერბაიჯანთან საზღვრის სადავო მონაკვეთის განხილვა, რაც დაკავშირებულია დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსთან, რომლის ნაწილს აზერბაიჯანული მხარე კარგა

ხანია თვითნებურად აკონტროლებს. იქ მდგომი აზერ-ბაიჯანული მესაზღვრეები მომლოცველებს და ტურის-ტებს გადაადგილების საშუალებას არ აძლევენ. 2019 წლიდან კი, როცა ადგილზე საქართველოს პრეზიდენ-ტი ჩავიდა, აზერბაიჯანელებმა ტერიტორიაზე კონტრო-ლი კიდევ უფრო გაამკაცრეს - მონასტრებამდე მისვლის უფლებას სასულიერო პირებსაც უკრძალავდნენ.

საინტერესოა, რომ ,,კორონავირუსთან“ ბრძოლის პერიოდში დავითგარეჯი ,,გუგლის რუკაზე“ აზერბაი-ჯანის ტერიტორიაზე აღმოჩნდა“ [37, 4]. აზერბაიჯა-ნელების მიერ საქართველოს საზღვრებში დავითგარე-ჯის ტერიტორიის ნაწილის დაკავება ისეთივე ოკუპა-ციაა, როგორც რუსეთის მიერ ცხინვალის დაპყრობა. აზერბაიჯანელებმა 2007 წელს გაფორმებული გაუგე-ბარი ხელშეკრულებით მოახდინეს ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ტაძრის ოკუპაცია. ჩვენ რუსეთთან ვიომეთ და ომში დავმარცხდით, მაგრამ აზერბაიჯანის შემთხვევაში კაპიტულაცია გამოვაცხადეთ.

საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის სტრატეგიის შესახებ ნათქვამია, რომ სახელ-მწიფო ,,განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გარე აგრესიის შემთხვევაში ქ ვ ე ყ ნ ი ს ტ ე რ ი ტ ო რ ი ი ს დ ა ს ა ც ა ვ ა დ (ხაზგასმა ჩემია ა.ს.) შეიარაღებული ძალების მზადყოფნისა და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს...“ [31, 383]. რეალურად კი საქართველოს ხელისუფლებამ

ოფიციალურად დაადასტურა, რომ რესურსის არქონის გამო 80-კილომეტრიან საზღვარს საქართველოს მხრიდან აკონტროლებს 8 მესაზღვრე (ანუ ერთი მესაზღვრე 10 კილომეტრზე), ხოლო აზერბაიჯანის მხრიდან 400 კბილებამდე შეიარაღებული მესაზღვრე დგას. აზერბაიჯანისთვის საზღვარი უფრო მნიშვნელოვანი გამოდის და ეს არის ფაქტი.

ამასთანავე სასაზღვრო ზოლში შემდეგი პროცესები მიმდინარეობს: აზერბაიჯანელებმა საზღვარი გადმოწიეს, სალოცავები წაგვართვეს, როგორც საკუთარ მიწაზე, ისე იქცევიან, ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებენ...

გარეჯის სადავო ტერიტორიასთან დაკავშირებით ხმას არ იღებენ ,,დასავლეთელი მეგობრები". მიზეზი მარტივია: აზერბაიჯანი არ არის რუსეთი. აზერბაიჯანს არ ებრძვის არც ევროპა და არც ამერიკა. აზერბაიჯანში დემოკრატია ყვავის თურმე და ალიევიც ყველაზე დემოკრატიული მმართველია... [38, 7].

აზერბაიჯანი რა ალბანური კულტურის მემკვიდრეა, ეს ცალკე თემაა... ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ჩვენი ,,სტრატეგიული პარტნიორი" ისტორიული წარსულის ფალსიფიკაციაში არაფრით ჩამოუვარდება ოსებსა და სომხებს, ზოგიერთ შემთხვევაში აჭარბებს კიდეც.

იმედია, უთანხმოება მოლაპარაკების მაგიდასთან გადაწყდება და დავითგარეჯი საინგილოს ბედს არ გაიზიარებს.

ბოლოს, უნდა ითქვას, რომ ამჟამად საქართველოს საზღვრის 2148 კილომეტრიდან, მხოლოდ 13%, ანუ 275 კილომეტრია დემარკირებული და დელიმიტირებული [39, 3].

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2015
2. ა. რონდელი, საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 2006
3. გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“, 2020, #15
4. ალან პიზი, ბარბარა პიზი, სხეულის ენა, თბ., 2016
5. В. А. Матвеев, Британия вчера и сегодния, М., 1989
6. გრანი ქავთარია, კონსტანტინე დიდი, თბ., 2020
7. ს. სიგუა, კულტუროლოგიის საფუძვლები, III, თბ., 2013
8. ზ. აბაშიძე, ვ. ვაშაკიძე, ნ. მირიანაშვილი, გ. ჭეიშვილი, ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე), თბ., 2014
9. საქართველოს გეოგრაფიული ატლასი, თბ., 2018
10. ლ. მაჭავარიანი, ნ. ელიზბარაშვილი, სახალისო გეოგრაფია, თბ., 1998
11. Тимур Сагдиев, Как кремль родину продавал, Журн. „Тайны ссср“, 2020, #18

12. თ. გურგენიძე, რუსეთის თანამედროვე გეოპოლიტიკა და მისი იდეოლოგიური საფუძვლები, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2020
13. Агрессия республики Армения против Азербайджанской республики и ее правовие последствия, Составитель сборника и автор вступительной статьи Намик Гасан оглу Алиев, Тбилиси., 2009
14. ალი გასანოვი, გეოპოლიტიკა, თბ., 2015
15. იურიდიული ენციკლოპედია, თბ., 2008
16. ო. დოროხინა, საზღვრების დემილიტაციისა და დემარკაციის პოლიტიკური ასპექტი საზღვრისპირა რეგიონების განვითარებისათვის, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2020
17. სულხან - საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1993
18. დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., 1984
19. ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, ტომი 1, 1997
20. თ. ჩაჩანიძე, სანაპირო დაცვამ პროფესიული დღე აღნიშნა, ჟურნ. ,,არსენალი“, 2020, #8
21. ა. სონღულაშვილი, ქ. ჯინჭარაძე, ვ. სონღულაშვილი, სახალხო დიპლომატია და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, თბ., 2020

22. კონფლიქტური სიტუაციები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში, თბ., 1998
23. ა. სონღულაშვილი, საბჭოური პოლიტიკა და საქართველოს ეროვნული უმცირესობა, თბ., 2018
24. ა. სონღულაშვილი, აფხაზი თუ აფსუა? თბ., 2007
25. ა. სონღულაშვილი, ,,სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?! თბ., 2009
26. უ. ბლუაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობათა შესავალი, თბ., 2016
27. გაზ. ,,დრონი“, 1992, 25 აპრილი
28. მ. გლოველი, ეროვნული უმცირესობები საქართველოში და საერთაშორისო გამოცდილება, დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2020
29. ბ. გამყრელიძე, ოსთა დემოგრაფიული და ეთნოსოციალური პროცესები ჩრდილოეთ კავკასიაში, ,,კავკასიის ეთნოლოგიური კრებული“, XVIII, თბ., 2017
30. ი. ალადაშვილი, 2019 წლის სამხედრო მიმოხილვა, ჟურნ. ,,არსენალი“, 2020, #1
31. ე. გვენეტაძე, საერთაშორისო უშიშროების ასპექტები, თბ., 2017
32. დ. მაისურაძე, სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების გამოწვევები, ჟურ. ,,საისტორიო ვერტიკალები“, 2019, #43
33. გაზ. ,,ასავალ-დასავალი“, 2020, #48
34. რ. მიშველაძე, რა გადაარჩენს საქართველოს, თბ., 1993
35. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტომი მეშვიდე, თბ., 1984

36. ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958
37. გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“, 2020, #10
38. გაზ. ,,საქართველო და მსოფლიო“, 2020, #7
39. ნ. ბოლქვაძე, საქართველოს საზღვრის დემარკირების საკითხი, როგორც სახელმწიფოთა პოლიტიკური ურთიერთობის მთავარი პრობლემა. ისტორიული და მეთოდოლოგიური ანალიზი (სამაგისტრო ნაშრომი), თბ., 2019

გენდერის პრობლემები
საბჭოური რეჟიმის პერიოდში
(XX საუკუნის 20-იან წლებში)

მამაკაცისა და ქალის უფლებრივი თანასწორობა – გენდერი – მეცნიერებაში გამოიყენება ე.წ. ,,სოციალური სქესის“ აღსანიშნავად, რაც დაკავშირებულია ქალსა და მამაკაცს შორის ფიზიკურ, სხეულებრივ განსხვავებასთან. ცნება ,,გენდერი“ კი მიუთითებს მათ ფსიქოლოგიურ, სოციალურ და კულტურულ თავისებურებებზე. სქესი ბიოლოგიურად არის განსაზღვრული, გენდერი კი სოციალური და კულტურული ფაქტორებით არის განპირობებული და აღნიშნავს ქალისა და მამაკაცის სოციალურად ნასწავლი ქცევების, თვისებებისა და დამოკიდებულებების ნაკრებს. მოკლედ რომ ვთქვათ, გენდერი სოციალურ და პოლიტიკურ თეორიებში მამაკაცებსა და ქალებს შორის არსებულ სოციო-კულტურულ სხვაობებს ნიშნავს [1, 104].

ქალის ქცევის ნორმები და სტერეოტიპები ცვალებადია და განსხვავებულია არა მარტო სხვადასხვა ეთნიკურ კონტექსტში, არამედ ეთნიკური კულტურის ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზეც. მის ფორმირებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ასპექტები: ისტორიული, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, პოლიტიკური და, ამავე დროს, მაინც რჩება გარკვეული ეთნოსის ტრადიციებით, წარმოდგე-

ნებით, ქცევის ნორმებით შემოსაზღვრულ ჩარჩოებში. კაცობრიობის განვითარების მთელი ისტორიის მანძილ-ზე ჩამოყალიბდა გაუცნობიერებელი დაპირისპირება ქალსა და მამაკაცს შორის, რომელიც ვითარდება სოცია-ლიზაციის პროცესში და ტრადიციების მეშვეობით გამოხატულებას პოულობს ქალისა და მამაკაცის ქცევის ნორმებში, სტერეოტიპებსა და ავტოსტერეოტიპებში. ამ ფაქტის აღიარებამ საზოგადოებრივი აზროვნების კვლე-ვის პროცესში, მეცნიერება მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სიღრმისეულ მენტალურ დონეზე ფაქტიურად მთელი რეალობა, ფასეულობები, წარმოდგენები დაყრდნო-ბილია სქესობრივ ურთიერთ-დაპირისპირებაზე: ქალი – მამაკაცი = ოპოზიციას, სადაც ქალი ობიექტია, მამაკაცი კი სუბიექტი, ქალი – ქვეშევრდომი, მამაკაცი – დომინანტი. მკვლევართა დასკვნით, სქესი, კლასისა და ეთნოსის მსგავსად, შეიძლება მიჩნეულ იქნეს კიდევ ერთ სოციალურ დეტერმინანტად [2, 239].

ძველ რუსეთში დაოჯახების დროს პატარძალი თუ ქალიშვილი არ აღმოჩნდებოდა, დედამისთან ერთად ჩასვამდნენ ვარცლში, გობში ან გეჯაში და, როგორც შემარცხვენლებს ჩამოატარებდნენ სოფელში. ბოლოს შემაღლებული ადგილიდან ჩააგდებდნენ არხში ან მდინარეში [3, 15].

მოგვიანებით რუსეთში ქალი ქმრის მონად იქცა. ასეთ ვითარებას ხელი შეუწყო წმინდა ფსიქოლოგიურმა ფაქტორმაც, რომელიც განმტკიცდა რელიგიითა და

საზოგადოებრივი აზრით. რუსული საქორწინო ჩვეულების მიხედვით პატარძლის მამა ან ძმა თავის დიდ ძალაუფლებას გადასცემდა საქმროს. ეს იდეა უხეში, თითქმის პირველყოფილი ფორმით იყო გამოხატული ქორწინების წესში. რიტუალის შესრულების დროს მამა ზურგზე მათრახს დაარტყამდა ქალს სამჯერ, რომელსაც შემდეგ სასიძოს გადასცემდა. საინტერესოა, რომ რუსეთში ქორწინების ასეთი უხეში რიტუალი დაცული ყოფილა მეფეთა ქორწინების ცერემონიალშიც. მაგალითად, პეტრე პირველის ქორწინება ლოპუხინის ასულზე ასეთი რიტუალით შესრულებულა. როგორც ჩანს, ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგაც წარმართული ბატონობა - მორჩილებით ურთიერთობას ოჯახში ჯერ კიდევ არ დაეკარგა თავისი ძალა [4, 84-85]. განქორწინება არცერთ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. გაქცეულს უკან აბრუნებდნენ და ქალიც ითმენდა წამებას იმ დრომდე, ვიდრე სიკვდილი არ გაანთავისუფლებდა ასეთი ცხოვრებისაგან [5, 140].

ამ პერიოდში რუსეთის ზოგიერთ ტერიტორიაზე ცოლის დაგირავებას ჰქონია ადგილი. პატრიარქი ფილარეტი წერილში ციმბირისა და ტობოლსკის არქიეპისკოპოსისადმი აღნიშნავს, რომ ბევრი მოხელე, რომელთაც ვოევოდები და პრიკაზის მესვეურები აგზავნიან სამსახურის საქმეებზე, ცოლს აგირავებდა განსაზღვრული ვადით. კრედიტორები კი ქმრების მიერ დაგირავებული ცოლის გამოხსნამდე ყოვლად უსირ-

ცხვილოდ მრუშობდნენ მათთან... ერთი სიტყვით, ცოლის დაგირავებისას გირაობის ხელშეკრულება გადიოდა თავის ყველა სტადიას. რუსეთში ცოლის დაგირავებისა და გაქირავების ჩვეულების შესახებ მრავალი იმდროინდელი მოგზაურიც მოგვითხრობს [6, 106-107].

1718 წლის 26 ნოემბრიდან პეტრე პირველის ბრძანების გამოქვეყნებით იწყება ახალი ეპოქა რუსეთის ისტორიაში ქალის უფლებებთან დაკავშირებით. კერძოდ, ქალისა და მამაკაცის საზოგადოებაში ერთად ყოფნის უფლება, რაც ადრე ტრადიციულად აკრძალული იყო. ასეთი ნაბიჯის მცდელობას ჯერ კიდევ 1700 წელს ჰქონდა ადგილი, თუმცა ვერ განხორციელდა. პეტრემ სერიოზულად და დაჟინებით მოითხოვა, რომ რუს ქალს საზოგადოებაში დაეკავებინა ისეთი ადგილი, როგორიც დიდი ხანია არსებობდა საფრანგეთში [7, 64, 65].

გასაგებია, ქალის მდგომარეობისა და უფლებების რა დონე უნდა ყოფილიყო რუსეთში, როდესაც იმპერატორის კარზე გაუგონარმა უსირცხვილობამ დაისადგურა. დედოფალი ელისაბედი თავის საყვარლებს ჩუმად იღებდა, ,,ხოლო ეკატერინემ თავისი ოთახი გადატიხრა, რომლის იქით ყოველთვის იჯდა რომელიმე ფავორიტი, იქვე გვერდით კი მიღებას აწარმოებდა. ტიხრის იქით ჩვეულებრივი ადამიანური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ღამის ქოთანი ედგა. ეკატერინემ იმდენად დაკარგა ქალურობა, რომ ტიხრის იქით ქოთანზე მჯდომარე ისმენდა მინისტრების

მოხსენებებს...“ [8, 15]. მისი იმპერტორობის დროს რუ-სეთში სქესთა შორის ურთიერთობა საგრძნობლად დაირღვა. ოჯახებს ქალები მართავდნენ, ქალები მოღვა-წეობდნენ მეცნიერებაში, სახელმწიფო სამსახურში. მხოლოდ ერთი რამ აკლდათ: ქალი – მთავარსარდალი! [9, 318]. ეს, რაც შეეხება გაბატონებულ წოდებას, მაგრამ რა ვითარება იყო დაბალ ფენებში?

გლეხის მიერ 10-13 წლის ქალიშვილის გაყიდვა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. მყიდველს უფლება ჰქონდა გოგონას ქალწულობა მშობლების თვალწინ ,,შეემოწმებინა“ [9, 321].

XVIII საუკუნეში რუსეთის სოფლებში გავრცელდა ტრადიცია – დაექორწინებინათ 10 ან ოდნავ მეტი წლის ბიჭი უფროს გოგონაზე. ასეთი ქორწინება ხდებოდა მშობლების სურვილით. ოჯახი ბიჭს აქორწინებდა იმ მოტივით, რომ მოყვანილი ცოლის სახით ოჯახს შემა-ტებოდა მუშახელი. ქალის მშობლები ასეთ შემთხვევაში ცდილობდნენ გვიან გაეთხოვებინათ [5, 140-141]. აღნიშ-ნული ფაქტები დასტურდება თვითმხილველის, ამავე საუკუნის განმანათლებლის ალექსანდრე რადიშჩევის დაკვირვებითაც. ამასთან ერთად, ა. რადიშჩევი მიუთი-თებს, რომ ,,რუსეთში იყო ისეთი ფაქტებიც, როდესაც მამამთილი თვითონ უწვებოდა ლოგინში თავის ახალ-გაზრდა რძლებს, სანამ ვაჟიშვილები წამოიზრ-დებოდნენ“ [10, 131]. ამასვე ადასტურებს ფრიდრიხ ენგელსი, როდესაც აღნიშნავს, რომ ,,რუსეთში მაინც,

სახლის უხუცესი, როგორც ცნობილია, ძალიან ბორო-ტად იყენებს თავის მდგომარეობას თემის ახალგაზრდა ქალების, განსაკუთრებით თავისი რძლების მიმართ და ხშირად მათგან ჰარამხანას მართავს თავისთვის; ამას საკმაოდ მჭევრმეტყველურად ადასტურებს რუსული ხალხური სიმღერები“ [11, 59].

მიუხედავად ქალისადმი ასეთი დამოკიდებულე-ბისა, XIX საუკუნის შუა ხანებამდე რუსეთის იმპერიაში პროსტიტუცია აკრძალული იყო. მსგავსი საქმიანობის ქალებს იჭერდნენ და ,,გულგრილად“ სჯიდნენ. მათ ემუქრებოდათ არა მხოლოდ დაპატიმრება და საკანში მშვიდად ყოფნა, არამედ, სამუდამო გადასახლება ციმ-ბირში. ფაქტია, რომ ვერავითარი დამსჯელი ღონისძიე-ბები ვერ შეაჩერებდა ,,ფრანგული“ დაავადების რიცხ-ვის ზრდას. მთავრობა მიხვდა, რომ, მხოლოდ გასა-მართლება და სასჯელი შედეგს ვერ მოიტანდა. ამიტომ, აღნიშნული პრობლემის მოგვარებისადმი შეხედულება შეცვალა. იმპერატორ ნიკოლოზ I-ის სპეციალური ბრძა-ნებულებით ლეგალიზებულ იქნა ეს ძველი პროფესია.

ახლა, ,,ღამის პეპლები“, როგორც მათ უწოდებდნენ ჩათვალეს საზოგადოების მსხვერპლად, რომლებიც სიბრალულს იმსახურებდნენ. მათ ელოდათ მკაცრი სახელმწიფოებრივი აღრიცხვა, ყოველმხრივი კონტრო-ლი და სავალდებულო სამედიცინო შემოწმება. ამ მიზნით შეიქმნა „სამედიცინო-პოლიტიკური კომიტე-

ტი“, რომელიც რეგისტრაციაში ატარებდა ყველა მსურველს, გამხდარიყო ,,სიყვარულის მსხვერპლი“.

მცირე ზომის ლიმონის ფერის მოწმობა ეძლეოდათ პასპორტის ნაცვლად ასეთი პროფესიის ქალებს. ,,ყვითელი ბილეთის“ რვა გვერდზე განთავსებული იყო მფლობელის პირადი მონაცემები და ფოტოსურათი, ქცევის წესები საჯარო ადგილებში, ასევე, სამედიცინო შემოწმების მონაცემები. ექიმთან რეგულარული კონსულტაციები პოლიციის მიერ მკაცრ კონტროლზე იყო აყვანილი. ასეთი ბილეთის მიღება შეეძლო ნებისმიერ ქალს, რომელიც გამოთქვამდა სურვილს საკუთარი სხეულის გაყიდვით მიეღო ანაზღაურება. მთავარია მას ნებაყოფლობით დაეწერა თხოვნა პოლიციის განყოფილებაში და გაეცვალა პასპორტი ,,სამახსოვრო მოწმობაზე“ [12, 16].

თანამედროვე თაობა, რატომღაც მიიჩნევს, რომ საბჭოთა კავშირში მოქმედებდა თითქმის შუასაუკუნეობრივი პურიტანული ზნე-ჩვეულება. არ იყო მოდა, სექსი, ქორწინებამდელი სიყვარული... რუსეთში რევოლუციისა და სამოქალაქო ომის წლებში მნიშვნელოვნად დაეცა და შეირყვნა სქესობრივი ურთიერთობის სფეროში არსებული მორალური კოდექსი. დაიწყო ე.წ. ,,თავისუფალი სიყვარულის“ პროპაგანდა, ხოლო ზოგიერთ ოლქში გამოიცემოდა დეკრეტები ,,ქალების ნაციონალიზაციის“ თაობაზე. მაგალითად, 1918 წელს ქალაქ ვლადიმირში გამოცემული დეკრეტი

იუწყებოდა, რომ 18 წელს მიღწეული ქალი, თუ გაუ-თხოვარი რჩებოდა უნდა გატარებულიყო ,,თავისუფა-ლი სიყვარულის“ ბიუროს რეგისტრაციაში; მას უფლება ეძლეოდა შეერჩია მეუღლე ვაჟი – 19-დან 50 წლის ასაკამდე... ვაჟსაც ჰქონდა ანალოგიური უფლება... მსურველებს ქმრის ან ცოლის არჩევა შეეძლოთ თვეში ერთხელ [13, 42].

XX საუკუნის 20-იან წლებში საბჭოთა კავშირში დაიწყეს სახლი - კომუნების მშენებლობა, სადაც ,,საბჭო-თა ადამიანებს“ ერთად უნდა ეცხოვრათ. ასევე ერთად უნდა მიეღოთ საკვები. საერთო, საზოგადოებრივი საკუთრების შემოღება ხშირად აბსურდამდე მიდიოდა. ზოგიერთ საცხოვრებელ ბინებში საწოლებიც საერთო იყო, ხოლო მეუღლეებს განმარტოება შეეძლოთ სპე-ციალურ შენობებში სიის მიხედვით [14, 6]. ამავე დროს მთელი სიმწვავით დადგა დღის წესრიგში სქესთა ურთიერთობის პრობლემები. წინა პლანზე წამოიწია ,,თავისუფალი სიყვარულისა“ და ,,სექსუალური რევო-ლუციის“ საკითხებმა. ამ თემაზე იმართებოდა გახმაუ-რებული დისკუსიები, იბეჭდებოდა სკანდალური წიგ-ნები, რომლებიც მოგვიანებით აკრძალული ლიტე-რატურის რიცხვში მოხვდა.

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომი-სარი, მოგვიანებით მსოფლიოში პირველი ელჩი – ქალი ალექსანდრა კოლონტაი პროპაგანდას ეწეოდა ,,ერო-ტიკული ძმობის“, როგორც სექსუალური ფორმის

შესახებ [15, 13]. კოლონტაი ცდილობდა მასებში დაენერგა ე.წ. ,,ჭიქა წყლის“ თეორია, რაც შემდეგში მდგომარეობდა: რატომ არ შეიძლება კლასობრივი, წოდებრივი და სხვა გადმონაშთებისაგან თავისუფალ საზოგადოებაში მოქალაქეები შევიდნენ ერთმანეთთან ინტიმურ ურთიერთობაში, როგორც ჭიქა წყალი ცხელ დღეს? [16, 295].

ასეთი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე ჯერ საბჭოთა რუსეთში და შემდეგ საბჭოთა კავშირში 20-იანი წლების საწყის ეტაპზე ფართოდ გაუღეს კარი ფსიქოანალიზს. ამ დროს, ის ყველაზე პოპულარულ მიმდინარეობად ითვლებოდა. თარგმნიდნენ, გამოსცემდნენ ფროიდის ნაშრომებს. მოსკოვის გულში მალაია ნიკიტინსკაიაზე, 1921 წელს საბავშვო ბაღი-ლაბორატორიაც კი გახსნეს პარტიული ელიტის შვილებისთვის, ფროიდის თეორიების მიხედვით ახალი ადამიანის – ზეკაცის – ,,გამოსაყვანად“.

სტალინმაც კი ანდო თავისი ვაჟი, ვასილი, ფროიდის მიმდევრებს აღსაზრდელად. ბაღში ბავშვებს ყველაფრის უფლებებს აძლევდნენ, ხმას არ უწევდნენ, ,,სქესობრივი თამაშები“ ისევე ნებადართული იყო, როგორც წყურვილის დაკმაყოფილება, საშარდე სისტემის დაცლა... აღმზრდელებს მუდმივი მიმოწერა ჰქონდათ ფროიდთან, მაგრამ ექსპერიმენტი ჩავარდა. ბაღის დაკეტვა მისი მფარველის, ლევ ტროცკის მოსკოვიდან გაქცევას მოჰყვა. მერე აგორდა და აგორდა...

ყველა განუდგა ფროიდის მოძღვრებას – ვინც მანამდე მხარს უჭერდა: ლენინი, კრუპსკაია, კოლონტაი... სტალინმა იგი საბჭოთა ხელისუფლების მთავარ მტრად გამოაცხადა, ფსიქოანალიზი – ცრუ მეცნიერებად... [17, 218-219].

აღნიშნულ პერიოდში ფართოდ გავრცელდა მიმდინარეობა ,,შიშველი სხეულის კულტი“ – ნ უ დ ი ზ მ ი (ლათინურად შიშველი). ნუდისტების შესახებ ე.წ. ,,საბჭოთა ადამიანებს“ არც სმენოდათ, და დიდი ხნის განმავლობაში არა მარტო აკრძალული არ იყო, არამედ მის კულტივირებასაც ეწეოდნენ.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან საბჭოთა რუსეთში მიმდინარეობდა აშკარა აგიტაცია, რომელიც პირდაპირ მოუწოდებდა მასებს საზოგადოებრივ ადგილებში მოეშორებინათ ,,ტანსაცმლის ბორკილები“ და საკუთარი სხეული დაეთმოთ სუფთა ჰაერისა და თბილი მზის აბაზანებისათვის.

საბჭოთა ქვეყანაში მრავალ ადგილზე გამოჩნდა ნუდისტური ანუ შიშველი სხეულის პლიაჟები. პირველად ასეთი სანაპიროები გაიხსნა შავი ზღვისპირეთში – ყირიმსა და კავკასიაში. ასეთი იდეის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო ცნობილი პოეტი და პუბლიცისტი მაქსიმილიან ვოლოშინი, რომელმაც ყირიმის სანაპიროზე პირველმა გახსნა ნუდისტური პლიაჟი. აქ პირველ რიგში ჩამოდიოდნენ იმ პერიოდის შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, როგო-

რიც იყვნენ ცვეტაევა, მანდელშტამი, ბულგაკოვი და სხვ.

ცოტა ხანში ასეთი პლიაჟი შეიქმნა მოსკოვში მდინარის სანაპიროზე. ერთი იყო, რომ გაიმიჯნა ადგილები ქალებისა და მამაკაცებისათვის. 1924 წელს დაფუძნდა საზოგადოება – ,,ძირს სირცხვილი!“ მის მონაწილეებს სჯეროდათ, რომ გენდერული თანასწორობა და საყოველთაო სამართლიანობა ს ი შ ი შ ვ ლ ი თ განისაზღვრებოდა. საზოგადოების წევრებს უნდოდათ მოეწყოთ მსვლელობა მოსკოვსა და ხარკოვში სრულიად შიშვლებს, ისე, როგორც დედამ შობა..., მაგრამ მოსახლეობის ძირითადი ნაწილის წინააღმდეგობის გამო თავი შეიკავეს.

ეს ვაკხანალია აღკვეთა მაშინდელმა ჯანდაცვის სახალხო კომისარმა სემაშკომ. მან ეს ყველაფერი ძალიან ტაქტიკურად განახორციელა. უფრო სწორად, მას არ აუკრძალავს მსურველებისათვის შიშვლებს ევლოთ მოსკოვის ქუჩებში. უბრალოდ აღნიშნა, რომ დედაქალაქში ,,არ იყო შესაფერისი კლიმატი, ძალიან დაბალი ტემპერატურა მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის საფრთხეს წარმოადგენდა. ჯანდაცვის კომისარმა ასევე განმარტა, რომ ჰაერი ქალაქის ქუჩებში დაბინძურებული იყო მტვრითა და ბაქტერიებით, რაც გამოიწვევდა კანის დაავადებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში იწყებოდა თანდათანობით ,,ჭანჭიკების მოჭერა“, 30-იანი წლების

დასაწყისშიც მოდაში იყო სრულიად შიშველი ბანაობა და მზის აბაზანების მიღება. ,,შიშველთა პლიაჟები“ აყვავებას განიცდიდნენ იალტაში, გურზუფში, ანაპაში და ა.შ. ერთ-ერთ მათგანში, რომელიც ბათუმში მდებარეობდა, ამერიკელებმა მხატვრული ფილმიც კი გადაიღეს; ფილმმა დასავლეთში ფურორი მოახდინა.

30-იანი წლების დასაწყისში ნუდისტური სანა-პიროები მრავალი ქალაქის ცენტრში მდებარეობდა. წესრიგის დამცველები ამ დროს პრეტენზიასაც არ გამოთქვამდნენ დედიშობილა ადამიანების ქუჩებში სეირნობაზე [18, 34]. 30-იანი წლების შუა ხანებში კი გევლო ქუჩაში ,,შიშველსა და ბედნიერს“ აღარ შეიძლებოდა. როდესაც სტალინმა ხელისუფლების შედარებით მყარად გაკონტროლება შეძლო, ლენინი-საგან განსხვავებით აღნიშნულ მოვლენას წერტილი დაუსვა. აიკრძალა კოლონტაის პუბლიკაციების დიდი ნაწილი. ოჯახური სიწმინდე ძირითად ღირებულებად გამოცხადდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბ. ცხადაძე, ი. კვესელავა, ე. ცხადაძე, ქ. კვესელავა, ზო-გადტერმინოლოგიური ლექსიკონი, I ნაწილი, თბ., 2013
2. ნ. ცინცაძე, სოციალიზაციის ტრადიციული ნორმების ასახვა ახალ გარემოში, კრ. „პანკისის კრიზისი“, თბ., 2002

3. Лев Каплин, Незаменимая посудина, журн. „Загадки истории“, 2019. №6
4. გ. ნადარეიშვილი, სსრკ სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბ., 1986
5. О.Н. Зотова, В.В. Новиков, Е.В. Шорохова, Особенности психологии крестьянства, М., 1983
6. გ. ნადარეიშვილი, სესხის ხელშეკრულება ქართული ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, კრ. „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები“, თბ., 1979
7. С. Либрович, Петр великий и женщины, Ленинград., 1991
8. მარია ევგენევა, იმპერატრიცა ეკატერინე II-ის საყვარ-ლები, თბ., 1991
9. ჯაკომო კაზანოვა, ჩემი თავგადასავალი, თბ., 2012
10. ალექსანდრე რადიშჩევი, მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს, თბ., 1955
11. ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელ-მწიფოს წარმოშობა, თბ., 1959
12. Елена Перуновская, Джек-потрошитель на берегах невы, журн. „Загадки истории“, 2019, №39
13. პ. გუგუშვილი, მოსახლეობა, ოჯახი, შვილიანობა, თბ., 1985
14. А. Лаврентьев, Накормить всех!, журн. „Загадки истории“, 2018, №52
15. А. Гайгес, Т. Суворова, Любовь – вне плана, М., 1990
16. Ю. Поляков, Этот горкий запретный плод..., сб. „Демографический диагноз“, М., 1990
17. თამარ-ბარბარე თომაძე, ზიგმუნდ ფროიდი, თბ., 2018
18. Ирина Ерофеева, В чем мать родила, журн. „Тайны ссср“, 2019, №20

ახდენილი წინასწარმეტყველება
(ჰიტლერი ხელისუფლების სათავეში)

ბუნებრივი და საზოგადოებრივი მოვლენების დიდი ნაწილი კვლავ ამოუცნობია. არის ფაქტები, რომელთა შესახებ მეცნიერებას პასუხი არ გააჩნია. ამოუწურავია ბუნების ფანტაზია, მაგალითად, ცნობილია პეპელა – ს ფ ი ნ ქ ს ი „მკვდარი თავი“, რომელსაც ზურგზე აქვს გამოხატული ადამიანის თავის ქალა გადაჯვარედინებული ძვლებით (დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში). ობობა ც ი კ ლ ო ს მ ი ა ს (ფლორიდა) ზურგზე აქვს გამოხატული მკაცრი გამომეტყველების ადამიანის სახე ფარით (ზოგს იგი ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ბელადის მუმიფიცირებულ სახედ მიაჩნია.)

იაპონური ცხრაფეხა კიბორჩხალა დ ო რ ი ა ე ს ჯავშანზე აღბეჭდილია სამურაების პორტრეტი, ხოლო იაპონური თევზის ს ა ლ ა ნ ტ ი ს თავზე კი ტოკუგავას კლანის გერბია გამოსახული.

თევზის – ა რ ი უ ს პ რ ი უ ს ი ს ფორმა და პოზა მთლიანად იმეორებს ჯვარცმულ ქრისტეს. „გამომგონებლობის“ ყველა რეკორდი მოხსნა ქაცვთავა თევზმა ჰ ო ლ ო ვ ა ნ ტ უ ს მ ა, რომლის კუდზე ძველ არაბულ ენაზე ასეთი დაფიცება იკითხება: „ლა, ილლა ილ ალლაჰ“ (არ არსებობს ღმერთი ალაჰის გარდა) და „შანი ალლაჰ“ (გეშინოდეს ალაჰის) [1, 63].

ახლა, რაც შეეხება საზოგადოებას, სახელმწიფოებს, ადამიანებს: თუ რელიგიას, ოკულტიზმს, ისე ვირწმუ-ნებთ, რომ ადამიანს შეუძლია ურთიერთობა დაამყაროს საიქიოსთან, ზებუნებრივ ძალებთან, მაშინ ვიფიქრებთ რომ ყველაფერი განსაზღვრულია უფლის მიერ. არიან პიროვნებები, რომელთაც შემოქმედმა მიანიჭა ძალა, რომლის მეშვეობით იწინასწარმეტყველეს გამორჩეული პერსონების და სახელმწიფოების მომავალი. ნოსტრადა-მუსზე და ვანგაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, სხვებიც იყვნენ ცნობილი ნათელმხილველები. მაგალითად შეი-ძლება ავიღოთ 1941 წლის 21 ივნისს თემურ-ლენგის სამვალის გახსნა, რათა აკადემიკოს გერასიმოვს აღედ-გინა შუა აზიელი დამპყრობლის გარეგნობა. შესვე-ნებაზე კინოოპერატორი მალიქ კაიუმოვი ჩაის დასა-ლევად შევიდა ახლო მდებარე „ჩაიხანაში“. კაიუმოვი იგონებს, რომ „იქვე ახლოს სამი მოხუცი იჯდა მაგიდასთან, რომლებიც ერთმანეთს ღვიძლი ძმებივით გავდნენ. ერთი მათგანი მეუბნევა: „შვილო, შენ ერთ-ერთი მათგანი ხარ ვინც ტამერლანის საფლავის გახსნა მოიფიქრა?“ მივდივარ ახლოს. ვხედავ მის ხელში „ძველ“ წიგნს – არაბული ანბანით. მოხუცი თითით მაჩვენებს სტრიქონებს: „აი, შეხედე შვილო რა წერია ამ წიგნში: ვინც გახსნის ტამერლანის საფლავს – თავისუფლებას აძლევს ომის სულს. და იქნება ისეთი სისხლიანი და საშინელი ბრძოლა, რომელიც არ უნახავს სამყაროს საუკუნეების მანძილზე ...“

მავზოლეუმში დაბრუნებულმა კაიუმოვმა მომხ-დარის შესახებ უამბო ექსპედიციის წევრებს, რომლებ-მაც ბევრი იცინეს. თუმცა ერთ-ერთი მათგანი შევიდა „ჩაიხანაში“, რათა გაეგო ადგილობრივი ლეგენდების შესახებ. შეხვედრა არ შედგა. უხუცესებმა არ ისურვეს საუბარი და დატოვეს საჩაიე. კაიუმოვი შეეცადა და-წეოდა მათ, მაგრამ ვერსად მიაგნო მიუხედავად იმისა, რომ ყველა მახლობელი ქუჩა მოირბინა. გერასიმოვმა იმავე დღეს შეძლო თემურ-ლენგის თავის ქალის რეკონსტრუქცია და დამპყრობლის ჩონჩხი მოამზადეს მოსკოვში გასამგზავრებლად.

მეორე დღეს, დილით რადიომ აუწყა ქვეყანას გერმანიის თავდასხმის შესახებ საბჭოთა კავშირზე. ახდა მოხუცების წინასწარმეტყველება. 1942 წელს კაიუმოვმა მომხდარის შესახებ უამბო გიორგი ჟუკოვს, რომელმაც თავის მხრივ სტალინს მოახსენა. მთავარსარ-დალი ნაამბობს სერიოზულად მოეკიდა. 1942 წლის 20 დეკემბერს თემურის ძვლები მავზოლეუმში დააბრუ-ნეს. ფაქტია, რომ ერთი თვის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა – 1943 წლის იანვარში სტალინგრადთან მოხდა დიდი გარდატეხა, რაც საბოლოოდ გერმანიის დამარცხებით დასრულდა [2, 5].

საინტერესოა, რომ თავისი ცხოვრების 30 წლის განმვალობაში ადოლფ ჰიტლერი არაფერს წარმოად-გენდა, მხოლოდ დანარჩენი 26 წლის მანძილზე მან შეძლო ისტორიაში ღრმა კვალი დაეტოვებინა [3,6].

ევროპულ პოლიტიკაში ახალი ღრუბლები ქუჩდებოდა. 1930 წლის ოქტომბერში გერმანიაში ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტებმა რაიხსტაგში ასზე მეტი ხმა მიიღეს არჩევნებში და მათმა პარტიამ მეორე ადგილი დაიკავა. მიუხედავად ამისა ადამიანები ადრინდელივით კითხულობდნენ: „ეს ჰიტლერი ვინღაა?“ [4, 319].

ბუნებრივი გადარჩევის ჰიპოთეზის მეშვეობით, ჰიტლერი ამართლებდა გერმანელთა ბრძოლას ჰაბსბურგების იმპერიაში მცხოვრები მრავალი ხალხის მიერ თანაბარი უფლებების მოთხოვნის წინააღმდეგ. ჰიტლერის სასტიკმა და ხისტმა გონებამ იოლად აითვისა საერთაშორისო რეალიზმის ბიოლოგიური თეორია, რომლის კლასიკური გამოხატულება მისი „მაინ კამპფ“-ია (რადგანაც უხეში თეორიის კლასიკური გამოხატულება სწორედ მისი ყველაზე უხეში ვარიანტია) [5, 42].

ჰიტლერმა მიიყვანა გერმანია, ევროპა და თითქმის მთელი მსოფლიო უპრეცენდენტო დამანგრეველ ომამდე; ოთხი წელი ეკავა ხელისუფლება კონტინენტის დიდ ნაწილზე, მან მოაწყო ყველაზე საშინელი გენოციდი, რაც კი ცნობილი იყო კაცობრიობის ისტორიაში. თავისი ქვეყანა მიიყვანა მთლიან სამხედრო განადგურებასა და ოკუპაციამდე.

როგორ მოხდა, რომ მსგავსმა ფიგურამ თითქმის რამდენიმე წელიწადში შეძლო მსოფლიოში ერთ-ერთი შედარებით სამრეწველო და კულტურული თვალსაზრისით განვითარებული ერის სათავეში მოსვლა? რო-

გორ შეეძლო ჰიტლერს თუნდაც მოკლე ხნით გამხდარიყო ყოვლისშემძლე ადამიანი ევროპაში? მისი სოციალური წარმოშობა, განათლება, „წარსული“ – მხოლოდ საწინააღმდეგოს ლაპარაკობს. ის გერმანიის მოქალაქეც კი არ ყოფილა (მხოლოდ 1932 წელს ებოძა მოქალაქეობა). ადოლფი არ იყო წარმოშობით ისეთი ოჯახიდან, საიდანაც ჩვეულებრივ გერმანიის ლიდერები იყვნენ. ასევე არ წარმოადგენდა ძალოვან ელიტას. შეიძლება ითქვას, რომ ის იყო უცხო [3, 9].

მომავალი ფიურერი ამ ქვეყანას 1889 წელს მოევლინა. მამამისი ალოიზი საბაჟოს ჩინოვნიკი იყო. იგი ქორწინების გარეშე შობილი გახლდათ, ამიტომ ერთხანს დედის გვარს – შიკლგრიუბერს ატარებდა. დედა მეორედ გათხოვდა და ვინმე ჰიტლერის ცოლი გახდა. მალე ალოიზიც მამობილის გვარზე დაეწერა და ჰიტლერად იქცა.

„გავრცელებული მოსაზრება, თითქოს ადოლფ ჰიტლერის თავდაპირველი გვარი შიკლგრიუბერი იყო, არ არის სწორი. ჰიტლერი იმთავითვე ჰიტლერი იყო“ – წერს გერმანელი ისტორიკოსი და მწერალი იოახიმ ფესტი.

ალოიზ ჰიტლერი კლარა ჰიტლერზე დაქორწინდა, რომელიც მას ბიძაშვილად ერგებოდა. ალოიზის შვილებს ფსიქიკური გადახრები აღენიშნებოდათ. ადოლფი გამონაკლისი არ იყო. ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა სიჯიუტით, ფეთქებადი ბუნებით, აკვიატებული

აზროვნებისადმი მიდრეკილებით. მამა მას გამორ-ჩეულად მკაცრად ეპყრობოდა. ბავშვიც თავის თავში ჩაიკეტა, გახდა გულჩათხრობილი, გაბოროტდა [6, 8-9].

ფიურერის პირადი მდივანი კრისტა შრიოდერი ჰიტლერს არაერთგვაროვნად ახასიათებდა: შეცდომა იქნება იმაზე ფიქრი, რომ მე ჰიტლერის ჭეშმარიტი სახის წარმოჩენას შევძლებ. ეს მართლაც შეუძლებელია, რადგან ჰიტლერს რამდენიმე სახე ჰქონდა ... ის სიცრუისა და სიმართლის, ძალადობისა და სისუსტის, სისადავისა და ავხორცობის, სიკეთისა და სისასტიკის, მისტიკისა და რეალობის, ხელოვანისა და ბარბაროსის განსახიერება იყო“ [7, 17].

სწავლების უკვე პირველ წელს ის იმდენად ცუდად სწავლობდა, რომ მომდევნო კლასში არ გადაიყვანეს ... მეხუთე კლასში სწავლების უკანასკნელი წლის მიწურულს ერთ მოვლენას, შესაძლოა, რაღაც სიმბოლური აზრი ჰქონდა. ატესტატის მიღების შემდეგ, ის თავის ამხანაგებთან ერთად ტავერნაში წავიდა ღვინის დასალევად. სახლში აღმოაჩინა, რომ ატესტატი დაკარგა. სანამ ფიქრობდა თუ როგორ აეხსნა ეს, უცებ სასწავლებლის დირექტორთან გამოიძახეს. ტუალეტის ქაღალდად გამოყენებული ატესტატი ქუჩაში იპოვეს. როგორი მთვრალიც არ უნდა ყოფილიყო ამ საქციელში სიმბოლურად გამოიხატება სკოლისადმი მისი სიძულვილი და აბუჩად აგდება [8,25].

ბერლინში ნაპოვნია დოკუმენტი, რომლის შესახებაც მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ეს ჰიტლერის მიერ სატანასთან დადებული ხელშეკრულებაა და ის ორივე მხარის ხელმოწერით დასტურდება. ხელშეკრულებაში წერია, რომ სატანა მას ყველანაირ ძალაუფლებას მისცემს, ოღონდ ბოროტი საქმეებისთვის, ხოლო ჰიტლერს თავის მხრივ, სანაცვლოდ საკუთარი სული უნდა დაეთმო ზუსტად 13 წლის შემდეგ.

ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ამ დოკუმენტზე არსებული ხელმოწერა ემთხვევა ჰიტლერის ხელმოწერას 30-40-იანი წლების დოკუმენტებზე, ხოლო სატანის ხელმოწერა შეესაბამება სხვა მსგავსი დოკუმენტების ხელმოწერებს, ასეთი დოკუმენტაცია ისტორიას არცთუ ისე ცოტა მოეძებნება.

მეცნიერებს სჯერათ ამ დოკუმენტის. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჰიტლერი თავისი ცხოვრების პირველ ეტაპზე საკმაოდ წარუმატებელი პიროვნება იყო – გამოაგდეს უმაღლესი სასწავლებლიდან, ორჯერ ჩაიჭრა გამოცდაზე ხელოვნების აკადემიაში, ციხეშიც იჯდა. საკითხავია, ასეთმა წარუმატებელმა პიროვნებამ როგორ შეძლო ამხელა ძალაუფლების მოპოვება? ის ხომ სრულაიდ ხელმოცარული იყო. მაგრამ 1933 წლიდან ვითარება რადიკალურად შეიცვალა და იგი გერმანიის მმართველადაც კი მოგვევლინა. ასევე გავიხსენოთ, რომ მან, კაცობრიობისგან სრულიად მოძულებულმა, სიცოცხლე თვითმკვლელობით

დაასრულა. სწორედ ეს ფაქტები გაიხსენა დოქტორმა ლ ა ი ბ ე რ მ ა. მისი თქმით, „სწორედ ასეთ ადამიანს ირჩევს ეშმაკი, წარუმატებელს, რომელიც პატივმოყვარეობით იტანჯება და ამქვეყნიურ სიამოვნებას არის მოწყურებული. შედეგად კი სრული უბედურება მოაქვს“.

თუ როგორ წარმოედგინა ჰიტლერს თავისი სახელმწიფო ეკლესია, კარგად ჩანს მისი ერთ-ერთი გამოსვლიდან: „ჩვენი უბედურება ის არის, რომ არასწორი რელიგია გვაქვს. რა კარგი იქნებოდა, იაპონელების რელიგია რომ გვქონოდა, რელიგია, რომელიც სამშობლოსთვის გაღებულ მსხვერპლს უმაღლეს მსხვერპლად მიიჩნევს! მუსლიმანური რელიგიაც კი უფრო მეტად გამოგვადგებოდა, ვიდრე ქრისტიანობა თავისი არაფრის მქნელი და ფორმალური შემწყნარებლობით!“ [9, 72].

შემთხვევითი არ იყო, რომ ფიურერმა ექსპედიცია გაგზავნა ტიბეტში ზებუნებრივი ძალაუფლების მოსაძიებლად, მესამე რაიხის გასაძლიერებლად და შამბალას მითიურ სამეფოსთან კონტაქტის დასამყარებლად [10,53].

XX საუკუნის 20-იან წლებში ტიბეტიდან „საიდუმლო სწავლების“ მონაწილეებმა ევროპაში გაგზავნეს ამოუცნობი მეტეორის ნატეხი – „ელექტროლიტი“. კატაკლიზმების პერიოდში მის გარეკანზე ჩნდებოდა წინასწარმეტყველების ნიშნები, რომლითაც გადმოი-

ცემოდა მომავლის აზრი და პოლიტიკური პერსპექ-ტივები.

მეტეორიტის ნატეხი მოგზაურმა ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე რ ე რ ი ხ მ ა შესთავაზა ერთა ლიგას – მაგრამ ორგანიზაციამ უარი განაცხადა მიეღო საკრა-ლური საგანი. რერიხს მეტეორიტი ტიბეტში უნდა დაებრუნებინა – უფრო სწორად შამბალაში.

ქვას გააჩნდა მძლავრი კოსმოსური გამოსხივება. უფრო მეტიც, გავლენას ახდენდა ადამიანების აზროვნებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს ქვას ფლობდა ნაციზმის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ფაშისტური ოფიციოზის „Фолькише беобахтер“-ის ხელმძღვანელი – დ ი ტ რ ი ხ ე კ ა რ ტ ი [11, 252].

ჩვენ არ ვიცით იყენებდა თუ არა ფიურერი ამ ქვის ძალას ადამიანებზე ზემოქმედებისთვის, მაგრამ ცნობილია მისი კავშირები მაგიასთან და ტიბეტელ ბერებთან. ერთი რამ ფაქტია, რომ ჰიტლერს ეხერხებოდა თავისი გარემოცვის იმგვარად დამუხტვა, რომ ისინი თავიანთ შრომისუნარიანობას ორმაგად ზრდიდნენ [9, 28].

ხელისუფლებაში მოსულმა ნაცისტებმა აკრძალეს ათეიზმისა და თავისუფალი რელიგიების მქადაგებელი ორგანიზაციები. როგორც აღვნიშნეთ ჰიტლერი თვლი-და, რომ უკეთესი იქნებოდა გერმანელებს მიეღოთ არა ქრისტიანობა, არამედ ნამდვილი მამაკაცური რელიგია – ისლამი. თურქეთის რესპუბლიკის ფუძემდებელი

ქემალ ათა-თურქი ჰიტლერისადმი დიდ აღფრთოვანებას გამოხატავდა, ხოლო იერუსალიმის მუფტი ა ლ – ჰ უ ს ე ი ნ ი ჰიტლერის პერსპექტიულ მოკავშირეს წარმოადგენდა. თურქი და ირანული წარმოშობის გერმანელები არ ექვემდებარებოდნენ ნიურნბერგის რასობრივ კანონებს მაშინ, როცა არაბებთან მიმართებაში დამოკიდებულება განსხვავებული იყო. და ბოლოს, ინდოელთა სს-ის მოხალისეთა ლეგიონის მეოთხედი მაჰმადიანებისაგან შედგებოდა.

ინდოეთი ძირითადად ითვლებოდა არიელების უძველეს სამშობლოდ. ამიტომ ნაცისტები კეთილგანწყობილი იყვნენ ინდუსებისა და ბუდისტებისადმი. ეწყობოდა ექსპედიციები ტიბეტში შ ა მ ბ ა ლ ა ს მოსაძებნად. ამ საქმით იყო დაკავებული ტულეს საზოგადოება.

არანაკლებ საინტერესოა წარმართობისა და ქრისტიანობის ურთიერთობა, რომელსაც ნაცისტები განიხილავდნენ მისტიკური ასპექტებით. გერმანელების უმრავლესობა ითვლებოდა ქრისტიანად. ჰიტლერი მზად იყო შეგუებოდა გარემოებას ერთი პირობით: „გაეწმინდათ“ ქრისტიანული სარწმუნოება „იუდაიზმის შრეებისაგან“. ასეთ ვითარებაში ქრისტე წარმოჩინდებოდა არიელად [12, 20].

ტულეს საზოგადოების წევრმა კ ა რ ლ ჰ ა უ ს ჰ ო ფ ე რ მ ა მოიწვია გერმანიაში ტიბეტელები და ინდოელები, რომლებმაც 1926 წელს მიუნხენსა და

ბერლინში შექმნეს პატარა კოლონიები. ერთ-ერთმა ტიბეტელმა ბერმა, რომელსაც უწოდებდნენ „მწვანე ხელთათმანის ადამიანს“ და ჰქონდა ზედმეტი სახელი „ფიურერი“, სამჯერ სწორად იწინასწარმეტყველა რამდენ ადგილს დაიკავებდნენ ნაცისტები რაიხსტაგში [12, 22].

1942 წელს ყირიმიდან დაბრუნებული სს-ის გრუპენფიურერი ო ტ ო ო ლ ე ნ დ ო რ ფ ი ჰიტლერმა დააჯილდოვა პირველი ხარისხის ჯვართან ერთად ხმლით, საბრძოლო დამსახურებისათვის. მისი ხელმძღვანელობით მომქმედი ჯგუფი ოკუპირებულ ტერიტორიებზე დაკავებული იყო ებრაელების, კომუნისტებისა და ყველა მათ წინააღმდეგ ბრძოლით, ვინც მონაწილეობდა იატაკქვეშა და პარტიულ მოძრაობაში. მაგრამ ფიურერმა, როდესაც გადასცა ჯილდო თავის რჩეულს რატომღაც უწოდა „გრაალის რაინდი“.

სს-ის გრუპენფიურერის ოტო ოლენდორფის მთავარი ამოცანა წმინდა გრაალის თასის მოძებნა იყო. პარალელურად ოლენდორფი მუშაობდა სს-ში შემავალი ინსტიტუტის „ანენერბე“–ს („წინაპართა მემკვიდრეობა“) შემადგენლობაში. ეს დაწესებულება სწავლობდა გერმანელი რასის ისტორიასა და ტრადიციებს, რომლის ამოცანას წარმოადგენდა მიღებული ცოდნის ოკულტიზმის მიზნით გამოყენება.

ჰიტლერელთა სპეცსამსახურების მრავალი საიდუმლო ოპერაცია მოტივირებული იყო მოეძებნა

მაგიური არტეფაქტები, აეხსნა სამყაროს საიდუმლოება-ნი. „ანენერბე“-ს ეგიდით ესესელთა ექსპედიციები „დაეხეტებოდნენ“ ჰიმალაის ტერიტორიაზე, ხოლო წყალქვეშა ნავები ცურავდნენ არქტიკისა და ანტარქტიდის წყლებში.

ყველაზე მეტად ჰიტლერი დაინტერესებული იყო ყირიმით. უკვე, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის პერიოდში ფიურერი აცხადება, რომ ამ ნახევარკუნძულის ფლობის გარეშე მესამე რაიხის ბრძოლას მთელ მსოფლიოსთან საერთოდ არ ექნებოდა საკრალური მნიშვნელობა [13, 20]. „ანენერბე“-ს მონაცემებით გრაალის თასი ყირიმში უნდა ყოფილიყო.

როგორც დავინახეთ ჰიტლერს ჰქონდა გარკვეული კავშირი მაგიასთან და ცდილობდა ზებუნებრივი ძალების შეცნობას. საინტერესოა, რამ განაპირობა ასეთი ოდიოზური პერსონის გერმანიის სათავეში მოსვლა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ზოგიერთი წინასწარმეტყველის ვარაუდი, რომ სწორედ ეს პიროვნება იქნებოდა მსოფლიოში უდიდესი სისხლისღვრის ინიციატორი.

შეიძლება ითქვას, რომ მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გ ე რ მ ა ნ (ჰ ე რ შ ე ლ) შ ტ ა ი ნ - შ ნ ა ი დ ე რ ი (1899-1933 წწ.). მისი როგორც ნათელმხილველის დებიუტი ვენის ერთ-ერთ კაბარეში მოეწყო. მან იწინასწარმეტყველა, რომ ავსტრიის ერცჰერცოგ ფერდინანდს სარაევოში მოკლავდნენ, გამოი-

ცნო პირველი მსოფლიო ომის დაწყების წელი (1914) და ისიც, რომ გერმანია ამ ომში დამარცხდებოდა.

ლიონ ფოიხტვანგერი, რომელმაც შტაინშნაიდერი გამოიყვანა თავის რომანში „ძმები ლაუტენზაკები“ წერს, რომ ასტროლოგის წინასწარმეტყველება ბევრმა არასერიოზულად აღიქვა. მის სეანსებზეც, როგორც კარგ საცირკო სანახაობაზე, ისე დადიოდნენ. პირველი მსოფლიო ომი ხომ მართლაც დაიწყო. ასტროლოგის სიტყვებსაც უკვე სერიოზულად მიუგდეს ყური [14,85].

მან, ასევე იწინასწარმეტყველა, რომ ომი 1918 წელს დამთავრდებოდა. გერმანიას წინ მძიმე დღეები მოელის. ვხედავ ლიდერს, რომელიც გერმანიას აღადგენს. ამ კაცს ა დ ო ლ ფ ი ჰქვია, ის ავსტრიელია. ეს კაცი გერმანიას ძველ დიდებას დაუბრუნებს. აგერ, ერთი შავგვრემანი კაციც, რომელმაც სული ეშმაკს მიჰყიდა. ის კავკასიელია, მაგრამ რუსეთის იმპერატორი გახდება. ამ კავკასიელისა ძალიან მეშინია. მას გერმანიის განადგურება და მსოფლიო ბატონობა სურს.

შტაინშნაიდერი ამ ყველაფერს 1916 წელს ამბობდა [14,86]. ნიუ-იორკში სეანსის დროს ჟურნალისტის შეკითხვაზე, რა მოელოდა აშშ-ს, ასტროლოგმა მიუგო:

– მალე მთელ ევროპაში საშინელი კრიზისი დაიწყება. ეს აშშ-ზეც აისახება. ბევრი ქარხანა დაიხურება, ბანდიტიზმი და დანაშაული გაიზრდება, თუმცა მალე გამოჩნდება ლიდერი, რომელიც ამას

ალაგმავს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ამერიკა მსოფლიო ლიდერი გახდება.

– მეორე მსოფლიო ომის შემდეგ?

– დიახ, ის 1939 წელს დაიწყება. დიდი ბრიტანეთის იმპერია დაინგრევა. ევროპიდან დიდი სახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნების შანსი მხოლოდ გერმანიას აქვს. თუკი ჩვენმა პოლიტიკოსებმა შეცდომა არ დაუშვეს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ორი ზესახელმწიფო იქნება, ამერიკა და გერმანია. თუკი ეს ვერ მოხერხდება, მაშინ გერმანიის ადგილს რუსეთი დაიკავებს.

– ანუ ამერიკის კონკურენტი რუსეთი იქნება?

– თუკი ასე მოხდა, ეს მსოფლიოს ძალიან ძვირი დაუჯდება! რუსეთი გააღვიძებს ჩინეთს, რომელიც ასევე დიდ სახელმწიფოდ გადაიქცევა და უამრავ პრობლემას შექმნის ... ეს ყველაფერი ასტროლოგმა 1929 წელს განაცხადა [14, 87].

პარადოქსია, მაგრამ ებრაელმა გერმან შტაინშნაიდერმა ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის საქმეში უდიდესი წვლილი შეიტანა. მისმა მრავალრიცხოვანმა სტატიებმა, სეანსებმა, სადაც ის ჰიტლერს მხსნელად მოიხსენიებდა, პუბლიკაზე განსაცვიფრებელი გავლენა იქონია. უილიამ შირერი იმასაც ამტკიცებს, რომ შტაინშნაიდერი ნაცისტების საარჩევნო კამპანიას წარმართავდა [14, 90].

ჰიტლერ-შტაინშნაიდერის შეხვედრის ორგანიზატორი ერნსტ რემი იყო. შეხვედრას ნაციონალ-სოციალისტების მთელი ზედაფენა უჭერდა მხარს. იდგა 1930 წელი.

– ჰიტლერი იმხანად მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც ფეთქებადი ტემპერამენტის ადამიანებს ხშირად ემართებათ. ენერგიის მოზღვავებას დეპრესია ცვლის. ჰიტლერი კი პარტიის აღიარებული ბელადი იყო. ამომრჩეველი ხმას არა ნაციონალ-სოციალისტებს, არამედ ჰიტლერს აძლევდა. ფიურერის პოლიტიკიდან წასვლა მისი გარემოცვისათვის კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა, – წერს უილიამ შირერი.

შტაინშნაიდერთან შეხვედრის შემდეგ ფიურერს სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდა. ასტროლოგმა უწინასწარმეტყველა, რომ პარტია ხელისუფლებაში 1933 წელს მოვიდოდა. ასტროლოგი იმდენად დაჯერებული ლაპარაკობდა, რომ ფიურერი გადაეხვია და უთხრა:

– ამიერიდან ჩემი პირადი ასტროლოგი იქნებით.

შემდგომი მოვლენები შტაინშნაიდერმა მართლაც ზუსტად განჭვრიტა. მორიგი სეანსი მან რემის, ჰიტლერისა და გერინგის თანდასწრებით მოაწყო. ასტროლოგმა რაიხსტაგის ხანძარიც იწინასწარმეტყველა და ისიც განსაზღვრა, რომ ანტინაცისტური ფრონტი, სადაც კომუნისტები და სოციალ-დემოკრატები უნდა გაერთიანებულიყვნენ, ვერ შეიქმნებოდა.

არჩევნებში ჰიტლერელებმა გაიმარჯვეს. ფიუ-
რერმა სახალხოდ განაცხადა:

– შტაინშნაიდერი გერმანიის სინდისი და ინტელექტია!

ნაციონალ-სოციალისტური პარტიის კრებაზე ფიურერი საზეიმოდ აცხადებდა: მალე შტაინშნაიდერი გერმანიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი გახ-დებაო. ასტროლოგი ნელ-ნელა გამოიკვეთა ფიგურად, ვისაც ჰიტლერზე უზარმაზარი გავლენა ჰქონდა.

– მას შეეძლო ისეთივე როლი ეთამაშა, როგორც რესპუტინს – ნიკოლოზ მეორის კარზე, – მიიჩნვეს უილიამ შირერი.

ცხადია, ამან ბევრი შეაშფოთა. გებელსმა ჰიტლერს შტაინშნაიდერის (ჰანუსენის) ებრაელობა შეახსენა. ფიურერზე ამ ცნობას გავლენა არ მოუხდენია. ნაცისტუ-რი პარტიის ზედაფენა შეშფოთებული იყო. ჰიტლერი უკვე არა მხოლოდ პარტიის ბელადი, სახელმწიფოს მე-თაურიც გახლდათ. ასტროლოგისა მას ბრმად სჯეროდა, მისი გავლენაც ფიურერზე განუსაზღვრელი იყო. არც გერინგს, არც გებელსს, არც თავად რემს ამის დაშვება არ შეეძლოთ. ასტროლოგი ყველა მათგანის კონკურენტად გადაიქცა.

1933 წლის 25 მარტს, გამთენიისას, 34 წლის შტაინშნაიდერის ტყვიებით დაცხრილული გვამი ბერ-ლინის გარეუბანში იპოვეს. მკვლელები მალე დააპა-

ტიმრეს. ისინი მოიერიშე რაზმების წევრები აღმოჩნ-დნენ.

შტაინშნაიდერი ჩვეულებრივ ადამიანზე ბევრად ძლიერი იყო, ამიტომაც შეეძლო დაენახა და განეჭვრიტა ის, რასაც უბრალო მოკვდავნი ვერ ხედავენ. მისი პროგნოზების დიდი ნაწილი გამართლდა. როგორც აღინიშნა, მანვე გამოიცნო რაიხსტაგის დაწვა, გერმანიის ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლა, მეორე მსოფლიო ომის დაწყება და სხვა. თუმცა საკუთარი სიკვდილი ვერ განსაზღვრა. რატომ? იმიტომ, რომ მაინც ადამიანი იყო და ზებუნებრივი ძალა არ გააჩნდა [14, 90-91].

რაც შეეხება ფიურერს, მისი გარემოცვა მიიჩნევდა, რომ ის ღვთისგან იყო მოვლენილი და შტაინშნაიდერის წინასწარმეტყველებაც იმიტომ ახდა. ამ რწმენას კიდევ უფრო განამტკიცებდა შემდეგი ფაქტები: სხვადასხვა გათვლებით ჰიტლერზე განხორციელდა 42-დან 50-მდე თავდასხმა. თუ არ გავითვალისწინებთ ყალბ მცდელო-ბებს, რომელიც დადგმული იყო მესამე რაიხის სპეც-სამსახურების მიერ, მსურველთა რაოდენობა მოეკლათ ადოლფი მაინც შთამბეჭდავია. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე გამორჩეული თავდასხმა მოახდინა მარტო-ხელა – ანტიფაშისტმა გ ე ო რ გ ე ლ ზ ე რ მ ა [15,16]. თუმცა უშედეგოდ.

საინტერესოა, რომ ჰიტლერის უსაფრთხოებით დაინტერესებული იყო სტალინი. ამიტომ ფიურერის სიცოცხლეს ფარულად ბერიას სამსახურიც იცავდა.

საქმე იმაშია, რომ თუ ომის პერველ ეტაპზე კრემლი ჰიტლერის „მოშორებას“ ფიქრობდა, შემდეგში ვითარება შეიცვალა. ჰიტლერის მოწინააღმდეგე ძალები ცდილობდნენ მის „ჩანაცვლებას“ ფ ო ნ პ ა პ ე ნ ი თ, რომელთანაც მოკავშირეები სეპარატულ ზავს გააფორმებდნენ საბჭოთა კავშირის გარეშე. არსებობდა საფუძვლიანი ინფორმაცია, რომ ამერიკელები ფარულ კონტაქტზე გადიოდნენ ფონ პაპენთან სტამბულში, რომელიც ამ დროს გერმანიის ელჩის მოვალეობას ასრულებდა თურქეთის რესპუბლიკაში. მოსკოვი პაპენის ლიკვიდაციას გეგმავდა [16,334].

გავიხსენოთ, როდესაც სტალინმა პოტსდამში ჩასვლისთანავე გამოთქვა ეჭვი, რომ ჰიტლერი ცოცხალი იყო და გერმანიის ფარგლებს გარეთ იმალებოდა. ბრიტანელებისა და ამერიკელების გასაკვირად, ბელადმა იგივე რამდენიმე დღის შემდეგაც გაიმეორა. როგორც ჩანს სტალინს გონებაში უტრიალებდა ნაპოლეონის ელბიდან დაბრუნების და 100-დღიანი მმართველობის ეპიზოდი. სტალინი იყენებდა ჰიტლერის ფანტომს, რომ მოკავშირეთა ერთიანობა არ დარღვეულიყო [17,216].

ჰიტლერის მოღვაწეობაში კი განგების ხელს ხედავდა რაიხის უმრავლესობა. აი, კიდევ ერთი მაგალითი: 1928 წლის დასაწყისში დასავლეთში გაიქცა სტალინის პირადი მდივანი ბორის ბაჟანოვი, რომელიც დიდი შენაძენი აღმოჩნდა ევროპისთვის. ის გახდა სა-

ბჭოთა რუსეთის მთავარი სპეციალისტი, რომლის შესახებ პოლიტიკოსებს ბუნდოვანი წარმოადგენა ჰქონდათ.

1941 წლის ზაფხულში, როდესაც „ბარბაროსას“ გეგმა უკვე მოქმედებაში იყო მოყვანილი ბაჟანოვი მიიწვიეს ბერლინში კონსულტაციისათვის. ის მიიღო ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მთავარმა იდეოლოგმა ა ლ ფ რ ე დ რ ო ზ ე ნ ბ ე რ გ მ ა, რომლის აზრს დიდ ყურადღებას აქცევდა თავად ფიურერი. ბაჟანოვი ცდილობდა დაერწმუნებინა მოსაუბრე, რომ არ აერიათ ერთმანეთში კომუნისტების პოლიტიკური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა და ომი რუს ხალხთან. მისი კონცეფციის თანახმად, საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ოკუპაცია არ უნდა მოეხდინათ, არამედ გაეთავისუფლებინათ. შეექმნათ მათთვის ლოიალურად განწყობილი რუსული მთავრობა.

„თუ თქვენ ომს აწარმოებთ კომუნიზმის წინააღმდეგ, – მიანიშნებდა ბაჟანოვი ნაცისტურ ელიტას – მაშინ რუსი ხალხი თქვენს მხარეს იქნება. მაგრამ, თუ ბრძოლას დაიწყებთ რუსეთის წინააღმდეგ, მაშინ ხალხი თქვენს წინააღმდეგ იქნება და ომს წააგებთ...“

ომის დაწყებამ ბაჟანოვს ბერლინში მოუსწრო. გაირკვა, რომ რაიხის პოლიტიკური ელიტა საკუთარი ილუზიების ტყვეობაში აღმოჩნდა. უარყოფდა ყველაფერს, რაც არ ჯდებოდა ნაციონალ-სოციალიზმის მიერ დაფუძნებული იდეოლოგიის კონცეფციის ჩარჩოებში. როზენბერგის წინადადება, შეექმნათ რუსული ანტი-

ბოლშევიკური მთავრობა – კატეგორიულად უარყოფილი იქნა ჰიტლერის მიერ. ფიურერი თვლიდა, რომ „აღმოსავლეთის ტერიტორიები, დაკავებული გერმანიის არმიის მიერ უნდა გამხდარიყო გერმანიის კოლონიები გერმანელთა მმართველობით“.

ბაჟანოვი შეეჯახა გერმანული მმართველი ელიტის ბრმა ფანატიზმს ჰიტლერისადმი. „ჰიტლერის მრავალი გადაწყვეტილება – აღნიშნავდნენ ისინი – თავიდან სისულელედ გვეჩვენებოდა. რურის ოკუპაცია და ვერსალის ხელშეკრულების დარღვევა, ავსტრიის ანშლიუსი და შეჭრა ჩეხოსლოვაკიაში, ჩვეულებრივი ლოგიკით განადგურებას გვიმზადებდა, მაგრამ ყოველთვის ის იმარჯვებდა. ასე იყო პოლონეთში, საფრანგეთში და ნორვეგიაში, ახლა არის რუსეთი. ჩვენ წინ მივდივართ და მალე მოსკოვში ვიქნებით. ეს ადამიანი ხედავს და ესმის ის, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ და არ გვესმის. ჩვენ არაფერი დაგვრჩენია გარდა იმისა, რომ გავყვეთ მას“ [18,35].

ასე ესმოდათ შტაინშნაიდერის წინასწარმეტყველება რაიხის წარმომადგენლებს. თუმცა გერმანელების ნაწილს გამარჯვებისათვის აუცილებლად მიაჩნდათ ჰიტლერის რეჟიმის შეცვლა და ისინი გულში იმედს ატარებდნენ, რომ ამ შეცვლის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ევროპა-ამერიკასთან შეთანხმება; რაც გერმანიას გამოუვალი მდგომარეობიდან გამოიყვანდა.

გამოდის, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს არსე-

ბობდა ორად გათიშული გერმანია: ერთი, რომელიც ტევტონების მანიით – გერმანელი რასის უპირატესობით იყო შეპყრობილი – ანუ ნაცისტური გერმანია, და მეორე – ევროპის გაერთიანების იდეით შეპყრობილი გერმანია, რომელსაც უნდოდა ევროპის გაერთიანება, რათა მისი ცალკეული სახელმწიფოები ამერიკის, რუსეთისა და ჩინეთის სათამაშოდ არ გადაქცეულიყვნენ. ამიტომ არსებობდა ძლიერი წინააღმდეგობა გერმანიის მხედრობაში ჰიტლერის რეჟიმისადმი. ამას ადასტურებს ჰიტლერზე მრავალგზის თავდასხმა, რასაც 5000 გერმანელი ოფიცრის ჩამოხრჩობა მოჰყვა [19,48-49].

იყო თუ არა წინასწარმეტყველებით განსაზღვრული მეორე მსოფლიო ომი, რომელსაც გერმანელი ნაცისტები გააჩაღებდნენ ჰიტლერის მეთაურობით, მისტიკის საგანია. მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ა. მ ი შ ე ლ ი მიიჩნევდა, რომ მსხვილი მესაკუთრეებისა და მრეწველების მხარდაჭერით შეძლო ჰიტლერმა ხელისუფლებაში მოსვლა და მისი შენარჩუნება. ნაცისტები იყენებდნენ გაბატონებული წრეების დამოკიდებულებას სოციალური და რელიგიური კონსერვატიზმისადმი, შიშსა და ზიზღს ე.წ სოციალიზმისადმი ... [20,17].

გლობალურმა ოლიგარქიამ გერმანული ნაციზმის კონსტიტუცია შექმნა „რუსული საკითხის“ გადასაჭრელად, რომელიც დღის წესრიგში დადგა ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების გამო. სწორედ ოქტომ-

ბრის გადატრიალებამ გაწყვიტა დროებითი მთავრობის კავშირი საგარეო მართვასთან.

საგულისხმოა, რომ ჰიტლერი ანტანტის მიერ გაკონტროლებული გერმანიის სამხედრო დაზვერვის აგენტი გახდა, რომელიც გადაბირებული იყო ჯერ კიდევ 1919 წელს, რათა სათავეში ჩასდგომოდა ა ნ ტ ო ნ დ რ ე ქ ს ლ ე რ ი ს გერმანიის მუშათა პარტიას; 1921 წელს, როცა მისი ლიდერი გახდა, სახელი გადაარქვა და უწოდა ნაციონალ-სოციალისტური გერმანიის მუშათა პარტია. ე.წ. ლუდის პუტჩის ჩაფლავების შემდეგ გადაიყვანეს მოქმედ რეზერვში, რომელშიც მისი და რ უ დ ო ლ ფ ჰ ე ს ი ს კურატორი იყო კარლ ჰაუსჰოფერი – გენერალი, გამოჩენილი გეოპოლიტიკოსი, ავტორი კონცეფციისა „ცხოვრებისეული სივრცე“. ამავე დროს იყო ოკულტისტი, საიდუმლო საზოგადოება „ტულე“-ს წევრი. მას ეკუთვნის „მაინ კამპფის“ ძირითადი იდეები, რომლებიც ჰიტლერს უკარნახა. თვითონ ჰიტლერმა კი მათი ვექტორი გაშალა აღმოსავლეთისაკენ, რომელსაც, სხვათა შორის, ეწინააღმდეგებოდა ჰაუსჰოფერი.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის წინ დასავლეთის სტრატეგია იყო ის, რომ ერთმანეთისათვის დაეჯახე-ბინა გერმანია და საბჭოთა კავშირი, რათა შემდეგ ორივესთვის ეკარნახა თავისი ნება. ამას ადასტურებს რუსი მზვერავი – არალეგალი, გენერალი იური დროზ-დოვი; აღნიშნული აღიარა აშშ-ის მომავალმა პრეზიდენ-ტმა ჰარი ტრუმენმა. ანგლო-ამერიკული გეგმა მდგომა-

რეობდა იმაში, რომ დალოდებოდნენ მომენტს და ომში ჩართულიყვნენ თავიანთი პირობებით. და დაბრუ-ნებოდნენ ახალი მსოფლიო წესრიგის პროექტს, რომელიც ოქტომბრის გადატრიალებამ ჩააფლავა.

ანტიჰიტლერული კოალიცია – ეს იყო დასავ-ლეთის იძულებითი ნაბიჯი, რათა მოხვედრილიყვნენ გამარჯვებულთა წრეში და მონაწილეობა მიეღოთ ომის შემგდომი მსოფლიოს დანაწილებაში, თუმცა არა ისე, როგორც სურდათ, არა დამოუკიდებლად, არამედ საბჭოთა კავშირთან ერთად [21,10].

შეიძლება ითქვას, რომ ჰიტლერი მოთამაშე იყო. ის თამაშობდა ყველა გერმანელის სიცოცხლით, თამაშობ-და თავისი საკუთარი სიცოცხლითაც. მიუხედავად დამრცხებისა, მან მიიღო ნგრევით გამოწვეული კმაყოფილება, რაც მის ნეკროფილურ და მანიაკალურ სულს ახასიათებდა. ვინც მართლა წააგო, ესაა მილიონობით ადამიანი – გერმანელები, სხვა ერების და ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები, რომელ-თათვისაც ბრძოლაში სიკვდილი ხშირად იყო ტანჯვის ყველაზე მსუბუქი ფორმა. მაგრამ, რადგანაც ჰიტლერი-სათვის უცხო იყო სხვათა ტკივილისადმი თანაგრძნობა, ამ ადამიანთა ტანჯვამ მასში არ გამოიწვია სინდისის არავითარი ქენჯნა [8.114].

XX საუკუნის პოლიტიკური ფიგურის ჰიტლერის ფენომენის შეფასება დღეს განსაკუთრებულ ჟღერა-დობას იძენს, რადგან გახშირდა „ფიურერის“ პიროვ-

ნების კვლავ განდიდების და მისი „სიდიადით“ ხელ-ახლა აღფრთოვანების მცდელობები. ეს ტენდენცია მკაფიოდ შეიმჩნევა ყოფილი ნაცისტების ფართოდ გამოქვეყნებულ მოგონებებში.

მიმდინარე ეტაპზე აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში განსაკუთრებით იზრდება პუბლიკაციების რაოდენობა ფაშისტური რაიხის, ჰიტლერისა და მისი გარემოცვის შესაფასებლად. ამ ლიტერატურის ხასიათი მკვეთრად განსხვავდება მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ პირველ ათწლეულში გამოქვეყ-ნებული პუბლიკაციებისაგან. თუ ადრე, როგორც წესი გერმანიის დამარცხებას „ფიურერის შეცდომებით“ ხსნიდნენ, ეხლა მიმდინარეობს კამპანია ჰიტლერისა და მთლიანად ნაციზმის რეაბილიტაციის შესახებ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ლ. მაჭავარიანი, ნ. ელიზბარაშვილი, სახალისო გეოგრა-ფია, თბ; 1998
2. Прохор Эжов, Проклятие гробницы Тамерлана, Журн. „Тайны ссср“, 2019, # 3
3. Ян Кершоу, Гитлер, Перевод с английсково, Ростов на дону., 1997
4. პოლ ფერისი, ზიგმუნდ ფროიდი, თბ; 2013
5. მარტინ უაითი, საერთაშორისო თეორიის სამი ტრადი-ცია, კრ. „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, თბ; 2004
6. ნ. თევზაძე, ადოლფ ჰიტლერი, თბ; 2018

7. მეორე მსოფლიო ომი, თარგმანი ინგლისურიდან, თბ; 2014
8. ერიხ ფრომი, ადოლფ ჰიტლერი – ნეკროფილიის კლინიკური შემთხვევა, თბ; 2013
9. ალბერტ შპეერი, ჰიტლერი, თბ; 2012
10. ჯონათან უოტსი, ჩინეთი დღევანდელ მსოფლიოში, თბ; 2012
11. Олег Шишкин, Битва за гималаи, М. 1999
12. О. Покровский, Мистика третьево рейха, журн. „Загадки истории“, 2019, # 47
13. Дмитрий Митюрин, В поисках чудесной реликвии, журн. „Загадки истории“, 2019, # 26
14. ნ. თევზაძე, ჰიტლერის პირადი ასტროლოგი, ჟურნ. „ისტორიანი“, 2014. #6
15. К. Ришес, Особый заключенный фюрера, журн. „Загадки истории“, 2020, # 6
16. Андрей Судоплатов, Тайная жизнь генерала судоплатова, Книга первая, М., 1998
17. ისააკ დოიჩერი, სტალინი, ნაწილი II, თბ; 2014
18. Валерий Ярхо, Побег секретаря сталина, журн. „Тайны ссср“, 2020, # 3
19. მარიამ მარჯანიშვილი, გოლგოთის გზაზე მიმავალი, ჟურნ. „ისტორიანი“, 2019, #9
20. Е. Н. Кульков, О. А. Ржешевский, И. А. Челышев, Правда и ложь о второй мировой войне, М., 1988
21. გ. გაჩეჩილაძე, იალტა–პოტსდამიდან დღევანდელობამ-დე, გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2020, #6

ჰიტლერი და ანტისემიტიზმი

ცნება – ა ნ ტ ი ს ე მ ი ტ ი ზ მ ი – პოლიტიკურ ტერმინოლოგიაში XIX საუკუნის ბოლოს დამკვიდრდა. ანტისემიტი ეწოდებოდა ისეთ ადამიანს, რომელსაც სძულდა ებრაელები, რადგან მიაჩნდა რომ ისინი მსოფლიო ბატონობისაკენ მიისწრაფოდნენ და მოუწოდებდა მოქალაქეებს წინააღმდეგობა გაეწიათ მათთვის [1, 119]. მოგვიანებით, ებრაელების საკითხის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას, უწოდეს ჰ ო ლ ო კ ო ს ტ ი, ან შ ო ა [1, 84].

ევროპის ქვეყნებში, განსაკუთრებით გერმანიასა და ავსტრიაში ანტისემიტური ტრადიციები არსებობდა. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში მცხოვრებ ებრაელს გვარი არ უნდა ჰქონოდა, ხოლო XIX საუკუნეში მათთვის გვარის მიცემა რეგლამენტირებული იყო. 1887 წლის მორიგი კანონით ებრაელებს აუკრძალეს ,,ძველი აღთქმიდან“ აეღოთ ,,ებრაული“ სახელები... [2, 241].

XX საუკუნის დასაწყისში ანტისემიტიზმი ვენაში ადრინდელზე უფრო მძაფრად ვლინდებოდა. ხშირად გაისმოდა შეშლილი იდეები, რომ საშიში უცხოელები თავიდან მოეშორებინათ. ავსტრიის პარლამენტში 1900 წელს განიხილავდნენ წინადადებას, ებრაელებისათვის ქრისტიანებთან სქესობრივი ურთიერთობა აეკრძალათ. ებრაელთა სავარაუდო ფიზიკური და გონებრივი ჩამორჩენილობის შესახებ აურაცხელი ლიტერატურა

იწერებოდა – არცთუ იშვიათად, ღვარძლით დაწერილი, უმეტესად იმ ადამიანების სახელებით გამყარებული, რომლებიც მედიცინაში ავტორიტეტებად იყვნენ მიჩნეული [3, 220].

1912 წელს ბავარიაში შეიქმნა ორდენი, რომელიც თაყვანს სცემდა ძველ გერმანელთა ომისა და სიკვდილის ღმერთს ვ ო ტ ა ნ ს [2, 156]. ჩამოყალიბდა საზოგადოება ,,ტ უ ლ ე“, რომელიც დახმარებას უწევდა ყველა გაერთიანებას, ვინც ,,ებრაელთა წინააღმდეგ იბრძოლებდა“ [2, 158].

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გადარჩენილი ჯარისკაცები დაბრუნდნენ სამშობლოში. ნახევარი მილიონი გერმანელი გამოყარეს პოლონეთი-დან. 700 ათასი ოფიცერი და კიდევ უფრო მეტი სერ-ჟანტი აღმოჩნდნენ საშინელ, უიმედო მდგომარეობაში ბერლინსა და სხვა ქალაქებში. ომის ინვალიდებს არ დაენიშნათ პენსია [4, 33]. ინფლაცია იზრდებოდა, რო-გორც თოვლიანი ქარბუქი. ყოველ თვეს, ყოველ კვირას, ყოველ დღე და ყოველ საათს მარკის ღირებულება უფასურდებოდა.

თუ თქვენ სურვილი გქონდათ შეგეძინათ რაიმე ნივთი დილით, დაუყოვნებლივ უნდა გეყიდათ, რადგან შუა დღეს მისი ფასი სამ-ოთხჯერ შეიძლება გაზრდი-ლიყო. ასეთ ვითარებაში ყველგან გამოჩნდნენ უცხოელ-თა ჯგუფები, რომელთაც ჯიბეები სავსე ჰქონდათ დოლარებით, ფრანკებით და ფუნტებით. ისინი

ყიდულობდნენ პირველი მოთხოვნილების საგნებს და ხელოვნების ნიმუშებს, რომელთა შეძენა თავად გერმანელებს უკვე აღარ შეეძლოთ. ასეთ ამორალურ ვითარებაში მთელი გერმანიის მასშტაბით სწრაფად გავრცელდა ქსენოფობია. მოკლე დროში ერთ დოლარში იხდიდნენ 4,2 ტრილიონ მარკას. ჩვეულებრივი საფოსტო მარკა კი 12 მილიონი მარკა ღირდა [4, 37].

აღნიშნული ეკონომიკური ვითარების ფონზე ისტორიულ სცენაზე გამოჩნდნენ მოვაჭრე ებრაელები, რომელთა მოქმედებამ გაამძაფრა ანტისემიტური განწყობილება, რომელიც ისედაც ძლიერი იყო გერმანელ მოსახლეობაში [4, 36].

ჰიტლერის ისტორიულ წარმოდგენებში ისევე, როგორც მისი ყოფილი მასწავლებლის ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ფ ო ნ მ ი უ ლ ე რ ი ს შეხედულებებში ებრაელები მიეკუთვნებოდნენ ხრწნად ფერმენტს, რაც განსაზღვრავდა მათ ბიოლოგიურ ანტისემიტიზმს. ,,ნუთუ, – განაცხადა ჰიტლერმა 1941 წლის 1 დეკემბერს – ბუნებამ იმიტომ შექმნა ებრაელები, რომ თავისი ლპობადი გავლენით მოძრაობაში მოიყვანონ სხვა ხალხები? თუ ეს მართალია, მაშინ მოციქული პავლე და ტროცკი უდიდეს პატივისცემას იმსახურებენ, რამდენადაც ამ საქმეში მათ წვლილი მიუძღვით“. მისი რწმენით ებრაელობა წარმოადგენდა ,,ნებისმიერი სამყაროს სასიკვდილო მტერს“, ,,წამლავდა სხვა ხლხების სისხლს“, ,,წოვდა მათ სიცოცხლეს“ [2, 224].

1918 წელს მიუნხენში ყოფნის დროს ჰიტლერს ხელში ჩაუვარდა ნაციონალისტური შინაარსის ანტისემიტური პროკლამაციები და პამფლეტები, სადაც აღნიშნული იყო, რომ გერმანიის დამარცხებაში დამნაშავეები მხოლოდ ებრაელები იყვნენ [2, 140].

,,ბოლოს და ბოლოს აღარ მეეჭვებოდა, რომ სოციალ-დემოკრატიული პრესა მთლიანად ებრაელთა ხელში იყო – აღნიშნავდა ჰიტლერი თავის წიგნში ,,ჩემი ბრძოლა“. უფრო მეტიც, დავრწმუნდი, რომ არც ერთი გაზეთი, რომელთანაც ვინმე ებრაელს რაიმე შეხება ჰქონდა, არ შეიძლება ყოფილიყო ნაციონალისტური იმ აზრით, როგორც ეს მე მესმოდა.

რაც შეეხება მარქსისტულ პრესას, იქ, დაწყებული რედაქტორიდან, დამთავრებული უმცროს თანამშრომლამდე, ყველანი ებრაელები იყვნენ.

სოციალ-დემოკრატების ყველა ბროშურის ავტორებიც ებრაელები იყვნენ.

სოციალ-დემოკრატიული გაზეთების თითქმის ყველა სტატიას ხელს ებრაელი ჟურნალისტები აწერდნენ...

ებრაელები დომინირებდნენ რაიხსტაგში. მუშათა კავშირებში, თავმჯდომარეობდნენ სხვადასხვა ორგანიზაციებს. იყვნენ ქუჩის აგიტატორები“.

ჰიტლერი თვლიდა, რომ ებრაელები არასოდეს ,,გაგერმანელდებოდნენ“. მისი აზრით ,,ისინი გამხრწნელ ელემენტებს წარმოადგენდნენ“ [5, 10]. მან

შეიძულა ებრაელები. გულგრილი დამკვირვებლიდან, ფანატიკური ანტისემიტი გახდა.

ჰიტლერის ანტისემიტიზმს ძალას მატებდა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის პროგრამა. რომლის თანახმად ებრაელებსა და ,,ებრაელთა შთამომავლებს“ ერთმეოდათ გერმანიის მოქალაქეობა (პუნქტი 4), გერმანიაში შეეძლოთ ეცხოვრათ დროებით (პუნქტი 5) და არ ჰქონდათ უფლება დაეკავებინათ რაიმე ოფიციალური თანამდებობა (პუნქტი 6)... [2, 19].

თუ რუსეთში ბოლშევიკებმა ყველაზე ოდიოზური ბიბლიური პერსონაჟი, გამყიდველი იუდა ,,კაცობრიობის პირველ რევოლუციონერად“ გამოაცხადეს და სხვადასხვა ქალქში ძეგლი დაუდგეს [6, 30], ჰიტლერს ბიბლიური მოსე ბოლშევიზმის ლიდერად მიაჩნდა, რომელმაც სისხლიანი რევოლუციის მოსაწყობად ებრაელები ეგვიპტიდან გამოიყვანა [4, 346-347].

ძალაუფლების მოპოვების შემდეგ, ჰიტლერმა ანტიებრაული პოლიტიკა ეტაპებად განახორციელა, რომელთაგან თითოეული წინაზე უფრო რადიკალური იყო. პირველად დაიწყო იმის განსაზღვრა, ვინ იყო ებრაელი. ამის შემდეგ რეჟიმმა დაიწყო ებრაელების გერმანული ცხოვრებიდან იზოლაციის კამპანია და მათი ქონების ექსპროპრიაცია. შემდგომ, ყველა ებრაელი, რომელმაც ქვეყანა 1933-1938 წლებში არ დატოვა, გერმანული საზოგადოებიდან ძალით გამოაცალკევეს და ცნობილ საკონცენტრაციო ბანაკებში გააგზავნეს.

მასობრივი დეპორტაცია წინ უსწრებდა მეოთხე და საბოლოო ეტაპს: ყველა ებრაელი კაცის, ქალისა და ბავშვის განადგურებას, ვისზეც ხელი მიუწვდებოდა მესამე რაიხს [7, 144].

ნაციზმის ერთ-ერთმა მთავარმა იდეოლოგმა, ბალტიისპირელმა გერმანელმა ალფრედ როზენბერგმა ჰიტლერს გააცნო ,,ებრაელთა მსოფლიო შეთქმულების“ დეტალები ,,სიონის ბრძენთა ოქმებიდან“. ჰიტლერმა მართლაც ირწმუნა, რომ ბოლშევიზმი ებრაელთა მიერ იყო დაფუძნებული. სწორედ ეს გახდა მისი იდეოლოგიის საფუძველი [8, 37].

ჰიტლერი ებრაელებს მიიჩნევდა, როგორც რასას. უგულებელყოფდა მათ რელიგიურ აღმსარებლობას და მათ წინააღმდეგ ბრძოლას გადაუდებელ ამოცანად თვლიდა არა ემოციური, არამდე რაციონალური მოტივებით [8, 38].

ჰიტლერის გარემოცვაში თითქმის ყველა, ფიუ-რერის შეხედულებებს იზიარებდა. მაგალითად, ნაცისტების პოლიტიკური მოღვაწე ი უ ლ ი უ ს შ ტ რ ა ი ხ ე რ ი (1885-1946), რომელსაც გამორჩეულად სძულდა ებრაელები თავის თავს უწოდებდა ,,1 ანტისემიტს“. ის იყო ნიურნბერგში ებრაელთა დარბევის ორგანიზატორი და ყოველდღიური ანტისემიტური გაზეთის გამომცემე-ლი (1923 წლიდან). თავის გამოსვლებსა და სტატიებში მოსახლეობას მოუწოდებდა ებრაელთა წინააღმდეგ საბრძოლველად. მისი გაზეთის ფურცლები აჭრელებუ-

ლი იყო ებრაელების კარიკატურებით, პუბლიკაციებით ებრაელთა მიერ რიტუალური მკვლელობების შესახებ, პორნოგრაფიული სურათებით ებრაელთა ცხოვრებიდან და წერილებით, სადაც ყველაფერში დამნაშავე მხოლოდ ებრაელი იყო. 1937 წლის მაისში დირიჟაბლი ,,ჰინდენბურგის“ დაღუპვასაც კი შტრაიხერის გაზეთი ებრაელთა შეთქმულებით ხსნიდა [4, 337-338].

1933 წლის 1 აპრილიდან რეიხში გამოცხადდა ებრაულ საქონელზე ბოიკოტი. ებრაელთა მაღაზიებთან მორიგეობდნენ ,,მოიერიშეთა რაზმები“ პლაკატებით, რომლებიც მოუწოდებდა გერმანელებს არაფერი ეყიდათ ურიებისაგან.

1935 წლის 15 სექტემბერს ვილჰელმ ფრიკის მონაწილეობით ნიურნბერგში მიღებული იქნა კანონი მოქალაქეობისა და რასის შესახებ, რომელიც ზღუდავდა ებრაელთა უფლებებს და აცხადებდა მათ მეორე ხარისხის მოქალაქეებად. ამავე დროს ფრიკის ბრძანებით 100 ათასი ადამიანი გაიგზავნა საკონცენტრაციო ბანაკში [4, 333].

იგივე კანონი კრძალავდა შერეულ ქორწინებას ებრაელებსა და გერმანელებს შორის, რათა არიული სისხლი და გერმანული ხელოვნება გადაერჩინათ ებრაელების დამღუპველი გავლენისაგან. ებრაელებს კი საყელოზე და ზურგზე ექვსქიმიანი ვარსკვლავი უნდა ეტარებინათ, არ უნდა ემგზავრათ ავტობუსით და

ტრამვაით და არ უნდა გაერეცხათ სარეცხი არიულ სამრეცხაოებში.

1938 წლის ნოემბრის ერთ ღამეს გერმანიის საიდუმლო პოლიციის წევრებმა დაარბიეს ებრაელების მაღაზიები, ცეცხლი წაუკიდეს სინაგოგებს, აწამებდნენ, ან კლავდნენ ქუჩაში შემხვედრ ყოველ ებრაელს, რათა დაეჩქარებინათ მათი წასვლა გერმანიიდან [1, 143-144].

,,ანშლიუსიდან“ რამდენიმე თვის შემდეგ 1938 წლის 17 აგვისტოს, ავსტრიის ყველა ებრაელი მამაკაცი აიძულეს ეტარებინათ სახელი ი ს რ ა ე ლ ი, ხოლო ებრაელ ქალებს – ს ა რ ა [2, 241].

ამავე დროს ქვეყანაში მომსახურე ყველა ებრაელს გადაეცა უწყება შტატების შემცირებასთან დაკავშირებით. უწყების თანახმად თოთხმეტი დღის ვადაში ებრაელებს სამსახური უნდა დაეტოვებინათ. არსებობს მონაცემები, რომ 5 ივლისს ძალიან ბევრმა ებრაელმა თვითმკვლელობით დაამთავრა სიცოცხლე. 1938 წლის 22 ივლისს ბერლინის მთავრობამ გამოსცა ბრძანება, რომელიც ყველა ებრაელს ავალდებულებდა საიდენტიფიკაციო ბარათები ეტარებინათ [14, 47].

1939 წელს კი, გერმანელებმა გამოსცეს კანონი, რომელიც ებრაელებს მანქანის მართვას უკრძალავდა და თუ საჭესთან წააწყდებოდნენ, საკონცენტრაციო ბანაკში აგზავნიდნენ [1, 235].

ებრაელებზე მხეცური ანგარიშსწორება კიდევ უფრო საშინელ ფორმებს იღებს მეორე მსოფლიო ომის

დაწყების შემდეგ. ერიხ ფრომის აზრით არ არის იმის დამადასტურებელი ფაქტები, რომ ომის დაწყებამდე ჰიტლერი აპირებდა ებრაელების ამოწყვეტას: ნაცისტების პოლიტიკა მიმართული იყო გერმანიიდან ებრაული ემიგრაციის მხარდაჭერაზე, და მთავრობა იღებდა კიდეც სპეციალურ ზომებს, რათა ებრაელებისათვის ქვეყნიდან გასვლა შეემსუბუქებინა. მაგრამ 1939 წლის 30 იანვარს ჰიტლერმა სავსებით გულახდილად განუცხადა ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა მინისტრს ხ ვ ა ლ კ ო ვ ს კ ი ს: ,,ჩვენ ვაპირებთ ებრაელების განადგურებას. ისინი ვერ გაექცევიან სასჯელს იმისათვის, რაც მათ ჩაიდინეს 1918 წლის 9 ნოემბერს. ანგარიშსწორების დღე დადგა“. იმავე დღეს რაიხსტაგში გამოსვლისას მან ფაქტიურად იგივე გაიმეორა, მაგრამ უფრო ბუნდოვანი ფორმით [9, 58].

გერმანელები ყველა ოკუპირებულ ტერიტორიაზე ებრაელებისათვის განსაკუთრებულ ნორმებს აწესებდნენ. სწორედ ეს იყო ანტისემიტიზმის ჰიტლერული პოლიტიკა. ანა ფრანკის დღიური გვამცნობს, რომ ჰოლანდიის ოკუპაციის შემდეგ ებრაელებისათვის აქ განსაკუთრებული რეჟიმი დამყარდა: ,,ებრაელებს უნდა ეტარებინათ ყვითელი ვარსკვლავი, ჩაებარებინათ ველოსიპედები, ეკრძალებოდათ ტრამვაით მგზავრობა, ავტომობილზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. რაიმეს ყიდვა მხოლოდ სამიდან ხუთ საათამდე შეეძლოთ, ისიც მხოლოდ ებრაელთა სავაჭროებში. საღამოს რვა

საათის შემდეგ არა მარტო ქუჩაში გამოსვლის, არამდე ბაღში ან აივანზე გაჩერების უფლებაც აღარ ჰქონდათ. ებრაელებს აუკრძალეს თეატრსა და კინოში სიარული, ვერც სხვა გასართობ ადგილებში შედგამდნენ ფეხს. მათ ეკრძალებოდათ ცურვა, ჩოგბურთისა და ჰოკეის თამაში, საერთოდ, სპორტის ყველა სახეობა. ებრაელებს აღარ ჰქონდათ უფლება ქრისტიანებს სწვეოდნენ. ებრაელ ბავშვებს ებრაულ სკოლებში უნდა ესწავლათ“ [10, 15].

,,ებრაელებს უფლება ჰქონდათ ესარგებლად მხოლოდ ერთადერთი ტრანსპორტით, ,,პატარა ნავით“ და ზოგჯერ ველოსიპედით“ [10, 19].

როდესაც ებრაელის ოჯახს ან რომელიმე წევრს გესტაფოდან უწყება მოუვიდოდა, ეს ნიშნავდა, რომ საკონცენტრაციო ბანაკში – ვესტერბორკში მიჰყავდათ. ტყვეებს არც დაბანის საშუალება ჰქონდათ და არც ტუალეტები იყო საკმარისი. ბანაკებში ტევა არ იყო. პატიმრებს ადვილად სცნობდნენ გადაპარსული თავითა თუ წმინდა ებრაული გარეგნობით [10, 51].

ა დ ო ლ ფ ე ი ხ მ ა ნ ი ს მოადგილე ოტო გუნშე, არის საიდუმლო ბრძანების ავტორი, რომელსაც ხელს აწერს კალტენბრუნერი, რომლის მიხედვით ,,ებრაელთა საკითხის საბოლოო გადაწყვეტის“ აქცია ვრცელდებოდა გერმანიის გარდა სხვა ქვეყნების ებრაელ მოქალაქეებზე [11, 78].

ჰოლანდიის ქალაქების ქუჩებში ყოველ საღამოს მწვანე და შავი ფერის მანქანები დაჰქროდნენ. გერმა-

ნელი ,,ესესელები“ მწვანე მანქანებში ისხდნენ, ჰოლანდიის ფაშისტური პოლიცია კი შავში და ებრაელებს დაეძებდნენ. თუ სადმე ერთ კაცს აღმოაჩენდნენ, მთელ ოჯახს აპატიმრებდნენ [10, 67]. ოჯახებს აცალკევებდნენ, ბავშვებს დედ-მამას აშორებდნენ. ხშირად სკოლიდან დაბრუნებულ ბავშვს შინ მშობლები აღარ ეგეზებოდნენ, სავაჭროდ გასულ ებრაელ ქალს ბინა დალუქული ხვდებოდა, ხოლო ოჯახი გასახლებული [10, 79].

თავად ჰოლანდიელი ბავშვები ოკუპირებულ ტერიტორიაზე ზამთარში თხელი ბლუზების ამარა, უპალტოოდ, უქუდოდ, უხელთათმანოდ დატანტალებდნენ. ფეხზე ხის ქოშები ეცვათ. კუჭი ცარიელი ჰქონდათ, სტაფილოს ღრღნიდნენ, ცივი ბინიდან სველ ქუჩაზე გამორბოდნენ, სკოლაში მიდიოდნენ და გაყინულ ნესტიან კლასში სხდებოდნენ. ჰოლანდია იქამდე მივიდა, რომ ბავშვები ქუჩაში გამვლელებს პურის ნატეხს სთხოვდნენ... [10, 79-80].

ჰიტლერმა ოფიციალურად დაავალა ჰიმლერს განეხორციელებინა გეგმა, რომელსაც ეწოდა ,,ევროპასა და დასავლეთის ქვეყნებში ებრაული პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა“. გეგმა ითვალისწინებდა 11 მილიონი ებრაელის განადგურებას. საქმე ეხებოდა იმ დროისათვის უკვე ოკუპირებულ ტერიტორიებზე – ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, საფრანგეთი, ბელგია, ჰოლანდია და საბჭოთა კავშირის ის ნაწილი, სადაც ებრაელებს ნახავდნენ [12, 68].

წლების მანძილზე ჰიტლერული რეჟიმის რეიხს-ბანკის დირექტორი იალმარ შახტი, როგორც ნიურნ-ბერგის პროცესზე აღიარა, ყოველთვის მხარს უჭერდა ებრაელთა დევნის პოლიტიკას და პირადად გასცემდა მითითებებს, რის საფუძველზეც ებრაელ მოქალაქეთა ქონების ძარცვა არ ექვემდებარებოდა დანაშაულთა ნუსხას – სასამართლომ არ გამოუტანა გამამტყუნებელი განაჩენი [11, 56].

ნიურნბერგის ერთ-ერთმა ,,გმირმა“ იულიუს შტრაიხერმა 1946 წლის 1 ოქტომბერს დაასრულა სიცოცხლე. ჯერ კიდევ 1944 წლის თებერვალში ,,გერმანელი ახალგაზრდობის უდიდესი აღმზრდელი“, როგორც მას ჰიტლერი უწოდებდა, წერდა: ,,ის ვინც აკეთებს იმას, რასაც აკეთებს ებრაელი, – არამზადა და დამნაშავეა, ხოლო ვინც იმეორებს მის მოქმედებას და სურს მიბაძოს მის საქციელს, იმსახურებს იგივე ბედს – განადგურებას, სიკვდილს“ [11, 53-54].

1944 წლის ივლისში ეიხმანის ზონდერებმა ოს-ვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში მიიყვანეს 437 402 ებრაელი. ,,სიკვდილის ფაბრიკაში“ მიყვანისთანავე დე-დები განაცალკევეს შვილებისაგან, ცოლები ქმრები-საგან. ამ ადამიანების უმრავლესობა მაშინვე გაგზავნეს გაზის კამერებში, მხოლოდ ყოველი მეათე დროებით გამოყენებულ იქნა მძიმე სამუშაოებზე [11, 79].

ფიურერის ბრძანებით, ჯერ კიდევ 1943 წლის 1 ივლისამდე გერმანიის იურისდიქციაში არსებულ

ტერიტორიებზე ებრაელები უნდა აღეგავათ პირისაგან მიწისა. პირველი აპრილიდან პირველ მაისამდე უტრეხ-ტის პროვინცია უნდა გაწმენდილიყო ურიებისაგან. პირველი მაისიდან პირველ ივნისამდე – ჩრდილო და დასავლეთ ჰოლანდიის ტერიტორიაზე მცხოვრები ებრაელები ,,სასაკლაოზე უნდა გაერეკათ“ [10, 92].

საერთოდ, ნაცისტური პოლიტიკიდან გამომ-დინარე წინასწარ იქნა გაწერილი მესამე რაიხისათვის ,,ზედმეტ ადამიანთა“ ჩამონათვალი. საკონცენტრაციო ბანაკებში გადაგზავნას ექვემდებარებოდნენ კომუნის-ტები, პოლიტიკური ოპოზიცია, ებრაელები, ბოშები, პოლონელები, სამხედრო ტყვეები და რეჟიმისათვის არასასურველი ნებისმიერი პირი. გერმანული საკონ-ცენტრაციო ბანაკების განსაკუთრებულ ტიპს წარმოად-გენდა ,,სიკვდილის ბანაკები“, სადაც ტყვეები მიღების-თანავე ნადგურდებოდნენ. „არასრულფასოვანი“ ერე-ბის, პირველ რიგში – ებრაელების მიზანმიმართულად განადგურებისათვის ნაცისტების მიერ 7000-მდე ბანაკი და გეტო იქნა დაარსებული; ვაშინგტონის ,,ჰოლოკოს-ტის მემორიალური მუზეუმის“ მონაცემებით, მსგავსი დაწესებულებების რაოდენობა 20 000-ს აღწევდა. ომის დასასრულს, კვალის დაფარვის მიზნით, უმეტესი მათგანი ნაცისტებმა სრულიად გაასწორეს მიწასთან.

საკონცენტრაციო ბანაკებში, გესტაპოს მაღალი ჩინების ხელდასხმით, ნაცისტი ექიმები წლების განმავლობაში ატარებდნენ დანაშაულებრივ სამედი-

ცინო ექსპერიმენტებს ჰიპოთერმიის გამოყენებით, მალარიის ვირუსის შეყვანით, მხუთავი გაზის, საწამლავების, სხვადასხვა ხარისხის დამწვრობის, მაღალი წნევის ზემოქმედებით. დოქტორებმა – იოზეფ მენგელემ და ზიგმუნდ რაშერმა ასიათასობით ბოშა, ებრაელი, საბჭოთა სამხედრო ტყვე გამოიყენეს სამედიცინო ცდებისას. ცოცხლად გადარჩენილთა მცირე ნაწილი გესტაპომ ფიზიკურად გაანადგურა [13, 152-153].

ოსვენციმის, ლვოვის, მაიდანეკის და სიკვდილის სხვა ბანაკებში მომხდარი ტრაგედიების შესწავლამ მრავალი საშინელი ფაქტი გამოავლინა. მაგალითად, დანცინგში (გდანსკი) 1943 წელს ნაცისტებმა ააშენეს შენობა, რომლის აბრაზე ეწერა: ,,მედიცინის აკადემიის ფარმაკოლოგიური ინსტიტუტი“. მათ აქ შექმნეს ნახევრად სამრეწველო მასშტაბის საპნის წარმოება, რომელსაც ამზადებდნენ ადამიანის სხეულისაგან. შენობაში იყო გვამების სათავსო, გეჯა და აბაზანა ადამიანის კანის გასარეცხად. ცალკე ჰქონდათ ლაბორატორიული მოწყობილობა ადამიანის ქონის მისაღებად. გონება უძლურია დაიჯეროს, რომ ეს ყველაფერი მოიფიქრა და შექმნა ადამიანმა [12, 46-47].

მართალია ნაცისტები ტყვეებს ერთნაირი სისასტიკით ანადგურებდნენ, მაგრამ განსაკუთრებული აქცენტი მაინც ებრაელებზე კეთდებოდა. აი, ერთ-ერთი ტიპიური ბრძანება სდ-სა და უშიშროების პოლიციის უფროსის მიერ გაცემული, რომელიც 1944 წლის 21

ივლისით თარიღდება: ,,... რამდენადაც ფრონტზე არსებული მდგომარეობა მოითხოვს, აუცილებელია თავის დროზე მივიღოთ ზომები ციხეების მთლიანი ევაკუაციის შესახებ. მდგომარეობის მოულოდნელი ცვლილების შემთხვევაში, რაც შეუძლებელს გახდის ტყვეების გადაადგილებას ისინი უნდა გავანადგუროთ. ამასთან გვამები დავწვათ, შენობა კი ავაფეთქოდ და ა.შ. ასე უნდა მოვექცეთ ებრაელებს. არ მივცეთ საშუალება, რომ ტყვეები გაანთავისუფლონ დასავლეთელმა მოკავშირეებმა ან წითელმა არმიამ“ [12, 47-48].

თვითმხილველებმა, რომლებმაც გადაიტანეს ოკუ-პაციის სუსხი ოდესის მხარეში, კარგად ახსოვთ 1941-1942 წლებში, როგორ ანადგურებდნენ ებრაელებს ფა-შისტები: ოდესიდან მოყავდათ ებრაელთა 50 კაციანი ჯგუფები ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში და მაშინვე ხვრეტდნენ. მოწმეთა ჩვენების თანახმად მხოლოდ ერთ სოფელში 20 ათასზე მეტი ებრაელი გაანადგურეს [13, 95-96].

ანტისემიტიზმის ნაცისტური პროგრამა ინტენსიუ-რად მუშაობდა. მაგალითად, 1942 წლის იანვარში უსაფრთხოების სამსახურის პატაკში აღნიშნულია, რომ ,,ესტონეთი გაწმენდილია ებრაელებისაგან“ [12, 102].

საკონცენტრაციო ბანაკებში ებრაელები მკერდზე ატარებდნენ ყვითელ ვარსკვლავს, ასოციალური ელემე-ნტები შავ სამკუთხედს, პოლიტიკური პატიმრები წი-თელ სამკუთხედს, ჰომოსექსუალები კი, როგორც

სოციალური ელემენტების განსაკუთრებული კატეგორია, ატარებდნენ ვარდისფერ სამკუთხედს [1, 79].

,,სიკვდილის ბანაკებს“ ადამიანთა მოსპობის საკუთარი მეთოდები ჰქონდათ შემუშავებული. ზოგიერთ ბანაკში, ვიდრე ფიზიკურად გაანადგურებდნენ ნაცისტები წამების სხვადასხვა ექსპერიმენტს ატარებდნენ პატიმრებზე. ეს იყო ნამდვილი ჯოჯოხეთი. ამცირებდნენ, ცხოველებად აქცევდნენ ადამიანებს. ბანაკის მართვის შენობის ქვედა სართულზე მდებარეობდა ე.წ. საწამებელი საკანი, სადაც პატიმრებს ჩხვლეტდნენ ნემსებით ენაზე, ტანზე კვეთდნენ ვარსკვლავებს, კიდებდნენ ფეხებით, თხრიდნენ თვალებს, აჭრიდნენ ცხვირს... [12, 117].

სასამართლო პროცესზე მოტანილი დოკუმენტების მიხედვით, მაიდანეკის საკონცენტრაციო ბანაკში პატიმრებმა ერთ-ერთ დამსჯელ ჯგუფს შეარქვეს ,,სისხლიანი ბრიგადა“. ბრიგადის წევრები თავის ,,ავჩარკებს“ გეშავდნენ ებრაელ ფეხმძიმე ქალებზე და სიამოვნებით უყურებდნენ, როგორ გლეჯდნენ ძაღლები მათ მსხვერპლს. დოკუმენტური კადრები გვამცნობენ, როგორ ისროდა ნაცისტი გერმანელი ქალი ჰ ე რ მ ი ნ ა ბ რ ა უ ნ შ ტ ა ი ნ ე რ ი (ზედმეტი სახელი კ ო ბ ი ლ ა) ძუძუს ბავშვებს კრემატორიუმის ღუმელში და ხარობდა თუ როგორ იწვოდნენ ცოცხლად [12, 175].

გზას მატარებლიდან გაზის კამერამდე, კაცები უნდებოდნენ ათ წუთს, ქალები კი საათის მეოთხედს,

ვინაიდან მათ ხშირი და ხარისხიანი თმა ქონდათ და მის შეჭრას უფრო დიდი დრო სჭირდებოდა. მოჭრილი თმით, ლეიბებს ტენიდნენ, ან აკეთებდნენ თოჯინების-თვის პარიკებს. იმისათვის, რომ ხალხს სადგურზე ხმაური არ აეტეხა, ეუბნებოდნენ, რომ ჯერ ყველა მიდიოდა აბანოში, ხანდახან ბილეთებსაც ურიგებდნენ, ვითომ, აბანოს სალაროში უნდა წარედგინათ. ირგვლივ სახლებზე კი წარწერები ეკიდა: ბუფეტი, სალარო, ტელეგრაფი და ა.შ. და ხალხსაც თუმცა ეშინოდა, მაგრამ მაინც ფიქრობდა, რომ სადგურზე იმყოფებოდნენ და სხვა ადგილას წაიყვანდნენ, ხოლო, გახდა და თმის შეჭრა საჭირო იყო ჰიგიენის დაცვის თვალსაზრისით, რადგან გერმანელები ძალიან ზრუნავდნენ ჰიგიენაზე, და ას კილოგრამ თმაში სამმართველო სახელმწი-ფოსაგან იღებდა რეიხის ხუთ მარკას. გერმანელები ამბობდნენ, რომ ბანაობის შემდეგ ყველა წავიდოდა მეორე ბანაკში, სადაც ისინი იმუშავებდნენ, ვინაიდან ბეჯითი მუშაობა საუკეთესო გზა იყო გამოსწორებისკენ. გაზის კამერებში, ხალხი შედიოდა ხელებაწეული, რაც შეიძლება ბევრი რომ დატეულიყო, ხოლო მათ ზევით დარჩენილ სივრცეში ბოლო წუთს ბავშვებს შეყრიდნენ, ისინი პატარები იყვნენ და დიდ ადგილს არ იკავებდნენ. ზოგჯერ, ,,სადგურზე“ ორკესტრი იდგა, რომელიც შედგებოდა ახალგაზრდა პატიმარი გოგონებისაგან, თეთრ ბლუზებსა და მეზღვაურის ლურჯ ქვედაკაბებში და არიებს უკრავდნენ ოპერეტებიდან [1, 91-92].

პირველი გაზის კამერა ოსვენციმში 1942 წლის მაისში ამოქმედდა. ოსვენციმის კრემატორიუმის საშუალო ,,გამტარუნარიანობამ“ დღეში 20 ათასს მიაღწია [14, 76].

როგორც უკვე აღვნიშნეთ საკონცენტრაციო ბანაკებში ,,სამეცნიერო ცდებსაც“ ატარებდნენ. უმეტესად, ეს იყო სტერილიზაციისა და კასტრაციის სხვადასხვა მეთოდები, ან ტკივილგამძლეობის ტესტირება. ამ პროცედურებს ძირითადად უტარებდნენ ახალგაზრდა, ფიზიკურად ძლიერ პატიმრებს. რომელიმესთვის, მაგალითად შეიძლება მოეჭრათ ფეხზე პატარა ნაჭერი, ან ძვლამდე აეძროთ ხორცი და ა.შ. ან სხვადასხვა ცდებს ტყუპებზე, რომელიც ახალი ჰიპოტეზის ფორმულირების საშუალებას იძლეოდა გენეტიკაში, და რაზედაც, სამეცნიერო წრეებში ბევრს ლაპარაკობდნენ. თუ, პატიმართა შორის აღმოჩნდებოდა ვინმე, ვინც ებრაელს გავდა, თავს აჭრიდნენ, მას პრეპარირებას უკეთებდნენ და აგზავნიდნენ გერმანულ სკოლებში, სკოლის მოზარდებს, რომ შესძლებოდათ პირველივე შეხედვით ეცნოთ ებრაელი [1, 244-245].

ხაზგასასმელია, რომ მესამე რაიხის რასისტულ პოლიტიკას ზოგად-ბიუროკრატიული ევფემიზმის გამოყენებით ,,ებრაელთა საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ეწოდა, რაც ევროპის ებრაელთა სრულ განადგურებას გულისხმობდა. ბრძანებას 1941 წლის 31 ივლისს გერინგმა მოაწერა ხელი. გესტაფო გამოავლენდა,

გაასახლებდა ან ფიზიკურად სპობდა ნებისმიერი აღმსარებლობის და სტატუსის მქონე ებრაული წარმომავლობის პირს. მობილურობისთვის ,,გაზვაგონებსაც“ – სატვირთო მანქანაზე დამონტაჟებულ გაზის კამერებს იყენებდა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ცნობილი გახდა ნაცისტების მიერ ჩადენილი შემაძრწუნებელი ფაქტები: ევროპის ებრაელთა 60% და მსოფლიო ებრაელთა მესამედი განადგურებულიყო, სხვადასხვა წყაროებით – 4,5 მილიონიდან 8 მილიონამდე, რაც ,,ჰოლოკოსტის“, ,,კატასტროფის“ და ,,შოას“ ტერმინებით დამკვიდრდა მსოფლიო ისტორიაში [13, 153-154].

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ამერიკული პრესის მონაცემების თანახმად, ომის შემდეგ 5 ათასზე მეტმა ნაცისტმა დამნაშავემ თავშესაფარი ჰპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში [12, 97].

აქვე გვინდა შევეხოთ დებატებს ჰოლოკოსტზე კათოლიკურ ეკლესიასთან მიმართებაში. კვლავ ისმის კითხვა: რამდენად ინფორმირებული იყო ვატიკანი? არქიეპისკოპოსი ს ა პ ე გ ა, რომელიც ებრაელთა გეტოდან რამდენიმე წუთის სავალზე ცხოვრობდა და ოსვენციმთანაც ახლოს იყო, ყოველ ღონეს ხმარობდა სიმართლის გამოსააშკარავებლად... 1942 წლის დასაწყისში მიტროპოლიტმა კარდინალმა უშუალოდ რომის პაპს მისწერა საკონცენტრაციო ბანაკებში გამეფებული სისასტიკის შესახებ. იგი წერდა, რომ ,,ამ ბანაკებიდან

იშვიათად თუ ვინმე გამოდის ცოცხალი“, ეს არის ადგილი, სადაც ,,უფლებებს მოკლებული ტყვეები უნებურად ექცევიან იქ გამეფებული სისასტიკის გავლენის ქვეშ და ადამიანობის ნიშანწყალსაც კარგავენ“ [14, 75].

ყველაზე გავლენიანი ფიგურა – ე უ ჯ ე ნ ი ო პ ა ჩ ე ლ ი, პიუს XII მთელი მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში და მისი დამთავრების შემდეგ კიდევ დიდხანს რომის პაპი იყო. დღევანდელი გადასახედიდან პაჩელი წინააღმდეგობრივ პიროვნებად წარმოგვიდგება, რადგან იმ დროს აშკარად არ დაგმო ჰოლოკოსტი. ,,ჰიტლერის პაპი“ – ამ სათაურით გამოსულმა ჯონ კორნუელის გახმაურებულმა წიგნმა თანამედროვეობის სახელით განაჩენი გამოუტანა პიუს XII-ს. მაგრამ გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების რომაელებისათვის იგი ეროვნული გმირი და სულიერი ლიდერი იყო. მთელი გერმანული ოკუპაციის პერიოდში პაპი ვატიკანში რჩებოდა. თავისი პოსტი არც მოკავშირეთა მიერ განხორციელებული დაბომბვის დროს დაუტოვებია და საჰაერო თავდასხმების გამო რუზველტს საპროტესტო მიმართვაც კი გაუგზავნა. იგი საგანგებო ბომბსაფარის აშენებას მოითხოვდა ვატიკანში დაცული იშვიათი წიგნებისათვის, თავად კი უარი თქვა თავშესაფარზე. როცა ამერიკულმა თვითმფრინავებმა მიზანში ამოიღეს და დაბომბეს ლატერანის წმინდა იოანეს ტაძრის მახლობლად მდებარე ერთ-ერთი პუნქტი, რომის პაპი დაუყოვნებლივ გაეშურა დაჭრილების

მოსანახულებლად. პიუს XII იტალიელებისათვის იგივე იყო, რაც ინგლისელებისათვის დედა-დედოფალი. ომის დროს მან აკრძალა ცენტრალური გათბობა ვატიკანში და ამით სოლიდარობა გამოუცხადა რომის მცხოვრებლებს; პაპის ვილა კასტელ-განდოლეოში პოლიტიკური ან რელიგიური ნიშნით დევნილთა თავშესაფარად იქცა [14, 86-87].

ომის პერიოდში ევროპაში მყოფი ქართული ემიგრაცია და განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც ვერმახტის სამსახურში ჩადგა გულგრილი არ დარჩენილა ებრაელთა ბედისადმი. როცა გერმანელებმა პარიზიდან ებრაელთა დეპორტაცია დაიწყეს, ქართველებმა ისინი ეთნიკურად ქართველებად გამოაცხადეს და ყალბი დოკუმენტების შექმნით სიკვდილს გადაარჩინეს, როგორც ქართველი, ისე მრავალი ევროპელი ებრაელი. მათ შორის იყო ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ქართველ ებრაელთა თავკაცი იოსებ ელიგულაშვილი. საქმეში ჩაერია მიხეილ კედია, რომელმაც მანმადე დოკუმენტურად დაუსაბუთა გერმანელებს, რომ ქართველი მაჰმადიანები ეთნიკურად ქართველები არიან. გერმანიამ გაითვალისწინა რა თავისი მოკავშირე თურქეთის ინტერესებიც და ეს არგუმენტებიც მიიღო. მ. კედიამ შეძლო ბანაკებიდან ქართველი მუსლიმების გათავისუფლება. ამის შემდეგ მან ახალი, მაგრამ ყალბი საბუთები წარუდგინა გერმანელებს, რომ ქართველი ებრაელებიც წარმომავლობით და ანთროპოლოგიურად

ქართველები არიან, მაგრამ მოსეს რჯულის მიმდევ-
რები, ამიტომაც განსხვავდებიან ისინი ებრაელებისაგან
ზნე-ჩვეულებებითა და გარეგნობით. ფინანსთა ყოფილ-
მა მინისტრმა კონსტანტინე კანდელაკმა, საქართველოს
მთავრობის სახელით, შეადგინა შესაბამისი დოკუმენ-
ტები, თუმცა ეს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული.

მიხეილ კედიას ეს მანევრი წარმატებით გამოი-
ყენეს ქართველებმა პოლონეთშიც, ამ გზით 1000-ზე
მეტი ქართველი ებრაელი გადაარჩინეს სიკვდილს,
რამაც ერთი-ორად აამაღლა ქართველთა ავტორიტეტი
და მრავალი ახალი მეგობარი შესძინა მათ. ამ კამპანიაში
მონაწილეობდნენ იოსებ ელიგულაშვილი, ალექსანდრე
ცომაია, ალექსანდრე ქორქია, გიორგი მაღალაშვილი და
სხვები. ანტისემიტიზმისა და საერთო ისტერიის ფონზე
ეს იყო იმდენად უნიკალური მოვლენა, რომ მ. კედიამ
და ნ. ჟორდანიამ პარიზის დიდი რაბინის ვ ა ი ს ი ს და
ებრაული საზოგადოების პრეზიდენტის მ ო ს ე რ ი ს
მადლობის წერილები მიიღეს:

,,ბატონ მიხეილ კედიას, ბატონ ელიგულაშვი-
ლისაგან შევიტყვეთ, იმ დიდი სამსახურის შესახებ, რაც
თქვენ გაგიწევიათ ებრაული აღმსარებლობის თქვენი
თანამემამულეებისათვის დიდსულოვანი დახმარებით
რასისტული კანონისაგან მათი გადარჩენით, და მე
ვუერთდები იმ მადლიერების გრძნობას, რასაც ისინი
თქვენდამი განიცდიან. გთხოვთ მიიღოთ ჩემი პირადი
მადლობა მათი კეთილდღეობის დაცვისათვის და

მიიღეთ ჩემი დიდი პატივისცემა. პარიზის დიდი რაბინი იულიუს ვაისი“.

,,ბატონ მიხეილ კედიას, ძვირფასო ბატონო, გვაქვს პატივი მინისტრ გეგეჭკორის წინაშე გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება მისი და მისი მეგობრების მიმართ ჩარევის გამო ოკუპანტ გერმანელთა წინაშე cj-religionis ე.ი. ქართველ ებრაელთა სასარგებლოდ. გვინდა მოგახსენოთ, რაოდენ ბედნიერნი ვართ თქვენი მამაცური და გულითადი მოქმედებების გამო. გმადლობთ თქვენი შეუპოვრობისა და სამართლიანობის გამახვილებული გრძნობისათვის, რომელიც ასე დამახასიათებელია კეთილშობილი ქართველი ერის ტრადიციებისათვის. თქვენ არა მარტო დაეხმარეთ თქვენს თანამოძმე ებრაელებს დამამცირებელი რასისტული კანონების თავიდან აცილებაში, რომელსაც ჩვენ ოთხ წელზე მეტია განვიცდით, არამედ ყველაზე მეტად თქვენ გაათავისუფლეთ უამრავი ტყვე საკონცენტრაციო ბანაკებიდან. ჩვენ მოვალეობად მიგვაჩნია მადლობა გადაგიხადოთ და გამოვხატოთ ჩვენი გულწრფელი მადლიერება მორალური კმაყოფილების ღრმა გრძნობები. გულწრფელად თქვენი ჯ. მოსერი“. თვით იოსებ ელიგულაშვილი ასე აფასებდა ამ დახმარებას: ,,ბევრი, ბევრი ქართველი დაგვეხმარა ჩვენ ამ საქმეში, ამას ვერ დავივიწყებთ, მაგრამ ყველაზე მეტად ის ქართველი დაგვეხმარა, რომელსაც საქართველოს ისტორია ეწოდება“.

მუსლიმთა და ებრაელთა შემდეგ, როცა გერმანელებმა სოციალ-დემოკრატთა დეპორტაციაც დაიწყეს, ი. ელიგულაშვილმა დიდი თანხის საფასურად ავტომანქანა იშოვა და ნ. ჟორდანია პარიზიდან გაიყვანა [15, 96-97].

ბოლოს ჩნდება კითხვა: რატომ ჰქონდა ჰიტლერს განსაკუთრებული სიძულვილი ებრაელების მიმართ? მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ,,ანტისემიტიზმმა“ კულმინაციას მიაღწია და მილიონობით ებრაელის სიცოცხლე შეიწირა. აღსანიშნავია, რომ მისივე მოგონებით ვენაში ჩასვლამდე ის ებრაელებს ვერ არჩევდა გერმანელებისაგან, რადგან ასწლეულების განმავლობაში მათი გარეგნობა დაუახლოვდა ევროპულს და გახდა ადამიანური. ერთადერთ განსხვავებას ის ხედავდა მხოლოდ რელიგიურ აღმსარებლობაში [2, 225].

ომის პერიოდში ჰიტლერის გარემოცვას გაუჩნდა ეჭვი მისი წარმომავლობის შესახებ. ფაქტია, რომ რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში ებრაელთა სასაფლაოზე დაკრძალულია ებრაელი ვინმე ადოლფ ჰიტლერი (1832-1892წწ.). რა ნათესაური კავშირი არსებობდა ებრაელ ადოლფ ჰიტლერსა და მესამე რაიხის ფიურერს – ადოლფ ჰიტლერს შორის მისი მრავალრიცხოვანი ბიოგრაფები დღემდე დუმილს ამჯობინებენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. პატრიკ იურჟედნიკი, ევროპეანა, ჩეხურიდან თარგმნა გიული ლეჟავამ, თბ., 2009
2. Вернер Мазер, Адольф Гитлер, Пер. С немецкого, Минск., 2000
3. პოლ ფერისი, ზიგმუნდ ფროიდი, თბ., 2013
4. Отто Штрассер, Гитлер и я, пер. с английского, Ростов-на Дону., 1999
5. ადოლფ ჰიტლერი, ჩემი ბრძოლა, თბ., 1991
6. მ. შელეგია, საბჭოური პარადოქსები და ... მომავლის იმედი, ,,საისტორიო ვერტიკალები“, 2012, #24
7. თომას მ. მაგშტადტი, გავიგოთ პოლიტიკა, თბ., 2011
8. Ян Кершоу, Гитлер, пер. с английсково, Ростов-на Дону., 1997
9. ერიხ ფრომი, ადოლფ ჰიტლერი – ნეკროფილიის კლინიკური შემთხვევა, თბ., 2013
10. ანა ფრანკის დღიური, გერმანულიდან თარგმნა ნელი ამაშუკელმა, თბ., 2016
11. Петер Пшибылъский, Между виселицей и амнистией, Перевод с немецкого, М., 1985
12. Сб. Нацистких преступников к ответу, М., 1983
13. გ. ჩხატარაშვილი, გესტაფო და საბჭოთა ჯალათები, ჟურნ. ,,საარქივო მოამბე“, 2016, #16
14. ედუარდ სტოურტონი, იოანე პავლე II, თბ., 2013
15. რ. დაუშვილი, შ. უტიაშვილი, საქართველო-დასავლეთი ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 2012

კურილის კუნძულები რუსეთ-იაპონიის ურთიერთობებში

ტერიტორიული დავა კურილის კუნძულებთან დაკავშირებით დაურეგულირებელ პრობლემად რჩება რუსეთსა და იაპონიას შორის მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ. პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია, რომ იაპონელები ბუდისტური სიმშვიდით შეხვდნენ ,,ჩრდილო ტერიტორიების“ დაკარგვას. თუმცა, ამერიკელები შეეცადნენ ,,მოეშუშებინათ ეს ჭრილობა“, და კუნძულების დაბრუნება გადაიქცა იდეა ფიქსად ამომავალი მზის ქვეყნისთვის [1, 18].

კურილის კუნძულები, არქიპელაგი მდებარეობს ოხოტის ზღვისა და წყნარი ოკეანის საზღვარზე, კუნ-ძულ ჰოკაიდოსა (იაპონია) და კამჩატკის ნახევარ-კუნძულს (რუსეთი) შორის. აერთიანებს 30-მდე დიდსა და უამრავ მცირე კუნძულს, შედის რუსეთის ფედერა-ციის შემადგენლობაში.

კურილის კუნძულების საერთო ფართობი 15, 6 ათასი კმ2-ია. შედგება კუნძულების ორი პარალელური მწკრივისაგან: დიდი კურილის (სიგრძე 1200კმ.) და მცირე კურილის (სიგრძე 120კმ.). 1945 წელს იაპონია-სთან ომის დროს საბჭოთა კავშირმა დაიკავა მთელი არქიპელაგი [2, 81].

ჯერ კიდევ ყირიმის კონფერენციაზე იაპონიასთან ომის დაწყების სანაცვლოდ, სტალინი სხვა პირობების

დაკმაყოფილებასთან ერთად ითხოვდა კურილის კუნ-ძულების გადმოცემას. მოკავშირეებმა ყველა წინადა-დება მიიღეს! ასე რომ, კურილის კუნძულების ბედი იალტის კონფერენციაზე გადაწყდა და სტალინს არაფე-რი მიუტაცებია, რადგან ჩერჩილიც და რუზველტიც საბჭოთა ლიდერის მოთხოვნას დათანხმდნენ. უფრო მეტიც, მოკავშირეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რუსეთს დაბრუნებოდა იაპონიის მიერ 1904-1905 წლების ომის დროს წართმეული ტერიტორიები. გარდა ამისა, 1951 წლის სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშე-კრულებაში, მკვეთრად და ნათლად ჩაწერილია, რომ იაპონია უარს ამბობს ყველა უფლებაზე და პრეტენზია-ზე, რაც დაკავშირებულია კურილის კუნძულებთან და კუნძულ სახალინის იმ ნაწილზე, რომელიც მოიპოვა 1905 წლის პორტსმუტის ზავის შედეგად [3, 16].

1956 წლის 19 ოქტომბერს ხელი მოეწერა საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის დეკლარაციას ომის შეწყ-ვეტის შესახებ. დამყარდა დიპლომატიური ურთიერ-თობა. იაპონიამ დაადასტურა სსრკ-ს იურისდიქცია კურილის კუნძულებსა და სახალინზე. მოლაპარაკების შედეგები რატიფიცირებულ იქნა იმავე წლის დეკემ-ბერში [4, 15].

მიუხედავად ამისა ტოკიო თვლის, რომ კუნ-ძულები იაპონიის ისტორიული ტერიტორიაა და საბჭოთა კავშირმა თავის დროზე მოახდინა მისი ოკუპაცია. მოსკოვში კი მიიჩნევენ, რომ კურილი რუსმა

ზღვაოსნებმა აღმოაჩინეს და შესაბამისად, ძირძველი რუსული მიწაა.

იაპონიას ამჟამად ტერიტორიული პრეტენზია კურილის არქიპელაგის მხოლოდ ოთხი კუნძულის - კ უ ნ ა შ ი რ ი ს, ი ტ უ რ უ პ ი ს, შ ი კ ო ტ ა ნ ი ს ა დ ა ჰ ა ბ ო მ ა ი ს მიმართ აქვს.

ხსენებული კუნძულები არქიპელაგის სამხრეთ ნაწილში, ანუ უშუალოდ იაპონიის ტერიტორიულ წყლებთან ახლოს მდებარეობს, - იაპონელები მეტად პრაქტიკული ხალხია და იციან, რომ რუსთაგან წართმეულ მიწას ერთბაშად ვერ დაიბრუნებენ, ნაბიჯ-ნაბიჯ კი ეს სავსებით შესაძლებელია. ამიტომ, დღეს ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ კურილის კუნძულები დაიბრუნონ.

იაპონურ კუნძულ ჰოკაიდოზე ამჟამადაც ცხოვრობს 100 ათასზე მეტი ჰ ი პ ო რ ი ო ჯ ი ნ ი, ანუ კურილელი: ეს ის ხალხია, რომელიც 1945-1949 წლებში კუნძულებიდან განდევნეს. ისინი, ვინც ჰოკაიდოზე გადასვლა არ ისურვა ან ვერ მოასწრო, რუსებმა გაასახლეს ცენტრალურ ციმბირში, საიდანაც თითქმის ვერავინ მოახერხა დაბრუნება.

ამჟამად რუსულ-იაპონურ ურთიერთობაში კურილის კუნძულები გარკვეულ უხერხულობას ქმნის, რამდენადაც ტოკიო ყოველთვის, როცა საშუალება მიეცემა, დელიკატურად ახსენებს ხოლმე მოსკოვს 1945 წელს ოკუპირებულ კუნძულებს. ფართობი ტერიტო-

რიისა, რომელზეც დღეს იაპონიას აქვს პრეტენზია, 5 ათასამდე კვადრატული კილომეტრია, რაც მთლიანად კურილის კუნძულების ერთი მესამედია. თანაც ოთხივე კუნძული ძირითადად დაუსახლებელია, მაგრამ იაპონელები მაინც ითხოვენ, ხოლო რუსები კი არ თმობენ.

სიმართლე რომ ითქვას, კურილის კუნძულები არც რუსული მიწაა და არც იაპონური - XVIII საუკუნემდე იქაც ისევე, როგორც მეზობელ სახალინზე და კამჩატკის სამხრეთშიც, ა ი ნ ე ბ ი სახლობდნენ [5, 22]. ხაზგასასმელია, რომ მათ ენაზე ,,ადამიანი“ ჟღერს, როგორც ,,კურუ“ - აქედან არის არქიპელაგის სახელწოდებაც [1, 18].

აინები - ეს არის ხალხი, რომელიც იაპონიის ტერიტორიაზე გადმოსახლდა ციმბირიდან დაახლოებით 15 ათასი წლის წინ. ამის შესახებ არსებობს, როგორც გვიანი პერიოდის წერილობითი წყაროები, ასევე, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული არტეფაქტები [6, 18]. აინები შორეული აღმოსავლეთის უძველეს მკვიდრთა შთამომავლად ითვლება და წარმოშობით, რასობრივად და ზნე-ჩვეულებებით განსხვავდება იაპონელთაგან. თვით იაპონიის კუნძულებზეც, სანამ იქ იაპონელთა წინაპრები - ი ა მ ა ტ ო ს ტომები გამოჩნდებოდნენ, აინები ცხოვრობდნენ, თუმცაღა ეს კუნძულები აინებმა ჯერ კიდევ ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში დათმეს და ჩრდილოეთით გადაინაცვლეს.

ამდენად, აინების სამკვიდრო ტერიტორიას შუა საუკუნეებში სახალინი, კამჩატკა და კურილის კუნძულები წარმოადგენდა. სახელმწიფოებრიობის ტრადიცია მათ არ გააჩნდათ და პირველყოფილ თემურ წყობილებაში ცხოვრობდნენ. იაპონელებმა XVI საუკუნეში პირველად დალაშქრეს კუნძული სახალინი, თუმცა, იქ დამკვიდრება ვერ შეძლეს აუტანელი მკაცრი პირობების გამო [5,22].

ს ა ხ ა ლ ი ნ ი მდებარეობს ოხოტის ზღვაში. იგი ოკეანისაგან ღობავს ციმბირის აღმოსავლეთ ნაპირის ათასამდე ვერსს და ამურის შესართავისაკენ გასასვლელს. კუნძული ჩრდილოეთიდან სამხრეთით არის ჩამოგრძელებული. სახალინის ჩრდილოეთი ნაწილი, რომელზედაც მარად მზრალი ნიადაგის ხაზი გადის, თავისი მდებარეობით შეესაბამება რიაზანის გუბერნიას, ხოლო სამხრეთი - ყირიმს. კუნძულის სიგრძე 900 ვერსია; მისი უდიდესი სიგანე უდრის 125 და უმცირესი - 25 ვერსს [7, 18].

სახალინიდან წამოსულმა იაპონურმა ხომალდმა ,,ჰოძეი მარუმ“, რომელსაც თავადი ფ უ ნ ა კ ო შ ი ჰ ო ძ ე ი მეთაურობდა, აღმოაჩინა კუნძული კუნაშირი, რომელიც ამ დროისათვის დაუსახლებელი კი იყო, მაგრამ აინების ზოგიერთი ტომი იქ მიცვალებულებს ასაფლავებდა.

იაპონელები 1598 წლის 8 მარტს გადავიდნენ კუნძულზე და ის ფუნაკოში ჰოძეის საგვარეულო მამუ-

ლის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადეს. მიუხედავად ამისა, მაშინ კუნძულზე საცხოვრებლად არც ერთი იაპონელი არ დარჩენილა [5, 22-23].

1613 წლიდან იაპონელებმა პირველად დაიწყეს სახალინის გამოკვლევა, მაგრამ ევროპაში ამას იმდენად მცირე ყურადღებას აქცევდნენ, რომ, როცა შემდგომ რუსები და იაპონელები წყვეტდნენ საკითხს, თუ ვის ეკუთვნის სახალინი, პირველი გამოკვლევის უფლებებზე ლაპარაკობდნენ და წერდნენ მარტოოდენ რუსები.

XVIII საუკუნის მისიონერების რუკაზე წარწერით ს ა ხ ა ლ ი ნ ი მონღოლურად ნიშნავს ,,შავი მდინარის კლდეებს". ანტონ ჩეხოვის შეხედულებით ,,ეს სახელწოდება ალბათ ამურის შესართავთან მდებარე რომელიმე კლდეს ეხებოდა, საფრანგეთში კი სხვაგვარად გაიგეს და თვით კუნძულს მიაწერეს. აქედან მომდინარეობს სახელწოდება ,,სახალინი", რომელიც შემოგვინახა კრუზენშტერნმა რუსული რუკებისთვისაც. იაპონელები სახალინს ეძახდნენ კ რ ა ფ ტ ო ს, რაც ჩინელთა კუნძულს ნიშნავს" [7, 13-14].

ა. ჩეხოვმა სახალინზე ყოფნისას ნახა ეთნიკური ჯგუფი გ ი ლ ა კ ე ბ ი, რომელთა შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის. მწერალი მოგვითხრობს, რომ ,,გილაკები არც მონგოლთა ტომს ეკუთვნიან და არც ტუნგუსებისას; ისინი განეკუთვნებიან უცნობ ტომს, რომელიც ოდესღაც ძლევამოსილი იყო და მთელ აზიას

ფლობდა, ახლა კი თავის უკანასკნელ საუკუნეებს ითვლის... გილკები პირს არასოდეს არ იბანენ, ასე რომ ეთნოგრაფებსაც უჭირთ მათი სახის ნამდვილი ფერის გამოცნობა;

სარეცხს არ რეცხავენ, ბეწვის ტანისამოსი და ფეხსაცმელი კი ისე ადგათ ტან-ფეხზე, თითქოს ეს -ეს არის მკვდარი ძაღლისთვის გაუძვრიათო. თვით გილაკებს მძიმე, მძაღე სუნი უდით, ხოლო მათი ბინების სიახლოვე მკვდარი თევზისა და მისი დამპალი ნარჩენების საზიზღარი, აუტანელი სუნით შეიძლება გამოიცნოთ... ოჯახის მამრობითი სქესის წევრები თანასწორნი არიან, მდედრობითი სქესის წევრები კი ერთნაირად უუფლებონი. დედაბერი იქნება, დედა თუ ძუძუთა ბავშვი, მათ აბუჩად იგდებენ, ისევე, როგორც შინაურ ცხოველებს, როგორც ნივთს, რომელიც შეიძლება გადააგდო, გაყიდო, ძაღლივით ჩაწიხლო. ძაღლებს გილაკები კიდევ ეფერებიან, მაგრამ ქალებს არასოდეს... ქალი მათ ვაჭრობის ისეთსავე საგნად მიაჩნიათ, როგორც თამბაქო ან ტილო“ [7, 141-147].

1646 წელს, შორეული აღმოსავლეთის ზღვისპირა მხრიდან (მას რუსები დღესაც ,,პრიმორიეს“ ეძახიან), კურილის არქიპელაგის ერთ-ერთ დასახლებულ კუნძულს - შ უ მ შ უ ი ს კაზაკი ზღვაოსნის, ნ ი კ ო ლ ა ი კ ო ლ ო ბ ო ვ ი ს ხომალდი მიადგა. აინები კოლობოვს და მის მეზღვაურებს მტრულად დახვდნენ: ნაპირზე გადმოსვლისას ყველანი ტყვედ აიყვანეს. კოლობოვმა

ტყვეობაში ოთხი წელი გაატარა და ორ მეგობართან ერთად, როგორც იქნა, შეძლო გამოქცევა და სახალინის გავლით ჩინეთში მოხვდა, სადაც რუსულ მართლმადიდებლურ მისიას შეაფარა თავი და შემდეგ კი რუსეთში დაბრუნდა. სწორედ კოლობოვმა გააცნო რუს ობივატელს კურილის კუნძულები. ტყვეობას თავდაღწეულმა ზღვაოსანმა წიგნი დაწერა, სადაც აღწერდა გრძელწვერა, მძვინვარე აინებსა და მათ ციცქნა კუნძულებს.

ამავე დროს, სანამ ნიკოლაი კოლობოვი შუმშუის მიადგებოდა, ჰოკაიდოს ერთ-ერთი სამურაული კლანის თავკაცმა, ა მ ა კ ა ვ ა კ ი ტ ი ს კ ე მ კურილელი აინების ტომების დასამორჩილებლად მთელი იაპონიიდან უხმო სამურაებს და დააფინანსა სამხედრო ექსპედიცია, რომელსაც კუნაშირი უნდა დაეპყრო. იაპონელები კუნაშირზე 1643 წლის 7 ივლისს გადასხდნენ, პატარა გარნიზონიც დატოვეს იქ და გზა განაგრძეს.

იმავე წელს კიტისკეს ექსპედიციამ აღმოაჩინა კუნძულები იტურუპი და შიკოტანი, მაგრამ იქ გარნიზონის ჩაყენება ვერ შეძლო, - აინები მტრულად დახვდნენ მოსულებს და ოსტატურად ნასროლი ცეცხლმოკიდებული ისრებით ერთი ხომალდიც დაუზიანეს. ამის შემდეგ კიტისკემ უკან გაბრუნების ბრძანება გასცა, თუმცა, მისი ხალხი შემდგომში რამდენჯერმე შეეცადა კურილის კუნძულებზე დამკვიდრებას. ამაკავა კიტისკემ ეს ვერ მოახერხა - ისტორიის წინაშე მისი

დამსახურება მხოლოდ ის არის, რომ 1645 წელს, კოლობოვისა არ იყოს, წიგნი დაწერა აინებზე.

კიტისკეს წიგნის გამოქვეყნების შემდეგ, იაპონიის საიმპერატორო კარმა 1646 წელს დაიქირავა ჰოლანდიელი ზღვაოსანი მ ა ა რ ტ ე ნ გ ე რ ი ტ ს ე ნ დ ე ფ რ ი ს ი, რომელიც საკუთარი ხომალდით გაემართა აინების კუნძულებისაკენ. დე ფრისის მეზღვაურები ცეცხლსასროლი იარაღით იყვნენ შეიარაღებული და მძვინვარე აინების შეტევისა არ ეშინოდათ. ჰოლანდიელებმა იტურუპი დაიპყრეს, ნაპირზე იაპონიის იმპერატორის საგვარეულო ალამი აღმართეს და დატყვევებული აინები კი იაპონიის დედაქალაქ ედოში ჩაიყვანეს.

მაარტენ გერიტსენ დე ფრისის მიერ მოპოვებული ცნობების საფუძველზე 1646-1647 წლებში იაპონელებმა შეადგინეს საზღვაო რუკა, რომელზეც კურილის თითქმის ყველა დიდი კუნძული იყო აღნიშნული სახელწოდებით ,,ათასი კუნძული“ [5, 23].

აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯერ კიდევ 1643 წელს, როდესაც ა ნ ტ ო ნ ვ ა ნ დ ი მ ე ნ მ ა ექსპედიცია მოაწყო უცნობი კუნძულების აღმოსაჩენად ხელმძღვანელობა დე ფრისს ჩააბარა. 21 მაისს ექსპედიცია კუნძულ ჰოკაიდოს ნაპირებს მიადგა. აქ მათ დაინახეს ,,წვერიანი ადამიანები“, რომლებიც იყვნენ აინები. აინებმა პირველად იხილეს ევროპელები. 13 ივნისს ექსპედიცია ,,კურილებს“ მიუახლოვდა“. ევროპელების გემზე თამამად ავიდნენ ,,წვერიანი ადამიანები“ - აინები,

რომლებმაც მიუთითეს კუნძულზე ძახილით ,,ტ ა კ ო ტ ე კ ა ნ“. ეს იყო კუნძული შ ი კ ო ტ ა ნ ი [8, 34].

იაპონიის საიმპერატორო კარმა დე ფრისს კიდევ ერთი დიდი ექსპედიციის მოწყობა სთხოვა, თუმცაღა ამ უკანასკნელს აღარ გაუმართლა, - მას იმპერატორის ერთ-ერთ სეფექალთან რომანი ჰქონდა და ეს ამბავი გამჟღავნდა. დე ფრისი ციხეში ჩასვეს, მაგრამ საყვარლის დახმარებით გაქცევაც შეძლო, ჩინეთში გადასვლაც და იქ კი იმავე რუსულ მისიას მიაკითხა, რომელსაც ერთი-ორი წლით ადრე ნიკოლაი კოლობოვი აფარებდა თავს.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში აღ-ნიშნულია, რომ დე ფრისი რუსეთის იმპერატორის კარზე 1650 წელს წარდგა და ზეპირად დახატა რუკა, რომელიც უწინ იაპონელებს შეადგენინა, მაგრამ მაშინ რუსთა ყურადღბას კურილის არქიპელაგზე მეტად სხვა მხარეები იპყრობდნენ და დე ფრისის რუკა თაროზე შემოდეს [5, 23]. რუსი ისტორიკოსი ვიქტორ ელისეევი კი მიიჩნევს, რომ ,,დე ფრისი გარდაიცვალა 1647 წელს ესპანეთთან ომის დროს“ [8, 35].

იმავდროულად, ამურისპირელმა კაზაკმა, ვინმე ი ვ ა ნ მ ო ს კ ვ ი ტ ი ნ მ ა, საკუთარი ხარჯით სავაჭრო ექსპედიცია მოაწყო კურილისაკენ და სხვათა შორის, დიდი მოგებაც ნახა, - აინებმა ის კარგად მიიღეს და უამრავი ლომვეშაპის ძვალი (ის ოდითგან სპილოს ძვალზე მეტად ფასობდა) აჩუქეს. ამის მიზეზი კი,

როგორც გამოირკვა მოსკვიტინის ,,სტაროვერობა“ იყო (რუსული ქრისტიანული სექტა) და დიდ წვერს ატარებდა, ისევე როგორც აინები. ერთი სიტყვით, მოსკვიტინი ისე აღფრთოვანდა ამ ხალხით, რომ საგანგებოდ ეახლა რუსეთის მეფეს ალექსეი მიხაილოვიჩს და დიდი ექსპედიციის მოწყობის ნებართვა სთხოვა. თხოვნა დაკმაყოფილდა და მეფის ბრძანებით მოსკვიტინისთვის ხომალდები აიგო. გახარებული ივან მოსკვიტინი მოსკოვიდან ციმბირში გაბრუნდა, რათა ალექსეი მიხაილოვიჩის ბრძანებისამებრ ხომალდების აგებისთვის მდინარე ამურის სანაპიროზე თავად ეხელმძღვანელა, მაგრამ გზად ბაშკირებმა მოკლეს.

კურილის კუნძულებზე კომპლექსური ექსპედიცია რუსებმა პირველად 1697 წელს მოაწყვეს და არქიპელაგის უდიდესი ნაწილი დაიპყრეს. ექსპედიციის მეთაური ივან ატლასოვი ისე არაადამიანურად მოექცა აინებს, რომ ამ უკანასკნელთა ბელადებმა დახმარება იაპონელებს სთხოვეს. სამურაებმაც თხოვნა შეიწყნარეს და ივან ატლასოვს კურილის კუნძულებიდან კუდით ქვა ასროლინეს. ამის შემდეგ რუსეთ-იაპონიას შორის კურილის გამო ლოკალური ომები უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა [5, 23].

მიუხედავად მეზობლობისა, რუსებმა და იაპონელებმა XVII საუკუნის ბოლომდე ერთმანეთის შესახებ თითქმის არაფერი იცოდნენ. ევროპამ კი ყურმოკვრით, მხოლოდ მარკო პოლოს მოგზაურობიდან შეიტყო XIII

საუკუნეში. თუმცა არც პოლო ყოფილა იაპონიაში. კამ-ჩატკის ნახევარკუნძული აღმოაჩინა იაკუტელი კაზაკე-ბის ატამანმა ვ ლ ა დ ი მ ე რ ა ტ ლ ა ს ო ვ მ ა 1697-1698 წლებში [3, 34]. 1707 წელს პეტრე პირველმა გამოსცა ბრძანება კამჩატკის რუსეთთან შეერთების შესახებ. პარალელურად, გადაწყდა კურილის კუნძულების შესწავლა. 1711 წლის 1 აგვისტოს დანიილ ანციფეროვი და მიწათმომწყობი ივან კოზირევსკი 50 კაზაკთან ერთად გაემართნენ კურილის კუნძულებისაკენ. 1713 წელს გაიგზავნა მეორე ექსპედიციაც. კუნძულების ბოლო გამოკვლევა განხორციელდა 1721 წელს. ექსპე-დიციაში მონაწილეობდნენ გეოდეზისტები, თევდორე ლუჟინი და ივან ოსტროვოვი. მათ გამოიკვლიეს კურილის ხუთი კუნძული [3, 41].

იაპონელი ავტორის ს ი ნ ტ ა რ ო ნ ა კ ა მ უ რ ა ს აღიარებით კურილის კუნძულების ათვისება დაიწყო რუსების მიერ 1711-1713 წლებში კოზირევსკის მიერ. მოგვიანებით, 1749 წელს კაზაკმა შ ე რ გ ი ნ მ ა კუნძულ შუმშუზე გახსნა სკოლა და რუსულ წერა-კითხვას ასწავლიდა კურილელ ბავშვებს [3, 60-61].

1754 წლის დასაწყისში კურილის პირველ კუნ-ძულზე - კუნაშირზე გავრცელდა მ ა ც უ მ ა ე - ს სათავადოს მმართველობა. ამ დროიდან კუნძულებთან დაკავშირებით მკვეთრად გადაიკვეთა რუსულ-იაპონუ-რი ინტერესები, განსაკუთრებით კუნძულ იტურუპზე შეიქმნა დაძაბული სიტუაცია [3, 121]. იტურუპის

ათვისება რუსებმა 1768 წლიდან დაიწყეს. მოგვიანებით ეს პროცესი გარკვეულწილად შენელდა. აღნიშნული გამოიწვია იაპონელების ენერგიულმა მოქმედებამ კუნძულის ხელში ჩასაგდებად. რუსებმა აქ ყოფნის პერიოდში შეძლეს ქრისტიანობის გავრცელება. აღმართეს სამი მეტრის სიმაღლის ჯვარი, სადაც აბორიგენი აინები ლოცულობდნენ დილა-საღამოს. ,,იაპონელების მოსვლის დროს აინები ტიროდნენ და ღმერთს შველას სთხოვდნენ. იაპონელებმა მათ დაურიგეს ბრინჯი და მარილი, რითაც დაამშვიდეს ისინი“.

რუსებმა იტურუპის მეზობელ ურუპის კუნძულზე შექმნეს დასახლება. აქ გამავალი სრუტე ერთგვარ ,,სახელმწიფო საზღვრად“ იქცა იაპონიასა და რუსეთს შორის. ურუპის ტერიტორიაზე რუსები მისდევდნენ თახვებზე ნადირობას [3, 125].

XVIII საუკუნის ბოლოს დაწყებული დაპირისპირება კუნძულების დაუფლებისათვის რუსეთსა და იაპონიას შორის ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გაგრძელდა და დასრულდა 1855 წლის 26 იანვრის პირველი ,,სამშვიდობო ხელშეკრულებით“. დოკუმენტი შედგება პრეამბულის, 9 მუხლისა და დამატებისაგან. ჩვენთვის საინტერესოა მე-2 მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ ,,ამიერიდან რუსეთისა და იაპონიის საზღვრები გაივლის იტურუპისა და ურუპის კუნძულებს შორის. კუნძული იტურუპი მთლიანად ეკუთვნის იაპონიას, ხოლო ურუპი და კურილის დანარჩენი კუნძულები

ჩრდილოეთით რუსეთის მფლობელობაშია. რაც შეეხება კუნძულ სახალინს, რჩება გაყოფის გარეშე“ [3, 174].

იაპონიის წარმომადგენლებმა ისარგებლეს რუსეთის მძიმე მდგომარეობით, რაც დაკავშირებული იყო ყირიმის ომის მიმდინარეობასთან და მიაღწიეს სახალინის საერთო ტერიტორიად გამოცხადებას. ასევე, იტურუპსა და ურუპს შორის საზღვრის დემარკაცია რუსეთის მხრიდან დათმობას წარმოადგენდა.

რეალურად, სახალინის ადგილობრივი მოსახლეობა რუსეთის დაქვემდებარებაში შევიდა ჯერ კიდევ XVII საუკუნის შუა ხანებში, ხოლო კუნძულები: შუმშუ, პარამუშირი, ურუპი და იტურუპი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. იაპონელების პირველი გამოჩენა ურუპისა და იტურუპის კუნძულებზე დასტურდება მხოლოდ 1786 წელს. უფრო მეტიც, კუნძულ ჰოკაიდოს ჩრდილოეთი და ცენტრალური ნაწილის ათვისება იაპონელებმა XVIII საუკუნის ბოლოს დაიწყეს [3, 174, სქოლიო 3].

ფაქტია, რომ 1799 წლამდე რუსეთის დამოკიდებულება კურილის კუნძულებთან იყო ი ა ს ა კ ი - ს (ბეწვეული) გადასახადი, რაც გამოხატავდა ადგილობრივი მოსახლეობის დაქვემდებარებას რუსეთისადმი. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში საკუთრივ რუსული დასახლებები გაჩნდა კუნძულებზე: შუმშუ, პარამუშირი, სიმუშირი, ურუპი და შიკოტანი.

ყირიმის ომის დამთავრების შემდეგ რუსები ჯგუფებად გადადიან სახალინზე ტერიტორიის ინტენსიურად ათვისების მიზნით. მრავალი რუსი დასახლდა სამხრეთ სახალინზე, ააშენეს ბარაკები, დაიწყეს ქვანახშირის მოპოვება.

1858 წლის ივლისში გაფორმდა რუსეთ-იაპონიის სავაჭრო ხელშეკრულება. რუსეთმა მიიღო პირდაპირი გზის უფლება სახალინზე ამურის გზით. ეს მარშრუტი კამჩატკასა და კურილის კუნძულებზე მგზავრობასთან შედარებით მოკლე იყო [3, 192, 193].

სახალინზე საზღვრის დემარკაცია ვერ მოხერხდა. რუსები და იაპონელები აქ ერთად ცხოვრებას აგრძელებდნენ, მაგრამ გართულების გარეშე ასე დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. 1869 წლის ივნისში რუსი ჯარისკაცები მოულოდნელად შეიჭრნენ იაპონელებით დასახლებულ რაიონში და ზღვაში გადაუყარეს თევზსაჭერი იარაღები იაპონელ მეთევზეებს. დაიკავეს საცხოვრებელი შენობები, ტყვედ აიყვანეს მოსახლეობა და აიძულებდნენ დაეტოვებინათ რაიონის ტერიტორია [3, 223].

დაძაბულობის განსამუხტად დაწყებულმა მოლაპარაკებებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. პროცესი გაგრძელდა 1875 წლიდან. 4 მარტის შეხვედრაზე პირველად დაფიქსირდა იაპონიის ოფიციალური პოზიცია: ,,სახალინის დათმობა შესაბამისი კომპენსაციის ფასად - კურილის ყველა კუნძულის იაპონიისთვის გადაცემა“.

იაპონური და უცხოური პრესა ფართოდ აშუქებდ-ნენ სახალინის გადაცემას რუსებისათვის. იაპონური გაზეთი ,,ხოტი სიმბუნი“ უკმაყოფილებას გამოხატავდა მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით. ,,ტრაქტატი“, რო-გორც რუსულ დოკუმენტებშია მოხსენებული, საბოლო-ოდ რატიფიცირებულ იქნა 1875 წლის 25 აპრილს (7 მაისი), ტოკიოში 10 (22) აგვისტოს [3, 229].

აღსანიშნავია, რომ რატიფიკაციამდე შეთანხმებას რუსეთის მხრიდან ხელი მოაწერა ქართველმა შტატიან-მა მრჩეველმა, თავადმა ნ ი კ ო ლ ო ზ წ ე რ ე თ ე ლ მ ა. მაშინ რუსეთმა იაპონიას არა მარტო კურილის კუნძულები, არამედ სახალინის სამხრეთი ნაწილიც დაუთმო [5, 23].

ხელშეკრულებაში ხაზგასმულია, რომ რუსებს უნდა გადაეხადათ კომპენსაცია 74 063 იენი სახალინზე არსებული 194 შენობის გამო და მოძრავი ქონების 19 814 იენის თანხა [3, 229-230].

კურილის კუნძულების დაპატრონების შემდეგ, XIX საუკუნის 80-იან წლებში იაპონიის ხელისუფლებამ გადაწყვიტა ძალისმიერი მეთოდებით გაესახლებინა სასაზღვრო რაიონებიდან მოსახლეობა, რომლებსაც შეთვისებული ჰქონდათ რუსული კულტურა და ამავე დროს მტრულად იყო განწყობილი იაპონელებისადმი. მართლაც, ყველა ,,კურილელი“ გაასახლეს ჩრდილოეთ კუნძულებიდან კუნძულ შიკოტანზე, რომელიც ადრე არ იყო ათვისებული. ,,კურილელებს“ აუკრძალეს

ცეცხლსასროლი იარაღის ტარება და ნებართვის გარეშე ზღვაში თევზაობა. სამხრეთის კუნძულებზე - კუნაშირ-სა და იტურუპზე მცხოვრები აინები იძულებით ჩამოცილდნენ ჩვეული ფორმის მეურნეობის წარმოებას. მათ აიძულებდნენ ემუშავათ იაპონიის თევზის წარმოებასა და სატყეო მეურნეობაში.

სახალინის გამო იაპონელი საზოგადოების ნაწილის ანტირუსული განწყობილების შედეგს წარმოადგენდა, როდესაც 1891 წელს მომავალი იმპერატორი ნიკოლოზი იაპონიაში მოგზაურობის დროს ცრცხლსასროლი იარაღით დაჭრა პოლიციელმა ც უ დ ა ს ა ნ დ ო მ [3, 285].

მიუხედავად რუსეთ-იაპონიის ხელშეკრულე-ბებისა, სადაც საუბარია ,,გულითად მეგობრობასა და მუდმივ მშვიდობაზე“, 1904 წელს იაპონია თავს დაესხა რუსეთს. ომში რუსეთმა მარცხი განიცადა. 1905 წლის პორტსმუტის ხელშეკრულების თანახმად იაპონიას გადაეცა სახალინის სამხრეთი ნაწილი.

რუსეთ-იაპონიის ომი თანამედროვე ისტორიის გადამწყვეტ მოვლენას წარმოადგენდა. ეს იყო არადა-სავლური ქვეყნის მიერ ევროპის ძლიერი სახელმწიფოს დამარცხების პირველი შემთხვევა. პატარა იაპონიის მიერ დიდი რუსეთის იმპერიის დამარცხებამ რომა-ნოვების დინასტიის პოლიტიკური ძალაუფლების დასუსტება გამოიწვია [9, 20].

პორტსმუტის საზავო მოლაპარაკებაზე ხელმოწე-რის დროს, რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელი ვ ი ტ

ე, პეტერბურგის ,,ტრაქტატზე“ დაყრდნობით ცდილობ-და სახალინის შენარჩუნებას. მაგრამ იაპონიის დელეგა-ციის ლიდერმა ი უ ტ ა რ ო კ ო მ უ რ ა მ შემდეგი პასუხი გასცა: ,,ომი აუქმებს, ხაზს უსვამს ყველა ხელშეკრულებას. თქვენ დამარცხდით, და მოდი არსებული ვითარებიდან გამოვიდეთ“.

რუსეთში სამოქალაქო ომის პერიოდში, ია-პონელებმა სახალინის ჩრდილოეთი ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს; მაგრამ დააბრუნეს 1925 წელს ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების დროს [1, 19].

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კურილის კუნძუ-ლების მცირერიცხოვანი მოსახლეობა (ძირითადად, იაპონელ სამხედროთა ოჯახები და თითო-ოროლა აინიც) საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის გადაწყვე-ტილებით იაპონიაში განდევნეს ან ცენტრალურ ციმბირში გაასახლეს.

1949-1955 წლებში კურილის კუნძულებზე ციმბი-რელ კაზაკთა შთამომავლები, რუსი სამხედროები და სისხლის სამართლის დამნაშავეები დაასახლეს. თავად კუნძულები სახალინის ოლქის შემადგენელ ნაწილად გამოაცხადეს, სახელმწიფო დოტაციაზეც აიყვანეს.

კუნძულების მკვიდრ მოსახლეობას - აინებს რაც შეეხება: მათი დიდი ნაწილი XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნა-ზე ან ბრძოლებში ამოწყდა, ანდა იაპონიის კუნძულებ-ზე გადასახლდა. 1945 წელს აინების მხოლოდ ერთი

ტომი ცხოვრობდა იტურუპზე და უკლებლივ ყველა მათგანი იაპონიის ქვეშევრდომად თვლიდა თავს. საბ-ჭოთა არმიამ იტურუპი მთლიანად გადაწვა და აინებიც ამოხოცა, თუმცა, როგორც წესი, ყველაფერი გასაიდუმ-ლოვდა. დღევანდლამდე იტურუპზე არავინ დასახლე-ბულა [5, 24].

1956 წლის 19 ოქტომბრის მოსკოვის ზემოაღნიშ-ნულ დეკლარაციაში, ნიკიტა ხრუშჩოვმა რატომღაც გამოთქვა აზრი, რომ იაპონიისთვის დაებრუნებინათ კურილის ორი კუნძული - ჰაბომაი და შიკოტანი.

რატომ გამოთქვა ნიკიტამ მზადყოფნა გადაეცა ორი კუნძული, რითაც ირიბად აღიარა იაპონიის პრეტენ-ზიების საფუძვლიანობა? ხრუშჩოვის იმპულსურობის გარდა ამ ქმედებას სხვა ახსნა არ მოეძებნება. მაგრამ 1960 წელს აშშ-იაპონიას შორის ხელშეკრულების გაგრძელებით უკმაყოფილო მოსკოვმა უარი განაცხადა ამ ორი კუნძულის ტოკიოსადმი გადაცემაზე [10, 320].

ბრეჟნევის პერიოდში საბჭოთა ლიდერებთან შეხვედრის დროს იაპონელები ყოველთვის ამახვილებ-დნენ ყურადღებას ,,კურილის პრობლემაზე“. ამის პასუხს წარმოადგენდა 1968 წელს ალექსეი კოსიგინის ინტერვიუ საინფორმაციო სააგენტო ,,კიოდო ცუსინ“-თან, სადაც განაცხადა, რომ ,,ტერიტორიული საკითხი გადაწყვეტილია საბოლოოდ“.

იაპონიის პრემიერი კ ა კ უ ე ი ტ ა ნ ა კ ა 1973 წლის ოქტომბერში ,,იერიშზე“ გადავიდა მოსკოვთან მოლაპარაკების დროს, თუმცა უშედეგოდ.

სიტუაცია შეიცვალა ,,პერესტროიკის“ პერიოდში. კერძოდ, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე 1989 წელს, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ,,დემოკრატიული ფრთის“ იდეოლოგმა ანდრეი სახაროვმა განაცხადა, რომ კურილები უნდა დაბრუნებოდა იაპონიას. ელცინი პრობლემის ეტაპობრივად მოგვარებას ემხრობოდა. ასეთი სახით ,,კურილები“ მემკვიდრეობით გადაეცა პოსტსაბჭოთა რუსეთს [1. 20].

1991 წელს კურილის კუნძულების თაობაზე მოსკოვს პრეტენზია წაუყენა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ტ ო ს ი კ ი კ ა ი ფ უ მ, რომელმაც პენსიაზე გასვლის შემდეგ, 2009 წელს განაცხადა, რომ იაპონელები კურილელ რუსებს ორმაგ მოქალაქეობასაც კი სთავაზობდნენ, ოღონდ კი კურილის იმ ოთხი კუნძულის იაპონიისთვის გადაცემას დასთანხმებოდნენ.

,,მაშინ ჩვენ მოსკოვს იმასაც ვთხოვდით, რომ კურილებზე რეფერენდუმი ჩაეტარებინა, მაგრამ კრემლმა ყური არ გვათხოვა“, - თქვა კაიფუმ.

იაპონიას დღესაც სურს, რომ კურილის კუთვნილების საკითხი რეფერენდუმით გადაწყდეს, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც კუნძულებიდან განსახლებული იაპონური მოსახლეობა უკან დაბრუნდება.

თავის მხრივ, რუსეთი თვლის, რომ კურილის კუნძულების სტატუსი უკვე გარკვეულია და გადახედვას აღარ საჭიროებს. ასეთი პოზიცია კრემლში მას შემდეგ დაიკავეს, რაც ხელისუფლებაში პუტინი მივიდა [5, 24].

მეორე მსოფლიო ომის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, როგორც ჩანს იაპონელებს ავიწყდებათ მათივე დიპლომატის იუტარო კომურას 1905 წელს პორტსმუტის ზავის დროს წარმოთქმული სიტყვა: ,,ომი გადახაზავს ყველა ხელშეკრულებას“.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Д. Митюрин, Курилы: острова раздора, журн. „Тайны ссср“, 2019, №5
2. ქსე, ტ. 6, თბ., 1983
3. Синтаро Накамура, Японцы и русские, перевод с японского с сокращенями, М., 1983
4. Журн. „Тайны ссср“, 2019, №20
5. მ. ლაბაძე, კურილის კუნძულები რუსულ-იაპონური ცივი ომის მთავარი მიზეზი, ჟურნ. ,,არსენალი“, 2013, #1
6. В. Луговой, Цветные люди японии, Журн. „Загадки истории“, 2020, №48
7. ა. პ. ჩეხოვი, კუნძული სახალინი, თბ., 1985
8. В.Елисеев, Потеряный остров, Журн. „Загадки истории“, 2019, №42
9. უილიამ რ. ქილორი, მეოცე საუკუნის მსოფლიო, თბ., 2015
10. ე. გვენეტაძე, საერთაშორისო უშიშროების ასპექტები, თბ., 2017

ყირიმის კუთვნილების საკითხისათვის

ბოლო წლებში რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის ფონზე, მსოფლიოს ყურადღება უკრაინისკენ იყო მიმართული. მართალია, რუსეთის პრეზიდენტმა ეს თემა დახურულად გამოაცხადა, მაგრამ დიდია ინტერესი აღნიშნული ტერიტორიის ისტორიული კუთვნილების შესახებ.

ყირიმის ნახევარკუნძული 25,5 ათ. კმ2 მოიცავს. დასავლელით და სამხრეთით აკრავს შავი ზღვა, აღმოსავლეთით - აზოვის ზღვა. ჩრდილოეთით პერეკოპის ვიწრო (8 კილომეტრამდე) ყელით უკავშირდება აღმოსავლეთ ევროპის ვაკეს. ყირიმის აღმოსავლეთ კიდეზე, შავსა და აზოვის ზღვებს შორის, მდებარეობს ქერჩის ნახევარკუნძული. დასავლეთით ყირიმი ბოლოვდება თარხანკუთის ნახევარკუნძულით.

ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ აზოვის ზღვის წყალმარჩხი ყურეებია (სივაში), რომლებიც ზღვიდან გამოყოფილია ქვიშიანი არაბატის ცელათი. ყირიმის ჩრდილოეთის დიდი ნაწილი სტეპური ვაკეა, სამხრეთის მცირე ნაწილი უკავია ყირიმის მთებს, რომელთა ძირზე ყირიმის სამხრეთი ნაპირის ვიწრო ზოლია [1, 651].

ყირიმის ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების უძველესი კვალი განეკუთვნება პალეოლითის ეპოქას. ნახევარკუნძულის გეოგრაფიული მდებარეობა, ეკო-

ლოგიური და ისტორიული პირობები უძველესი დროიდან გახდა სხვადასხვა ტომების, ხალხისა და კულტურების გადაკვეთის ადგილი. საუკუნეების განმავლობაში აქ ცხოვრობდნენ კიმერიელები, სკვითები, ბერძნები, რომაელები, გოთები, ჰუნები, ალანები, ხაზარები, ბიზანტიელები, ვენეციელები და გენუელები, სლავები. ერთი სიტყვით, არ არის ევროპაში ხალხი, რომელიც ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით პრეტენზიას არ აცხადებდეს ნახევარკუნძულის კუთვნილებაზე [2, 83]. და მაინც ყველაზე ძველი ბინადარი ტომი- ტ ა ვ რ ე ბ ი - იყვნენ. შემთხვევითი არ არის, რომ ანტიკური პერიოდის დასაწყისიდან ნახევარკუნძული ტ ა ვ რ ი დ ი ს სახელით იწოდებოდა [3, 5]. უფრო მეტიც, რუსეთის შემადგენლობაში ყოფნის მეორე წელს (1784) ყირიმს ძველი სახელის მიხედვით ეწოდა „თავრიდის ოლქი“ (1787 წლიდან გუბერნია), ცენტრი ქალაქი ს ი მ ფ ე რ ო პ ო ლ ი [1, 651].

ფაქტია, რომ ყირიმის აღსანიშნავად სამეცნიერო ლიტერატურაში და დოკუმენტურ წყაროებში XIX-XX საუკუნეებშიც კი, ზოგჯერ გვხვდება „თავრიდის ნახევარკუნძული“ [4, 227]. ანალოგიურია „თავრიდის სასახლე“. ასევე, საინტერესოა ინგლისელი ჟურნალისტის ლ ა უ რ ე ნ ს ო ლ ი ფ ა ნ ტ ი ს მსჯელობა, რომელიც XIX საუკუნის შუა ხანებში ყირიმის ომის თვითმხილველია და საქართველოშიც იმყოფებოდა, აღნიშნავს, რომ „ყირიმი“ და „თავრიდი“ იდენტური

ცნებებია. ოლიფანტის დასკვნით „ყირიმის გადაქცევა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უაზრობა იქნებოდა, რადგან თ ა ვ რ ი დ ი ს ნ ა ხ ე ვ ა რ კ უ ნ ძ უ ლ ი (ხაზგასმა ჩემია ა.ს.) რუსეთის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს“ [4, 228].

ანტიკური ავტორების ცნობებით ტავრები მრავალრიცხოვანი მომთაბარე ხალხი ყოფილა. ტავრებსა და ელინებს შორის ხშირი იყო შეიარაღებული დაპირისპირება. სავაჭრო ნაოსნობის დროს ტავრები დიდ დაბრკოლებას უქმნიდნენ ბერძნებს [5, 143]. ამასთან დაკავშირებით ჰეროდოტე შემდეგს მოგვითხრობს: „ტავრები შემდეგ წესებს მისდევენ: ქალწულს (იგულისხმება არტემიდე ა.ს.) მსხვერპლად სწირავენ ყველა იმ ელინს, ვისაც ხომალდი დაეღუპება, ანდა ვისაც ისინი შეიპყრობენ და ამას შემდეგნაირად აკეთებენ: იწყებენ მსხვერპლშეწირვას და მას თავში კომბალს ურტყამენ. ზოგიერთები ამბობენ, სხეულს კლდიდან ძირს აგდებენ (ამ კლდეზე სალოცავია აგებული), თავს კი სარზე ჩამოაგებენ; ხოლო სხვები თავის შესახებ ამავე აზრისანი არიან, ხოლო სხეულზე ამბობენ, კლდიდან კი არ აგდებენ, მიწაში ფლავენო. ამ ღმერთქალის შესახებ, რომელსაც მსხვერპლს სწირავენ, თვითონ ტავრები ამბობენ, რომ იფიგენეია არისო, აგამემნონის ასული. ხოლო მტერს, რომელსაც კი ხელთ იგდებენ, ისინი ასე ექცევიან: ყოველი მათგანი სჭრის მტერს თავს და მიაქვს სახლში, შემდეგ ძალიან დიდ ჯოხზე დაარჭობენ თავს

და დააყენებენ სახლს ზემოთ, მასზე ბევრად უფრო მაღლა, მეტ წილად საკვამურის ზემოთ, ისინი ამბობენ, რომ ესენი მთელი იმ სახლის მცველები არიან რომლის ზემოთაც დააყენეს. ტავრები ცხოვრობენ ყაჩაღობითა და ომებით“ [6, 281-282].

ტავრები ასევე აღწერილია სტრაბონის, პლინიუ-სის, პტოლემეოსის და სხვათა ნაწარმოებებში. საინტე-რესო ცნობები შემოგვინახეს შუასაუკუნეების ბიზან-ტიელმა, არაბმა, იტალიელმა, თურქმა ისტორიკოსებმა. ისინი წერდნენ ხერსონესზე (ორსუნი), სუდაკზე და ყირიმის სხვა ქალაქებზე.

ჩვ.წ. აღ-მდე I საუკუნის პირველ ნახევარში ტ ა ვ რ ი დ ა პონტოს მეფის მითრიდატე VI-ის ვრცელი სამეფოს ჩრდილოეთ მხარეს მოიცავდა. რომაელთაგან დევნილი ევპატორი ფიქრობდა, რომ აქ მოიკრებდა ძალას და დაბრუნდებოდა მცირე აზიაში, სადაც კონტრშეტევას განახორციელებდა რომაელებზე [7, 9]. მოგვიანებით ეს ტერიტორია რომაელებმა დაიპყრეს. III საუკუნიდან აქ განსახლდნენ სხვადასხვა მომთაბარე ტომები. IV-V საუკუნეებში კი ბიზანტიის ექსპანსიის ობიექტი გახდა. აღსანიშნავია, რომ III საუკუნეში მცირე აზიიდან ყირიმში ვრცელდებოდა ქრისტიანობა. IV საუკუნეში ბოსფორში უკვე მოქმედებდა დამოუკიდებელი ქრისტიანული საეპისკოპოსო [3, 11].

ხაზარების ,,ხაკანატი“, რომელიც VII-X საუკუნეებში არსებობდა, მომთაბარე ხალხთა შორის ყველაზე ძლიერ

სახელმწიფო გაერთიანებად ჩამოყალიბდა. სხვა ტერიტორიების გარდა ხაზარები ყირიმსაც დაეუფლნენ, რომელთა გავლენა აქ IX საუკუნის შუა ხანებამდე გაგრძელდა [8, 12-13].

X საუკუნის ბოლოს ყირიმის ნაწილი - ქერჩის ნახევარკუნძული -ექვემდებარებოდა ტ მ უ ტ ა რ ა კ ა ნ ი ს სათავადოს, რომელსაც მართავდნენ რიურიკოვიჩების ჩერნიგოვის შტოს წარმომადგენლები. აღნიშნულ პერიოდში რუსეთის გავლენა შავი ზღვის სანაპირო ზოლის ნაწილზე იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ არაბი მოგზაურების რუქებზე შავი ზღვა მოხსენებულია ,,ბ ა ხ რ ა რ რ უ ს“, ანუ რუსეთის ზღვად“ [2, 83].

1221 ან 1222 წელს თურქ-სელჩუკებმა მოაწყვეს საზღვაო ლაშქრობა ყირიმში და ხელთ იგდეს ქალაქი სოღდეა (სუდაკი) [9, 10]. საერთოდ, XIII საუკუნემდე შავ ზღვაზე ბიზანტია ბატონობდა და მთელი ვაჭრობა არსებითად ბერძნების ხელში იმყოფებოდა. შავი ზღვა ჩაკეტილი იყო არაშავიზღვისპირა ქვეყნებისათვის.

ჯვაროსანთა ლაშქრობებისა და ბიზანტიის დასუსტების შედეგად შავ ზღვაზე ვითარება თანდათანობით იცვლება. 1169 წელს გენუელებმა, ხოლო შემდგომ ვენეციელებმა სავაჭრო უბნები ჩაიბარეს კონსტანტინოპოლში. XIII საუკუნის 70-იანი წლებიდან შავ ზღვაზე გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს. მათი სავაჭრო ცენტრი გახდა კ ა ფ ა (ყირიმში). აქ იმყოფებოდა გენუელების კონსული, რომელსაც ემორჩილებოდა შავი

ზღვის სანაპიროზე მდებარე სავაჭრო ფაქტორიები. შავიზღვისპირეთის თითქმის ყოველ რეგიონში კი გენუელებს თავიანთი სავაჭრო კოლონიები ჰქონდათ გახსნილი [9, 53]. აღსანიშნავია, რომ ამ დროიდან ყირიმის ტერიტორიაზე ინტენსიურად მკვიდრდება ევროპული ეთნიკური ელემენტი.

რაც შეეხება თავრიდის თანამედროვე სახელს - ყ ი რ ი მ ი, მეცნიერთა ნაწილის აზრით ეწოდა XIII საუკუნეში. როგორც ცნობილია 1223 წელს თათარ-მონღოლებმა ყირიმი დაიპყრეს და დასახლდნენ კიდეც, რაც მათ ცხოვრების წესს არ შეესაბამებოდა. მათ აქ დააარსეს ქალაქი, რომელსაც ყირიმი უწოდეს. 1243 წლიდან ქალაქი ყირიმი გახდა ოქროს ურდოს მბრძანებლის ნაცვლის (ულუსის) რეზიდენცია და თანდათანობით გავრცელდა ქალაქის სახელი მთელ ნახევარკუნძულზე. ყირიმის სახელის ფართო მნიშვნელობით გავრცელება გვხვდება XIV საუკუნის არაბი გეოგრაფის ა ლ - ო მ ა რ ი ს თხზულებაში [3, 4]. უკვე XIII საუკუნეში ეს ტერიტორია თათარ-მონღოლთა ოქროს ურდოს შემადგენლობაში ,,ყირიმის ულუსის“ სახელით შევიდა. 1443 წელს ყირიმი გამოეყო ოქროს ურდოს და დამოუკიდებელი სახანო გახდა, რომლის სათავეებთან თათარ-მონღოლთა კლანი აღმოჩნდა.

XV საუკუნის შუა ხანებში ყირიმში დამკვიდრდა ლეგენდარული ჩინგის ხანის შთამომავალი, ლიტვაში დაბადებული ჰ ა ᴘ ი - გ ი რ ე ი. ის გახდა ყირიმის

გირეების ფუძემდებელი, თუმცა ხელისუფლებას ევროპელთა დახმარებით დაეუფლა. მას შემდეგ, რაც ნოღაელმა ს ა ნ დ - ა ხ მ ე დ მ ა ის ყირიმიდან გააძევა, ჰაჯი-გირეი გაიქცა ,,ისტორიულ სამშობლოში“ – ლიტვაში, სადაც ყირიმის ხანად გამოაცხადეს. ნახევარკუნძულზე დაბრუნდა ლიტვის დიდი მთავრის კ ა ზ ი მ ი რ IV-ის ჯარით. შეიძლება ითქვას, რომ ჰაჯი-გირეის თავისი მფარველის გარეშე ერთი დღითაც არ შეეძლო შეენარჩუნებინა ხელისუფლება. [2, 83].

ყირიმის ხანის ცხენოსანი ლაშქარი საკმაოდ მრისხანე ძალას წარმოადგენდა. ყირიმელი ხანები გამუდმებით თავს ესხმოდნენ მეზობელ ხალხებს და მოსვენებას არ აძლევდნენ მათ. ხანების შემოსავლის ძირითადი წყარო ა ლ ა ფ ი იყო [9, 57, სქოლიო 3]. პრაქტიკულად ყოველ წელს სახანოს მოსახლეობის მესამედი ლაშქრობდა მეზობელ ტერიტორიებზე ნადავლის საშოვნელად. თათრები ძარცვავდნენ რეჩ პოსპოლიტასა და მოსკოვის რუსეთის ტერიტორიებს. ზოგჯერ ისინი მოსკოვამდე აღწევდნენ. სახანოს სამხედრო შესაძლებლობები ხელწამოსაკრავი არ იყო. გირეის ერთდროულად შეეძლო ბრძოლის ველზე გამოეყვანა 150 ათასამდე მხედარი. თუმცა ყაჩაღური თავდასხმების მოწყობას ჩვეულებრივ მცირე რაზმებით ამჯობინებდნენ. როგორც კალიები ისე ესეოდნენ უცხო ტერიტორიებს, ყველაფერს წვავდნენ და ანადგურებდნენ, რაც გზაზე გადაეღობებოდათ.

ასეთი ლაშქრობების ძირითად მიზანს, როგორც აღვნიშნეთ წარმოადგენდა ნადავლი, და ყველაზე მთავარი კი - ტყვეები. თანამედროვეთა გადმოცემით, თათართა თავდასხმის შედეგად ყირიმში მიჰყავდათ 100 ათასამდე ტყვე. ბუნებრივია, ტყვეთა ბაზრამდე ყველა ვერ აღწევდა. სუსტებსა და ავადმყოფებს თათრები ხოცავდნენ.

ყირიმის მონათვაჭრობის მთავარ ცენტრში - ფეოდოსიაში (კაფა) ბაზრობაზე გამოჰყავდათ რჩეული ტყვეები. ზოგიერთი ისტორიკოსის გამოთვლით ორი საუკუნის მანძილზე გაიყიდა სამ მილიონზე მეტი ტყვე, ძირითადად უკრაინელები, პოლონელები და რუსები. მამაკაცები ხვდებოდნენ გალერებზე, ქალები - თურქი და არაბი ფაშებისა და ბეგების ჰარამხანებში [2, 83-84].

ყირიმელი ხანების სამხედრო ძლიერების მიუხედავად, რეჩ პოსპოლიტასა და მოსკოვის სამეფოს შეიარაღებულ ძალებს შეეძლოთ გასწორებოდნენ მონათმოვაჭრეების ბანდებს, რომ არა ერთი ,,მაგრამ“... საქმე იმაში იყო, რომ გირეებს ზურგს უმაგრებდა ოსმალეთის იმპერია, რომლის ვასალები იყვნენ ყირიმის ხანები. ამიტომ, ყირიმთან ომი მაშინვე გადაიქცეოდა თურქრთთან ომად. თურქეთი კი იმ დროს ევროპაში ითვლებოდა ძლიერ სახელმწიფოდ. თურქეთმა მიიტაცა უნგრეთი, ბალკანეთი, პოლონეთის ნაწილი და ორჯერ შეუქმნა საფრთხე რომის საღვთო იმპერიის დედაქალაქს - ვენას.

ამდენად, ყაჩაღი ხანის ,,ბედკრულ“ მეზობლებს ისღა დარჩენოდათ დასჯერებოდნენ თავდაცვით ღონისძიებებს. აუთვისებელი სასაზღვრო მინდვრების გასწვრივ დაიწყეს ხის მასალისაგან სიმაგრეების მშენებლობა. მოგვიანებით ეს პატარა სიმაგრეები გადაიქცნენ მსხვილ ქალაქებად, როგორიც იყო ორიოლი, ბელგოროდი, ტამბოვი, ვორონეჟი.

თათართა თავდასხმებისაგან დაცვის მიზნით პოლონეთის მეფეები და მოსკოვის დიდი მთავრები ყოველ წელს ყირიმში გზავნიდნენ მდიდრულ საჩუქრებს, რაც სინამდვილეში წარმოადგენდა შეწერილი ხარკის გადასახადს. თუმცა გადასახადი დიდ შეღავათს არ წარმოადგენდა. თავდასხმები პერიოდულად მაინც გრძელდებოდა [2, 85].

აღსანიშნავია, რომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის განმავლობაში მათ შორის მოხდა სულ 12 ომი. პირველი იყო 1569 წელს, სადაც გაიმარჯვეს რუსებმა. მათ ერთ-ერთი დიდი მარცხი განიცადეს 1711 წელს პრუტის ლაშქრობის დროს. ტყვედ ჩავარდნილი პეტრე პირველის განთავისუფლების საზღაურად რუსებს მოუწიათ აზოვისა და ტაგანროგის დათმობა. გარდა ამისა, როგორც წინა ასწლეულში რუსეთმა კვლავ იკისრა ყირიმელი თათრებისათვის გადაეხადა ხარკი – წელიწადში 140 კილოგრამი ოქრო [10, 18].

როგორც დავინახეთ რუსები და ევროპელებიც ყირიმის მოსახლეობას თ ა თ რ ე ბ ს უწოდებდნენ. XVI

საუკუნეში, როდესაც მონღოლთა „ნარჩენებმა“ ოქროს ურდოს დაშლილ სამფლობელოებზე სახანოები დააარსეს, აქ მცხოვრებ ხალხს ასევე თათრებად მოიხსენიებდნენ. მაგალითად, ივანე IV საჭიროდ თვლიდა ბრძოლას „ყაზანის, ასტრახანის, ყირიმისა და ციმბირის თათრებთან“ [11, 37].

რუსი მეცნიერების ნაწილი მიიჩნევს, რომ „ყირიმელი თათრების წარმოშობის საკითხი რთულ პრობლემას წარმოადგენს, რაც ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გადაწყვეტილი მეცნიერებაში. ისტორიულად ყირიმელი თათრები არა მარტო ყივჩაღებთან იყვნენ დაკავშირებული, არამედ, მხარის სხვა თურქულენოვან მოსახლეობასთან ...“ [3, 5].

ვფიქრობთ, რუსი ავტორები საქმეს უფრო აბუნდოვანებენ, ვიდრე სინამდვილეშია. ყოველ შემთხვევაში მოსაზრება მაინც შეიძლება გამოვთქვათ.

ეთნონიმი „თათარი“ პირველად გაჩნდა VII-IX საუკუნეებში ბაიკალის სამხრეთ-აღმოსავლეთით მომთაბარე მონღოლ ტომებში. XIII საუკუნეში თათარ-მონღოლთა შემოსევებთან ერთად სახელწოდება „თათარი“ ცნობილი გახდა ევროპაში. XIII-XIV საუკუნეებში ეს სახელწოდება გავრცელდა ოქროს ურდოში შემავალ ევრაზიის ზოგიერთ ხალხზე. XVI-XIX საუკუნეებში რუსულ წყაროებში „თათრად“ იწოდება მრავალი თურქულენოვანი და ზოგი სხვა ხალხი, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოს განაპირა მხარეებში ცხოვრობ-

და (აზერბაიჯანელები, ჩრდილო კავკასიის, შუა აზიის, ვოლგისპირეთისა და სხვა ეროვნებანი). ზოგიერთი მათგანისათვის სახელწოდება „თათარი“ ეთნონიმად იქცა [12, 572].

თუ დავაკონკრეტებთ, XIII საუკუნის დამდეგს ცენ-ტრალური აზიის ველებიდან გამოვიდნენ მომთაბარე თ ა თ ა რ - მ ო ნ ღ ო ლ თ ა ხალხმრავალი ურდოები, რომლებმაც შედარებით მოკლე დროში აზიისა და ევროპის ბევრი ქვეყანა დაარბიეს და დაიპყრეს და მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიეს მათ შემდგომ ისტორიას.

XI საუკუნეში თანამედროვე მონღოლეთის ტერი-ტორიაზე მომთაბარეობდნენ მონღოლურ ენაზე მო-ლაპარაკე ტომები, რომელთაც ერთი საერთო სახელი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ. ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ტომის, თ ა თ რ ე ბ ი ს სახელი მეზობელმა ხალხებმა სხვა ტომებზე გაავრცელეს, ოღონდ საკუთრივ თათ-რებისაგან (ანუ თ ე თ რ ი თ ა თ რ ე ბ ი ს ა გ ა ნ) განსხვავებით, მონღოლური მოდმგმის სხვა ტომებს „შ ა ვ თ ა თ რ ე ბ ს“ უწოდებდნენ. ტერმინი „მ ო ნ ღ ო ლ ი“ ოფიციალურად შემოღებულ იქნა მხოლოდ XIII საუკუნეში და მონღოლთა გაერთიანებულ სახელმწი-ფოში შემავალი ყველა ტომის აღმნიშვნელი სახელი გახდა. XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსი „ჟამთააღ-მწერელი“ შენიშნავს, რომ „ესენი ენითა მათითა უწო-

დიან თავად მათთა მანღოლ, ხოლო ქართველნი თათრად, რომელთა ვგონებ ერთსოფლელად“ [13, 527].

ამდენად, თათარი მონღოლის ტომს გულისხმობდა, ხოლო როდესაც საილხანოში, სადაც საქართველო შედიოდა ყაზან-ყაენის (1295-1304) დროს ილხან-თათრებმა ისლამი სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადეს [13, 565] ქართველთა ცნობიერებაში თათარი მაჰმადიანის სინონიმად იქცა. საგულისხმოა, რომ მხოლოდ ერთ დღეში 200 ათასი მონღოლი გამაჰმადიანდა. ე.ი. ქართველებში სიტყვა თ ა თ ა რ მ ა ეთნიკურთან ერთად მაჰმადიანის აღმნიშვნელი ტერმინის შინაარსი მიიღო, რაც საუკუნეები გაგრძელდა. თათარი, რომ ისლამის აღმსარებელს ნიშნავდა, დასტურდება ჩვენი დიდი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით. კერძოდ, ლექსიკონში აღნიშნულია: „თ ა თ ა რ ი მოჰმადიანი“ [14, 296]. ერთი ქართული ხალხური ლექსის თანახმად:

,,წუთისოფელი რა არი –
აგორებული ქვა არი,
რა წამს კი დავიბადებით,
იქვე საფლავი მზა არი!
ყველა ადამის შვილი ვართ,
თ ა თ ა რ ი ც ჩვენი ძმა არი!...“

სადაც ,,თათარი“ არა ეროვნების, არამედ სარწმუნოების აღმნიშვნელია (შდრ.: გათათრდა = გამუსლიმან-

და; ნუ გათათრდები = ნუ გამუსლიმანდები და ა.შ. [15, 207-209].

XX საუკუნის 20-იან წლებში მესხეთში მცხოვრები გამაჰმადიანებული ქართველი კითხვაზე – თათარი ხარ თუ ქართველი? პასუხის შემთხვევაში თათარი ვარ – ნიშნავდა ქართველ მაჰმადიანს. სხვებს კი უწოდებდა ქურთს, თარაქამას, თურქს და არა თათარს...[16, 183].

ტერმინი - თათარი, რომ რელიგიის ან ზოგჯერ ეროვნების გამომხატველ ცნებას წარმოადგენდა, კარგად ჩანს ,,თურქეთის საქართველოს“ მოსახლეობის მაგალითზეც. კერძოდ, მთხრობელის გადმოცემით ,, – შავშეთში იმიტომ დაიკარგა ქართული ენა, რადგანაც ძველად გათათრდნენ“ [17, 45].

საინტერესოა, რომ ისტორიული და სხვა მიზეზებით ყირიმელი თათრები განსხვავდებიან ვოლგისპირეთის, ურალის, ციმბირის, ყაზანისა და ასტრახანის თათრებისაგან. ეს ფაქტი შეიძლება აიხსნას შემდეგი გარემოებით: ამ ტერიტორიაზე თათარ-მონღოლებს დახვდათ მრავალ ეთნიკური მოსახლეობა, რომლებთან შერევის შედეგად ჩამოყალიბდა ყირიმელი თათრების განსხვავებული ანთროპოლოგიური ტიპი ზნე-ჩვეულებითა და ყოფის თავისებურებებით.

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ (1453 წლის 29 მაისი) ოსმალეთის სულთნის მეჰმედ II-ის თვალთახედვით, შავიზღვისპირა ქვეყნებს შორის ერთ-ერთ რეალურ სამხედრო ძალას ყირიმის სახანო წარმოად-

გენდა. ყირიმის ხანის დამორჩილება ამ ეტაპზე სულთნის გეგმებში არ შედიოდა. პირიქით, სულთანმა გადაწყვიტა ერთმორწმუნე ყირიმის ხანი თავისი ინტერესების სასარგებლოდ გამოეყენებინა და მისი დახმარებით ხელთ ეგდო ქალაქი კაფა, გენუელების მთავარი საყრდენი შავ ზღვაზე.

ამ მიზნით მეჰმედ II-მ ურთიერთობა დაამყარა ჰაჯი გირეისთან, თავის მხრივ დაინტერესებული იყო, რომ ყირიმის სანაპიროზე მდებარე იტალიელთა სავაჭრო კოლონიები თავისი ხელისუფლებისათვის დაემორჩილებინა და ამით გაეზარდა შემოსავალი. სწორედ ამ ნიადაგზე მოხდა ოსმალეთისა და ყირიმის ხანის დაახლოება.

1454 წლის დასაწყისში სულთანსა და ჰაჯი გირეის შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ოსმალები გენუელების წინააღმდეგ კაფაზე იერიშს მიიტანდნენ, ხოლო ყირიმის ხანი კი - ხმელეთიდან [9, 57].

1454 წლის ზაფხულის დამდეგს ოსმალეთის დიდი ფლოტი, რომელიც 56 გემისაგან შედგებოდა, ბოსფორიდან გავიდა. საინტერესოა, რომ ერთ-ერთი თავდასხმა ოსმალებმა სოხუმზე (სებასტოპოლისი) განახორციელეს და გაძარცვეს. ამ დროს სოხუმში გენუელებს გახსნილი ჰქონდათ სავაჭრო ფაქტორია. ფაქტიურად, ეს იყო ოსმალთა პირველი თავდასხმა საქართველოს მიწა-წყალზე. სოხუმიდან ოსმალეთის

ფლოტი ყირიმისკენ გაემართა, 11 ივლისს ღუზა კაფას ნავსადგურის მახლობლად ჩაუშვა და ელოდებოდა ყირიმის ხანის ლაშქრის მოსვლას. 16 ივლისს ყირიმის ხანი 6000-იანი ლაშქრით მოვიდა და კაფას ხმელეთიდან ალყა შემოარტყა. ქალაქი კარგად იყო გამაგრებული და მიუხედავად არაერთი იერიშისა, მისი აღება ვერ შეძლეს. გენუელებს არსაიდან დახმარების იმედი არ ჰქონდათ და შექმნილ ვითარებაში გენუის კონსულმა ამχობინა დაზავებოდა მტერს და მოლაპარაკება დაიწყო. დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც კაფას კონსული ვალდებული იყო ყოველწლიურად ყირიმის ხანის სასარგებლოდ გადაეხადა 600 სომი (რომელიც შეესატყვისება 1600 დუკატს ან 13 140 ლირას).

მეჰმედ II უკმაყოფილო იყო საზღვაო ლაშქრობის შედეგებით. მან ბოსფორის სრუტე ჩაკეტა. გენუელები არც კი ცდილობდნენ საზღვაო გზით დაკავშირებოდნენ შავ ზღვაზე მდებარე თავის კოლონიებს. თავიანთ წარმომადგენლებს კაფაში სახმელეთო გზით გზავნიდნენ. ამ დროს კაფას შიმშილი ემუქრებოდა, 1455 წელი მოუსავლიანი იყო. კაფას მცხოვრებნი მოითხოვდნენ დახმარებას სურსათ-სანოვაგის სახით, რომელიც უნდა მოეწოდებინათ მათთვის ან საზღვაო გზით (ეს კი ნახევრად რეალური იყო), ან ხმელეთიდან უნგრეთისა და პოლონეთის გავლით.

გენუიდან, კაფისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, გაიგზავნა 2 გემი 800 ჯარისკაცით. კაფაში ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.

შექმნილ ვითარებაში კაფის კონსულმა გადაწყვიტა დაეწყო სულთანთან მოლაპარაკება და ამ მიზნით მას ელჩი გაუგზავნა. მეჰმედ II ამ დროს ადრიანოპოლში იმყოფებოდა. მოლაპარაკების შედეგად დადებულ იქნა შეთანხმება. ხელშეკრულებით კაფა ვალდებული იყო ყოველწლიურად სულთნისათვის გადაეხადა 3000 ვენეციური დუკატი, როგორც ხარკი (ხარაჯა). ქალაქი სამასტრა, რომელიც გენუელებს ეკუთვნოდა, ოსმალთა მფლობელობაში გადადიოდა [9, 58]. შეიძლება ითქვას, რომ სულ რაღაც ნახევარი საუკუნის განმავლობაში გენუელთა სავაჭრო კოლონიები შავი ზღვის სანა-პიროზე მოისპო ოსმალეთისა და მისი მოკავშირე ყირიმელი თათრების თავდასხმების შედეგად.

დ ე ვ ლ ე თ ჰ ა ჯ ი გ ი რ ე ი ს გარდაცვალების (1466წ.) შემდეგ, რომლის სამფლობელოებშიც ქვემო დნეპრისპირეთიც შედიოდა ყირიმის ხანი გახდა მ ე ნ გ ლ ი გ ი რ ე ი (1468-1515წწ.). მისი მმართველობის პერიოდში ყირიმში შეიჭრნენ ოსმალთა ჯარები, დაან-გრიეს გენუელთა კოლონიები ჩრდილოეთ შავიზღვის-პირეთში და ყირიმის სახანო ოსმალეთის სავასალოდ აქციეს. ეს პროცესი შემდეგნაირად განხორციელდა; ტრაპიზონისა და ყარამანიის დაუფლების შემდეგ მეჰმედ II-მ 1475 წელს ახალი დამარცხება აგემა უ ზ უ ნ

ჰ ა ს ა ნ ს და თეთრბატკნიანთა სამფლობელოების დასავლეთი ნაწილი თავის ტერიტორიებს შეუერთა. მიღწეული წარმატების შემდეგ სულთნის წინაშე დადგა მორიგი ამოცანა - გაბატონება შავიზღვისპირეთის ჩრდილოეთ რეგიონში. ამისათვის კი საჭირო იყო ყირიმის სახანოს დამორჩილება.

1475 წელს ოსმალეთის ფლოტი, რომელიც 300-ზე მეტი გემისაგან შედგებოდა, ყირიმის სანაპიროს მიადგა. ოსმალებმა ხელთ იგდეს კაფა, სუდაკი, ქერჩი, სხვა სანაპირო ქალაქები და ციხეები და გააუქმეს იქ არსებული გენუელთა სავაჭრო კოლონია. ყირიმის სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო ზოლი, კაფას (ფეოდოსია) ჩათვლით, შეუერთეს ოსმალეთის სახელმწიფოს. ამ ტერიტორიაზე დაარსებულ იქნა კაფის სანჯაყი, რომლის სანჯაყბეგი უშუალოდ დაემორჩილა სულთანს, ყირიმის ხანმა კი ასევე მორჩილება გამოუცხადა ოსმალეთის მბრძანებელს.

ამის შემდეგ ოსმალებმა ხელთ იგდეს აზოვის ზღვის სანაპირო და ქალაქი აზოვი (ტანა). მათ ხელში გადავიდა აგრეთვე მდინარე ყუბანის შესართავთან მდებარე ქალაქი კ ო პ ა. ამ რეგიონში მნიშვნელოვნად იქნა შეზღუდული გენუელ ვაჭართა საქმიანობა. რეგიონის მთელი ვაჭრობა ოსმალეთის კონტროლს დაექვემდებარა. ყირიმისა და აზოვის სანაპიროს დაპყრობით ოსმალეთმა შექმნა რუსეთისათვის სამხრეთისაკენ წინსვლის შემაკავებელი ბარიერი.

ყირიმის ხანი ოსმალეთის სულთნის ვასალი გახდა. ამიერიდან ყირიმის ხანს (გირეების დინასტიიდან) ტახტზე ასვლისას სულთანი ამტკიცებდა. ყირიმის ხანმა შეინარჩუნა თავისი სახელით ფულის მოჭრის უფლება და მოიპოვა შიდაპოლიტიკური ავტონომია. გარდა ამისა მას ჰქონდა უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობის უფლება. ყირიმის ხანის უფლისწულები სტამბოლში ცხოვრობდნენ და სულთანს ყოველთვის ჰქონდა შესაძლებლობა ურჩი ხანის გადაყენებისა და მის ნაცვლად თავისი სასურველი კანდიდატის დასმისა.

იყო შემთხვევები, როდესაც ყირიმის ხანები ცდილობდნენ რადიკალურად დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა გაეტარებინათ. ოსმალო სულთნები ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს ყირიმის ხანის მოქმედებას. ამის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ევალებოდათ კაფის სანჯაყბეგებს. საჭირო შემთხვევაში კაფის სანჯაყბეგი სათანადო ზეწოლას ახდენდა ყირიმის ხანზე. ერთი სიტყვით, ყირიმის სახანო ნახევრად დამოუკიდებელი ქვეყანა იყო. ყირიმის სახანო, გარდა თავისი სტრატეგიული მნიშვნელობისა, ოსმალეთისათვის სხვა მხრივაც იყო საჭირო. ეს ქვეყანა, განთქმული თავისი სოფლის მეურნეობით, სტამბოლს ამარაგებდა სხვადასხვა პროდუქტებით. კაფას „ქუჩუქ ინსტაბულ“ - საც (პატარა სტამბოლს) უწოდებდნენ.

აზოვის ზღვისპირა რეგიონი განსაკუთრებით მდიდარი იყო თევზეულით, ხიზილალით და სტამბოლის მთავარი მომმარაგებელი იყო.

ამგვარად, XV საუკუნის დამლევისათვის შავიზღვისპირეთი, საქართველოს სანაპიროს გამოკლებით, ოსმალეთის ხელში გადავიდა და შავი ზღვა ,,ოსმალეთის ტბად“ გადაიქცა [9, 66-67]. ყირიმის ხანს ჰყავდა 20-30 ათასიანი ცხენოსანთა ლაშქარი, რომელიც იყო ოსმალეთის მთავარი დამრტყმელი ძალა - სამხრეთ – აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. აღსანიშნავია, რომ ყირიმის ხანს თავისი მოხარკე ქვეყნები ჰყავდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ რუსეთის მეფე ყირიმის ხანს უხდიდა ხარკს 1700 წლამდე. მიუხედავად ამისა, მხოლოდ XVII საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთიდან თათრებმა 200 ათასამდე ტყვე გაიტაცეს [1, 653].

ამავე პერიოდში შავ ზღვაზე გაბატონებული მდგომარეობა დონისა და უკრაინის კაზაკებმა მოიპოვეს. ისინი თავიანთი გემებით გამუდმებით თავს ესხმოდნენ ოსმალეთის სანაპიროს და საფრთხე შეუქმნეს ოსმალეთის დედაქალაქსაც კი. კონსტანტინოპოლში იმდენად შეშინებული იყვნენ, რომ სულთანმა ბრძანება გასცა, კაზაკებისაგან თავდაცვის მიზნით, ბოსფორის სრუტეში რკინის ჯაჭვი გაებათ. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმა კაზაკებმა მოაწყვეს 1625 წელს. ამის შესახებ რუსული წყაროები გვაცნობებენ: ,,გასულ (1625) წელს

მარტის თვეში შავი ზღვით ცარგოროდიდან (კონ-სტანტინოპოლიდან) ნახევარი დღის სავალზე 300 ნავით ძალზე ბევრი ზაპროჟიელი, ჩერქეზი და დონელი კაზაკი მოვიდა, რომელთაც აიღეს და დაწვეს სამი თურქული სოფელი: ბოქუ, იენჩიკოი და ფანარი. ამის შემდეგ მოვიდნენ და აიღეს თურქეთის ქალაქები: ტრაპიზონი, სინოპი და უნია“ [18, 209].

ყირიმელ თათართა მუდმივი თარეშები და კაზაკთა საპასუხო ლაშქრობები ,,ფარული ომი“ თერგზე დასამკვიდრებლად, ხელს უწყობდა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის პერმანენტულ დაძაბულობას. რუსეთი კი მეტად სუსტი იყო თურქეთთან საბრძოლველად [19, 6]. აი, ეს ,,დამოკლეს მახვილი“ იყო ერთ-ერთი ძირი-თადი მიზეზთაგანი, რომელიც თავისებურ ელფერს აძლევდა მოსკოვის სახელმწიფოს ურთიერთობას თურქეთთან, რაც განაპირობებდა მოსკოვის ერთობ მოკრძალებულ პოზიციას ამ ურთიერთობაში.

თუმცა, როგორც დავინახეთ, მოსკოვის სახე-ლმწიფოს გააჩნდა თავისი ფარული, მაგრამ საკმაოდ მძლავრი კონტრიარაღი, დონისა და დნეპრის კაზაკების სახით. კაზაკების შეუპოვარი ლაშქრობები თურქეთის ტერიტორიაზე, თავისი ხასიათითა და მეთოდებით არც თუ ძლიერ განსხვავებული თათართა თარეშებისაგან, სერიოზულ მატერიალურსა და ფსიქოლოგიურ ზიანს აყენებდა სულთნის იმპერიას. კაზაკობის ისტორია სავსეა ამგვარი თარეშებითა და ლაშქრობებით. ხშირ

შემთხვევაში კაზაკთა ლაშქრობები - თუმცა ისინი დიდ ზიანს აყენებდნენ თურქეთს და, ამდენად, ობიექტურად ხელს უწყობდნენ აგრესორთა შესუსტებას - არ იყვნენ სანქციონირებული მოსკოვის მთავრობის მიერ. უფრო მეტიც-კაზაკები, არაიშვიათად, ხელს უშლიდნენ მოსკოვის მთავრობას მოეგვარებინა თურქეთთან ურთიერთობა და სულთნისა და ყირიმის ხანის არმიები პოლონეთის წინააღმდეგ წარემართა. ამის მრავალრიცხოვანი დადასტურებაა მოსკოვ-დონის ურთიერთობის მასალები [19, 9].

XVII საუკუნის ბოლოს რუსეთი ორჯერ შეეცადა ყირიმის დაუფლებას, თუმცა უშედეგოდ. 1686 წელს პოლონეთთან ,,სამუდამო ზავის“ დადებით რუსეთი შევიდა კოალიციაში (,,წმინდა ლიგა“ - ავსტრია, ვენეცია და რეჩ პოსპოლიტა), რომელიც ებრძოდა ოსმალეთის სულთანს და მის ვასალს - ყირიმის სახანოს. 1687 წლის მაისში რუსეთის ჯარი (დაახლოებით 100 ათასი კაცი) ვ. გ ო ლ ი ც ი ნ ი ს მეთაურობით უკრაინიდან დაიძრა. იქ მას შეუერთდნენ ზაპროჟიელი და დონის კაზაკები. რუსეთის ჯარებმა გადალახეს მდინარე ,,კონსკიე - ვოდი“, მაგრამ 17 ივნისს გადაწყვიტეს უკრაინაში დაბრუნებულიყვნენ, რადგან თათრებმა ველები გადაწვეს და ცხენებს საკვები არ ჰქონდათ.

1689 წლის ადრე გაზაფხულზე რუსები 150 ათასიანი ჯარით ხელახლა დაიძრა სალაშქროდ. 15 მაისს უკუაქცია ყირიმის ხანის ჯარები და 20 მაისს

პერეკოპის სიმაგრეს მიადგა, მაგრამ მოწინააღმდეგის ძალების სიჭარბის გამო 21 მაისს დაიწყო უკანდახევა. ყირიმის ლაშქრობის წარუმატებლობა სოფიო ალექსის ასულისა და ვ. გოლიცინის მთავრობის დაცემის ერთ-ერთი მიზეზი გახდა [1, 651-652].

1700 წლის 3 ივლისს, 30 წლით სტამბოლში დაიდო სამშვიდობო საზავო ხელშეკრულება ოსმალეთსა და რუსეთს შორის. ხელშეკრულებით რუსეთმა მიიღო აზოვი, შემოგარენი მიწებით. ამის შემდეგ რუსეთმა შეუწყვიტა ხარკის გადახდა ყირიმის ხანს... ოსმალეთმა - აღკვეთა თათრების თარეში რუსეთის ტერიტორიაზე. პირველად ოსმალეთ-რუსეთის ურთიერთობის ისტო-რიაში რუსეთმა მიიღო უფლება ჰყოლოდა თავისი ელჩი სტამბოლში. 1702 წელს რუსეთის პირველი ელჩი პ.ა. ტოლსტოი სტამბოლში ჩავიდა [9, 223].

ყირიმის პრობლემამ ერთ-ერთი ყველაზე გამოკვე-თილი ადგილი დაიკავა რუსეთ-ოსმალეთის ურთიერ-თობაში XVIII საუკუნის მთელ მანძილზე. 1736 წლის აპრილში რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს და მისი ჯარები შეიჭრნენ ყირიმში, დაიკავეს დედაქალაქი ბაღჩისარაი და შემდეგ უკან დაბრუნდნენ. ამავე წლის ზაფხულში რუსეთის ჯარებმა დაიკავა აზოვი.

1737 წლის ზაფხულში რუსეთმა ახალ წარმატებას მიაღწია ყირიმში და დაიკავა ციხე-სიმაგრე ოჩაკოვი, მნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი და სავაჭრო ცენტრი შავი ზღვის სანაპიროზე და სიმაგრე კინბურნი.

თუმცა ეს წარმატება ამ ეტაპზე დროებითი აღმოჩნდა [9, 246-247].

ყირიმისათვის გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყო ეკატერინე II-ის მმართველობის წლებში. 1768 წლის 27 იანვარს 70 ათასიანი ჯარით კრიმ-გირეიმ გადაკვეთა რუსეთის საზღვარი. თათრებმა შეძლეს მიეღწიათ მხოლოდ ელიზავეტგრადამდე და ბახმუტამდე. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ისინი განდევნილ იქნენ ,,მალოროსიის“ გენერალ-გუბერნატორის პეტრე რუმიანცევის მიერ. თათრებმა შეძლეს სულ ორი ათასამდე ტყვის წაყვანა და გადავიდნენ დნესტრზე. ეს იყო ყირიმელი თათრების ბოლო თავდასხმა რუსეთის ტერიტორიაზე.

1770 წელს მოლაპარაკება დაიწყო ახალ ხანთან ს ე ლ ი მ - გ ი რ ე ი ს თ ა ნ, რომელსაც შესთავაზეს ყირიმის დამოუკიდებლობა თურქეთისაგან. მაგრამ ხანმა უარი განაცხადა. მისი თქმით თათრები კმაყოფილი იყვნენ სულთნის ხელისუფლებით და არ სურდათ დამოუკიდებლობა [2, 85-96].

1771-1772 წლებში ყირიმის ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების დროს რუსეთის ჯარმა თავად ვასილი დოლგორუკოვის სარდლობით დაამარცხა ხანის არმია. რუსებმა ყირიმი დაიკავეს. სელიმ-გირეი გაიქცა თურქეთში. ეს იყო ყველაზე უფრო მძიმე დარტყმა ოსმალეთის იმპერიისათვის, რომელიც შავ ზღვას თვლიდა თავის შიდა ზღვად. პერიოდულად მიმდინარეობდა მოლაპარაკება ოსმალეთთან, სადაც რუსეთის

მოთხოვნა იყო ყირიმს მინიჭებოდა დამოუკიდებლობა. ოსმალეთმა უარი განაცხადა ამ წინადადებაზე და მოლაპარაკება შეწყდა, თუმცა, საომარი მოქმედება არ განახლებულა.

ახალი ხანი ს ა ჰ ი ბ - გ ი რ ე ი რუსეთთან მეგობრობის მსურველი აღმოჩნდა. 1772 წლის 1 ნოემბერს ,,ყარსისბაზართან“ მან ხელი მოაწერა ხელშეკრულებას დოლგორუკოვთან, რომლის მიხედვით ყირიმი გამოცხადდა დამოუკიდებელ სახანოდ რუსეთის მფარველობის ქვეშ. რუსეთის ხელში გადადიოდა შავი ზღვის ნავსადგურები: ქერჩი, კინბურნი, იუნიკალე. ყირიმის ქალაქებში დარჩნენ რუსი ჯარისკაცები.

ომი თურქეთთან დასრულდა 1774 წელს ქუჩუკ-კაინარჯის სამშვიდობო ხელშეკრულებით, რომლის თანახმად ორივე მხარე სცნობდა ყირიმის დამოუკიდებლობას. რუსეთის მიწები ეხლა უკვე დაცული იქნა თავდასხმებისაგან, მაგრამ ყირიმის საკითხი ბოლომდე მაინც ვერ გადაწყდა.

ნახევარკუნძულზე მიმდინარეობდა ბრძოლა თათართა კლანებს შორის. ნაწილი თურქეთის ორიენტაციისა იყო - ნაწილი რუსეთის.

ოსმალეთი მომხდარ ფაქტს ვერ ურიგდებოდა. ამიტომ ხელშეკრულების რატიფიკაციის შემდეგ შეეცადა ყირიმის დაბრუნებას. სულთნის წაქეზებით პრო-თურქულად განწყობილმა მ უ რ ზ ე ბ მ ა ჩამოაგდეს საჰიბ-ხანი და აირჩიეს დ ე ვ ლ ე თ - გირეი.

1775 წლის დამდეგს დევლეთ - გირეი ოსმალეთის ჯარით ყირიმში შევიდა. სულთანმა შეუჩერა რუსეთს კონტრიბუციის გადახდა, მოითხოვა კინბურნის დაბრუნება და დაიწყო მზადება ქერჩისა და იენიკალეს ხელში ჩასაგდებად.

ოსმალეთის მიერ ხელშეკრულების დარღვევის საპასუხოდ 1776 წლის ნოემბერში რუსეთის ჯარებმა დაიკავეს პერეკოპი, შეიჭრნენ ყირიმის სიღრმეში და დაიკავეს მთელი ყირიმი. ამ ოპერაციას ხელმძღვანელობდა ს უ ვ ო რ ო ვ ი [9, 253]. დევლეთ-გირეი ოსმალეთში გაიქცა. ახალი ხანი გახდა რუსეთის მომხრე შ ა ჰ ი ნ - გ ი რ ე ი, რომელმაც დაიწყო პეტრე პირველის მსგავსი რეფორმების გატარება, რასაც მოსახლეობის ამბოხება მოჰყვა. ამით ისარგებლა თურქეთმა. შაჰინ-გირეი გამოაცხადეს არამართლმორწმუნედ, რომ ის ,,იძინებდა საწოლზე, იჯდა სკამზე და არ ლოცულობდა, როგორც მუსულმანს შეეფერებოდა“. სტამბულში ყირიმის ხანად დანიშნეს ს ე ლ ი მ - გ ი რ ე ი, რომელიც თურქების მხარდაჭერით შევიდა ნახევარკუნძულზე 1777 წლის ბოლოს. ყირიმში დაიწყო სამოქალაქო ომი. ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ ნახევარკუნძულზე შევიდნენ რუსები და ,,წესრიგი დაამყარეს“.

სულთანი ამ დროს ომისთვის მზად არ იყო. ამიტომ 1779 წლის 10 მარტს ხელი მოაწერა კონვენციას, რომელშიც ნათქვამია, რომ თურქეთი ცნობს ყირიმის სახანოს დამოუკიდებლობას, ხოლო შაჰინ-გირეის მის

მმართველად. მიუხედავად ამისა ოსმალეთის იმპერია აგრძელებდა მხარდაჭერას ყირიმის აჯანყებული თათრებისადმი. 1781 წელს თურქეთმა შეძლო აჯანყების ინსპირირება ბ ა ჰ ა დ ი რ - გ ი რ ე ი ხანის ძმის მეშვეობით. ამას მოჰყვა ახალი ამბოხი მ ა ჰ მ უ დ - გ ი რ ე ი ხანის ხელმძღვანელობთ. ყველა ეს გამოსვლა ჩახშობილ იქნა რუსების მიერ. თავად შაჰინ-გირეი მკაცრად გაუსწორდა თავის მოწინააღმდეგეებს. მიუხედავად ამისა ნათელი გახდა, რომ ასე მუდმივად გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. შაჰინ-გირეი აშკარად უძლური გამოდგა გაძღოლოდა თავის მოვალეობას. მას წინადადება მიეცა გადამდგარიყო და ყირიმი რუსეთისათვის გადაეცა. 1783 წლის თებერვალში შაჰინ-გირეი გადადგა.

1783 წლის 19 აპრილს გამოიცა ეკატერინე II-ის მანიფესტი რუსეთთან ყირიმის შეერთების შესახებ. ყირიმის სახანოს შეერთება რუსეთთან ნიშნავდა რუსეთის შავ ზღვაზე არა მარტო გამოსვლას, არამედ გაბატონებასაც, რადგანაც რუსეთის სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი ბევრად აღემატებოდა ოსმალეთისას.

ამავე წელს პატარა ,,თათრულ“ სოფელ ი ჰ თ ი ა რ თ ა ნ რუსეთმა დაიწყო ახალი ნავსადგურის, ს ე ვ ა ს ტ ო პ ო ლ ი ს მშენებლობა, რომელიც უნდა გამხდარიყო შავ ზღვაზე რუსეთის მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა. ეკატერინე II-ის ბრძანებით, ქალაქის შესასვლელ-

თან გააკეთეს წარწერა: ,,კონსტანტინოპოლის კარი“. ეკატერინე II-მ ყირიმის დ ა პ ყ რ ო ბ ი ს აღსანიშნავად მოაჭრევინა სპეციალური ოქროს მედალი.

მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის შიდაპოლიტიკური მდგომარეობა ძალზე დაძაბული იყო, ოსმალეთის მმართველ წრეებს მაინც იმედი ჰქონდათ, რომ ძალით შეძლებდნენ 1768-1774 წლების შედეგად დაკარგული ტერიტორიების, განსაკუთრებით ყირიმის დაბრუნებას.

ეკატერინე II ყირიმის ,,შეერთბას“ რუსეთთან იმით ხსნიდა, რომ ოსმალეთი ხშირად არღვევდა ქუჩუკ-კაინარჯის ხელშეკრულების პირობებს. საერთაშორისო მდგომარეობა რუსეთისათვის იყო მეტად ხელსაყრელი. ინგლისი დაკავებული იყო ამერიკაში საფრანგეთთან ომით, პრუსია დასუსტებული იყო ავსტრიასთან ომით. გაითვალისწინა რა ეს ყველაფერი, სულთანმა ოფიციალურად 1784 წლის 8 იანვარს აღიარა რუსეთის მიერ ყირიმის შეერთბა [9, 256].

იმპერატორის 1784 წლის 2 თებერვლის ბრძანებით შეიქმნა თ ა ვ რ ი დ ი ს ო ლ ქ ი, რომელშიც შევიდა ყირიმისა და ტამანის ნახევარკუნძული. 22 თებერვლის ბრძანების თანახმად თათარ მურზებს მიენიჭათ აზნაურის წოდება, შეუნარჩუნეს მიწის მფლობელობა, მაგრამ აეკრძალათ რუსი გლეხების დაყმევება. ამ ღონისძიებების შედეგად თათრების წარჩინებული წოდების დიდი ნაწილი რუსების მხარდამჭერი გახდა.

ყირიმში რუსული ბატონყმობის კანონი არ განახორციელეს, რუსი ტყვეები გაათავისუფლეს, 1784 წელს რუსეთის ფლოტის ბაზა სევასტოპოლი გახდა [2, 87-88].

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა სულ უფრო და უფრო მეტად მწვავდებოდა. ოსმალეთი განსაკუთრებით ვერ ურიგდებოდა ყირიმისა და საქართველოს დაკარგვას. ოსმალეთში ანტირუსული განწყობილების განმუხტვის მიზნით, გრ. პოტიომკინმა 1786 წელს სტამბოლში გაგზავნა გამოცდილი დიპლომატი ს ე რ გ ი ლ ა შ ქ ა რ ო ვ ი (ბიბილური). იგი ადრე სტამბოლში რუსეთის საელჩოში მსახურობდა, შემდეგ სხვადასხვა დიპლომატიურ სამსახურს ასრულებდა, კერძოდ, იგი იყო რუსეთის რეზიდენტი ყირიმში და მისი აქტიური მონაწილეობით მოხდა ყირიმის ,,შეერთება“ რუსეთთან.

ლაშქაროვს, ეროვნებით ქართველს, რუსეთის სამსახურში მყოფს, უნდა დაესაბუთებინა დიდი ვეზირისათვის კ ო ჯ ა ი უ ს უ ფ ი ს ა თ ვ ი ს (წარმოშობით ქართველისათვის), რომ საქართველო და ყირიმი ისტორიულად ოსმალეთს არ ეკუთვნოდა. მართალია, ლაშქაროვმა ვერ შეძლო თავიდან აეცილებინა ოსმალეთ-რუსეთის (1787-1791 წწ.) ომი, მაგრამ მის დიპლომატიურ მისიას გარკვეული შედეგი ჰქონდა [9, 257].

ხაზგასასმელია, რომ 1853-1856 წლების რუსეთ-თურქეთის ომი, ყირიმის ომის სახელით არის

ცნობილი. მართლაც, ამ სისხლისმღვრელ შეჯახებაში, რომელშიც რუსეთის წინააღმდეგ ევროპის სახელმწიფოებიც ჩაერთვნენ, ერთ-ერთ ,,საჯილდაო ქვას“ ყირიმის ნახევარკუნძული წარმოადგენდა.

1854 წლის 1 სექტემბერს მოკავშირეთა არმიები ყირიმში გადასხდნენ. საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსი ითვლიდა 28 ათას ჯარისკაცს, ინგლისის – 27 ათასს, თურქეთისა – 7 ათასს.

9 სექტემბერს მოკავშირეთა 62 ათასიანი არმია დაიძრა სევასტოპოლისაკენ. ამ დროს ყირიმში განლაგებული იყო რუსეთის 35 ათასიანი არმია მენშიკოვის სარდლობით. მალე მოკავშირეები სევასტოპოლს მიუახლოვდნენ და დაიწყო მისი 11 თვიანი გმირული დაცვა. მას ხელმძღვანელობდნენ ადმირალი კორნილოვი, ვიცეადმირალი ნახიმოვი, გენერლები ისტომინი და ტოტლებენი.

15 ივნისს მოკავშირეებს შეუერთდა სარდინიის სამეფოც. იტალიელებმა ყირიმში 15 ათასიანი საექსპედიციო კორპუსი გაგზავნეს. 1855 წლის იანვრის ბოლოს მოკავშირეთა არმია 120 ათას ჯარისკაცს ითვლიდა. ყირიმში სევასტოპოლისათვის განსაკუთრებით ცხარე ბრძოლები გაიმართა. 9 სექტემბერს დაიკავეს სევასტოპოლი. 1855 წლის ბოლოს პრაქტიკულად შეწყდა საომარი მოქმედებები, ხოლო 1856 წლის 18 თებერვალს დაიდო დროებითი ზავი [9, 307-308]. პარიზის კონგრესის გადაწყვეტილებით, 30 მარტს ხელი

მოაწერეს პარიზის ტრაქტატს. ხელშეკრულებით რუსეთს დაუბრუნდა სევასტოპოლი...

საბჭოთა რეჟიმის დროს, 1921-1941 წლებში არსებობდა ყირიმის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა. 1941-1944 წლებში ყირიმი გერმანიას ჰქონდა ოკუპირებული, ხოლო 1946 წლიდან ყირიმის ოლქის სტატუსით რუსეთის ფედერაციაში შევიდა.

1954 წლის 26 აპრილს მაშინდელი საბჭოთა კავშირის ლიდერის, ნიკიტა ხრუშჩოვის ინიციატივით ყირიმის ოლქი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობიდან უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის განკარგულებაში გადავიდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1994 წელს, დამოუკიდებელი უკრაინის უმაღლესმა საბჭომ ყირიმს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიანიჭა. რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის პერიოდში მოსახლეობა 2 მილიონამდე მცხოვრებს შეადგენდა. აქედან 59% რუსი, 25% უკრაინელი და 12% ყირიმელი თათარი [20, 17].

სწორედ ეს გარემოება იქცა მთავარ ,,გამამართლებელ“ არგუმენტად იმისათვის, რომ მოსკოვს რუსი ეროვნების მოსახლეობის დაცვის მომიზეზებით დაებრუნებინა თავის შემადგენლობაში ყირიმის ნახევარკუნძული.

დამოუკიდებლობის დეკლარაციის საფუძველზე, 1991 წლის 24 ოქტომბერს, უკრაინამ არაბირთვული სახელმწიფოს სტატუსი მიიღო. ერთი წლის შემდეგ, 1992 წლის 23 მაისს, ლისაბონში უკრაინამ, ყაზახეთმა, ბელარუსმა, რუსეთმა და აშშ-მა მემორანდუმი გააფორმეს. მის საფუძველზე კიევმა, ალმა-ათამ და მინსკმა საკუთარ ტერიტორიაზე არსებული ბირთვული შეიარაღების განადგურების ან მისი რუსეთისათვის გადაცემის ვალდებულება აიღეს. შეთანხმების ფარგლებში მოსკოვმა პირველად ბელორუსიაში დარჩენილი ,,ტოპოლების“ 3 დივიზიონი დაიბრუნა. სტრატეგიული და ფრთოსანი რაკეტების ქობინები კიევმა მოსკოვს ატომური ელექტროსადგურების საწვავში გაუცვალა.

ბირთვულ იარაღზე უარის თქმისა და ამავე ტიპის იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებასთან მიერთების სანაცვლოდ, დიდი ბრიტანეთი, აშშ და რუსეთი უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოების გარანტად გამოვიდნენ. 1994 წლის 5 დეკემბერს ბუდაპეშტში 6-პუნქტიანი ოთხმხრივი ხელშეკრულება გაფორმდა. მის საფუძველზე ლონდონი, ვაშინგტონი და მოსკოვი ვალდებულნი იყვნენ, პატივი ეცათ უკრაინის სუვერენიტეტისა და არსებული საზღვრებისათვის. ამავე დოკუმენტში გაწერილი იყო მხარეებზე დაკისრებული ვალდებულება, რომელიც უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის და ქვეყნის წინააღმდეგ ძალის

გამოუყენებლობას გულისხმობდა. იმავდროულად, უკ-რაინაში აგრესიის შემთხვევაში მხარეებს კიევის დახმარების ვალდებულება დაეკისრათ [21, 31].

ყოველივე ზემოაღნიშნულს წინ უსწრებდა შემდე-გი ვითარება: საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტი-სთვის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ქცეული უკრაი-ნა მსოფლიოში სიდიდით მესამე ბირთვული არსე-ნალის მფლობელი იყო. ქვეყანაში არსებული ატომური იარაღის რაოდენობა იმ პერიოდისთვის ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ჩინეთის ერთად აღებულს აღემატე-ბოდა. თუმცა მას შემდეგ მსოფლიოში ბირთვული პარიტეტი შეიცვალა. უკრაინის მაშინდელმა მთავრობამ კი ბირთვულ იარაღზე უარი თქვა. სწორედ ამიტომ იყო, რომ 2014 წელს მსოფლიოს ყურადღება უკრაინისკენ იყო მიმართული. ქვეყანაში შიდა დაპირისპირებისა და ყირიმში რუსული აგრესიის ფონზე, დიდ ინტერესს იწვევდა უკრაინის ბირთვულ კლუბში შესაძლო გაწევრიანება. ქვეყნისთვის ბირთვული სტატუსის დაბრუნების მუქარამ რადაში არაერთხელ გაიჟღერა. თუმცა სიტყვიერი განცხადება ერთია, პრაქტიკული რეალიზაცია - კი მეორე [21, 29].

მთლიანობაში რუსეთისათვის ყველაზე შე-მაშფოთებელ მომენტად იქცა უკრაინის დაკარგვა. უკრაინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაჩენამ არა მარტო აიძულა ყველა რუსი, ახლებურად გაეაზრებინა საკუთარი პოლიტიკური და ეთნიკური კუთვნილების

ხასიათი, არამედ აღენიშნა კიდეც რუსეთის სახელმწიფოს დიდი გეოპოლიტიკური მარცხი. თითქმის 300-წლიანზე მეტი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე უარის განაცხადი ნიშნავდა პოტენციურად მდიდარი ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკისა და იმ 52 მილიონი ადამიანის დაკარგვას, რომლებიც ეთნიკურად და რელიგიურად ყველაზე ახლოს იყვნენ დაკავშირებული რუსებთან და შეეძლოთ რუსეთი ჭეშმარიტად დიდ და თავის თავში იმპერიულ „დერჟავად“ ექციათ. უკრაინის დამოუკიდებლობამ რუსეთს, ასევე ხელიდან გამოაცალა დომინირებული მდგომარეობა შავ ზღვაზე, სადაც ოდესა, როგორც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნავსადგური, ემსახურებოდა მას ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებთან და საერთოდ, მთელ მსოფლიოსთან ვაჭრობაში.

უკრაინის დაკარგვა გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვან მომენტად იქცა რუსეთის გეოსტრატეგიული არჩევანის არსებითი შეზღუდულობის გამოც. ბალტიისპირა რესპუბლიკებისა და პოლონეთის გარეშეც კი, რუსეთს, შეინარჩუნებდა რა კონტროლს უკრაინაზე, შეეძლო არ დაეკარგა ლიდერის ადგილი ენერგიულად მოქმედ ევრაზიის იმპერიაში, რომლის ფარგლებში, მოსკოვი, როგორმე შეძლებდა თავისი ნებისადმი დაემორჩილებინა ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთის არასლავური მოსახლეობა. უკრაინის გარეშე მოსკოვის ნებისმიერი ცდა, ხელახლა

აღადგინოს ევრაზიული იმპერია, როგორც ჩანს, ხელს შეუწყობდა იმას, რომ მედიდურ მარტოობაში გახლართული რუსეთი აღმოჩნდება თავისი ეროვნული და რელიგიური ინტერესებისათვის აღმდგარ არასლავურ ძალებთან გაჭიანურებულ კონფლიქტებში; ომი ჩეჩნეთთან, ალბათ, ამის პირველ მაგალითს წარმოადგენდა. უფრო მეტიც, მხედველობაში თუ მივიღებთ რუსეთში შობადობის დონის დაქვეითებას და შუა აზიის რესპუბლიკებში, სიტყვის პირდაპირი გაგებით, შობადობის აფეთქებას, ნებისმიერი ახალი ევრაზიული სახელმწიფო, რომელიც დაფუძნებული იქნება უკრაინის გარეშე მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ხელისუფლებაში ყოველწლიურად სულ უფრო ნაკლებად ევრაზიული და სულ უფრო მეტად აზიური გახდება.

უკრაინის დაკარგვა იყო არა მარტო ცენტრალური გეოპოლიტიკური მოვლენა, ის იქცა გეოპოლიტიკურ კატალიზატორადაც. სწორედ, უკრაინის მოქმედებამ 1991 წლის დეკემბერში, დამოუკიდებლობის შესახებ მისმა განცხადებამ, ბელოვეჟის ტევრის მნიშვნელოვანი მოლაპარაკებისას, უკრაინის დაჟინებამ, რომ საბჭოთა კავშირი უნდა შეცვლილიყო უფრო თავისუფალი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობით და, განსაკუთრებით, უკრაინის ტერიტორიაზე განლაგებულ საბჭოთა არმიის ნაწილებზე უკრაინის მთავარსარდლობის გადატრიალების მსგავსმა მოულოდნელმა დაწესებამ, - უბრალოდ ხელი შეუშალეს დსთ-ს,

ქცეულიყო უფრო ფედერალურ სსრკ-ს ახალ სახელ-წოდებად [22, 142-143].

რუსეთის მიერ ბალტიის ზღვაზე წამყვანი მდგომარეობის დაკარგვა განმეორდა შავ ზღვაზეც არა იმიტომ, რომ უკრაინამ დამოუკიდებლობა მიიღო, არამედ იმიტომაც, რომ კავკასიის ახალმა დამოუკიდებელმა რესპუბლიკებმა - საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა გააძლიერეს თურქეთის შესაძლებლობანი ამ რეგიონში ოდესღაც დაკარგული გავლენის აღდგენაში. 1991 წლამდე შავი ზღვა რუსეთის სასტარტო ხაზს წარმოადგენდა ხმელთაშუა ზღვის რაიონზე თავისი სამხედრო-საზღვაო ძლიერების პროექციის თვალსაზრისით, მაგრამ 90-იანი წლების შუა ხანებში, რუსეთი დარჩა შავი ზღვის სანაპიროს მცირე ზონითა და ყირიმში, საბჭოთა შავი ზღვის ფლოტის ნარჩენების ბაზირების უფლებების შესახებ, უკრაინასთან გადაუჭრელი სადავო საკითხების ამარა. ის აშკარად გაღიზიანებული უთვალთვალებდა უკრაინის ნატოსთან ერთობლივ სამხედრო-საზღვაო და საზღვაო სადესანტო მანევრების განხორციელებას და აგრეთვე, თურქეთის, შავი ზღვის რეგიონში, როლის ზრდას. რუსეთი ასევე ეჭვიანობდა, თურქეთის მხრიდან ჩეჩნეთის წინააღმდეგობის ძალების ეფექტური დახმარების გაწევაში.

სამხრეთ-აღმოსავლეთის მოშორებით გეოპოლიტიკურმა გადატრიალებამ ძირითადად გამოიწვია რუსეთის სტატუსის ანალოგიური არსებითი ცვლილებები

კასპიის აუზისა და შუა აზიის ზონაში. საბჭოთა კავშირის კრახამდე კასპიის ზღვა, ფაქტობრივად, იყო რუსეთის ტბა, რომლის მცირე სამხრეთის სექტორი მდებარეობდა ირანის საზღვართან. დამოუკიდებელი და მყარად ნაციონალისტური აზერბაიჯანის გაჩენამ, რომლის პოზიციები გაძლიერდა ამ რესპუბლიკისკენ მიმავალი ხარბი დასავლელი სანავთობო ინვეს-ტორებით და ასევე, დამოუკიდებელმა ყაზახეთმა და თურქმენეთმა რუსეთი აქციეს კასპიის ზღვის სიმდიდ-რის ხუთიდან მხოლოდ ერთ-ერთ პრეტენდენტად. რუსეთს უკვე აღარ შეეძლო მყარად ევარაუდა, რომ საკუთარი შეხედულებით შეეძლო განეგო ეს რესურსები [22, 143-144].

დაარღვია თუ არა ხრუშჩოვმა 1954 წელს სამარ-თლიანობის პრინციპი, როდესაც ყირიმი უკრაინას გადასცა, სხვა საკითხია. აქ მთავარი ამოსავალი ის არის, რომ რუსეთი, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალ-მემკვიდრე როგორ მოიქცა 2014 წელს ?

მოსკოვი სამხედრო ოპერაციების განხორციელების დროს ყირიმის ანექსიამდე ყოველთვის აპელირებდა საერთაშორისო სამართლის პრინციპებითა და ჰუმანი-ტარული მოტივაციით. თუმცა ყირიმის ანექსიით მან დაარღვია საერთაშორისო სამართლით განსაზღვრული „თამაშის წესები“, რომლებიც აღიარეს სუვერენულმა სახელმწიფოებმა და რაც გამოიხატებოდა საერთაშო-რისო ხელშეკრულებებით. კერძოდ, რუსეთმა დაარღვია

1994 წლის აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის გარანტორობით მის მიერ ხელმოწერილი შეთანხმება უკრაინის საზღვრების ხელშეუხებლობის შესახებ, რითაც წყალი შეუყენა არსებულ მსოფლიო წესრიგს, ევროპის საზღვრების ურღვეობას და გააკეთა განაცხადი საკუთარი პოლიტიკური დომინაციის ღიად აღდგენისა და ახალ გეოპოლიტიკურ მოთამაშედ გახდომის შესახებ [23, 56-57].

დღევანდელ ვითარებაში ყირიმის თემით თურქეთიც დაინტერესდა, კერძოდ, ყარაბაღის კონფლიქტის შეწყვეტის შემდეგ თურქეთმა დაიწყო უკრაინასთან კავშირის გაღრმავება. ვარაუდობენ, რომ ერდოღანს თვალი უჭირავს ყირიმზე და შეეცდება დონბასში სამხედრო ოპერაციის პროვოცირებას, რომელიც შეიძლება დაძაბულობის საბაბად იქცეს ყირიმის ნახევარკუნძულის გარშემო.

ხაზგასასმელია, რომ ყირიმი მიმდინარე ეტაპზე არა მხოლოდ ერდოღანის ინტერესების ზონას წარმოადგენს. ნახევარკუნძულის მიმართ ინტერესს გამოხატავენ ბრიტანელებიცა და ამერიკელებიც. ერდოღანს კი მაშინაც არ უღიარებია ყირიმი რუსეთის კუთვნილებად, როდესაც მასთან ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა. ის ხშირად გამოთქვამდა საკმაო პროვოკაციულ მოსაზრებებს, ბოლოს კი სრულიად მოურიდებლად განაცხადა, რომ ყირიმი თანამედროვე თურქეთის ტერიტორია უნდა იყოს.

ყირიმის ანექსიით რუსეთმა შავ ზღვაზე გზა გადაუკეტა ნატოს და ეკონომიკურად დაბლოკა ნაციონალისტების მიერ მართული უკრაინა. ამით გადაუწურა ყველა იმედი დასავლეთს, რომ უკრაინას სატრანზიტო ტერიტორიად გამოიყენებდა. ე.ი. უკრაინა იმ მჭიდიდან ამოვარდა, რომლის გამოყენებასაც ცდილობდნენ ევროპელები და ამერიკელები. ახლა კი საქმე აქვთ რუსეთთან. ვერც ერთი სატრანსპორტო მაგისტრალი დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ რუსეთის გარეშე ვერ იმუშავებს [24, 2-3].

როგორც დავინახეთ, ყირიმი, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია გააჩნია, სახანოს სახით ოქროს ურდოს დაშლის შემდეგ ჩამოყალიბდა. 308 წელი (1475-1783) ოსმალეთის გავლენაში იყო, 171 წელი (1783-1954) რუსეთის შემადგენლობაში და 60 წელი (1954-2014) უკრაინის ნაწილს წარმოადგენდა. ისტორიული თვალსაზრისით არც ერთი ქვეყნის კუთვნილებად არ მოიაზრება. რუსეთს ძალა შესწევდა ქადილისა და 2014 წელს თავის შემადგენლობაში დააბრუნა. თანაც ეს საკითხი, როგორც აღვნიშნეთ პრეზიდენტმა პუტინმა გარე სამყაროსათვის დახურულ თემად გამოაცხადა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ქსე, ტ. 10, თბილისი, 1986
2. Романовы проклятая династия, Загадки истории. Золотая серия, 2018, №27
3. Крым: прошлое и настоящее, М., 1988
4. ე. ბურჭულაძე, საქართველოს დაყოფისა და დამონების ინგლისელ-თურქ დამპყრობთა გეგმების ჩაშლა, თბილისი, 1953
5. Пираты и разбойники,Загадки истории. Золотая серия, 2019, №35
6. ჰეროდოტე, ისტორია, ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და საძიებელი დაურთო თინათინ ყაუხჩიშვილმა, ტომი I, თბილისი, 1975
7. А. Ярмадов, Армянский цар царей, Журн. „Загадки истории“, 2020, №51
8. М. Новик, Земля обетованная на волге, Журн. „Загадки истории“, 2020, №48
9. მ. სვანიძე, თურქეთის ისტორია, თბილისი, 2007
10. А. Тамбовцев, Русский царград, Журн, „Загадки истории“, 2020, №43
11. Великие династии, Загадки истории. Золотая серия, 2020, №36
12. ქსე, ტ. 4, თბილისი, 1979
13. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტომი III, თბილისი, 1979
14. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტობიოგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა,

გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1991
15. ს. ლობჟანიძე, აღზრდის ეთიკური პრინციპები ეპოქალური ცვალებადობის შუქზე, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2006
16. რ. ჩხეიძე, ბედი პავლე ინგოროყვასი, თბილისი, 1994
17. გ. კალანდია, ქართველები მსოფლიო ისტორიაში, ტომი 3, თბილისი, 2021
18. მ. სვანიძე, საქართელო-ოსმალეთის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1990
19. ნ. ნაკაშიძე, საქართველოს საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში XVII საუკუნის პირველ ნახევარში, კრ. „ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან“, ტ. II, თბილისი, 1973
20. ი. ალადაშვილი, კრემლი უკრაინის დაშლას შეეცდება, ჟრნ. „არსენალი“, 2014, #3
21. ა. აფაქიძე, გახდება თუ არა უკრაინა ბირთული კლუბის წევრი, ჟურნ. „არსენალი“, 2014, #4
22. ზბიგნევ ბჟეზინსკი, დიდი საჭადრაკო დაფა, თბილისი, 2014
23. ქ. ჯიჯეიშვილი, გ. ჩხიკვიშვილი, მსოფლიო პოლიტიკა, თბილისი, 2018
24. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2021, #1

სირიის საკითხი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში

ხანგრძლივი ისტორიისა და მდიდარი კულტურის გამო არაბები სირიას „არაბული სამყაროს გულად“ მიიჩნევენ. დამასკო ოდესღაც იყო უმაიანთა სახალიფოს – მსოფლიო დონის იმპერიის – სატახტო ქალაქი.

სირიას საკვანძო მდებარეობა აქვს დასავლეთ აზიაში. მასზე ისტორიულად გადიოდა და ახლაც გადის მრავალი სატრანსპორტო კომუნიკაცია, რომელთაც სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებოდა და დღესაც ენიჭება.

სირიის არაბული რესპუბლიკა (ა ლ ჯ უ მ უ ჰ უ რ ი ი ა ა ლ ა რ ა ბ ი ა ა ს ს უ რ ი ი ა) – ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოა. ძველი და თითქმის მთელი შუა საუკუნეების ისტორიის მანძილზე პრაქტიკულად არ არსებობდა მოთხოვნილება შექმნილიყო ახლო ან შუა აღმოსავლეთის რეგიონის აღმნიშვნელი ტერმინი, ვინაიდან ის, რასაც ჩვენ დღეს შორეულ აღმოსავლეთს ვუწოდებთ, ასევე ნაწილობრივ ინდოეთიც, ევროპელთათვის პრაქტიკულად უცნობი იყო. ამდენად, ევროპელები აღმოსავლეთში გულისხმობდნენ იმ რეგიონს, რომელიც გეოგრაფიული თვალსაზრისით ევროპასთან ყველაზე ახლოს იყო და შესაბამისად, ნებისმიერი სახის კომუნიკაციები მასთან უფრო მარტივად ხორციელდებოდა.

შუა საუკუნეებში არსებობდა სხვა ტერმინიც, რომელიც დღემდე შემორჩა: „ლ ე ვ ა ნ ტ ი“ (შინაარსობრივად შეიძლება ითარგმნოს, როგორც მზის ამოსვლის მხარე), რომელიც XIII საუკუნეში შემოიღეს იტალიელმა ვაჭრებმა (მეორე თვალსაზრისით, ფრანგებმა). ევროპულ ენებში ლევანტი აღნიშნავდა და აღნიშნავს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს.

ევროპისა და ოსმალეთის იმპერიის ინტენსიური ურთიერთობების პირობებში (XVI-XVIII სს.), „აღმოსავლეთი“ ეწოდებოდა ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიებს ბალკანეთიდან დაწყებული სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით. „შორეული აღმოსავლეთი“ კი – იმ დროს ახლადაღმოჩენილ ჩინეთს, იაპონიასა და ინდოჩინეთს. მოგვიანებით, XIX საუკუნეში, სპარსეთსა და ინდოეთში ევროპელთა დამკვიდრების შემდეგ, „ახლო აღმოსავლეთი“ გახდა ოსმალეთის აღმნიშვნელი ტერმინი (ბალკანეთის ჩათვლით), ხოლო ინდოეთის მიმდებარე ტერიტორიები (მათ შორის სპარსეთიც) – აღმოსავლეთი. XIX საუკუნის შუა ხანებში, ხდება ტერმინის – „შუა აღმოსავლეთის“ გამოყენებაც.

„ახლო აღმოსავლეთის“ პირველი დეფინიცია 1902 წელს წარმოადგინა ბრიტანელმა არქეოლოგმა დ. ჯ. ჰ ო გ ა რ თ მ ა. მისი შეხედულებით, „ახლო აღმოსავლეთი“, როგორც გეოგრაფიული რეგიონი, აერთიანებდა ალბანეთს, მონტენეგროს, ბულგარეთს, საბერძნეთს, ეგვიპ-

ტეს, სერბიის სამხრეთს, მთლიანად ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიას და ირანის ორ მესამედს [1, 194-195].

თანამედროვე ახლო აღმოსავლეთის რეგიონი მოიცავს ძირითადად დასავლეთ აზიას და აფრიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეს – ეგვიპტეს, რომელიც თავისი სინას ნახევარკუნძულის წყალობით, ნაწილობრივ მაინც აზიას განეკუთვნება: პირობითი საზღვარი ერთმანეთთან შეზრდილ აზიასა და აფრიკას შორის გაჰყავთ სუეცის არხზე, რომელიც სინას ნახევარკუნძულის დასავლეთი მიჯნაა. ეგვიპტეს ისტორიულად უფრო მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა დასავლეთ აზიასთან, ვიდრე აფრიკის მიმდებარე ტერიტორიებთან.

რეგიონის შემადგენლობაში ჩვეულებრივ განიხილავენ 12 არაბულ სახელმწიფოს. ესენია: სირია, ლიბანი, ერაყი, ქუვეითი, იორდანია, საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, კატარი, გაერთიანებული საამიროები, ომანი, იემენი, ეგვიპტე და ოთხ არაარაბულ სახელმწიფოს – ირანს, თურქეთს, კვიპროსსა და ისრაელს.

რაც შეეხება თურქეთს, ევროპეიზაციის ხანგრძლივი მცდელობის მიუხედავად, ევროპა მაინც არ მიიჩნევს თურქეთს თავის ორგანულ ნაწილად. მისი ტერიტორიის 97 პროცენტი დასავლეთ აზიაში მდებარეობს ევროპაში კი– სულ 3 პროცენტი [2, 16-17].

სირია სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრება ლიბანსა და ისრაელს, სამხრეთით – იორდანიას, აღმოსავლეთით

–ირანს, ჩრდილოეთით თურქეთს; დასავლეთით აქვს სანაპირო ხმელთაშუა ზღვაზე.

ქვეყნის სახელწოდება მომდინარეობს უძველესი სახელმწიფო ასირიის სახელწოდებიდან. ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის შემდეგ აქ ჩამოყალიბდა მძლავრი სახელმწიფო – სელევკიანთა სირიის სამეფო. ქრისტიანობის ისტორიაში სირიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ბიბლიის თანახმად, მოციქულმა პავლემ ქრისტეს რწმენა დამასკოში მიიღო, შემდეგ კი ცხოვრობდა ანტიოქიაში (ახლა ანტაკია – თურქეთის კუთვნილება), სადაც ქრისტეს მოწაფეებს პირველად უწოდეს ქრისტიანები.

სირია მრავალი ცივილიზაციისა და კულტურის აკვანია. აქ შეიქმნა ფინიკიური დამწერლობა (ჩვ.წ.აღ. XIX საუკუნე). სირიელმა მეცნიერებმა და ხელოვანებმა უზარმაზარი წვლილი შეიტანეს ელინისტური, რომაული და ბიზანტიური კულტურის განვითარებაში. მათ შორის არიან მეცნიერი ანტიოქ ასკალონელი, მწერალი ლუკიანე, ისტორიკოსები – ჰეროდიანი, იოანე მალალა.

XIX საუკუნის სირიელმა მწერლებმა, რომელთა დიდი ნაწილი ეგვიპტეში გადასახლდა, უდიდესი როლი ითამაშეს არაბული კულტურის აღორძინებაში (ნ ა ჰ დ ა – ევროპული რენესანსის ანალოგი). მათ შორის იყვნენ ადონისი, გადა ას-სამანი, ნაზირ ქაბინი და ზაქარია თამერი. ძველი დამასკო იუნესკოს მიერ მსოფლიოს მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. გავიხსენოთ,

რომ დამასკო ოდითგანვე განთქმული იყო „დამასკური ფოლადისგან“ იარაღის დამზადებით. ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს წარმოადგენს ეროვნული მუზეუმი, ომეიადების დიდი მეჩეთი [3, 26]. საინტერესოა, რომ მეჩეთის აღმოსავლეთის მინარეთი ი ე ს ო ს მინარეთის სახელს ატარებს. ისლამის აღმსარებლები თვლიან, რომ განკითხვის დღეს იესო ქრისტე აქ დაეშვება ციდან [4, 156]. ასევე, ხალიფას სასახლე, არქეოლოგიური მუზეუმი, ეგვიპტისა და სირიის უდიდესი მხედართმთავრის, სალაჰ ად-დინის ქანდაკება – დამასკოში; ჯვაროსანთა ციხესიმაგრე კრაკ დე შევალიე – ჰომსთან; წმინდა მარიამის სახელობის მონასტერი სოფელ საიდნაიაში (27 კილომეტრი დამასკოდან), არქიტექტურული კომპლექსი ტეტრაპილანი – ქალაქ პალმირაში.

„სირიელისა“ და „ასურელის“ აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში დიდი ხანია შემოსულია. ლეონტი მროველი ქართლის უცხო ეთნოსთა შორის ასურებსაც ასახელებს. დასახელებული ტერმინების გავრცელება საქართველოში უკავშირდება ქრისტიანულ სარწმუნოებას. როგორც ცნობილია, სწორედ ქრისტიანობის გავრცელებამ შექმნა ჩვენში პირობები მის მებაირაღტრეთა ქართულად თარგმნისა. ქრისტიანულ აღმოსავლეთში (სირია, მესოპოტამია, პალესტინა, ეგვიპტე, სომხეთი და საქართველო) ბერძნულზე ნაკლები მნიშვნელობა როდი ჰქონდა სირიულ ენას, ამ ენაზე შექმნილ ლიტერატურას. საყურადღებოა, რომ

თვით ქრისტიანობის გავრცელებაც საქართველოში სირიელი საეკლესიო მოღვაწეების სახელებთანაა დაკავშირებული. ამიტომ სირიელთა და მათი ენის მოხსენიება ქართულ ლიტერატურაში მისი სათავეებიდანვე დაიწყო. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტსაც, რომ ქრისტიანობის დასაწყისში საქართველოში (IV-VI სს.) მონოფიზიტობა მნიშვნელოვნად იყო გავრცელებული, ხოლო მონოფიზიტობის კერად სირია ითვლებოდა, მაშინ სავსებით გასაგები იქნება ის მჭიდრო კავშირი ქართულ და სირიულ სამყაროთა შორის, რომელიც იმ ხანებში უნდა არსებულიყო. „სირიელისა“ და „ასურელის“ აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართული ლიტერატურის ისტორიის მთელ მანძილზეა დამოწმებული, დაწყებული ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერებით (X ს.). სათანადო მასალის შესწავლამ გამოავლინა ხსენებული ცნებების შემდეგი ტერმინებით გადმოცემა: ა ს უ რ ი, ა ს უ რ ა ს ტ ა ნ ე ლ ი, ა ს უ რ ე ლ ი, მათთან დაკავშირებული სახელები (ასურები, ასურასტანული, ასურული) და ქვეყნის სახელწოდებანი: ასური, ასურასტანი, ასურეთი, ასურია, სირია, არამ [5, 177-178].

ეთნიკური ტერმინი „ასურელი“ ასურის ნაცვალია და ქართულში გვიან შემოდის. იგი ჩვეულებრივ, XIX საუკუნეში ჯერ კიდევ ქრისტიანი არამეელის – სირიელის აღმნიშვნელი ტერმინია [5, 183].

ტერმინი „ასურელი“ დადასტურებულია XVIII საუკუნის ძეგლებში ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, სადაც მას „აქადელის“ ძველი ასურეთის მკვიდრის მნიშვნელობა აქვს. მაგრამ „ასურელი“ დღეს ძირითადად „აქადელს“ ნიშნავს, რაც ასახულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც [5, 183-184]. „ასურელი“ ქართული და სომხური ტრადიციით „სირიელს“, ე. ი. ქრისტიან არამეელს ნიშნავს [6, 155].

დღეისათვის სირიის არაბთა რესპუბლიკის ტერიტორია 185, 2 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს (87-ე მსოფლიოში). მთათა სისტემა ანსარია ქვეყანას ორ ნაწილად ჰყოფს – ტენიან (დასავლეთი) და მშრალ (აღმოსავლეთი) ტერიტორიებად. სანაპირო ზოლზე 130 კილომეტრზეა გადაჭიმული ნაყოფიერი ველები. მთათა სისტემის ჩრდილოეთით მდებარეობს უდაბნო ჰამადი, სამხრეთით –ჰომსი.

ქვეყანას აღმოსავლეთით კვეთს მდინარე ევფრატი (სიგრძე – 2700 კმ.). 1973 წელს ამ მდინარის ზემო წელში ააშენეს დამბა, რომელმაც წყალსაცავი წარმოქმნა. მას მოგვიანებით ასადის ტბა უწოდეს. თურქეთის საზღვართან, სირიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე, მიედინება ახლო აღმოსავლეთის მეორე დიდი მდინარე ტიგროსი (190კმ.).

სირიაში 22, 5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს (53-ე მსოფლიოში) ძირითადად არაბები (90%). ქვეყნის ჩრდი-

ლოეთში ცხოვრობენ ქურთები (8%), აგრეთვე, – სომხები, ასირიელები, ჩერქეზები და იეზიდები [7, 95].

მუსლიმთა 82% სუნიტია, დანარჩენები – ალავიტები და შიიტები. ქრისტიანთა ნახევარი სირიელი მართლმადიდებელია, 18% – კათოლიკე. არიან სომხეთის სამოციქულო და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებიც.

მოსახლეობის 3%-ს შეადგენენ დ რ უ ზ ე ბ ი (ძირითადად ცხოვრობენ მუჰაფაზა ალ კუნეიტრაში – დაახლოებით 30 ათასი), რომლებსაც შიიტებს მიაკუთვნებენ. აღსანიშნავია, რომ სირია მსოფლიოში მესამე ადგილზეა იმ ქვეყნებს შორის, რომლებშიც ყველაზე მეტად დევნიან ქრისტიანებს [3, 26].

სირიის 1973 წლის კონსტიტუცია არ ახსენებს ისლამს, როგორც სახელმწიფო რელიგიას, მაგრამ კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტი მუსლიმი უნდა იყოს, ხოლო კანონმდებლობის წყაროდ მიჩნეულია ისლამური კანონი – შარიათი [2, 125]. სირიის მმართველი ბაშარ ასადის რეჟიმი უპირატესად ეყრდნობა ისლამის შიგნით არსებულ განსხვავებულ სექტას – ა ლ ა ვ ი ტ ე ბ ს [2, 113-114].

ალავიტობას საკმაოდ მრავალი მიმდევარი ჰყავს სირიაში. ალავიტები ავითარებენ აზრს, რომ ხალიფა ალი, მუჰამედის ბიძაშვილი და სიძე, მოციქულის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე იყო. სხვა შიიტებისაგან ალავიტებს განასხვავებს მათი რიტუალები,

რომლებიც ზოროასტრულ და ქრისტიანულ ელემენ-ტებს შეიცავს, მათი დოგმატებისა და რიტუალების ნაწილი სხვებისგან საიდუმლოდაა დაცული, რის გამოც ზოგიერთი სუნიტი ულამა ალავიტებს საერთოდ ისლამის „გარეთ“ ხედავს, თუმცა სირიაში ისინი ოფიციალურად ცნეს მუსლიმებად.

მართალია, ალავიტობა შიიტობის ფორმაა, მაგრამ წმინდა პოლიტიკური მიზეზის გამო სირიელი ალავიტები ცდილობენ, არ გაუსვან ამას ხაზი. საქმე ისაა, რომ ალავიტებს განეკუთვნება სირიის პოლი-ტიკური და სამხედრო ელიტის საგრძნობი ნაწილი. ადრე დისკრიმინაციული რელიგიური უმცირესობის, ალავიტების ჩართვა სამხედრო სამსახურში დაიწყო ფრანგების ბატონობის დროს, 1920-იანი წლებიდან. 1940-იან წლებში, სირიაზე ფრანგული მანდატის დამთავრებისას, ბევრი ალავიტი აღმოჩნდა მაღალ თა-ნამდებობაზე, განსაკუთრებით, არმიაში. ალავიტები აქტიურად ჩაერთვნენ პარტია „ბ ა ა ს“-ის საქმიანობაში, რომელმაც 1963 წელს ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და ნახევარ საუკუნეზე მეტია, ერთპარტიული სისტემით მართავს სირიას. აბრევიატურა „ბაას“ ქართულად ნიშნავს „არაბთა სოციალისტური აღორძინების პარ-ტიას“. ეს არის სეკულარული, არარელიგიური პოლი-ტიკური ორგანიზაცია. სირიის პრეზიდენტი ჰაფეზ ალ-ასადი ალავიტი იყო, ისევე, როგორც მისი ვაჟი ბაშარ ალ-ასადი, 2000 წლიდან დღემდე მათ ნათესავებსა და

კლანის წევრებს უჭირავთ მმართველი პოზიციები პარტიაში, არმიასა და სახელმწიფო ადმინისტრაციაში [2, 131-132].

თანამედროვე სირიის სახელმწიფო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა, როდესაც საფრანგეთმა ერთა ლიგისაგან მიიღო მანდატი სირიისა და ლიბანის, ხოლო დიდმა ბრიტანეთმა – პალესტინისა და ტრანსიორდანიის (დღევანდელი იორდანია) მართვაზე. ხოლო 1920 წლამდე „სირიის“ ცნება გაცილებით ფართო ტერიტორიით მოიაზრებოდა, სადაც შედიოდა ზემოაღნიშნული ოთხი ქვეყანა და თანამედროვე თურქეთის სამხრეთით და ერაყის ჩრდილო-დასავლეთით არსებული მცირე რაიონები [8, 288].

პირველი მსოფლიო ომის დროს, 1916 წელს დაიდო შეთანხმება ოსმალეთის იმპერიის აზიური ნაწილის გაყოფის თაობაზე. შეთანხმება მოამზადეს ინგლისელმა დიპლომატმა მ. საიქსმა და ფრანგმა დიპლომატმა ფ. ჟორჟ პიკომ. ის გაფორმდა ნოტების გაცვლით საფრანგეთსა და რუსეთს შორის, და საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთს შორის. მოგვიანებით მას შეუერთდა იტალიაც.

საიქს-პიკოს შეთანხმება ითვალისწინებდა ხუთი ზონის შექმნას: „ცისფერი“, რომელიც მოიცავდა დასავლეთ ნაწილს, გადიოდა საფრანგეთის უშუალო მფლობელობაში; „წითელი“ მოიცავდა სამხრეთ და ცენტრალურ ერაყს და პალესტინის პორტებს ხაიფასა და აქას,

გადაეცემოდა დიდ ბრიტანეთს; „ყავისფერ ზონაში“, რომელშიც შედიოდა პალესტინის დასავლეთი ნაწილი, მყარდებოდა საერთაშორისო მმართველობა რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან შეთანხმებით. აღმოსავლეთი სირია და მოსულის ვილაიეთი (ზონა „ა“) შედიოდნენ საფრანგეთის, ხოლო ბაღდადის ვილაიეთის ჩრდილოეთი ნაწილი და ტრანსიორდანია (ზონა „ბ“) – დიდი ბრიტანეთის გავლენის სფეროებში. ამ ზონებში დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს ჰქონდათ უპირატესი უფლება ევაჭრათ, გაეყვანათ რკინიგზები, შეეტანათ იარაღი, დაენიშნათ თავიანთი მრჩევლები და სხვა.

საიქს-პიკოს შეთანხმებასთან შეერთებისათვის ანტანტის ქვეყნებმა აღუთქვეს რუსეთს, რომელსაც არ ჰქონდა პრეტენზია არაბულ ქვეყნებზე, ოსმალეთის სომხური ვილაიეთები და ჩრდილოეთი ქურთისტანი, დაადასტურეს მისი უფლებები კონსტანტინოპოლზე და პალესტინაში მართლმადიდებელ ქრისტიანთა უფლებების დასაცავად. ის ტერიტორიები, რომლებიც გადაეცემოდა რუსეთს, შექმნიდა „ყვითელ ზონას“. გერმანიის წინააღმდეგ ომის გამოცხადების შემდეგ (1917 წლის 20 აპრილი), ანტანტის ქვეყნებმა იტალიასთან დადეს სენ-ჟან-მორენის შეთანხმება, რომლის შედეგადაც გაჩნდა „მწვანე ზონა“ (სამხრეთ-დასავლეთი ანატოლია) და ზონა „ც“ (დასავლეთი და ცენტრალური ანატოლიის ნაწილი), რომლებიც განეკუთვნებოდნენ იტალიას. 1917 წლის ნოემბერში რუსეთში, ხელისუფლებაში გადა-

ტრიალების გზით მოსულმა ბოლშევიკურმა მთავრობამ გამოაქვეყნა შეთანხმების ტექსტი და თან ამავე დროს გაუქმებულად გამოაცხადა. ომის დამთავრების შემდეგ ძალთა თანაფარდობა ანტანტის ქვეყნებში შეიცვალა [9, 183]. კერძოდ, სირიაზე, ისევე, როგორც ლიბანზე მანდატი მიიღო საფრანგეთმა, რასაც უფრო მეტი გართულება მოჰყვა. 1918 წლის ოქტომბერში ბრიტანულმა ნაწილებმა ამირ ფ ა ი ს ა ლ ი ს რაზმებთან ერთად დაიკავეს სირია. დამასკოში შეიქმნა არაბული მთავრობა. 1920 წლის მარტში ფაისალმა თავი სირიის მეფედ გამოაცხადა. მაგრამ, რადგან „საიქს-პიკოს შეთანხმების“ თანახმად, სირია ფრანგული ინტერესების სფეროში შდიოდა, ბრიტანელებმა სირიის საქმეები ფრანგებს შეატოვეს, რომელთაც დამასკოს ბრძოლით აღება და იქიდან ფაისალის გაძევება მოუხდათ.

პარიზმა ჯერ ავტონომიურ ერთეულებად დაყო სირია: შეიქმნა დამასკოს, ალეპოს, ლათაკიას (სადაც ალავიტები ჭარბობდნენ), ჯაბალ-დრუზისა და ალექსანდრეტას „სახელმწიფოები“. მერე თანდათან დაიწყო სირიის გაერთიანება. 1930 წელს საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა „გამოაცხადა“ კონსტიტუცია, რომლითაც ერთიანი სირია რესპუბლიკა ხდებოდა და იქ წარმომადგენელთა პალატა (პარლამენტი) შეიკრიბა, რომელიც საფრანგეთის მთავრობამ 1934 წელს დაითხოვა. 1936 წელს ხელმოწერილი იქნა შეთანხმება, რის საფუძველზეც საფრანგეთის მემარცხენე მთავრობა

პირობას დებდა სამ წელიწადში სრული დამოუ-კიდებლობა მიენიჭებინა სირიისა და ლიბანისათვის და ხელი შეეწყო ორივე მათგანის ერთა ლიგაში მიღები-სათვის. მაგრამ მალე პარიზში მთავრობა შეიცვალა და ეს შეთანხმება არ იქნა რატიფიცირებული საფრანგეთის ეროვნული კრების (პარლამენტის) მიერ [2, 248].

1943 წლიდან სირია დე-იურე დამოუკიდებელი გახდა. 1944 წელს ამერიკამ და საბჭოთა კავშირმა, ხოლო 1945 წელს დიდმა ბრიტანეთმა ცნეს მისი დამოუკი-დებლობა. 1946 წელს სირიიდან გაყვანილი იქნა უცხო ქვეყნების – საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის – უკანასკნელი სამხედრო ნაწილები. ამავე წელს სირიამ სრულ დამოუკიდებლობას მიაღწია. მისი პირველი პო-ლიტიკური აქტი იყო საფრანგეთის მიერ თავსმოხ-ვეული დრუზებისა და ალავიტების რაიონების ავტო-ნომიის გაუქმება და საფრანგეთის მიერ ალექსანდრეტას სანჯაყის დათმობის გარიგების ბათილად ცნობა [2, 249].

დიპლომატიური კავშირები სირიასა და საბჭოთა კავშირს შორის 1944 წელს დამყარდა. მას შემდეგ ურთიერთობა მოსკოვსა და დამასკოს შორის სულ უფრო უმჯობესდებოდა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ და-წყებულმა „ცივმა ომმა“ ახლო აღმოსავლეთიც მოიცვა. კრემლი ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონში მოკავშირეებს ეძებდა და მიზანში სირია ამოიღო. 1945 წელს საბჭოთა კავშირმა მხარი დაუჭირა სირიის გაწევრებას გაეროში,

რასაც ეწინააღმდეგებოდნენ საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და აშშ [10, 60].

ისრაელის სახელმწიფოს შექმნის შემდეგ (1948წ.) საბჭოთა კავშირმა სირიის არმიის გასაწვრთნელად საბჭოთა ოფიცრები მიავლინა. სირია ამ დროს უკვე ანტიდასავლური მმართველი ელიტის მიერ იმართებოდა, რომელსაც მჭიდრო კავშირები ჰქონდა მოსკოვთან. იმის შიშით, რომ პროკომუნისტური სირია საფრთხეს შეუქმნიდა მიმდებარე იორდანიის, ლიბანისა და თურქეთის პრო-დასავლურ რეჟიმებს, ვაშინგტონმა გადაწყვიტა, ერთი მხრივ, სამხედრო დახმარება გაეწია ამ ქვეყნებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, ისრაელში გაეგზავნა დიდი ოდენობით ამერიკული იარაღი, ეგვიპტეში უხვად გაგზავნილი რუსული სამხედრო ტექნიკის დასაბალანსებლად [11, 498].

1948 წელს სირიამ მონაწილეობა მიიღო ისრაელსა და არაბებს შორის მიმდიანარე პირველ დაპირისპირებაში. აშშ-ის მიერ ახლო აღმოსავლეთში გატარებული პოლიტიკის შედეგად, 1950 წელს სირია ჩართული იქნა „ცივ ომში“. 1955 წელს იგი შეუერთდა ეგვიპტეს ბაღდადის პაქტის ქვეყნების (თურქეთი, ერაყი, პაკისტანი) წინააღმდეგ ბრძოლაში. 1958 წელს ეგვიპტემ სირიასთან ერთად შექმნა „გაერთიანებული არაბული რესპუბლიკა“ (გ ა რ). თითქმის იწყებოდა არაბული ქვეყნების გაერთიანება და ხორცი ესხმებოდა პანარაბიზმის იდეას. მაგრამ ადგილობრივი ელიტების ინტერესები

მძაფრ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა პანარაბიზმის იდეა-ლებთან. 1961 წლის სექტემბერში სირიელმა ოფიცრებ-მა, რომელთაც დაინახეს, რომ ერთიან სახელმწიფოში ეგვიპტელებმა გაბატონებული პოზიციები დაიკავეს, მათი როლი კი მეორეხარისხოვანი გახდა, ხელში აიღეს ძალაუფლება დამასკოში და გამოიყვანეს სირია გ ა რ -ის შემადგენლობიდან.

„გაერთიანებული არაბული რესპუბლიკის“ სა-ხელს მარტო დარჩენილი ეგვიპტე 1971 წლამდე ინარჩუნებდა, იმ იმედით, რომ არაბული ქვეყნების გაერთიანება ისევ დაიწყებოდა. იმედი ამაო გამოდგა. მართალია, 1960 წელს არაბთა გაერთიანებას მხარს უჭერდა იმ დროს მონარქიული იემენი, ხოლო 1963 წელს გ ა რ-ის აღდგენის სურვილი გამოთქვა ერაყმა, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით არ გადადგმულა.

არაბთა ხანმოკლე ერთიანობის ერთადერთ მოგო-ნებად დარჩა ეგვიპტის, სირიის, ერაყის, იემენის და, აგრეთვე, სუდანის „პანარაბული“ დროშის ერთნაირი ფერები, რომლებსაც ერთმანეთისგან ასხვავებს მხო-ლოდ დამატებითი ნიშნები [12, 149].

ამავე დროს ახლო აღმოსავლეთში დასავლეთის ძირითადი ინტერესი ენერგო რესურსებისაკენ იყო მიმართული. ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევ-რიდან, მრავალი წლის განმავლობაში ნავთობის მთავარი მწარმოებლები და მიმწოდებლები საერთაშო-

რისო ბაზარზე, იყვნენ რუსეთი და აშშ. შეერთებულ შტატებში ორგანიზებულ იქნა როკფელერის ნავთობის ტრესტი „სტანდარტ ოილი“, ხოლო რუსეთში ნობელისა და როტშილდის ნავთობის კორპორაცია. როკფელერის ნავთობის ტრესტის დაპირისპირებამ რუსეთის ნავთობის მეპატრონეებთან, სათავე დაუდო „ნავთობის ომებს“ საერთაშორისო არენაზე [13, 5], რამაც XX საუკუნეში კიდევ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აშშ-ს ინტერესები ახლო აღმოსავლეთის რაიონში, არ შემოიფარგლებოდა, მხოლოდ ნავთობის კონცესიებით: ადმინისტრაცია მიისწრაფოდა თავისი მომხრე არაბული ქვეყნების კონსერვატიულ რეჟიმებთან შეენარჩუნებინა პოლიტიკური კავშირები და გაემყარებინა მათი პოზიციები რეგიონში [14, 36].

კრემლი სირიას დაეხმარა 1955-1957 წლებში, როცა ეს ქვეყანა თურქეთთან ომის ზღვარზე აღმოჩნდა. ნიკიტა ხრუშჩოვის მმართველობის პერიოდში დამასკომ დიდი სამხედრო და ფინანსური დახმარება მიიღო. საინტერესოა, რომ ვიდრე ნიკიტას „საპატიო პენსიაზე“ გაუშვებდნენ, 1964 წლის მაისში ეგვიპტეში ყოფნის დროს კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი ჭკუათმყოფელობა. ეგვიპტის უმაღლესი ჯილდოს მიღების შემდეგ გამალ-აბდელ ნასერსა და ვიცე-პრემიერ ამერს საბჭოთა კავშირის გმირის წოდებები და ლენინის ორდენები გადასცა. ნასერი და ამერი მეორე მსოფლიო ომის დროს არა მარტო გამოვიდნენ ინგლისის წინააღ-

მდეგ, არამედ შესაძლებლად სთვლიდნენ ჰიტლერის ხელისუფლებასთან თანამშრომლობას. ამ დროს ეგვიპტეში კომპარტია ღრმა იატაკქვეშეთში იმყოფებოდა, მრავალი კომუნისტი დევნასა და წამებას განიცდიდა [15, 241].

კრემლი მხარს უჭერდა სირიას შემდგომ პერიოდშიც. კერძოდ, 1967 წლის ომის დროს, 1967-1968 წლებში ფინანსური დახმარება უფრო გაიზარდა. სავაჭრო ურთიერთობები კი საბჭოთა კავშირსა და სირიას შორის 1956 წლიდან დაიწყო. საბჭოეთი აფინანსებდა სხვადასხვა სამრეწველო ობიექტის, რკინიგზის ხაზების, სამხედრო ინფრასტრუქტურის, კაშხლების, წყალსაცავების, სამეცნიერო დაწესებულებათა და სხვა ობიექტების მშენებლობას.

ფაქტია, რომ სირიაში 1961 წლიდან 1970 წლამდე მუდმივად მიმდინარეობდა შიდა კონფლიქტები და მთავრობის ცვლილებები. 1970 წელს კი ხელისუფლებაში მოვიდა პარტია ბაასის სამხედრო ფრთის წარმომადგენლობა, რომლის ხელმძღვანელიც იყო ჰაფეზ ალ-ასადი.

სირიის მომავალი პრეზიდენტი დაიბადა 1930 წელს ლატაკიის რეგიონის ქალაქ კარდაჰში (ჩრდილო-დასავლეთ სირია), ღარიბ ალავიტურ ოჯახში. იგი ადრეული ასაკიდან დაინტერესდა პოლიტიკით და 16 წლისა არაბთა სოციალისტური აღორძინების პარტიის („ბაასის“) წევრი გახდა. 1951 წელს ალ-ასადი სირიის

სტუდენტთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს. მომდევნო წელს კი ქალაქ ჰომსის სამხედრო აკადემიაში ჩაირიცხა, სადაც სამ წელიწადს ეუფლებოდა სამხედრო მფრინავის პროფესიას.

როდესაც სირიამ და ეგვიპტემ 1958 წელს გაერთიანებული არაბული სახელმწიფო შექმნეს, ალ-ასადი კაიროში გადაიყვანეს, სადაც მაღალი თანამდებობა ეკავა სამხედრო ავიაციაში. ცოტა ხანში ოპოზიციური მოსაზრებების გამო სამსახურიდან დაითხოვეს. მალე ალ-ასადი გახდა კაიროში შექმნილი საიდუმლო სამხედრო კომიტეტის ერთ-ერთი ლიდერი და მხარს ბაასისტურ მოძრაობას უჭერდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჰაფეზ ალ-ასადი 1963 წლის სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეობდა, რომლის შედეგად სირიის სათავეში ბაასის პარტია მოვიდა. ალავიტებმა ქვეყნის ხელისუფლებაში პოზიციები გაიმყარეს. იმავე წელს ალ-ასადი აირჩიეს ბაასის ხელმძღვანელობის წევრად, ხოლო 1964 წელს – სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაურად.

მმართველი პარტიის შიგნით უთანხმოებამ მალე იჩინა თავი. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ზომიერი სოციალისტები (ლიდერები–პარტიის დამაარსებლები მიშელ აფლაკი და სალაჰ ად-დინ ბიტარი) და მარქ-სისტული სოციალიზმის მხარდამჭერი რადიკალები. ალ-ასადი ამ უკანასკნელთა ბანაკში იყო, როცა მორიგი გადატრიალება მოხდა. 1966 წლის თებერვალში ხელი-

სუფლება სამხედროებმა იგდეს ხელთ და სამოქალაქო პირები ქვეყნის მმართველობას ჩამოაშორეს. მართალია, სირიის სათავეში ახალი პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი მოვიდნენ, თუმცა რეალურ ძალაუფლებას ალავიტური ტრიუმვირატი ფლობდა (სალიჰ ჯადიდი, იზათ ჯადიდი და ჰაფეზ ალ-ასადი). მართვის ბერკეტები ალავიტი ოფიცრების ხელში გადავიდა.

სამხედრ-საჰაერო ძალების მეთაურების პარალელურად, 1966-1970 წლებში ჰაფეზ ალ-ასადი თავდაცვის მინისტრობასაც ითავსებდა. სწორედ მისი მინისტრობის დროს მოხდა გადამწყვეტი ომი ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის.

1967 წლის 5 ივნისს ისრაელმა ფართომასშტაბიანი სამხედრო კამპანია წამოიწყო სირიის, ეგვიპტისა და იორდანიის წინააღმდეგ. ექვს დღეში არაბულმა ქვეყნებმა სასტიკი მარცხი განიცადეს: ეგვიპტემ დაკარგა სინაის ნახევარკუნძული, იორდანიამ–მდინარე იორდანეს დასავლეთი ნაპირი, ხოლო სირიამ–ალ კუნაიტრა და გოლანის მაღლობები.

ომმა გამოიწვია დაპირისპირება სირიის მმართველი ძალის შიგნით. ჰაფეზ ალ-ასადი სათავეში ედგა სამხედრო დიდმოხელეთა ჯგუფს, რომელიც ითხოვდა არაბულ ქვეყნებთან უფრო აქტიური და მჭიდრო კავშირების დამყარებას. ქვეყნის მმართველმა ავტორიტეტი დაკარგა. 1970 წლის 13 ნოემბერს ალ-ასადმა ბრძანა პრეზიდენტ ნურ ად-დინ ალ-ათასისა და ქვეყნის

ფაქტობრივი მმართველის, სალაჰ ჯადიდის დაპატიმრება. სირიის სათავეში მოვიდა ჰაფეზ ალ-ასადი, რომელიც 1971 წლამდე პრემიერ-მინისტრის პოსტს იკავებდა [10, 58-59].

1971 წელს ჰაფეზ ალ-ასადი გახდა სირიის პრეზიდენტი და ქვეყანას 2000 წლამდე მართავდა. არმიასა და სპეცსამსახურებზე დაყრდნობით ალ-ასადმა დაასრულა არასტაბილურობის ეპოქა სირიის ისტორიაში, რომელიც ხასიათდებოდა მუდმივი გადატრიალებებითა და პოლიტიკური კრიზისებით.

შიდა პოლიტიკური პრობლემების დარეგულირების შემდეგ ახალმა პრეზიდენტმა არაბულ ქვეყნებთან აქტიური კავშირის დამყარება დაიწყო. 1971 წელს ჰაფეზ ალ-ასადმა (სირია), ანვარ სადათმა (ეგვიპტე) და მუამარ კადაფიმ (ლიბია) ხელი მოაწერეს არაბულ რესპუბლიკათა ფედერაციის შექმნას. 1973 წლის აპრილში ეგვიპტე და სირია შეთანხმდნენ, რომ ერთობლივად იმოქმედებდნენ ისრაელის წინააღმდეგ. ამავე წლის 6 ოქტომბერს ეგვიპტემ და სირიამ ერთდროულად დაიწყეს ომი ებრაული სახელმწიფოს წინააღმდეგ. სამხედრო მოქმედებები ისრაელისათვის მოულოდნელი იყო, ებრაელები ამ დროს აღნიშნავდნენ მთავარ რელიგიურ დღესასწაულს – იომ-ქიფურს („განკითხვის დღე“). სირიელებმა დაიკავეს გოლანის მაღლობები, თუმცა ისრაელმა მაინც მოახერხა დაკარგული

პოზიციების აღდგენა და გოლანის მაღლობებზე კონტროლის შენარჩუნება.

1976 წელს ჰაფეზ ალ-ასადი ჩაერთო ლიბანის სამოქალაქო ომში (1975-1990 წწ.) და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საომარ მოქმედებებში [10, 59-60]. შეიძლება ითქვას, რომ სირიას თავისი გეოპოლიტი-კური მდებარეობიდან გამომდინარე, საკმაოდ მძლავრი ბერკეტები გააჩნია. მაგალითად, როცა საჭიროდ „ჩათვალა“, 1970 წლის მაისში სირიის მთავრობამ გადაკეტა ნავთობსადენი „ტ ა პ ლ ა ი ნ ი“, რომლის საშუალებით ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებში გადაიქაჩებოდა ყოველწლიურად 25 მილიონი ტონა ნავ-თობი, რამაც კიდევ უფრო გააუმჯობესა ლიბიის მნიშვნელობა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ნავთობით მომარაგებაში [14, 34].

ჰაფეზ ალ-ასადის გაპრეზიდენტების შემდეგ სირიასა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობები უფრო მჭიდრო გახდა. 1972 წელს ხელი მოეწერა მშვიდობისა და უსაფრთხოების პაქტს. ამავე წელს საბჭოთა კავშირმა სირიას 135 მილიონი დოლარის ღირებულების საბრძოლო იარაღი გამოუყო. 1971 წლიდანვე სირიის ქალაქ ტ ა რ ტ უ ს შ ი ამოქმედდა საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ბაზა.

მოსკოვმა დამასკოს იარაღი მიაწოდა იომ-ქიფურის ომის დროსაც. საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, 1974 წელს სირიამ და ეგვიპტემ მიიღეს 4

მილიარდი დოლარის ღირებულების საბჭოური იარაღი. 1977 წლის შემდეგ, როცა ეგვიპტემ დიალოგი დაიწყო ისრაელთან და ერთმნიშვნელოვნად პროამერიკული ორიენტაცია აირჩია, ჰაფეზ ალ-ასადი რეგიონში საბჭოთა კავშირის მთავარი პარტნიორი გახდა. წლების განმავლობაში სწორედ საბჭოთა კავშირი აწვდიდა სირიას სამხედრო და საინჟინრო კადრებს.

საბჭოთა კავშირს სირიის პრეზიდენტი ხშირად სტუმრობდა. მხოლოდ 1977 წლამდე ის ექვსჯერ ეწვია მოსკოვს. 1977 წლის 21 აპრილს ის თბილისშიც იყო [10, 61].

ნასერის სახელთან ასოცირებული უფრო ამბიციური მისწრაფება – არაბული ერთობის მიღწევა – კიდევ უფრო მიუღწეველ მიზნად იქცა, ვიდრე ოდესმე ნასერის სიკვდილის შემდეგ. მიუხედავად ენობრივი და რელიგიური მემკვიდრეობისა, რომელიც ახლო აღმოსავლეთის არაბ ხალხებს ერთმანეთთან აკავშირებდა, რეგიონის პოლიტიკური ფრაგმენტაცია პანარაბული იდეალის განხორციელებას ხელს უშლიდა. სეკულარულ იდეოლოგიებსა და (როგორიც იყო ბაასისტური მმართველი ელიტა სირიასა და ერაყში) და ისლამურ ფუნდამენტალიზმს შორის მკვეთრი კონტრასტი ამ გათიშულობის ერთ-ერთი მიზეზი გახდა. მეორე მიზეზი „ცივ ომში“ არაბული ქვეყნების მიერ დაკავებული პოზიციები იყო, როდესაც ეგვიპტე, იორდანია, საუდის არაბეთი და ომანი შეერთებულ

შტატებთან მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდნენ. ხოლო სირია, ერაყი და სამხრეთ იემენი საბჭოთა კავშირისგან ელოდნენ და იღებდნენ სამხედრო და დიპლომატიურ მხარდაჭერას. ისრაელის სახელმწიფოს არსებობისადმი წინააღმდეგობა და პალესტინის ნაციონალიზმის მხარ-დაჭერა არაბულ სახელმწიფოთა ერთობის ძირითადი მიზეზი იყო [11, 575]. ამავე დროს, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარეობდა და მიმდინარეობს „წყლისათვის ომი“. სირიასა და ისრაელს შორის კონფლიქტის მოუგვარებ-ლობა იმდენად ტერიტორიას არ უკავშირდება, რამდე-ნადაც წყალს. 2000 წელს ისრაელ-სირიის მოლაპარაკება ისევ მიებჯინა წყლის პრობლემას და უშედეგოდ დამთავრდა.

თურქეთი და სირია, თურქეთი და ერაყი, ისრაელი და ლიბანი, ისრაელი და სირია ვერ მორიგდებიან წყლის რესურსების გამოყენების საკითხზე [2, 74].

ასადის გარდაცვალების შემდეგ 2000 წელს მამის ადგილი დაიკავა ბ ა შ ა რ ა ლ-ა ს ა დ მ ა. ნიშან-დობლივია, რომ რუსეთის ხელისუფლებაში სწორედ ამ დროს მოვიდა ვლადიმერ პუტინი. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობამ კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო.

მანამდე, სანამ 2011 წელს სირიაში დაიწყებოდა სამოქალაქო ომი, მისი მოსახლეობის მრავალეთნი-კურობა და მრავალკონფესიურობა პრობლემას არ ქმნიდა. სირიელების სამოქალაქო იდენტობა ძლიერი

ჩანდა: ყველა სირიელი იყო, მიუხედავად სარწ-მუნოებრივი კუთვნილებისა. მაგრამ სამოქალაქო ომმა ბევრი რამ შეცვალა და ქვეყანა ჩიხში შეიყვანა [12, 166].

როგორც კი სირიას გადაედო „არაბული გაზაფ-ხული“, ის მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა ნეგატიური თვალსაზრისით. ტერმინით „არაბული გაზაფხული“ დასავლეთის სამეცნიერო ლიტერატურასა და მასობრივი ინფორმაციის საშუა-ლებებში, 2010 წლიდან მოიაზრება, როგორც ანტი-სახელმწიფოებრივი ტალღა არაბულ ქვეყნებში არსე-ბული რეჟიმების წინააღმდეგ. აღნიშნულმა პროცესმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებაზე. ზოგიერთ ქვეყანაში გამოსვლებს ხელისუფლების ცვლილება მოყვა, ზოგან კი დრამატულად განვითარდა.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ 2011 წლის 16 თებერვალს სამხრეთ სირიის ქალაქ დ ა რ ა შ ი მოზარდებმა სკოლის კედელზე გამოაკრეს შემდეგი შინაარსის წარწერა: „ახლა შენი ჯერია ექიმო“ (როგორც ცნობილია სირიის პრეზიდენტს ბაშარ ალ-ასადს სამე-დიცინო გაანთლება აქვს მიღებული). ამ ფაქტს სამარ-თალდამცავი უწყებების მიერ მწვავე რეაქცია მოჰყვა. წარწერის ავტორები დააპატიმრეს. ამავე წლის მარტი-დან სირიაში არსებული რეჟიმის წინააღმდეგ, საპრო-ტესტო აქციები დაიწყო. 2012 წლის 25 მარტს ჰომსის პროვინციაში სახელისუფლებლო ძალებმა აქციის

მონაწილეებს ცეცხლი გაუხსნეს. დაიღუპა 100-ზე მეტი სამოქალაქო პირი, მათ შორის ბავშვები. 15 ივლისს წითელმა ჯვარმა ოფიციალურად განაცხადა, რომ სირიაში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა [16, 119].

2011 წლამდე ანკარა და დამასკო ერთმანეთს ძმობას ეფიცებოდნენ. ხოლო, როდესაც ასადის მთავრობას დაუპირისპირდა სირიის სამთავრობო არმიის დეზერტირებით დაკომპლექტებული „სირიის თავისუფალი არმია“ და სხვადასხვა ისლამისტური დაჯგუფებები, თურქეთმა დაუყონებლივ დაუჭირა მხარი მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულ ძალებს. ანკარა აიარაღებდა და წვრთნიდა სხვადასხვა ოპოზიციურ დაჯგუფებას და მოითხოვდა ბაშარ ასადის ხელისუფლებიდან წასვლას. ამან სირიის სამოქალაქო ომი გაახანგრძლივა [12, 124].

აღნიშნული მოვლენების საწყის ეტაპზე ევროკავშირს სათანადო რეაქცია არ გამოუხატავს. მხოლოდ მაშინ დაიწყეს დამასკოს დაგმობა, როდესაც ხოცვა-ჟლეტამ იქ ფართო მასშტაბები შეიძინა. ამავე დროს, სირიის რეჟიმის წინააღმდეგ გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სანქციების დაწესებას ბლოკავდნენ რუსეთი და ჩინეთი, რომელთაც თავიანთი ინტერესები ჰქონდათ და აქვთ სირიის ბაშარ ალ-ასადის მთავრობასთან [12, 146].

2011 წლის თებერვალში დაწყებული დემოკრატიული გამოსვლების პირველ თვენახევარს ამერიკას გაურკვეველი პოზიცია ეჭირა ასადის რეჟიმის მიმართ,

რომელიც ისლამისტურ ძალებს ებრძოდა. მაგრამ, საბოლოოდ, როდესაც ნათელი გახდა, რომ სირიის მმართველ რეჟიმს მხარს უჭერდნენ ირანი და ლიბანის „ჰეზბოლა“ (ამ უკანასკნელს ისრაელსა და აშშ-ში ტერორისტულ ორგანიზაციად აცხადებენ), ვაშინგტონის პოზიცია დამასკოს მმართველი რეჟიმის მიმართ მკვეთრად უარყოფითი გახდა და ასეთად რჩება. პარალელურად ამერიკელები და თურქები ადანაშაულებდნენ სირიის პრეზიდენტს სომხური ტერორისტული ორგანიზაციის „ა ს ა ლ ა ს“ მფარველობასა და დაფინანსებაში. ოფიციალური დამასკო ამ ბრალდებას კატეგორიულად უარყოფდა. ეჭვის საბაბს ქმნიდა ის გარემოება, რომ სირიის დაპირისპირება თურქეთსა და დასავლეთის ქვეყნებთან, მემარცხენე რადიკალებს აიძულებდა თავშესაფარი სწორედ სირიაში ეძებნათ. ამავდროულად, სირიის სომხური დიასპორაც ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ძალას წარმოადგენდა და შესაბამისად, „ასალას“ მესვეურებიც ხშირად მათ იმედზე იყვნენ ხოლმე [17, 26].

არის საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ოპოზიციის უკან სხვა ძალა იდგა და აღნიშნული მოვლენები მართული პროცესი იყო. ავღანეთსა და ერაყში განვითარებული პროცესების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ არაბულ ქვეყნებში არსებული რეჟიმების შეცვლა აშშ-ის და მთლიანად დასავლეთის ინტერესებში შედიოდა [16, 119]. 2011 წელს „არაბული გაზაფხულის“ სახელით

დასავლეთმა ნაწილობრივ შეძლო „მუსლიმური საძმო“ ეგვიპტის ხელისუფლებაში მოეყვანა. მოძრაობამ გაიმარჯვა რამდენიმე არჩევნებში და პირველად ქვეყნის ისტორიაში დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტი მ უ ჰ ა მ ე დ მ უ რ ს ი სწორედ მათი რიგებიდან გახდა.

2013 წლის ივლისში მუსლიმური საძმოს მმართველობას ბოლო მოეღო – პრეზიდენტ მურსის სამხედროები აუჯანყდნენ და გადააყენეს. იმავე წლის დეკემბერში ახალმა მთავრობამ მუსლიმური საძმო ოფიციალურად ცნო ტერორისტულ ორგანიზაციად და კანონგარეშედ გამოაცხადა [18, 27].

მდიდარი საერთაშორისო გამოცდილება გააჩნია დასავლეთს, და პირველ რიგში აშშ-სა და რუსეთს მათთვის არასასურველი ხელისუფლების ჩამოშორების მიზნით ოპოზიციის შესაქმნელად. დღეისათვის ეს არის ადამიანის უფლებების დარღვევა, რეჟიმის დიქტატურა და ანტიდემოკრატიული მმართველობა. თუ ასეთ შეფასებას გავიზიარებთ, ახლო აღმოსავლეთში საუდის არაბეთი ერთ-ერთი გამორჩეულია თავისი ანტიდემოკრატიული მმართველობით და ადამიანის უფლებების დარღვევით. მაგრამ ის ხომ აშშ-ს „მეგობარია“.

1925 წლის 19 დეკემბერს არაბეთის ნახევარკუნძულის შუაგულში მდებარე ნაჯდის სულთანმა, საუდიანთა დინასტიის წარმომადგენელმა, აბდულაზიზმა (რომელმაც ირჩია სახელი იბნ-საუდი, რაც არაბულად „საუდის–ძეს“ ნიშნავს) დაიპყრო ნახევარ-

კუნძულის დასავლეთ ნაწილში მდებარე ჰიჯაზის სამეფო, აიღო მისი დედაქალაქი მექა და გააძევა იქიდან ჰაშიმიანთა დინასტიის წარმომადგენელი მეფე ა ლ ი ბ ი ნ ჰ უ ს ა ი ნ ი [12, 172].

ბრიტანეთის ფინანსური სუბსიდიებითა და ყოველწლიურად მექაში სალოცავად მუსლიმების ჩამოსვლის (ჰაჯი) შედეგად მიღებული სახსრებით, იბნ საუდმა 1932 წელს დააარსა საუდის არაბეთის დამოუკიდებელი სახელმწიფო. ერთი წლის შემდეგ ახალმა მთავრობამ შეასუსტა კავშირები მის ბრიტანელ ბატონთან და გააფორმა თანამშრომლობა შეერთებული შტატების ოთხ ნავთობკომპანიასთან. საუდის არაბეთის სამეფო გახდა და დღესაც რჩება მსოფლიოში ერთად-ერთ ქვეყნად, რომელსაც სახელი მისი დამაარსებლის პატივსაცემად დაერქვა. ქვეყნის ყველა მმართველი დღემდე იბნ საუდის 37 ვაჟიდან ერთ-ერთია, რომლე-ბიც მის გარდაცვალებამდე (1953წ.) მას ოცდაორმა ცოლმა გაუჩინა [11, 127].

1945 წლის 14 თებერვალს, როდესაც მეორე მსოფ-ლიო ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, სუეცის არხის შუაში მდებარე დიდ მწარე ტბაში (არაბულად ალ-ბურაიჰა ალ მურა ალ-ქუბრა) გაჩერებულ კრეისერ „ქუინზის“ გემბანზე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ამერიკის პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი და საუდის არაბეთის მეფე – ეს იყო სამეფოს დამაარ-სებელი აბდულაზიზ იბნ-საუდი. ამ კრეისერზე შედგა

საიდუმლო გარიგება (რომელიც ახლა აღარაა საიდუმ-ლო!), რომლითაც ნავთობის სტაბილური მიწოდების სანაცვლოდ დემოკრატიის უმთავრესმა ბასტიონმა უსაფრთხოების გარანტია მისცა შუა საუკუნეების დესპოტიზმში ჩარჩენილ სამეფოს, სადაც 1962 წლამდე ოფიციალურად დაშვებული იყო მონობა, რომლის გაუქმებას პრეზიდენტ ჯონ კენედის ზეწოლას უკავში-რებენ. ადამიანის უფლებათა ზოგიერთი წარმომად-გენელი ამაში „ეშმაკისეულ გარიგებას“ ხედავს [12, 87].

საუდის არაბეთში არა მხოლოდ ეთნიკური და რე-ლიგიური უმცირესობა განიცდის შევიწროებას, არამედ შიიტი არაბებიც რელიგიურ დევნას განიცდიან: ისინი არ არიან თანასწორუფლებიანი მხარე შარიათის სასა-მართლოში, არ სარგებლობენ თანასწორი უფლებებით სუნიტებთან ნებისმიერ საქმიანობაში. მაგალითად, შრომის ანაზღაურებაში. არაბი ავტორის ა ბ დ ა ლ ა მ უ ჰ ა მ ე დ ი ს მონაცემებით „საუდის არაბეთში შიიტები განიცდიან შევიწროებას რელიგიური რიტუალების შეს-რულების დროს. მათ სთვლიან მეორე ხარისხის მოქა-ლაქეებად. შიიტების სოფლები უყურადღებოდ არის მიტოვებული, ცენტრალური და შიდა სამიმოსვლო გზები პარალიზებულია. ყურადღება არ ექცევა შიიტი მოსახლეობის განათლებასა და სამედიცინო მომსახუ-რებას. შიიტს ეკრძალება საქონლის დაკვლა და ხორცის გაყიდვა. სასამართლოში არ შიძლება მოწმედ გამოვი-დეს. შიიტ გოგონას უფლება არა აქვს გახდეს პედა-

გოგიური სასწავლებლის სტუდენტი. შიიტი სწავ-ლულების წიგნები, ყველა პუბლიკაცია, რაც კი შიიტურ მიმდინარეობას ეხება საუდის არაბეთის საბაჟოზე ლიკვიდაციას ექვემდებარება...“ [19, 44]. თუმცა არც შიიტები გამოირჩევიან სუნიტებისადმი ლოიალური დამოკიდებულებით. გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ ხალიფატის პერიოდში „სუნიტური“ და „შიიტური ისლამური „საღვთო კონცეფციები განსაკუთრებული ურთიერთშეუწყნარებლობით გამოირჩეოდნენ. მაგალი-თად, შიიტ ბავშვებს, როგორც გოგონებს, ასევე ვაჟებს, ქუსლებზე ამოუსვირინგებდნენ ხოლმე მათთვის სამი „არაჭეშმარიტი“ ხალიფას, აბუბექრის, ომარისა და ოსმანის სახელებს, რათა მათ ისინი ყოველ დღე ფეხით გაეთელათ [20, 202].

საუდის არაბეთის ოფიციალური რელიგია – ვაჰაბიზმია. როგორც ცნობილია მუჰამედ იბნ აბდალ-ვაჰაბმა XVIII საუკუნეში ცენტრალურ არაბეთში დაარსა ახალი მაჰმადიანური რელიგიურ-პოლიტიკური მიმ-დინარეობა, რომელიც თავის მიმდევრებს მოუწოდებდა არაბების გაერთიანებისა და ოსმალეთის ბატონობის წინააღმდეგ მოქმედებისაკენ. ამ მიმართულებას ვაჰა-ბიზმს, მიმდევრებს კი ვაჰაბიტებს უწოდებდნენ. ვაჰა-ბიზმის მთავარი მოთხოვნა იყო აღედგინათ პირვე-ლადი ისლამი, უარი ეთქვათ ფუფუნების საგნებზე, გართობაზე, ალკოჰოლსა და თამბაქოზე და სხვ. [21, 110]. ვაჰაბიზმის ძირითადი დოგმატია – მკაცრი ერთ-

ღმერთიანობა, რომელიც მიმართული იყო ტომობრივი კულტების წინააღმდეგ, რაც ხელს უშლიდა ტომთა გაერთიანებას არაბეთის ნახევარკუნძულზე [22, 40]. დღეისათვის ამ მოძრაობამ დაკარგა თავდაპირველი, პროგრესული ხასიათი და მაჰმადიანური სამყაროს განხეთქილების მიზეზად იქცა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დასავლეთი თვალს ხუჭავს საუდის არაბეთში ანტიდემოკრატიულ მმართველობაზე. მაშინ ისმის კითხვა, რა ფარული მიზნები ამოძრავებდა ევროპა-ამერიკას, როდესაც აქცენტი სირიაში ბაშარ-ასადის რეჟიმის შეცვლაზე გაამახვილა? პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სირიის ადგილი და როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ენერგორესურსების ტრანსპორტირების თვალსაზრისით. სირიის ტერიტორია იორდანიასთან ერთად გამოიყენებოდა ნავთობის ტრანზიტისათვის. 1950 წელს ექსპლოატაციაში შესული საუდის არაბეთის აღმოსავლეთ რაიონიდან წამოსული 1700 კილომეტრის სიგრძის ტრანსარაბეთის მილსადენი თავიდან გადიოდა სირიის გოლანის მაღლობზე, რომელიც 1967 წლიდან ისრაელის მიერაა ოკუპირებული. შემდეგ ის ლიბანის ნაპირისაკენ გადაამისამართეს. ამ მილსადენის გამოყენება შეწყვეტილია.

სირიაზე გადიოდა ნავთობსადენი ჩრდილოეთ ერაყის ქირქუკიდან სირიის ტერმინალ ბანიასამდე და ლიბანის ტერმინალ ტრიპოლამდე. მილსადენი ხშირად

გამოდიოდა მწყობრიდან. 1956 წელს ის სირიამ დაკეტა (იმ დროს მილსადენი ერთ ტრანსნაციონალურ კომპანიას ეკუთვნოდა და ამ აქტით სირიას უნდოდა „დაესაჯა“ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და ისრაელი ეგვიპტის წინააღმდეგ დაწყებული ომის გამო). როდესაც ერაყმა მოახდინა „ერაყის ნავთობის კომპანიის“ ნაციონალიზაცია, სირიამ თავის ტერიტორიაზე გამავალი მილსადენის მონაკვეთის მფლობელად გამოაცხადა თავი. 1976-1979 წლებში ეს მილსადენი არ მუშაობდა ერაყსა და სირიას შორის ტრანზიტის ფასის შეუთანხმებლობის გამო. 1980-1988 წლების ერაყ-ირანის ომის დროს, როდესაც სირია ირანს უჭერდა მხარს, ეს მილსადენი ისევ დაიხურა. 2000 წელს სირიამ აღადგინა იგივე მილსადენი და, ფაქტობრივად აძლევდა საშუალებას სადამ ჰუსეინს, აერიდებინა თავი გაეროს მიერ ერაყისათვის დაწესებული სანქციებისათვის. ახლა ეს მილსადენი ისევ არ მოქმედებს [2, 65-66].

რაც შეეხება მთავარს, არის ის, რომ პირველ რიგში ევროპის ბაზარს ყველაზე მეტად სჭირდება არაბული გაზი, რადგან მას არაფრისდიდებით არ სურს დამოკიდებული იყოს გაზპრომზე. რუსეთისათვის კი ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ბერკეტია დასავლეთზე გავლენის შესანარჩუნებლად.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ „საგარეო ენერგეტიკული პოლიტიკა“ გამიზნულია ისეთი ქმედებებისაკენ, რომ რუსეთმა, როგორც მსოფლიო ენერგეტი-

კული ბაზრის ლიდერმა, შეინარჩუნოს და გაზარდოს პოზიციები, შეამციროს ევროპაში საწვავის ექსპორტის მონოდამოკიდებულების ალტერნატივა, ასევე შეამციროს სარეგულაციო და საბაზრო რისკები და გაზარდოს მოგება [23, 208].

საყურადღბოა, რომ ევროკომისიის ოფიციალური მონაცემებით ევროპის კონტინენტი რუსულ გაზზე 35%-ითაა დამოკიდებული. თუმცა ცალკეული ქვეყნების დამოკიდებულება 100%-საც აღწევს. მაგალითად: ესტონეთი 100%; ფინეთი 100%; ლატვია 100%; სლოვაკეთი 98%; ბულგარეთი 92%; ჩეხეთი 77,6%; საბერძნეთი 76%; უნგრეთი 76% [23, 210]. თურქეთი სანახევროდ ან მეტად დამოკიდებულია რუსეთის გაზის იმპორტზე [12, 109].

დასავლელ პოლიტიკოსებს კარგად ესმოდათ, რომ უფრო ძვირია პოლიტიკური ფასი, რომელსაც ევროპა რუსეთს უხდის, ვიდრე ის ნებისმიერი პროექტები, რომლებიც ევროპულ ენერგეტიკულ უსაფრთხოების გარანტიებს ბევრად სტაბილურს გახდის. ამის მაგალითები ევროპას უკვე ჰქონდა, როცა „გაზპრომმა“ შანტაჟის მიზნით ონკანი ცალკეულ ქვეყანას რამდენჯერმე გადაუკეტა. შესაბამისად, დასავლელ პოლიტიკოსებს კარგად ესმით მსგავსი ალტერნატიული პროექტის ღირებულების და ეფექტის მნიშვნელობაც [23, 212] .ევროპისათვის ალტერნატივა გაჩნდა კატარის სახით. ეს პატარა არაბული სახელმწიფო, რომელმაც დამოუკიდებლობა 1971 წლის 1 სექტემბერს მოიპოვა, მდება-

რეობს არაბეთის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთით. ტერიტორია 11, 4 ათას კვ. კმ.-ს შეადგენს. მოსახლეობა 600 000, დედაქალაქი – დ ო ჰ ა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის ტერიტორიის დიდი ნაწილი ქვიან უდაბნოს უჭირავს, მდიდარია ნავთობით და განვითარებულია ნავთობგადამამუშავებელი მრეწველობის დარგები [7, 81-82].

ეს პატარა სახელმწიფო, რომლის ეკონომიკაც ნახევარი საუკუნის წინ ზღვის ფსკერზე მარგალიტის მოპოვებას ეფუძნებოდა და ძლივს ირჩენდა თავს, საოცრად გამდიდრდა ბუნებრივი გაზის მარაგით (რუსეთისა და ირანის შემდეგ) და გათხევადებული გაზის ექსპორტში მსოფლიო მოცულობის 28 პროცენტი 2018 წელს მასზე მოდიოდა [12, 182].

საჭირო იყო კატარის ევროპასთან დამაკავ-შირებელი გაზსადენი. ეს გ ა ზ ს ა დ ე ნ ი კი, ს ი რ ი ი ს გ ა რ დ ა ვ ე რ ს ა დ გ ა ი ვ ლ ი ს. ასადის რეჟიმი ამგვარი პროექტისათვის ძალზე შეუსაბამოს წარმოად-გენდა, რადგან მოსკოვის გავლენაში მყოფი სირია დასავლეთისათვის მისაღებ ნაბიჯს არ გადადგამდა. ამიტომ, დემოკრატიისა და ადამიანური ფასეულობე-ბისათვის მებრძოლთა ლოგიკით, საჭირო იყო ამ რეჟიმის შეცვლა. ამიტომ დაიწყო ის, რაც უნდა მომხდა-რიყო. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით სირიაში არ არსებობდა არანაირი ოპოზიცია. იყვნენ მხოლოდ დაქირავებული მებრძოლები, რომლებიც ქვეყნანაში ქა-

ოსის შესაქმნელად და ძლიერი დამოუკიდებელი რეჟიმის მარიონეტული ხელისუფლებით შეცვლას ცდილობდნენ. მაგრამ სასურველი შედეეგი არ ჩანდა.

ევროპას ისეთი სამხედრო ოპერაცია სჭირდებოდა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის ჩართვა. ასეთი წონადი მიზეზი იქნებოდა ნატოს წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე თავდასხმა, რათა ამოქმედებულიყო წესდების მე-5 მუხლი და შესაძლოა აღარც კი ყოფილიყო საჭირო უშიშროების საბჭოს თანხმობა. თურქეთი ამისათვის შესანიშნავი მაგალითი იყო. მართლაც, უხილავმა ძალამ 2012 წელს ბოევიკები თურქეთის საზღვრებს შეუსია. იყო მსხვერპლიც. თურქებმა აწონ-დაწონეს და მიხვდნენ, რომ ბრიუ-სელისათვის საჭირო იყო მეტი სისხლისღვრა, რასაც მოჰყვებოდა ტურისტული ინფრასტრუქტურის განად-გურება. ერდოღანი ამჯერად ბაშარ-ასადის ბოდიშით დაკმაყოფილდა, რომელმაც განაცხადა რომ სამთავ-რობო ძალები არ იყვნენ აგრესიის მონაწილენი. მაშინ დღის წესრიგში დადგა ისრაელის ჩართვა საბრძოლო ოპერაციებში. ბოევიკები უმალ გადაცვივდნენ თურ-ქეთის საზღვრიდან ისრაელის მხარეს და ახლა იქ ატეხეს სროლა. ისრაელი არ აჰყვა პროვოკაციას. მან მართლაც დაიწყო ბრძოლა, ოღონდ ღაზის სექტორში... ეს იყო ნეთანიაჰუს პასუხი ახალ გამოწვევაზე, რომ მას სირიისათვის არ ეცალა [24].

ამის შემდეგ, კერძოდ, 2014 წლიდან ოთხიოდე წლის განმავლობაში მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა ახლო აღმოსავლეთში გამოცხადებული „ისლამური სახელმწიფო“, ანუ „დ ა ი შ“-ი, რომელთანაც ბრძოლაში ლამის ნახევარი მსოფლიო ჩაერთო. ყველაზე მეტი გართულება კი ამ წარმონაქნმა შეუქმნა ერაყსა და სირიას.

„დ ა ი შ“-ი არის არაბული სახელის აბრევიატურა, რომელიც აღნიშნავდა „ერაყისა და შამის ისლამურ სახელმწიფოს“. „შამი“ არაბულად გამოითქმის „აშ-შამ“ და მოიცავს დასავლეთ სირიასა და ლიბანის – ტერიტორიას, რასაც ევროპულ ლიტერატურაში უწოდებდნენ ლევანტ-ს [12, 152].

„ისლამური სახელმწიფო“, როგორც რადიკალური სუნიტური, ისლამური, ტერორისტული ორგანიზაცია შეიქმნა 2006 წლის 15 ოქტომბერს 11 რადიკალური სუნიტური შეიარაღებული ფორმირებების შერწყმით და მისი მთავარი ბაზები სირიისა და ერაყის ტერიტორიებზე განლაგდა. როგორც ტერორისტული ორგანიზაცია ის აღიარეს აშშ-ში, კანადაში, დიდ ბრიტანეთში ავსტრალიაში, თურქეთში, ეგვიპტეში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, ინდოეთში, ინდონეზიაში, რუსეთში და ა. შ. დაჯგუფება დაარსების დღიდან 2013 წლამდე ცნობილი იყო როგორც „ერაყის ისლამური სახელმწიფო“, რომელიც ერაყის „ალ-ქაიდას გარშემო გაერთიანებულ რადიკალურ სუნიტურ

დაჯგუფებებს აერთიანებდა. სწორედ მაშინ იქნა მიღებული „კონსტიტუციის“ პროექტი და „კაცობრიობას ისლამური სახელმწიფოს შექმნაზე ეცნობა“.

„ერაყის ისლამურ სახელმწიფოს“ მიზნად ჰქონდა აშშ-ისა და საერთაშორისო კოალიციის ერაყიდან წასვლის შემდეგ ქვეყნის ტერიტორიის სუნიტური ნაწილის დაკავება და იქ გასამხედროებული ისლამური სუნიტური სახელმწიფოს შექმნა. 2010 წელს „ერაყის ისლამური სახელმწიფოს“ ამირა გახდა ერაყში „ალ-ქაიდას“ ერთ-ერთი ლიდერი აბუ ბაქრალ-ბაღდადი. მალევე აშშ-მა ის განსაკუთრებით საშიშ ტერორისტთა სიაში შეიტანა და მისი თავი ათ მილიონ დოლარად შეაფასა.

2013 წლის 9 აპრილს „ალ-ქაიდას“ ერაყული „ფილიალის“ – ერაყის ისლამური სახელმწიფოსა და სირიულის – „ჯებჰათ ან-ნუსრას“ შერწყმით გაჩნდა ახალი დაჯგუფება სახელწოდებით „ერაყისა და ლევანტეს ისლამური სახელმწიფო“. მისი მიზანი სირიის, ერაყისა და ლიბანის ტერიტორიებზე ისლამური საამიროს შექმნა იყო. სწორედ არაბულ მედიაში ეწოდა მას შემოკლებით „დაიშ“-ი [25, 25-26].

ხაზგასასმელია, რომ სირიის კრიზისის დასაწყისში კატარი შეეცადა საკუთარი სცენარით მოვლენათა განვითარებას და ამ მიზნით პრეზიდენტ ბაშარ ასადის მოწინააღმდეგეთა დაფინანსება დაიწყო. ასევე დააფინანსა ლიბიელი მოხალისე მებრძოლები, რომლებიც

სირიაში გადადიოდნენ როგორც თურქეთის საზღვრის გავლით, ისე იორდანიის ტერიტორიიდან.

ერთი შეხედვით ძნელი წარმოსადგენი იყო ასეთი სახელმწიფო რეგიონალური ლიდერის როლში; მაგრამ მიუხედავად ამისა, კატარი რეგიონალურ დომინანტად ჩამოყალიბდა და საუდის არაბეთისაგან ინიციატივა სრულად გადაიბარა. კატარის ფონდი „კარმა“ 2006 წელს აფინანსებდა ჯერ კიდევ ახლად შექმნილ ტერორისტულ ორგანიზაციას 300 მილიონი დოლარით [26, 16].

2014 წლის ივნისში „დაიშ“-მა სახელად აიღო „ისლამური სახელმწიფო“, გამოაცხადა თავი „მსოფლიო სახალიფოდ“, ხოლო ხალიფად დასვა აბუბაქრ ალ-ბაღდადი. ასე შეიქმნა ტერორისტული წარმონაქმნი, რომელსაც ტერიტორიული განზომილება ჰქონდა. პოლიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ „ისლამური სახელმწიფო“ შექმნა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, როგორც საკუთარი სამხედრო ბაზა და დასაყრდენი. შემდეგ იძულებული გახდა, მოჩვენებითი ომი გამოეცხადებინა, რათა რეგიონში სამხედრო ყოფნა გაემართლებინა. მოგვიანებით ტრამპმა განაცხადა, რომ „ისლამური სახელმწიფო პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა შექმნეს“ [27, 7].

კატარისთვის მნიშვნელოვანი მიღწევა იყო სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ გაძლიერების საქმეში თურქეთთან კავშირის განმტკიცება. დოჰამ და ანკარამ

სირიის ტერიტორიაზე ერთობლივი მოქმედების გეგმა მოამზადეს. ასეთმა ალიანსმა, რა თქმა უნდა, შეცვალა ბალანსი ახლო აღმოსავლეთში. თურქეთის ეს გადაწყვეტილება დიდწილად განპირობა აშშ-თან მისმა დაპირისპირებამ, რაც გამოიხატა საუდის არაბეთის ახალი მთავრობის მკვეთრად გამოხატული პროამერიკული ზეგავლენით. ამასთან დაკავშირებით, თურქეთის ლიდერებმა გადაწყვიტეს შეეცვალათ საგარეო ორიენტირები სირიის მიმართულებით. ვაშინგტონის მხრიდან არასაფრენი ზონის შექმნაზე უარის თქმით, აგრეთვე პროთურქული სირიის თავისუფალი არმიის დახმარებაზე უარით უაღრესად გაფუჭდა ანკარა-ვაშინგტონის ურთიერთობა; ხოლო ბოლო წვეთი მათ დაპირისპირებაში აღმოჩნდა ამერიკის მიერ ქურთული პროამერიკული სირიის შეიარაღებული ძალების შექმნა.

ამით აიხსნება თურქეთისა და კატარის დაახლოება, რაც სირიაში საერთო ინტერესებით იყო განპირობებული. ანკარას ცალკე დამოუკიდებლად არ შეეძლო შეექმნა სირიაში საბრძოლო ქვედანაყოფები, ხოლო კატარს ასევე არ შეეძლო თურქეთის ტერიტორიის გარეშე ისლამური სახელმწიფოს დახმარება. ანკარამ ორჯერ იხსნა „ისლამური სახელმწიფო“ სრული განადგურებისაგან; მან ხელი შეუწყო ისლამური სახელწმიფოს მებრძოლების გადასროლას თურქეთის ტერიტორიის გავლით ქურთული შენაერთების ზურგში [26, 16-17].

ამავე დროს „დაიშ“-ის მხარეს თავი მოიყარეს ჯიჰადის მომხრეებმა მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, მათ შორის ჩრდილოეთ აფრიკიდან და რუსეთიდან (ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიიდან და ვოლგის-პირეთიდან, სადაც ისლამია გავრცელებული), ცენტრა-ლური აზიის რესპუბლიკებიდან, ჩინეთის სინძიანი-დან. დასავლეთ ევროპიდან მას შეუერთდნენ იქაური რადიკალიზებული ახალგაზრდა მუსლიმები და ისლამზე გადასული ადგილობრივი ევროპელებიც [12, 152].

„ისლამურმა სახელმწიფომ“ ფინანსური მდგომა-რეობა საგრძნობლად გაიუმჯობესა ერაყის რამდენიმე ქალაქზე კონტროლის მოპოვებით, სადაც ბანკებში დიდძალი თანხა აღმოჩნდა. მარტო ქალაქ მოსულის ბანკებში ნაძარცვმა 377 მილიონი დოლარი შეადგინა. ნავთობით არალეგალური ვაჭრობით კი ყოველ-დღიური შემოსავალი, სხვადასხვა მონაცემებით 1-3 მილიონ დოლარს შეადგენდა. ადგილობრივი ბიზნესის რეკეტი ყოველთვიურად ტერორისტებს 8 მილიონ დო-ლარს, ხოლო ტყვეთა გამოსყიდვა წელიწადში 100 მილიონ დოლარს მატებდა. ასევე ბიუჯეტის შევსების წყაროს წარმოადგენდა მუზეუმების ძარცვის შედეგად სხვადასხვა არტეფაქტით ვაჭრობა შუამავლების მე-შვეობით დასავლეთის არალეგალურ აუქციონებზე. შემოსავლის კიდევ ერთი წყარო იყო „ისლამური გადასახადი“, რომელსაც იხდიდნენ ის ისლამისტები,

ვინც ისლამის სუნიტური მიმდინარეობის მიღებაზე უარს ამბობდნენ [25, 27].

2015 წლის შემოდგომაზე ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ დაიწყო ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების და სპეცდანიშნულების რაზმების გაგზავნა სირიის ქურთების წვრთნისა და კონსულტირებისათვის, რომლებიც „დაიშ“-ს ებრძოდნენ. ამერიკის ადმინისტრაციამ ეს გააკეთა დიდი ყოყმანით მას შემდეგ, რაც არაერთხელ უშედეგოდ სცადა, იმავე მიზნით შეეიარაღებინათ სირიის ოპოზიციური ძალები. თანდათან ამერიკელი სამხედროების რიცხვმა სირიაში ორი ათასს გადააჭარბა და ისინი წარმატებით თანამშრომლობდნენ ქურთებთან და საერთაშორისო კოალიციასთან.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ვაშინგტონს რთული დილემა აქვს ქურთებთან დაკავშირებით. 1990-იან წლებში ერაყის ქურთები უპირისპირდებოდნენ სადამ ჰუსეინს და სარგებლობდნენ აშშ-ის მხარდაჭერით. 2014-2018 წლებში ე. წ. „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ აშშ-ის მეთაურობით მებრძოლ საერთაშორისო კოალიციას სირიის ქურთებმა უაღრესად ქმედითი დახმარება აღმოუჩინეს და დიდი მსხვერპლიც გაიღეს. ამერიკელმა სამხედროებმა ეს შესანიშნავად იცოდნენ. მაგრამ საქმეში „ჩაერია გეოპოლიტიკა“: ვაშინგტონს უხდებოდა ნატო-ში თავისი მოკავშირე თურქეთისა და, აგრეთვე, ერაყის მთავრობის მკვეთრად

უარყოფითი განწყობის გათვალისწინება ქურთების თუნდაც კვაზი-სახელმწიფოებრიობის შექმნის მიმართ [12, 99-100].

ამ დროს „დაიშ“-ს უკვე ეკავა დიდი ფართობი დასავლეთ ერაყსა და აღმოსავლეთ სირიაში, სადაც 6-8 მილიონ ადამიანს მოუხდა შუა საუკუნეების შარიათის წესებით ცხოვრება. „მსოფლიო სახალიფოს“ სახელით და ათასწლეულის წინანდელი ველური წესების გამოყენებით (ქვით ჩაქოლვა, თავისა და კიდურების მოკვეთა, მონად გაყიდვა) „დაიშ“-ი ებრძოდა „ურწმუნოებს“ („ქაფირებს“, ანუ არამუსლიმანებს, და „მწვალებლებს“ – არასუნიტ მუსლიმებს) ფართოდ გახდა ცნობილი მის მიერვე ვიდეოზე გადაღებული ტყვედ აყვანილი ჯარისკაცებისა და სამოქალაქო პირების სიკვდილით დასჯის სხვადასხვა ფორმები.

ფანატიკოსებმა მოსპეს, როგორც „წარმართული“, სამი-ოთხი ათასწლეულის წინანდელი უძველესი ცივილიზაციის უამრავი ფასდაუდებელი ძეგლი, რომლებიც არქეოლოგებმა წინა ორი საუკუნის განმავლობაში აღმოაჩინეს და კაცობრიობას შემოუნახეს. მაგალითად, მიზანმიმართულად განადგურდა ძველი ასირიის დედაქალაქ ნინევიის ნაშთები, ანტიკური ქალაქი პალმირა, ქალაქ მოსულის მუზეუმის შესანიშნავი არქეოლოგიური ექსპონატები და სხვ.

შეიქმნა ტერიტორიულად გიგანტური წარმონაქმნი, რომელიც თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო

ტექნოლოგიებს იყენებდა მსოფლიოში გაფანტული მომ-ხრეების მოსაზიდად და სხვადასხვა ქვეყანაში ტერორის-ტული აქტების მოსამზადებლად. „დაიშ“-მა მსოფლიოს ამ ნაწილში დროებით შექმნა „ინტერნეტისა და მობი-ლური ტელეფონის მქონე შუა საუკუნეები“.

მრავალმა ქვეყანამ „დაიშ“-ი უკანონო ტერო-რისტულ წარმონაქმნად გამოაცხადა. მუსლიმურ ქვეყ-ნებშიც კი ის არც „ისლამურად“ და არც „სახელმწიფოდ“ ოფიციალურად არავინ ცნო [12, 155].

გაერო-ს 70-ე საიუბილეო წლისთავის (2015 წლის 28 სექტემბერს) აღნიშნულ ღონისძიებაზე, როდესაც დაწყებული იყო არნახული მასშტაბის მიგრაცია, რუ-სეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ისე, რომ სხვა გამომსვლელებს არ დაელოდა, სიტყვებით – „ახლა მაინც თუ ხვდებით, რა ჩაიდინეთ?!“ ხატოვნად თუ ვიტყვით, „კარი გაიჯახუნა“ და საკუთარ თვითმფრი-ნავს მიაშურა. ამ ამბიდან მეორე დღესვე რუსეთის საჰაერო-კოსმოსურმა ძალებმა პირველი იერიში მიიტანეს ისლამისტების კონტროლს დაქვემდებარე-ბულ სირიის არაბთა რესპუბლიკაზე და, გადაუჭარ-ბებლად შეიძლება ითქვას, რომ სირიის პრეზიდენტი ბაშარ ასადი ერაყის პრეზიდენტ სადამ ჰუსეინის ბედს გადაარჩინეს. ბაშარ ასადი, რომლის ჩამოსახრჩობი თოკი უკვე გასანთლული ჰქონდათ ამერიკელებს [27, 9]. დამასკოში ასადის ოჯახის წევრებისა და სასახლის დაცვა რუსეთის სამხედრო დაზვერვის ჩეჩნური

სპეცდანიშნულების ბატალიონ „ვოსტოკის“ მებრძოლებს ჰქონდათ დავალებული [28, 34].

როგორც ჩანს, ვაშინგტონისა და ნატოს სტრატეგებს შექმნილი ჰქონდათ წარმოდგენა, რომ მოსკოვს შეეძლო თავისი აგრესიული ძალის გამოვლინება, მხოლოდ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში (საქართველო, უკრაინა, მოლდოვა), მაგრამ უფრო შორს ვერ იმოქმედებდა. ამიტომაც იქცა მათთვის უსიამოვნო სიურპრიზად, როდესაც რუსეთის ფედერაცია 2015 წლის სექტემბრის ბოლოს თავისი საჰაერო-კოსმოსური ძალების მეშვეობით მოულოდნელად ჩაერთო სირიის სამოქალაქო ომში და, როგორც აღვნიშნეთ პრაქტიკულად გადაარჩინა ასადის რეჟიმი თითქმის გარდაუვალი კრახისაგან. იმ მონეტისათვის ასადის ძალები სირიის ტერიტორიის მცირე ნაწილსღა აკონტროლებდნენ, ძირითადად დედაქალაქ დამასკოს და ქ. ლათაკიის მიმდიბარე, ალავიტებით დასახლებულ რაიონებს.

რუსეთი დაეხმარა ბაშარ ალ-ასადს სხვადასხვა მეამბოხე, მათ შორის ჯიჰადისტური ჯგუფების განდევნაში ქვეყნის უდიდეს ქალაქ ალეპოდან, ისტორიულ ქალაქ პალმირადან, სადაც „დაიშ“-ი ანადგურებდა ძვირფას ისტორიულ მემკვიდრეობას, ნავთობმოპოვების ცენტრ დეირ ეზ-ზორიდან და სხვ. ახლო აღმოსავლეთის ექსპერტმა ს ტ ი ვ ე ნ კ უ კ მ ა ასე დააჯამა რუსეთის ქმედების მიმართ ამერიკაში და, ზოგადად, დასავლეთში შექმნილი ექსპერტული აზრი: ანალიტი-

კოსების უმეტესობა მიიჩნევს, რომ ახლო აღმოსავლეთ-ში რუსეთის ძალის დემონსტრაცია არის მკაფიო ინდი-კატორი, რომ გლობალური მეტოქეობა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის მხოლოდ წარსული კი არაა, არამედ აწმყოც და მომავალიც; მაგრამ ექსპერტების მცირე ნაწი-ლი – რუსეთის მკვლევრები, ამერიკელი დიპლომატები, ჟურნალისტები – მიიჩნევს, რომ რუსეთი სუსტია, ფინანსურად შეზღუდული და სირიის პრობლემებში ჩაფლობა მას ცუდ შედეგს მოუტანს.

თუმცა უმცირესობის აზრიც ხანდახან არაა რეა-ლობას აცდენილი, სტივენ კუკი მაინც უმრავლესობის აზრს ემხრობა და მიაჩნია, რომ რუსეთს აქვს, როგორც სტრატეგია, ისე საკმარისი ძალაც: „სირიაში რუსებმა მოახდინეს პოლიტიკური ნებისა და გამძლეობის დე-მონსტრაცია. ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მაგალი-თად, რუსეთის ეკონომიკის ზომა, რასაც იყენებენ მისი სისუსტის ინდიკატორად. იმის დაჯერება, რომ რუსეთის ძალა ეფემერულია, შეიცავს რისკს, შეგვექმნას ისეთი წარმოდგენა მსოფლიოს შესახებ, რომელიც თვითდამკვიდრებას წარმოშობს ... რუსები არ აპირებენ წასვლას, მათ აქვთ დასავლეთის დასუსტების სტრა-ტეგია, რომელიც ახლო აღმოსავლეთში იწყება“.

რუსეთის ჩართვა სირიის კონფლიქტში, ბუნებრი-ვია, არ იქნებოდა კრემლის მიერ სტიქიურად მიღე-ბული გადაწყვეტილება. ამისათვის ის სერიოზულად ემზადებოდა. არსებობს ასეთი მოსაზრებაც, რომ

სირიაში სამხედრო მოქმედების დაწყებით რუსეთს უნდოდა, მსოფლიო ყურადღება გადაეტანა ერთი წლით ადრე უკრაინაში მის მიერვე განხორციელებული აგრესიისაგან (ყირიმის უკანონო ანექსია, აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატიზმის მხარდაჭერა).

ფორმალურად, რუსეთი სირიაში მივიდა პრეზიდენტ ბაშარ ასადის თხოვნით, ტერორისტულ წარმონაქმნ „დაიშ“-თან საბრძოლველად, რომელიც იმ დროს მართლაც წარმოადგენდა დიდ საფრთხეს მთელი ახლო აღმოსავლეთისა და არა მარტო ამ რეგიონისათვის. ამ საფრთხეს დასავლეთის კოალიციაც ებრძოდა. მაგრამ „დაიშ“-ის პოზიციების დაბომბვის პარალელურად და უფრო გადამეტებითაც კი, რუსულმა ავიაციამ გაანადგურა ასადის მოწინააღმდეგე ძალიან ჭრელი ოპოზიციის საგრძნობი ნაწილი, რომელსაც, თავის მხრივ, აიარაღებდნენ ამერიკა, თურქეთი, ყურის ზოგი არაბული სახელწმიფო. ფაქტია, რომ სირიის კონფლიქტში ჩართვა კრემლის შორსმიმავალი გეოპოლიტიკური მიზნის ნაწილად მოჩანს: მას უნდა სამხედრო-პოლიტიკურად დამკვიდრდეს ხმელთაშუა ზღვის აუზში [12, 103-104].

სამხედრო დახმარების სანაცვლოდ, ბაშარ ალ-ასადმა რუსეთს უვადოდ დაუთმო ტ ა რ ტ უ ს ი ს ნავსადგურის ნაწილი ხმელთაშუა ზღვაზე, სადაც თანდათან იქმნება რუსული სამხედრო-ბაზა და ხ მ ე ი მ ი ს

აეროდრომი, სადაც უკვე დაფუძნდა და კეთილმოეწყო რუსული სამხედრო ბაზა.

რუსეთის დიდ გავლენას სირიის რეჟიმზე მოწმობს ამ უკანასკენლის მიერ საქართველოს სეპარატისტული ნაწილის „დამოუკიდებლობის“ ცნობა 2018 წელს, რაც მხოლოდ კრემლის საამებლად (ან მისი ზეწოლის შედეგად) გადადგმული გაუაზრებელი ნაბიჯია. ის დამასკოს არავითარ ეკონომიკურ სარგებელს არ მოუტანს და პოლიტიკურადაც წამგებიანია იმ პირობებში, როდესაც მთელი მსოფლიო საწინააღმდეგო პოზიციაზეა.

სირიის სამხედრო კონფლიქტში რუსეთს საშუალება ჰქონდა გამოეცადა თავისი ყველანაირი შეიარაღება (გარდა ბირთვულისა) და რეალურ საბრძოლო პირობებში გაეწვრთნა თავისი არმიისა და ფლოტის ოფიცრების და რიგითი შემადგენლობა. 2018 წლის 22 აგვისტოს რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ თავის ოფიციალურ არხზე განათავსა სირიაში თითქმის სამწლიანი სამხედრო ოპერაციის შედეგები. მონაცემები, რომელთა გადამოწმება შეუძლებელია, როგორც ჩანს, გათვლილი იყო საგარეო და შიდა პროპაგანდისტულ ეფექტზე: უცხოს უნდა შეშინებოდა, ხოლო რუსეთის მოქალაქეებს უნდა ერწმუნათ მათი „დერჟავის“ სამხედრო სიძლიერე.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, სირიის ოპერაციაში 2015 წლის სექტემბრიდან 2018 წლის

აგვისტომდე მონაწილეობა მიიღო რუსეთის 63 013 სამხედრო მოსამსახურემ, მათ შორის 434 გენერალმა და 25 738 ოფიცერმა (უმეტესობას სამთვიანი როტაცია ჰქონდა); რუსეთის ყველა სამხედრო ოლქის მეთაურმა და მათი შტაბის კოლექტივმა გაიარა წვრთნა სირიაში; ოპერაციას ძირითადად სამხედრო-საჰაერო ძალები ახორციელებდნენ და ჯამში 39 ათას გაფრენაში მონაწილეობა მიიღო რუსეთის საარმიო ავიაციის ეკიპაჟების 91 პროცენტმა, სამხედრო-სატრანსპორტო ავიაციის – 97 პროცენტმა და სტრატეგიული ავიაციის – 60 პროცენტმა, ანუ რუსი მფრინავების უმეტესობამ გაიარა საბრძოლო წვრთნა სირიის ცაში (თუმცა მათ არ ჰქონდათ საქმე მოწინააღმდეგის ავიაციასთან, რომელიც არც „დაიშ“-ს და არც ისლამისტ მეამბოხეებს არა აქვთ); სარაკეტო დარტყმები განხორციელდა ხმელთაშუა ზღვაში და კასპიის ზღვაში მყოფი ხომოალდებიდან; გამოიცადა შეიარაღების 231 ახალი სახეობა და ა. შ.

რუსეთის ხელმძღვანელობა ცდილობდა, არ გამოეყენებინა სიტყვა „პოლიგონი“, მაგრამ რუსეთის არმიისათვის სირია რეალურად იყო სამხედრო პერსონალის წვრთნისა და ახალი იარაღის გამოცდის ადგილი, რასაც, ჩვეულებრივ, „სამხედრო პოლიგონს“ უწოდებენ ხოლმე! იმავე ცნობის თანახმად, სირიაში ლიკვიდირებული იქნა 86 ათასი „ბოევიკი“ (მათ შორის 4, 5 ათასი წასული რუსეთიდან და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან) და მათი 830 ლიდერი.

ჰაერიდან ალბათ ძნელი გასარჩევი იქნებოდა ვინ არის ამ ათეულ ათასობით ლიკვიდირებულთა შორის „ბოევიკი“ (კიდევ უფრო ძნელი – მათი წარმოშობის დადგენა) და ვინ – სირიის მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის ქალი და ბავშვი! მაგრამ „მამაც“ რუს მფრინავებსა და ბაშარ ალ-ასადს ეს პრობლემა საერთოდ არ შეაწუხებდა!

რუსეთი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ სირიაში გავლენის მოპოვებით. ის რეგიონის სხვა ქვეყნებში ეძებდა და პოულობდა გარკვეული შეხების წერტილებს, თუნდაც დროებითი კავშირებისათვის [12, 105-106]. ამავე დროს სირიაში სამხედრო ყოფნა რუსეთს იძულებულს ხდის, მონაწილეობა მიიღოს სამხედრო ოპერაციებში, რომლებიც მას ნაკლებად სჭირდება. მაგალითად, პრესაში გახმაურდა 2018 წლის თებერვალში ბაშარ ალ-ასადის არმიის ნაწილებისა და რუს მოქირავნეთა უშედეგო მცდელობა, დაეკავებინათ მდ. ევფრატის მარცხენა ნაპირზე მდებარე, სირიელი ქურთების კონტროლის ქვეშ მყოფი, ნავთობსარეწები და ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა. ქურთების მხარემ სასწრაფოდ მიმართა ამერიკელებს, რომელთა სამხედრო ნაწილებმა სარაკეტო და საავიაციო დარტყმებით გაანადგურეს შეტევის მონაწილეთა დიდი რაოდენობა და მათი ჯავშანტექნიკა. კრემლმა გაასაიდუმლოვა დაღუპული რუსების რიცხვი (როგორც ჩანს, არც თუ მცირე), რადგან საბრძოლო დაპი-

რისპირებამდე, ამერიკელებთან სატელეფონო საუბარში, რუსეთის არმიის წარმომადგენელი დაჟინებით უარყოფდა რუსეთის მოქალაქეების რაიმე სახით მონაწილეობას ამ ავანტიურაში [12, 110].რაც შეეხება თურქეთს, რეალურად თვითონაც გახდა სირიის სამოქალაქო ომის მსხვერპლი, რადგან ხუთ მილიონზე მეტმა ლტოლვილმა სირიელმა მის ტერიტორიას მიაშურა, რომელთაგან თითქმის 3, 5 მილიონი დღემდე რჩება თურქეთში. 2015 წელს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს მიაწყდა მილიონამდე სირიელი (მათ სხვა ქვეყნებიდანაც შეუერთდნენ ევროპული შეღავათებით სარგებლობის მსურველები), რამაც დიდი „მიგრაციული კრიზისი“ გამოიწვია. 2016 წელს ევროკავშირისგან გაფორმებულმა შეთანხმებამ შეამცირა სირიიდან მიგრანტების ნაკადი, რადგან თურქეთი შეუთანხმდა ევროკავშირს, რომ თავის ტერიტორიაზე ლტოლვილების დატოვებისათვის საგრძნობ ფინანსურ კომპენსაციას მიიღებდა. მაგრამ ეს ტვირთი თურქეთისათვის მაინც ძალიან მძიმეა [12, 146]. ჯერ კიდევ 2016 წლის თებერვლაში „ჰუმან რაით ვოჩის“ მონაცემებით, სირიის სამოქალაქო ომის დროს 470 000 პირი დაიღუპა. გაეროს ინფორმაციით 6, 1 მილიონი ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი, ხოლო 4, 8 მილიონი სირიელი საზღვარგარეთ იმყოფებოდა ლტოლვილის სტატუსით. ამავე წელს დაახლოებით ერთი

მილიონი სირიელი კი ალყაში იმყოფებოდა ჰუმა-ნიტარული დახმარების გარეშე [16, 120].

2018 წლის 19 დეკემბერს პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა საკუთარი ადმინისტრაციისათვის მოუ-ლოდნელად განაცხადა (როგორც სჩვეოდა ტვიტერით!), რომ „დაიშ“-ი დამარცხებულია და ამერიკელი სამხედ-როები დაუყონებლივ შინ უნდა დაბრუნდნენ. ასეთი გადაწყვეტილება იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა ამერიკის თავდაცვის მდივნის (მინისტრის) ჯ ე ი მ ს მ ე ტ ი ს ი ს ა თ ვ ი ს, რომ ის თანამდებობიდან გადადგა. ასევე გადადგა აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი „ისლამურ სახელმწიფოსთან მე-ბრძოლ გლობალურ კოალიცია-ში“ ბ რ ე ტ მ ა კ გ ე რ კ ი, რომელიც სულ ცოტა ხნით ადრე აცხადებდა, რომ „დაიშ“-ი დამარცხებული ბოლომდე არაა და ამერიკელები სირიელ ქურთებს არ მიატოვებდნენ.

ტრამპმა მალევე გადათქვა ამერიკელი სამხედ-როების სირიიდან სასწრაფოდ გამოსვლა და ვადა აღარ დაუთქვამს. ცნობილმა დიპლომატმა ა. ვ ე რ შ ბ ო უ მ 2018 წელს, ჯერ კიდევ ტრამპის 19 დეკემბრის განცხადებამდე, აღნიშნა: „რუსეთი, თურქეთი და ირანი განაგრძობენ სირიაში პოლიტიკური გადაწყვეტილების ძიებას აშშ-ის მონაწილეობის გარეშე“ [12, 99].

აშშ-ის ახალი პრეზოდენტის ჯო ბაიდენის განკარგულებით, ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა დაბომბეს ინფრასტრუქტურა აღმოსავლეთ სირიაში,

რომელშიც თითქოს პროირანული დაჯგუფებები მოქმედებდნენ. საავიაციო შეტევის შედეგად დაიღუპა 17 ადამიანი. ეტყობა ამას გულისხმობდა ჯო ბაიდენი, როდესაც ამერიკის დაბრუნებაზე ლაპარაკობდა [29, 24]. როგორც ჩანს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური ქარიშხალი ჯერ არ ჩამდგარა. როგორ განვითარდება მოვლენები, ამას მომავალი გვიჩვენებს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გ. სანიკიძე, „ახლო“ და „შუა“ აღმოსავლეთი: ტერმინთა ისტორიისათვის, კრ. „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, VI, თბილისი, 2009
2. რ. გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი, ორ ტომად – ტომი I, თბილისი, 2018
3. გ. გაჩეჩილაძე, სირია–ცივილიზაციის აკვანი, გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2015, # 8
4. Таниа Ал Харири-Вендель, символы ислама, М. – П., 2005
5. კ. წერეთელი, „სირიელისა“ და ასურელის“ აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში, „ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული“, თბილისი, 1976
6. კ. წერეთელი, არამეული ენა საქართველოში, „მნათობი“, 1976, #6
7. ა. მექვაბიშვილი, მსოფლიო დღეს, თბილისი, 2006
8. გ. მათიაშვილი, ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტები, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 2019, # 43

9. ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, ტომი 2, თბილისი, 1999
10. გ. არქანია, ჰაფეზ ალ-ასადი თბილისში, ჟურნ. „ისტორიანი“, 2016, # 11
11. უილიამ რ. ქილორი, მეოცე საუკუნის მსოფლიო, თბილისი, 2015
12. რ. გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი ორ ტომად – ტომი II, თბილისი, 2019
13. А. А. Фурсенко, Нефтяные войны, Ленинград., 1985
14. А. Е. Примаков, Персидский залив: Нефть и монополии, М., 1983
15. Рой Медведев, Н. С. Хрущев, М., 1990
16. ც. ჯახველაძე, „არაბული გაზაფხული“ და სირია, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები““, 2019, # 43
17. მ. ლაბაძე, სომხეთის გათავისუფლების საიდუმლო სომხური არმია („ასალა“), ჟურნ. „არსენალი“, 2011, # 5
18. გ. ბერიძიშვილი, ისლამური რადიკალიზმი, ჟურნ. „არსენალი“, 2014, # 12
19. Н. В. Жданов, А. А. Игнатенко, Ислам на пороге XXI века, М., 1989
20. ს. ლობჟანიძე, აღზრდის ეთიკური პრინციპები ეპო-ქალური ცვალებადობის შუქზე, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 2006
21. ზ. კელაპტრიშვილი, საქართველო-დაღესტნის ურთიერ-თობა უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე (სადოქტორო დისერტაცია), თბილისი, 2006
22. В. Ю. Гошев, Ссср и страны Персидского залива, М., 1988
23. კ. ცერცვაძე, რუსეთის აგრესიული ენერგოპოლიტიკა, ჟურნ. „საისტორიო ვერტიკალები“, 2019, # 43
24. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2012, #45

25. ჯამბულ წულაია, როგორ იქმნებოდა „ისლამური სახელმწიფო“, ჟურნ. „არსენალი“, 2015, #8
26. დ. ხორბალაძე, „ისლამური სახელმწიფოს“ წარმოშობა, მიზეზები, ჟურნ. „არსენალი“, 2019, # 12
27. გაზ. „საქართველო და მსოფლიო, 2020, # 33
28. ვ. მაისაია, სირია და კავკასიის რეგიონული უსაფრ-თხოება, ჟურნ. „არსენალი“, 2014, #1
29. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2021, # 7

პანდემია – ბუნებრივი და ხელოვნური

მასშტაბური ეპიდემიები, რომელიც ერთდროულად მოედებოდა ხოლმე რამდენიმე ქვეყანას და პანდემიის სახეს მიიღებდა, შეიწირა უფრო მეტი ადამიანის სიცოცხლე, ვიდრე კაცობრიობის ისტორიაში მომხდარმა ყველა ომმა. ჭირი, ყვავილი, ხოლერა ხალხის მიერ აღიქმებოდა, როგორც უფლის სასჯელი. ყველა ამ დაავადებაზე ადრე თუ გვიან კაცობრიობა იმარჯვებდა, მაგრამ შემდეგ ახალი პანდემია ჩნდებოდა.

ისტორიულ წყაროებში პანდემიის პირველი დაწვრილებითი აღწერა ჩვ.წ. აღ.მდე 430 წლის მოვლენებს უკავშირდება. პელოპონესის ომის დროს, როდესაც ათენსა და სპარტას შორის დაპირისპირებამ მძაფრი ხასიათი მიიღო, ათენელებმა ეგვიპტეში და ზღვისპირა კოლონიებში შეიძინეს პური, რასაც „შავი ჭირის“ მატარებელი ვირთხები შემოყვნენ [1, 20]. ეპიდემიამ მოსახლეობის სიკვდილიანობა გამოიწვია. ათენის სამხედრო შენაერთებმა დიდი ზარალი განიცადეს. პოტიდეასთან მდგარი 4000 მოემრიდან 40 დღეში 1500 დაიღუპა. შავმა ჭირმა 2700 მძიმედ შეჭურვილი მეომრიდან 400 მოსპო [2, 11]. ოთხ წელიწადში დაავადებამ 30000 ადამიანი შეიწირა, რაც პოლისის მოსახლეობის მეოთხედს შეადგენდა. ჩასაფრებული სიკვდილის მოლოდინში ათენელები

ჯოჯოხეთური ცოდვების ჩადენასაც არ ერიდებოდნენ. პ ე რ ი კ ლ ე - მათი სიძლიერის ერთ-ერთი საყრდენიც კი დაადანაშაულეს ათენის თავზე დატრიალებულ უბედურებაში და მოკლავდნენ კიდეც, შავ ჭირს რომ არ დაესწრო [3, 20].

შავი ჭირის ყველაზე დიდი პანდემია აღინიშნა ბიზანტიაში VI საუკუნის 40-50-იან წლებში, იმპერატორ იუსტინიანე I-ის (527-565 წწ.) დროს. დასაწყისში ჟამი 541 წელს გამოჩნდა ეთიოპიასა და ეგვიპტეში, საიდანაც ის მოედო იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებს, შემდეგ კი ევროპისა და აზიის სიღრმეებშიც შეაღწია. ე.წ. „იუსტინიანეს ჭირი“ ხასიათდებოდა შედარებით ვრცელი გეოგრაფიული და ხანგრძლივი დროის მასშტაბით. სწორედ ამიტომ ის ითვლება პირველ პანდემიად.

კონსტანტინოპოლში შავი ჭირის გარდაცვალებით პირველი შემთხვევები 542 წლის მაისით თარიღდება. ბიზანტიელი მემატიანის, პროკოფი კესარიელის თანახმად, ავადმყოფობა თავს დაატყდა დედამიწის არა ერთ რომელიმე ნაწილს ან საზოგადოების ერთ ფენას, არამედ ის შეეხო ყველას - სხვადასხვა სოციალური წრის წარმომადგენლებს, ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრსა და პროვინციებს; არ ინდობდა არც ქალსა და კაცს, არც ახალგაზრდასა და მოხუცს. კონსტანტინოპოლში ,,სენი ოთხ თვეს გაგრძელდა, თუმცა განსაკუთრებით ბობოქრობდა სამი თვის განმავლობაში. თავიდან

ჩვეულებრივზე ცოტა მეტი ხალხი კვდებოდა, შემდგომ კი სიკვდილიანობამ იმატა. გარდაცვლილთა რიცხვი დღეში 5 ათასს აღწევდა, შემდეგ - 10 ათასს და მეტსაც“. მიაჩნიათ, რომ იუსტინიანეს დროინდელ შავ ჭირს 30-დან 50 მილიონამდე ადამიანი ემსხვერპლა [2, 11].

მოგვიანებით ეპიდემიამ მოიცვა ევროპა და ახლო აღმოსავლეთი, მიაღწია ჩრდილოეთ აფრიკამდე, საიდანაც ეპიდემიის ,,ჩხირი“ თავდაპირველად სწორედ აქედან გავრცელდა. შავი ჭირის ბოლო გამოძახილი 683 წელს დაფიქსირდა ინგლისში. ზოგიერთი მკვლევრის გამოანგარიშებით საუკუნენახევრის განმავლობაში პანდემიის მსხვერპლმა 100 მილიონს მიაღწია [1, 21].

XIII საუკუნის დასაწყისში ეგვიპტეში ,,ჰაერი საშინლად დაბინძურდა, შავი ჭირის ეპიდემია და სასიკვდილო ინექციები პირველ რიგში შეეხო ღარიბ ადამიანებს, რომლებიც სულ უფრო მეტად განიცდიდ-ნენ საკვების ნაკლებობას, და ამიტომ, ლეშის, ძაღლე-ბისა და ნაკელის ჭამას მიჰყვეს ხელი. მერე იმ ზომამდე მივიდნენ, რომ პატარა ბავშვების ჭამაც დაიწყეს“ [4, 85].

XIII საუკუნის ბოლომდე ევროპელები ცხოვ-რობდნენ ჩვეულებრივ ბუნებრივ პირობებში - კლიმატი იყო რბილი, ზამთარი თბილი. მაგრამ XIV საუკუნის დასაწყისში ვითარება მკვეთრად შეიცვალა. დაიწყო მცირე გამყინვარების პერიოდი, რამაც გამოიწვია უჩვეულო აცივება. ამას მოყვა სხვადასხვა დაავადების გავრცელება. შუა საუკუნეების ქრონისტების

ჩანაწერებით, უკანასკნელი ცხელი ზაფხული მხოლოდ 1311 წელს დაფიქსირდა. ამის შემდეგ ზაფხული ზამთარს დაემსგავსა - მზე ღრუბლებს ამოეფარა, დაიწყო გამუდმებული წვიმები. ზამთარი ისეთი ცივი იყო, რომ სიღარიბეში მცხოვრები ადამიანები ძილის დროს საწოლში იყინებოდნენ. შინაური პირუტყვი და ფრინველი იხოცებოდა.

კლიმატის შეცვლის შედეგად მეურნეობა პარა-ლიზებული გახდა. დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში განადგურდა ხილის ბაღები. იტალიის სამხრეთში ზაფხულში თოვლიც კი მოვიდა. დაიწყო დიდი შიმშილის ეპოქა, რომელმაც კონტინენტის მთელი ჩრდილოეთი ნაწილი მოიცვა. შიმშილის გამო მილიონიობით ადამიანი იღუპებოდა. ბრიტანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ფლანდრიის, სკანდინავიისა და პოლონეთის ქალაქების მოსახლეობის მეოთხედი სტიქიას შეეწირა. გაჭირვებამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ მშობლები შვილებს მონებად ყიდდნენ. გავრცელ-და კანიბალიზმი. მოხუცები ნებაყოფლობით შიმში-ლობდნენ, რომ შვილები და შვილიშვილები გადაერ-ჩინათ. ქურდობა და ყაჩაღობა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. პროდუქტებზე ფასი 32%-ით გაიზარდა. გაჩნდა მარილის დეფიციტი, რამაც გადარჩენილი პროდუქტის შენახვა გააძნელა. წლების მანძილზე ხალხი ხელ-პირს ვეღარ იბანდა. ფანჯრები ამოქოლეს სიცივისაგან დასაცავად. საწოლში ტანსაცმლიანებს ეძინათ, სადაც

ვირთხები დანავარდობდნენ. ღამის ქოთნებს პირდაპირ ქუჩაში აქცევდნენ. ქალაქის სასაკლაოდან ნარჩენებს მდინარეში ყრიდნენ, საიდანაც მოსახლეობა სასმელ წყალს იღებდა [5, 18-19].

ინგლისურ წყაროებში მოთხრობილია უპრეცედენტო შემთხვევის შესახებ: ,,ედუარდ II-ის ქალაქში გადაადგილების დროს, ერთი გრამი პურიც კი ვერ იშოვეს მშიერი გვირგვინოსნისთვის. მუხის ქერქის საკვებად მიღებაზე კი მეფემ უარი განაცხადა“ [6, 21].

ზემოაღნიშნულ ყველა უბედურებას დაემატა კეთრისა და ყვავილის დაავადება, რამაც გამოიწვია შუა საუკუნეების ადამიანებში იმუნური სისტემის დაქვეითება. შედეგად კი მივიღეთ დემოგრაფიული კატასტროფა.

განსაკუთრებით დიდი მასშტაბი ,,შავი ჭირის“ პანდემიამ დასავლეთ ევროპაში მიიღო XIV-XVI საუკუნეებში, რაც ,,ვირზაზუნებს“ უკავშირდება. ეს არსებები ცენტრალურ აზიაში ბინადრობენ, და ადგილობრივი მოსახლეობა საკვებად იყენებდა. სასურველი კი იყო, რომ ადამიანებს ამ ,,დელიკატესისაგან“ თავი შორს დაეჭირათ, რამდენადაც ვირზაზუნები ადვილად იკიდებენ რწყილებს, რომლებიც ზოგადად საშიში ბაცილების მატარებლები არიან. ეს ბაცილები ანადგურებენ როგორც თვითონ რწყილებს, ასევე ვირზაზუნებსაც. განსაზღვრულ პერიოდში, როცა ვირზაზუნები ცოტანი არიან, რწყილები შეიძლება ცხოველების სხვა სახეო-

ბებსაც მოედონ: კურდღლებს, ვირთხებს და ... ადამიანებსაც. თუ კი ამ სახის ბაცილა სისხლში მოხვდა, იწვევს რეაქციას, რაც ორგანიზმზე, ჩვეულებრივ, სასიკვდილოდ მოქმედებს (მაგრამ არა ყოველთვის). იგი აზიანებს ფილტვებს (ასეთი შემთხვევების 90% სიკვდილით მთავრდება), აბინძურებს სისხლს (100%-ით სიკვდილიანობა) და ლიმფურ კვანძებს. ეს უკანასკნელნი კი მაშინ, როცა ორგანიზმიდან ტოქსინი უნდა გამოიტანონ, იბერებიან და გარდაიქმნებიან მუქ, მყარ კაკლისხელა სიმსივნედ, იმავე ბუბონებად, საიდანაც წარმოიქმნა ამ დაავადების სახელწოდებაც: ,,ბუბონის ჭირი“, რაც უფრო მეტად ,,შავი სიკვდილის“, ანუ შავი ჭირის სახელწოდებითაა ცნობილი.

1340 წელს მონღოლეთში ვირზაზუნების რაოდენობა შემცირდა. ჭირის ბაცილებმა კი, რადგან ,,აღარსად დაედგომებოდათ“, გზაზე მიმომსვლელ მოგზაურებს შორის დაიდეს ბინა. რამდენიმე წლის შემდეგ კი ჭირის ბაცილებმა ყირიმამდე მიაღწიეს [7, 33-34]. ქალაქ კაფას (დღვანდელი ფეოდოსია) აღების უშედეგო მცდელობის შემდეგ ოქროს ურდოს ხანმა ჯ ა ნ ი ბ ე კ მ ა საალყო მანქანებით გალავნის მეორე მხარეს შავი ჭირით გარდაცვლილთა ცხედრების გადაყრა ბრძანა. ცოტა ხანში ქალაქში ეპიდემიამ იფეთქა. სიცოცხლისათვის საშიში ვირუსული ინფექციების სამხედრო მიზნებით გამოყენებას ვრცელი ისტორია აქვს. 1346 წელს ევროპაში დაწყებული შავი ჭირის ეპიდემიას

სწორედ სამხედრო ფესვები ჰქონდა. არსებობს საფუძ-ლიანი მოსაზრება, რომ ევროპაში შავი ჭირი ციხეს შეფარებულმა ვაჭრებმა ჩაიტანეს. 1346-1353 წლებში ეპიდემიამ ევროპის იმდროინდელი მოსახლეობის 40%-დან 60%-მდე იმსხვერპლა [8, 28]. ყველაფერი კი 1347 წლის ოქტომბერში დაიწყო, როდესაც ყირიმის ნახევარ-კუნძულიდან გენუელთა 12 გემი სიცილიის ქალაქ მესინას ნავსადგურში ჩავიდა და შავი ჭირით დაავადებულები ჩაიყვანა. რამდენიმე თვეში ეპიდემიის კერები გაჩნდა გენუაში, ვენეციასა და მარსელში. 1348 წელს შავი ჭირი მძვინვარებდა ესპანეთში, საფრანგეთ-ში, საიდანაც ინგლისში შეაღწია [2, 11-12]. ევროპაში ამ დროს იწყებოდა ასწლიანი ომი. ასე რომ ,,შავი ჭირი“ დაერთო ომის უბედურებას. ინგლისში ბრიტანელებმა შავი ჭირის ჩხირები შეიტანეს ფრანგულ ნადავლთან ერთად. მაგალითად, მოდური კაბები, რომლებსაც ჩუქნიდნენ თავის რჩეულებს. მთლიანობაში ევროპის ქვეყნებიდან ეპიდემიას, მხოლოდ ჩეხეთი და ფინეთი გადაურჩა [6, 21].

პანდემია დროდადრო ჩაწყნარდებოდა, შემდეგ ევროპის რომელიმე რეგიონში კვლავ იფეთქებდა. ევროპელთა მეხსიერებაში სამუდამოდ დარჩა საშინელი მოგონება ,,შავ სიკვდილზე“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შექმნილმა ვითარებამ შუა საუკუნეების სამედიცინო პრაქტიკა მნიშვნელოვნად განავითარა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება დაეთმო ჰიგიენას და ამ კუთხით,

პირველად, ექიმებსა და ხელისუფლებას შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა.

სხვადასხვა გათვლებით აღნიშნულ ეპოქაში ჭირმა 75-დან 200 მილიონამდე ადამიანი იმსხვერპლა. XIV საუკუნის შუა პერიოდის ,,დიდი პანდემიის“ შემდეგ, შავი ჭირი დროდადრო კვლავ ახსენებდა თავს ბიზანტიასა თუ ევროპის სახელმწიფოებს. XV საუკუნის დასაწყისში ჟამი მძვინვარებდა კონსტანტინოპოლსა და იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში. 1409-1410 წლებში სენმა იმსხვერპლა იმპერატორ მანუელ II პალეოლოგის ორი შვილი - უფლისწული მიხეილი და დიმიტრი. 1417 წელს ამ სენისგან გარდაიცვალა იმპერატორ იოანე VIII-ის მეუღლე - მოსკოვის დიდი მთავრის, ვასილ I-ის ასული ანნა. XV საუკუნის 10-30-იან წლებში ჟამიანობას, რა თქმა უნდა, უკვე ის მასშტაბები არ ჰქონდა, რაც წინა საუკუნეებში, თუმცა მისი ცალკეული კერები კვლავაც ჩნდებოდა. 1438 წლის დასაწყისში შავი ჭირის ეპიდემია გავრცელდა ქალაქ ფერარაში (იტალია), სწორედ იმ დროს, როდესაც იქ დიდი საეკლესიო კრება მიმდინარეობდა (1438 წლის აპრილიდან). მოსალოდნელი საფრთხის გამო წმინდა კრებულმა ქალაქ ფლორენციაში გადაინაცვლა და იქ განაგრძო მუშაობა. ბიზანტიელი ისტორიკოსის, გიორგი სფრანძესის ცნობით, შავი ჭირი ბიზანტიაში XV საუკუნის 40-50-იან წლებში მძვინვარებდა. 1448 წელს ამ სენმა იმსხვერპლა მორეის დესპოტი თეოდორე II პალეოლოგი, ხოლო 1455 წელს ჟამისგან

გარდაიცვალა გიორგი სფრანძესის 14 წლის ქალიშვილი თამარი [2, 12].

მცირე გამყინვარებამ თავი კვლავ იჩინა XV საუკუნის პირველ ნახევარში ევროპის ტერიტორიაზე. მემატიანეები აღნიშნავენ, რომ, როდესაც კარლოს VII პარიზში შევიდა, ზამთარი იყო ისეთი ცივი, რომ ,,ბუ-ლონის ტყიდან გამოქცეული მგლები ქალაქის ქუჩებში დარბოდნენ სითბოსა და საჭმლის საძებრად“ [5, 19].

შავი ჭირის პანდემიამ მოსახლეობის დიდ ნაწილში რელიგიური გრძნობები გაამძაფრა. ამას ხელს უწყობდა თავად ეკლესიის პოზიცია. 1348 წელს რომის პაპმა კლემენტი VI-მ შავი ჭირი ,,ღმერთის სამართლად“ გამოაცხადა და აღნიშნა, რომ უფალმა ეს რისხვა კაცობრიობას მოუვლინა თავისი ცოდვების გამო. პანდემია ცხოვრებისეულ ფასეულობებს არღვევდა და ფუნდამენტურად ცვლიდა. თუკიდიდეს, პროკოფი კესარიელის, ბოკაჩოს აღწერილობები - ეს არის თვით-მხილველთა მიერ დანახული რეალობა, რომელიც სა-შუალებას გვაძლევს შევიხედოთ სამყაროში, სადაც გამანადგურებელი სენი მძვინვარებდა [2, 16]. სასო-წარკვეთილი მოსახლეობის ნაწილი წარმართულ კულტს უბრუნდებოდა, ნაწილი რელიგიურ ფანატიზმ-ში გადავარდა. ავადმყოფობამ შეცვალა ადამიანების ფსიქოლოგია, კულტურა და გენეტიკური შემადგენ-ლობაც. გარდაცვლილი მოსახლეობის ადგილზე,

ევროპულ ქალაქებში გამოჩნდა უცხო საზოგადოება. დაიწყო წარმოუდგენელი სისასტიკის ეპოქა [5, 19].

შუა საუკუნეების საქართველოში დროდადრო თავს იჩენდა შავი ჭირის ეპიდემიის კერები, რომელიც კონკრეტულ რეგიონს მოიცავდა, თუმცა მალევე ჩაწყნარდებოდა, მიიღებდა რა ხარკად რამდენიმე ათასი ადამიანის სიცოცხლეს. წერილობით წყაროებში ამ დაავადების პირველი აღწერილობა მოცემულია XI საუკუნის ქართულ სამედიცინო ძეგლში ,,უსწორო კარაბადინი". ჩვენში ცნობილია პანდემიის შემთხვევებიც. ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრებით, XIV საუკუნის შუა ხანებში აზიასა და ევროპაში შავი ჭირის გავრცელების არეალში საქართველოც იყო მოქცეული. შემორჩენილი ცნობებიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში შავი ჭირი უკვე 1346 წელს ყოფილა გავრცელებული. შესაძლოა აქედან შევიდა ეს დაავადება ტრაპიზონის იმპერიაში, სადაც ეპიდემიის გავრცელება 1347 წლის სექტემბრით თარიღდება [9, 11].

პანდემიის შემდგომი ეტაპი დაკავშირებული უნდა იყოს ოქროს ურდოში 1364 წელს დაწყებული შავი ჭირის გავრცელებასთან. ვოლგისპირეთიდან სენი მოედო ერთი მხრივ რუსეთის ქალაქებს, ხოლო მეორე მხრივ, სავაჭრო მაგისტრალებით საქართველოსა და სამხრეთ კავკასიას. რამდენ ხანს მძვინვარებდა შავი ჭირი საქართველოში, წყაროებში მითითებული არ არის. არც მსხვერპლის რაოდენობის შესახებ არის

ცნობები, მაგრამ გამონათქვამები ,,ბევრი ამოწყდა“, ,,დიდი სიკვდილიანობა“, ,,სიკვდილი ძლიერი“ მეტყველებენ შავი ჭირის პანდემიის მასშტაბებზე. ეს ბუნებრივიცაა, რადგან საქართველო მოქცეული იყო მომაკვდინებელი სენის გავრცელების არეალში, ისევე როგორც ბიზანტია, ტრაპიზონის იმპერია, ევროპული სახელმწიფოები და, შესაბამისად, მსხვერპლი ჩვენშიც დიდი იქნებოდა. საქმე ის არის, რომ ეს სენი მთლიანად თაობას დაატყდა თავს. 1346-1348 და 1365-1366 წლებში მძიმე ეპიდემიოლოგიური ვითარება სუფევდა ქვეყანაში, თუმცა მათ შუალედშიც არაერთხელ გააქტიურდებოდა ლოკალური კერები. ამ ოცწლიან პერიოდში ჟამი მუსრს ავლებდა მოსახლეობას. ეს კი, ძირითადად, იყო XIV საუკუნის 10-30-იან წლებში დაბადებული თაობა. რეალურად, XIV საუკუნის შუა პერიოდში (1346-1366 წწ.) საქართველოს დემოგრაფიული სურათი კარდინალურად უნდა შეცვლილიყო. როგორც პროფ. ჯ. სამუშია შენიშნავს ,,იქნებ ამანაც განაპირობა, რომ თემურ-ლენგის შემოსევების ჟამს ქვეყანას არ გააჩნდა სათანადო ადამიანური რესურსი, რათა მტრისთვის უფრო ქმედითი წინააღმდეგობა გაეწია“.

გვიან შუა საუკუნეებშიც ჟამიანობა დროდადრო თავს იჩენდა. 1566 წელს ,,დიდი ჟამი შეიქმნა“, რომელიც დასავლეთ საქართველოშიც გავრცელებული ყოფილა. 1684 წელს ,,კიდევ ჟამი გაჩნდა“, რომელიც შემდეგ პერიოდშიც აღინიშნა. XVIII საუკუნეშიც

რამდენჯერმე აღირიცხა შავი ჭირის გავრცელების შემთხვევა. მოსახლეობა პანიკამ მოიცვა. დიდი იყო მსხვერპლი თბილისში.ერეკლე II და სამეფო ოჯახი თელავში გაიხიზნა, სადაც გარდაიცვალა მეფე 1798 წლის 20 იანვარს [9, 13]. ოჯახის წევრებმა და გარემოცვამ მეფის ცხედარი გომბორის გზით წაასვენა და 21 თებერვალს, თბილისის გვერდის ავლით, ავჭალის მიდამოებში, არაგვის პირას დაასვენა. მცხეთე-ლებმა ფეხით გადმოლახეს არაგვი, შეუდგნენ ძვირფას კუბოს და სვეტიცხოვლისაკენ დაიძრნენ, რომლის ეზოც ჭირით დაავადებულებით იყო სავსე. ერთადერთი, ვინც არ მოსცილებია მეფის ცხედარს და ბოლომდე უპატრონა, იყო ერეკლეს კარის მოძღვარი ქრისტეფორე ბადრიძე-კეჟერაშვილი, რომელმაც მცხეთელი ბერების დახმარებით წესი აუგო მეფეს და მცირე აღაპიც გადაუხადა [10, 137].

საინტერესოა, რომ ეკლესია დაავადების დროს სამკურნალო თერაპიას მიმართავდა. გადმოცემით, ეკლესიის ზარების რეკვით შავი ჭირის ეპიდემია 40 პროცენტით მცირდებოდა. გავიხსენოთ, რომ ძველ საქართველოში სიმღერებით კურნავდნენ ბატონებს და სხვა დაავადებებს.

შუა საუკუნეების ევროპაში ვრცელდებოდა ისეთი ეპიდემიები, რომლის რაციონალური ახსნა დღემდე ვერ ხერხდება. მაგალითად, გაუგებარია, რატომ დაიწყო XV საუკუნის ბოლოს და XVI საუკუნის დასაწყისში

,,ნადირობა ჯადოქრებზე“. მეცნიერთა ნაწილი თვლის, რომ ,,ჯადოქრებზე ნადირობით“ კათოლიკური ეკლესია ცდილობდა თავისი გავლენა გაეძლიერებინა საზოგადოებაზე. მაგრამ ისმის კითხვა, რატომ დაიწყო ეს პროცესი XV საუკუნეში და არა უფრო ადრე, ან გვიან? რა გახდა მასობრივი ომის გამოცხადების მიზეზი ქალების მიმართ?

თანამედროვე საზოგადოებისათვის ცეკვა დაკავ-შირებულია დღესასწაულთან, მხიარულებასთან, გასარ-თობ ღონისძიებებთან. მაგრამ 500 წლის წინ სტრასბურგში, ასეულობით ადამიანის ცეკვის დაა-ვადება გამოცანად რჩება.

შორეულ 1518 წელს მარიამ მაგდალინელისადმი მიძღვნილი ფესტივალის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგის მოსახლეო-ბაში უცნაური სასიკვდილო ეპიდემია გავრცელდა, სახელით - ,,ცეკვის ჭირი“. ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ ვინმე ქალბატონმა ტ რ ო - ფ ე ი ა მ მიატოვა ყველანაირი საოჯახო საქმე, გამოვიდა ქუჩაში და დაიწყო ცეკვა. ის, რომ საპატიო ქალბატონმა დაიწყო ცეკვა, ამაში არაფერი იყო გასაკვირი. მაგრამ საქმე ის იყო, რომ ტროფეია ცეკვავდა მთელი დღე შესვენების გარეშე. შემდეგ დაკარგა გონება და მიწაზე დავარდა. ღრმად ჩაძინებული ხელებსა და ფეხებს მაინც იქნევდა. როდესაც გონს მოეგო, კვლავ განაგრძო ცეკვა. მესამე დღეს ფეხსაცმელებიდან სისხლმა გამოჟონა.

მიუხედავად იმისა, რომ ძალა გამოცლილი ჰქონდა და ძლივს მოძრაობდა, გაჩერება მაინც არ შეეძლო. რამდენიმე დღის შემდეგ ავადმყოფი ძალით მიიყვანეს ექიმთან, მაგრამ უკვე გვიან იყო. ტროფეია გარ-დაიცვალა [11, 23].

ვიდრე ტროფეია ცეკვავდა, მას შეუერთდა 34 თანამოქალაქე, შემდეგ რამდენიმე ასეული. საბოლოოდ, ყველაზე მოკრძალებული გამოთვლით კიდევ 500 ,,მოცეკვავე“ ჩაერთო მარათონში [12, 3].

აქვე უნდა ითქვას, რომ მსგავსი შემთხვევები ხდებოდა ევროპის სხვადასხვა რეგიონში. კერძოდ, XI საუკუნიდან XVII საუკუნემდე. 1237 წლის ჩანაწერები გვამცნობს ბავშვების ავადმყოფურ ცეკვას ერფრუტში. დაახლოებით 100 ბავშვი ცეკვავდა ქალაქის ცენტრში გონების დაკარგვამდე. შედეგად, მრავალი მათგანი გარდაიცვალა. გადარჩენილებს სიცოცხლის ბოლომდე აწუხებდათ თავის ტკივილი [11, 23].

შუა საუკუნეების ევროპაში საშინელი ანტი-სანიტარია სუფევდა, რაც ხელს უწყობდა ეპიდემიის ფავრცელებას. უბრალო ხალხზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თვით მეფეები და იმპერატორებიც გაურბოდ-ნენ ტანის დაბანას, ხოლო უსიამოვნო სუნის მოცილებას სუნამოების გამოყენებით ცდილობდნენ. სოფლის მცხოვრებნი უპირატესობას აძლევდნენ დედიშობილა ბანაობას მდინარესა და ტბაში. ძირითადად კი დაუბა-ნელი და დაუვარცხნელი ამჯობინებდნენ ყოფნას. ითვ-

ლებოდა, რომ თუ ქალიშვილი თმებს დაივარცხნიდა და წვიმა წამოვიდოდა, მაშინ ის ცოცხლად უნდა დაეწვათ, როგორც ჯადოქარი [13, 14].

ჰიგიენა ყველაზე მეტად ევროპის ქალაქებში ,,მოიკოჭლებდა“. ადამიანის ოფლის სუნს ყურადღება არ ექცეოდა. აბანო, როგორც ასეთი მოსახლეობაში პოპულარული არ იყო. ,,წმინდა ა გ ნ ე ს ა, რომელსაც ცხოვრებაში არ დაებანა სახე და ტანი, ითვლებოდა მისაბაძ ობიექტად“ [14, 22].

საფრანგეთში ცხოვრებისას ლეონარდო და ვინჩი გააოცა და აღაშფოთა იმ გარემოებამ, რომ საფრანგეთის მეფის რეზიდენციებსა და სასახლეებში არც ერთი საპირფარეშო არ იყო. ამის გამო სასახლეში საშინელი მყრალი სუნი იდგა. ლეონარდომ სპეციალურად ფრანსუა I-ისათვის დააპროექტა თანამედროვე ტიპის საპირფარეშო თავისი გაყვანილობით, საკანალიზაციო და სავინტილაციო მილებით, ასევე წყლის მიმწოდებელი სისტემით. მას შემდეგ, რაც ლეონარდომ აღნიშნული პროექტი გააცნო ფრანსუას, მეფემ, რომელმაც ვერაფერი გაუგო და ვინჩის ,,რთულ მოწყობილობას“, ოსტატს შეთავაზებული პროექტის განხორციელებაზე უარი განუცხადა. შესაბამისად, საფრანგეთის მეფის სასახლეები კვლავაც, დიდი ხნის განმავლობაში, საპირფარეშოების გარეშე იყო დარჩენილი [15, 175].

ვერსალში გადასვლამდე ლუდოვიკო XIV ძირითადად პარიზში ცხპვრობდა. ჭუჭყიან და უწ-

მინდურობით აყროლებულ დედაქალაქში. ქუჩების გასწვრივ მყრალი ნაკადულები მიედინებოდა, ზაფ-ხულობით კი მტვრის ბუღი იდგა ქალაქში [16, 46].

რასაკვირველია, ლუდოვიკო XIV კარი გამო-ნაკლისი არ ყოფილა იმდროინდელ ევროპაში, მისთვის ევროპული არისტოკრატიის ყველა მანკიერება იყო დამახასიაათებელი. განსხვავება მხოლოდ მასშტაბებში თუ იყო. აქ კი პარიზს მართლაც არ ჰყავდა კონკურენტი: აზარტული თამაშები, ტოტალური ლოთობა და ტრივიალური გარყვნილება უმაღლეს დონეზე იყო აყვანილი; დაუფარავად ყვაოდა ჰომოსექსუალიზმი და ლესბოსელობა. ორლეანის ჰერცოგი მეფის ძმა, პრინც კონდეს ძმიშვილები, კოლბერის შვილი, გრაფი ვერმანდუა (მეფის კიდევ ერთი უკანონო შვილი) და კიდევ რამდენი ახალგაზრდა არისტოკრატი საჯაროდ ითვლებოდნენ ჰომოსექსუალური ,,მოდის“ კანონმდებ-ლად. ვერსალში ხმამაღლა ჭორაობდნენ ჰერცოგინია დ ი უ რ ა ზ ე, რომელიც, თურმე, მზად იყო მთელი თავისი ქონება გაეღო რათა ერთი სასიყვარულო ღამე გაეტარებინა მეფის ქალიშვილ, 15 წლის პრინცესა დე კონტისთან, მაგრამ უკანასკნელი მეფის გვარდიელებს ანიჭებდა უპირატესობას [16, 45].

ამ მოვლენებზე ყურადღებას იმიტომ ვამახ-ვილებთ, რომ აღნიშნულ ეპოქაში არანაკლები უბე-დურების მომტანი გახდა ვენერიული დაავადებები, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და

ეპიდემიის სახე მიიღო. შეიძლება ითქვას, რომ არსებული ცხოვრების წესი დაავადების ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენდა. მაგალითად, XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში ფლორენციის სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგები იმით იყვნენ განთქმული, რომ რყვნიდნენ ახალგაზრდობას. შესაძ-ლოა პრობლემა ისიც იყო, რომ გაუთხოვარი ქალები მშობლებს ,,ცხრაკლიტულში“ ჰყავდათ გამოკეტილი. სექსუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მოზარდები ხშირად ეძებდნენ სხვა გზებს. ფეხმძიმობას შეიძლება ჩირქი მოეცხო ოჯახის ღირებულებისათვის, თუნდაც ახალგაზრდა ქალი მსახური ყოფილიყო და არა სახელოვანი გვარის წარმომადგენელი.

მეძავების ფული ახალგაზრდებს არ ჰქონდათ, სამაგიეროდ თავისუფლად შეეძლოთ ჰქონოდათ ,,მეგობრული სექსი“, როგორც მეგობრული ურთიერ-თობის ერთ-ერთი ფორმა. წერილობითი წყაროების მიხედვით შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ მამათმავ-ლობა XV-XVI საუკუნეებში ფლორენციის მამრობითი მოსახლეობის საყვარელი საქმიანობა იყო [17, 72]. ფაქტია, რომ XVI საუკუნის დასაწყისის ფლორენციაში მოქმედებდა ადამიანთა ჯგუფი, რომელთაც ჰქონდათ სურვილი ერთნაირსქესიანთა ქორწინებისათვის კანონიერი სახე მიეცათ [17, 217].

დიდ ბრიტანეთში ელისაბედის ეპოქა, საერთოდ, სექსუალური აღვირახსნილობით გამოირჩეოდა. ლონ-

დონელი ქალები თავიანთი ,,მეგობრული“ ხასიათით განთქმულები იყვნენ ევროპაში. მოგზაურები გაოცებული რჩებოდნენ, რა უშუალოდ და ურცხვად ,,საუბრობდნენ“ სხვადასხვა სქესის წარმომადგენლები. მარტო ლონდონში არ იყო ასე. ესექსის საგრაფოში, სადაც ორმოცი ათასი ადამიანი ცხოვრობდა, 1558 წლიდან 1603 წლამდე თხუთმეტი ათასი საჩივარი იქნა სასამართლოში შეტანილი სექსუალური დანაშაულის შესახებ. ეს ნამდვილად გასაოცარი ციფრია.

იმ პერიოდში სისუფთავესა და ჰიგიენაზე რა წარმოდგენაც ჰქონდათ, უკვე აღვნიშნეთ. უსიამოვნო სუნისაგან და სანახაობისაგან თავის დაზღვევის მიზნით, აქტის დროს ტანსაცმელს არ იხდიდნენ. ხანმოკლე და მაღალი აქტი, ძირითადად, ცხოველური სურვილის დაკმაყოფილება იყო [18, 175].

ინგლისის ისტორიაში საკმაოდ იყვნენ მონარქები, რომლებიც თავისივე სქესის მამაკაცებთან ამჯობინებდნენ ურთიერთობას. მაგალითად, იაკობ (იგივე ჯეიმს) პირველი (1603 წლის 24 მარტიდან – სტიუარტი), მეუღლე ანა დანიელთან კავშირს გრაფ სომერსეტთან, იგივე რობერტ კართან ამჯობინებდა. მისი მომდევნო სიყვარული და ბოლო ფავორიტი იყო ჯორჯ ვილერსი, ცნობილი ჰერცოგ ბუკინგემის სახელით [19, 10]. სწორედ, ზემოთ განხილული ფაქტების შედეგი იყო, რომ XVI საუკუნის, მხოლოდ პირველ მეოთხედში

ევროპაში ვენერიული დაავადებისგან 20 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა [15, 187].

ევროპის ქალაქებში სხვა ფაქტორებთან ერთად სიბინძურისა და ეპიდემიების გავრცელებას ხელს უწყობდა შემდეგი გარემოებაც: ,,ჯადოქართან“ ერთად, კოცონზე კატასაც წვავდნენ. ,,ინკვიზიტორების აზრით ქრისტიანულ დღესასწაულზე ეშმაკი კატად გარდაისახებოდა ხოლმე. ამიტომ კატებს იჭერდნენ, აწამებდნენ და მათგანაც მოითხოვდნენ აღიარებას, მაგრამ კატები არაფერს აღიარებდნენ. ინკვიზიტორები ამას სატანისადმი ერთგულებად უთვლიდნენ და ცხოველებს კიდევ ერთ შანსს აძლევდნენ - დანაშაული ადამიანის ხმით მოენანიებინათ. კატები, რა თქმა უნდა, ისევ არაფერს ინანიებდნენ (მით უმეტეს, ადამიანის ხმით) და მათ, ჯადოქართან ერთად, კოცონზე წვავდნენ. ასე გაავლეს მუსრი შუა საუკუნეების ევროპაში კატებს და ქალაქების ისედაც დაბინძურებულ სარდაფებში ვირთხები გამრავლდნენ. ვირთხების გამრავლებამ გააჩინა შავი ჭირისა და ათასი სხვა ავადმყოფობის ეპიდემია“ [20, 211-212].

XVII საუკუნის 30-იან წლებში ჰოლანდიაში ახალი ძალით იფეთქა შავმა ჭირმა. ლეიდენში დაავადებამ შეიწირა მოსახლეობის მესამედი. სიკვდილის საფრთხემ გააჩინა შიშის გრძნობა, რამაც გამოიწვია მორალური აკრძალვების მოხსნა [21, 11].

XVIII საუკუნეში, როდესაც ევროპაში ჭირის ეპიდემია კვლავ მძვინვარებდა, ბრიტანეთის საადმირალომ მკაცრი კანონი მიიღო - სამეფო პორტებში კარანტინის გარეშე ნებისმიერი ხომალდის შესვლა აიკრძალა. კარანტინის დროს ეკიპაჟიდან თუკი ვინმეს შავი ჭირი აღმოაჩნდებოდა, ხომალდი ზღვაში დაუყოვნებლივ უნდა გასულიყო და ამ კანონის აღსრულებისთვის სამეფო ფლოტი ზოგჯერ ზარბაზნების ცეცხლსაც იყენებდა. დასნეულებულ ეკიპაჟებს არც სხვა ქვეყნების პორტები იღებდნენ და სასმელი წყლისა და საკვების გარეშე დარჩენილი მეზღვაურები სასიკვდილოდ იყვნენ განწირული. უეკიპაჟოდ დარჩენილი ზოგიერთი ხომალდი კი ,,მფრინავი ჰოლანდიელივით“ დაცურავდა, ვიდრე ოკეანის ტალღები არ შთანთქავდა ან სადმე კლდეს არ მიელეწებოდა [22, 23].

რუსეთში XVII საუკუნეში, ტურუხანსკის მხარეში გავრცელდა ყვავილის ეპიდემია. დაავადების შედეგად მდინარე ლენის სანაპიროებთან დაიღუპა ყოველი მეორე იაკუტი და ევენკი. XVIII საუკუნეში ეს ავადმყოფობა შეიტანეს ვაჭრებმა ოხოტის ზღვის აუზში, რასაც შეეწირა იუკაგირებისა და ევენკების მთელი ბანაკები. კამჩატკის სამხრეთ-აღმოსავლეთი გაუკაცრიელდა. გარდაიცვალა 25 ათასი კამჩატკელი [23, 7].

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მოსახლეობის დაბალი ფენები, განსაკუთრებით გლეხობა ჰიგიენასთან საკმაოდ მოიკოჭლებდა. როგორც წესი, გლეხის ოჯახის

ყველა წევრი სვამდა და ჭამდა ერთი საერთო ჭურჭლიდან. ასევე იყენებდა ერთ ხელსაწმენდს, რაც ინფექციის გავრცელების წყაროს წარმოადგენდა [24, 11].

ამავე პერიოდში შავმა ჭირმა კიდევ ერთხელ შეახსენა თავი საქართველოს მოსახლეობას. 1802-1812 წლებში პერიოდულად ჟამიანობა თავს იჩენდა მესხეთ-ში, ქართლ-კახეთში, თბილისში, იმერეთში. ოფიცია-ლური ინფორმაციით ეპიდემიას 1570 ადამიანი შეეწი-რა. სავარაუდოდ, მსხვერპლი გაცილებით მეტი იყო [9, 14].

1830-1831 წლებში რუსეთში იფეთქა ხოლერის ეპიდემიამ. მოსახლეობის დაბალ ფენებში გავრცელდა ხმები, რომ დაავადება შემოიტანეს უცხოელმა ექიმებმა რუსი ხალხის გასანადგურებლად. ამის შემდეგ დაიწყო ექიმებზე ნამდვილი ნადირობა. თავს ესხმოდნენ საავადმყოფოებს. ახალი ინფორმაციის თანახმად ,,დამ-ნაშავეები“ პოლონელები აღმოჩნდნენ...

ალექსანდრე II-ის რეფორმების შემდეგ ,,საერობო ექიმების“ წინააღმდეგ დაიწყო არნახული წინააღმ-დეგობა პაციენტების მხრიდან. გლეხებს მიაჩნდათ, რომ ავადმყოფობით ერჩივნათ სიკვდილი, ვიდრე ექიმების ხელში აღმოჩენილიყვნენ [24, 10].

XX საუკუნის დასაწყისში ხოლერა გავრცელდა ხარბინში. ავადმყოფები ურმებით გადაყავდათ. ამავე ტრანსპორტით გადაადგილდებოდნენ ჯანმრთელი ადამიანებიც. იზოლატორები მოგვაგონებდნენ საწყო-

ბებს, რომლებიც ცხედრებით იყო სავსე. მრავალი სახლის კარები დაიკეტა, ქუჩები დაცარიელდა. მოგე-ჩვენებოდა, რომ ირგვლივ ყველაფერი გაუკაცრიელდა [25, 267].

ვირუსული გრიპი ,,ისპანკა“, რომელიც გაჩნდა პირველი მსოფლიო ომის ბოლოს, იმსხვერპლა უფრო მეტი ადამიანი ვიდრე ომმა. ეს ინფექცია დღემდე ითვლება ყველაზე სასიკვდილო პანდემიად კაცობ-რიობის ისტორიიის მთელ მანძილზე. დაავადებულთა რაოდენობამ დედამიწის მოსახლეობის 29, 3% შეადგინა. წელიწადნახევრის განმავლობაში პანდემიამ შეიწირა 50 მილიონი ადამიანი, ხოლო ზოგიერთი ექსპერტი 100 მილიონსაც ასახელებს.

ზოგადად, გრიპის ვირუსი ყოველ ,,სეზონზე“ გვახსენებს თავს, რომელიც დედამიწის სამხრეთ ნა-ხევარსფეროდან ვრცელდება ჩრდილოეთით. შემდეგ წელს ვირუსი მუტაციას განიცდის, რის გამოც წინა წელს ავადმყოფობაგადატანილი ორგანიზმი ხელახლა იწყებს ბრძოლას დაავადებასთან. ჩვეულებრივი ეპიდე-მიის მსხვერპლი, როგორც წესი ხდებიან ბავშვები და მოხუცები, მაგრამ განსაკუთრებით საშიში ვირუსები ანადგურებენ ახალგაზრდებსა და სრულიად ჯან-მრთელ ადამიანებსაც. სწორედ ასეთი აღმოჩნდა ესპანური გრიპი. დაავადებული 2-3 დღეში იღუპებო-და... ზოგჯერ დღე-ღამეც საკმარისი იყო.

ეპიდემია გაჩნდა ჩინეთში, საიდანაც ,,გადაადგილდა“ აშშ-ში და შემდეგ ევროპაში. მოწამლის პირველი ნიშნები ევროპის ქვეყნებში დაფიქსირდა 1917 წლის ზამთარში და 1918 წლის გაზაფხულზე. სახელი ,,ისპანკა“ დაავადებამ მიიღო იმის გამო, რომ პანდემიის შესახებ ოფიციალურად პირველმა განაცხადა ესპანეთის ხელისუფლებამ. ამის შემდეგ უწოდეს გრიპს ,,ესპანური“.

თავდაპირველად ინფექცია დიდი სისწრაფით გავრცელდა აშშ-ში. დაავადდა მოსახლეობის თითქმის მესამედი. ერთი წლის განმავლობაში მრავალ ქალაქში დაიკეტა ეკლესიები, ბარები, რესტორნები, კინოთეატრები, სკოლები და ნავსადგურები. მაღაზიებს ვაჭრობის უფლება მიეცათ, მხოლოდ ქუჩაში. ნიუ-იორკში ტრამვაით მგზავრობა, მარლის პირბადით შეიძლებოდა, რასაც აკონტროლებდა პოლიცია. ზოგიერთ შტატში ხელის ჩამორთმევა და კოცნა კანონით აიკრძალა. კამათის დროს ოპონენტისათვის მიფურთხება ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, ცოლ-ქმარიც რომ ყოფილიყვნენ [26, 27]. უფრო მეტიც, ,,შეგნებული მოქალაქეები“, რომლებიც პატრულირებდნენ ქუჩაში შეეძლოთ უბრალოდ, ,,ყოველი შემთხვევისათვის“ დაეხვრიტათ ვირუსის მატარებელი [1, 22].

,,ისპანკას“ გარდა, განსაკუთრებული საფრთხის შემცველი გახდა ,,შავი ჭირის“ გავრცელების ალბათობა ომის მონაწილე მეომრებისათვის. კერძოდ, სანგრებში

მყოფი ჯარისკაცები ვირთხებთან ერთად ცხოვრობდ-ნენ. ვირთხები ანადგურებდნენ გვამებს, ცოცხლებს კი ხან ხელზე და ხან ცხვირზე კბენდნენ. ამიტომ სამხედრო შტაბებში ყოველ მოკლულ ვირთხაზე ჯოლდო დააწესეს. ჯარისკაცები ვირთხებს ესროდნენ და კუდებს აჭრიდნენ, დამამტკიცებელი საბუთი რომ ქონოდათ, საღამოს კი, ვირთხის კუდების საქმესთან დაკავშირებით გამოყოფილ სპეციალურ რწმუნებულს აბარებდნენ, რომელიც კუდებს ითვლიდა და ამბობდა, თუ ვინ რამდენი გამოიმუშავა. ჯარისკაცებთან ერთად, ტილებიც ცხოვრობდნენ. ხანდახან, როცა მტერს ჩაუსა-ფრდებოდნენ, ესმოდათ როგორ იქექებოდა მოწი-ნააღმდეგე, ხვდებოდნენ, სად იმალებოდა მტერი და იმ მიმართულებით ხსნიდნენ ცეცხლს, ისროდნენ ყუმბარებს, მაგრამ არც ტილები და არც მტერი არ კლებულობდა [27, 26-27].

დაპირისპირებული მხარეების მებრძოლები კარ-გად აცნობიერებდნენ ომის უაზრობას და იმ რეალობას, რომ ტყვიის გარდა მათ სიცოცხლეს პანდემიაც ემუქრებოდა. ამიტომ ისეც ხდებოდა, რომ ჯარისკაცები აღარ ესროდნენ ერთმანეთს და რამდენიმე საათის განმავლობაში, იდგა გამოუცხადებელი, დროებითი ზავი და ჯარისკაცებს თავი ისე ეჭირათ, თითქოს ომი არც ყოფილიყოს. ვაკუასთან გაჩერებულ გერმანელებს გაწვრთნილი ძაღლი ჰყავდათ, რომელიც დარბოდა გერმანელების ხაზიდან ინგლისელებისკენ და უკან, და

მოჰქონდა პური, სიგარეტები და კონიაკი. გერმანელებს ქონდათ სიგარეტები და შოკოლადი, მაგრამ არ ქონდათ პური და კონიაკი, ინგლისელებს კი, საკმაოდ ქონდათ პურიც და კონიაკიც, მაგრამ ცოტა ქონდათ სიგარეტი.

პრედასთან ავსტრიელებმა კატა გაგზავნეს იტა-ლიელებთან ბარათით, რომელზეც ეწერა: ,,ვაგზავნით ჩვენს კატას სიგარით“. სიგარა კატას ზურგზე ჰქონდა მიბმული. იტალიელებმა სიგარა გააბოლეს, კატა მოკლეს და შეჭამეს.

შობის წინა დღეს, როცა კორენსისთან იდგნენ, გერმანელი და ფრანგი მეომრები ერთად გალობდნენ ალილოს, სადღეგრძელოებს სვამდნენ და ერთმანეთს ანეკდოტებს ,,უყვიროდნენ“. გერმანელები ფრანგებს ეკითხებოდნენ, მართალი თუ იყო, ისინი რომ ბაყაყებს ჭამდნენ, ფრანგები კი ეკითხებოდნენ გერმანელებს, მართლა თუ იზრდებოდა ლუდისგან ულვაშები...[27, 50-51].

მთლიანობაში მსოფლიომ ,,ისპანკას“ სამი ტალღა გადაიტანა. პირველი - 1918 წლის დასაწყისში, მეორე - იმავე წლის შემოდგომაზე და მესამე 1919 წლის გაზაფხულზე. შეერთებულ შტატებში და შემდეგ ევროპაში გრიპი მოულოდნელად გაქრა. მაგალითად, 1918 წლის ოქტომბერში ფილადელფიაში ერთი კვირის განმავლობაში 5 ათასამდე ადამიანი გარდაიცვალა, ხოლო 11 ნოემბერს ქალაქში მოწამვლის არცერთი

შემთხვევა არ დაფიქსირებულა. დიდი მსხვერპლის ფასად თითქოს უბედურება დასრულდა... [1, 22].

ამავე დროს კაცობრიობამ შეიმუშავა ეპიდემიის ხელოვნურად შექმნის მექანიზმი, რომელსაც მტრის ლიკვიდაციისათვის იყენებდა. ასეთი იარაღი მასობრივი განადგურების არსენალში შევიდა.

1933 წელს არქეოლოგი რ ო ბ ე რ დ უ მ ე ს ნ ი ლ დ უ ბ ი უ ს ო ნ ი რომაელებსა და სპარსელებს შორის ბრძოლის ველზე გათხრებს აწარმოებდა და ქალაქის ქვეშ გვირაბები აღმოაჩინა. ამ გვირაბებში არქეოლოგმა იპოვა 19 რომაელი ჯარისკაცის ნეშტი, რომლებიც, ჩანდა, სიკვდილის მომენტში რაღაც საშინელისგან გაქცევას ცდილობდნენ; აგრეთვე, სპარსი ჯარისკაცის ნეშტი, რომელსაც ხელი მკერდზე ჰქონდა მიდებული. ექსპერტთა აზრით, რომაელებმა, როდესაც შეიტყვეს, რომ მათი ქალაქის ქვეშ სპარსელები გვირაბს თხრიდნენ, თვითონ დაიწყეს გვირაბის გათხრა კონტრდარტყმის მოსამზადებლად. სპარსელები მიხვდნენ რომაელების განზრახვას და მათ ხაფანგი დაუგეს. როგორც კი რომაელები ჩავიდნენ გვირაბში, იქ დახვდათ ცხელი გოგირდი და ბიტუმი, რომელთა ნაერთი, როგორც ცნობილია, ფილტვებში მოხვედრისას შხამად იქცევა [28, 22].

ანტიკურ პერიოდსა და შუა საუკუნეებში ყვავილისა და ხოლერის ეპიდემიების გავრცელებას ხელოვნურადაც ახერხებდნენ მეომარი მხარეები. ,,ყვავილი“,

ჯერ კიდევ IV საუკუნეში გავრცელდა ჩინეთში და კორეაში. 737 წელს ამ დაავადებამ ფაქტიურად გაანადგურა იაპონია. დაიღუპა მოსახლეობის თითქმის მესამედი. ასწლეულების შემდეგ, ევროპელებმა გარკვეული იმუნიტეტი გამოიმუშავეს დაავადებისადმი და შემდეგ შეიტანეს ,,ახალ სამყაროში“. ამერიკელი ინდიელები დაუცველი აღმოჩნდნენ ეპიდემიასთან ბრძოლაში [1, 21].

ინდიელები სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ იყენებდნენ სამკურნალო მცენარეებს. საინტერესოა, რომ მათ მიერ გამოყენებული 70-მდე რეცეპტი შედის თანამედროვე ფარმაკოპეაში. ზოგჯერ უხდებოდათ სამკურნალო ჯადოსნობაც, ვინაიდან ავადმყოფს ღრმად სწამდა ამა თუ იმ საშუალების სამკურნალო ძალა, მაგრამ თეთრკანიანების მიერ შემოტანილი ,,ახალი“ ავადმყოფობის წინააღმდეგ ინდიელები უმწეობას განიცდიდნენ, ამ დაავადების წინააღმდეგ მათ არ ჰქონდათ არავითარი იმუნიტეტი და არ იცოდნენ მისი მკურნალობა [29, 162, სქოლიო 1].

1492 წელს ევროპელების გამოჩენამდე ამერიკის აბორიგენი მოსახლეობა თითქმის 40 მილიონს შეადგენდა. შემდგომი პერიოდის წყაროების მონაცემებით, XVI-XVII საუკუნეების განმავლობაში მოხდა დემოგრაფიული კატასტროფა, რის შედეგადაც ინდიელების რაოდენობა ზოგიერთ რეგიონში 90%-ით შემცირდა. ინდიელებს ანადგურებდნენ სამხედრო კამპანიის

და შემდგომ ულმობელი ექსპლოატაციის დროს. მაგრამ ყველაზე მეტ დანაკარგს მოსახლეობაში იწვევდა ევროპელების მიერ დაავადების ხელოვნურად გავრცელება. მაგალითად, 1527 წელს ყვავილის ეპიდემიამ ინკების იმპერიის 200 ათასი მცხოვრები შეიწირა [1, 21]. ცნობილია, რომ ამავე საუკუნის დასაწყისში ესპანელი კონკისტადორის ფ რ ა ნ ს ი ს კ ო პ ი ს ა რ ო ს სამხედრო ექსპედიციას სამხრეთ ამერიკაში ,,ცეცხლი და მახვილი“ არ აკმაყოფილებდა აბორიგენების გასანადგურებლად. ერთ-ერთი მოლაპარაკების დროს მისმა მეომრებმა ინდიელებს ,,საჩუქრად გადასცეს“ ყვავილის დაავადებით მოწამლული ტანსაცმელი. ამის შემდეგ გაჩენილმა ეპიდემიამ დღევანდელი პერუსა და ჩილეს ტერიტორიაზე 3 მილიონი ინდიელის სიცოცხლე შეიწირა [30, 132].

ამდენად, თეთრკანიანების მიერ შეტანილი ავადმყოფობა ინდიელი ტომების ამოწყვეტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა: ყვავილმა, ტუპერკულიოზმა, გრიპმა, წითელამ და ყივანახველამ ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკაში გაანადგურა მთელი ტომები. ეს დაავადებანი გაცილებით უფრო მეტად ანადგურებდა ინდიელებს, ვიდრე თეთრკანიანებს. ყვავილის ძლიერმა ეპიდემიამ 1781-1782 და 1801-1802 წლებში ამოხოცა პრერიების ჩრდილოეთის ზონის ინდიელთა 50%. 1830 წელს ,,ციებისაგან“ დაიღუპა კალიფორნიის ინდიე-

ლების 70% და ამჟამად კოლუმბიის აუზში ორეგონის ტომების უმრავლესობა [29, 67, სქოლიო 2].

საუკუნეთა მანძილზე ბაქტერიებისა და ვირუსების გავრცელების მეთოდები და ტექნოლოგია დაიხვეწა. ქიმიური მომწამლავი აირები მასობრივი განადგურების პირველი საბრძოლო საშუალება იყო, რომელსაც შემდგომ ბიოლოგიური, ბაქტერიოლოგიური და ბირთვული იარაღი დაემატა.

პირველ მსოფლიო ომში 1915 წლის 22 აპრილს ბელგიის ქალაქ იპრის მახლობლად გერმანელებმა პირველად გამოიყენეს მომწამლავი ქიმიური აირები, რასაც 3 ათასი ფრანგი სამხედროს სიცოცხლე შეეწირა, 7 ათასმა კი დამწვრობა მიიღო [31, 40]. ადამიანის ხელით შექმნილი მასობრივი განადგურების იარაღიდან ბიოლოგიური ყველაზე საშიშია. ის პათოგენურ მიკროორგანიზმებს, სპორებს, ვირუსებს, ბაქტერიოლოგიურ ტოქსინებს აერთიანებს, რომლებსაც ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების განადგურება შეუძლია. ტექნიკურმა პროგრესმა ადამიანთა შესაძლებლობები გააფართოვა. მეცნიერებმა ბუნებაში ოდითგანვე არსებული ვირუსები და სიცოცხლისთვის საშიში ბაქტერიები ,,მოათვინიერეს“ და მათი საკუთარი მიზნით გამოყენება ისწავლეს.

სხვა საბრძოლო (მათ შორის - ქიმიური) საშუალებებისგან განსხვავებით, ბაქტერიებისა და ვირუსების გამოყენების შედეგი მოგვიანებით ჩნდება. თითქმის

ყოველთვის არის საინკუბაციო პერიოდი, რომლის დროსაც დაავადება თავს არ იჩენს და ინფიცირებული ადამიანი ჩვეული რიტმით ცხოვრობს [8, 28].

ეფექტიანობის მიუხედავად, ბიოლოგიურ იარაღს აქვს ნაკლი, რომელიც მის გამოყენებას ზღუდავს. პირველ რიგში - გამოთავისუფლებული ბაქტერიები და ვირუსები აინფიცირებს უკლებლივ ყველას - მტერსაც და მოკავშირესაც. იმავდროულად, ვირუსებს მუტაციისკენ მიდრეკილება ახასიათებს. ამ ცვლილებების და მისი შედეგის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია და შესაძლოა მომზადებული ვაქცინა მუტირებული ვირუსის წინააღმდეგ არაეფექტიანი აღმოჩნდეს [8, 31].

1916 წელს, როცა პირველმა მსოფლიო ომმა აპოგეას მიაღწია, კაიზერის გერმანიის სპეცსამსახურებმა გადაწყვიტეს ბიოლოგიური იარაღიც გამოეყენებინათ. ამ ოპერაციაში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებიც მონაწილეობდნენ. მთავარი პრობლემა ტრანსპორტირება იყო. იმხანად ბიოლოგიური იარაღის გამოყენებისთვის შესაბამისი საბრძოლო საშუალებები ჯერ არ არსებობდა, ამიტომაც გერმანელებმა დივერსანტთა საშუალებით მოკავშირეთა ჯარისკაცების გამოსაკვები მსხვილფეხა საქონლის ციმბირის წყლულით დაავადება სცადეს.

ერთ დღეს ესპანეთში გერმანიის ელჩმა მაქსიმილიან ფონ რატიბორმა ბერლინიდან საინტერესო ამანათი მიიღო. ეს იყო ლამაზად შეფუთული საპონი.

მხოლოდ ელჩმა და რამდენიმე პირმა იცოდა, რომ ამ საპნების შიგნით მინიატურულ მინის სინჯარებში გერმანიის სამხედრო-ვეტერინარულ აკადემიაში გამოყვანილი ციმბირული წყლულის ბაქტერიები იყო.

გეგმის თანახმად, არგენტინასა და აშშ-ში მოქმედ გერმანიის აგენტებს ამ სასიკვდილო ბაქტერიებით უნდა დაეავადებინათ ის ცხენები და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, რომელიც ინგლისსა და საფრანგეთში უნდა გაეგზავნათ. დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის პოლიციის ყურადღების წყალობით ეს ოპერაცია ჩაიშალა. თუმცა გერმანიის სპეცსამსახურები მაინც არ ისვენებდნენ.

ერთი წლის შემდეგ, 1917 წლის იანვარში, ფინეთისა და შვედეთის საზღვართან დააკავეს ,,ტურისტების“ ჯგუფი, რომელსაც გერმანელი ბარონი ოტო კარლ ფონ როზენი ხელმძღვანელობდა. მალევე გაირკვა, რომ მათ ციმბირული წყლულის ვირუსის გავრცელება სურდათ... ირმებში. ,,ბიოლოგ“ დივერსანტებს თან აღმოაჩნდათ ამ სასიკვდილო ვირუსით მოწამლული შაქრის ნატეხები, რომლებიც ხორცის კონსერვის ქილებში იყო მოთავსებული. გეგმის მიხედვით, შაქრის ნატეხები იმ შინაური ირმებისთვის უნდა დაეყარათ, რომლებსაც რუსეთში მარხილებით ინგლისური იარაღი გადაჰქონდათ. ზამთრის პერიოდში ეს იყო ერთადერთი მარშრუტი, რომლითაც დიდი ბრიტანეთი რუსეთს საბრძოლო მასალებს და იარაღს აწვდიდა [32, 34-35].

ნებისმიერი სამეცნიერო კვლევა, მით უფრო ბიოლოგიურ სფეროში, საცდელ პოლიგონს საჭიროებს, სადაც თეორიული აღმოჩენები პრაქტიკული შედეგებით უნდა დადასტურდეს. საბჭოთა კავშირსაც სჭირდებოდა ამგვარი პოლიგონები. სწორედ ამ მიზნით 1926 წელს წითელი არმიის სამხედრო-ქიმიური სამსახურის სტრუქტურაში გასაიდუმლოებული სპეცლაბორატორია შეიქმნა. სტალინის პირადი დავალებით საიდუმლო სამუშაოები განსაკუთრებით 1928 წლიდან გააქტიურდა. რამდენიმე წელიწადში პირველი საბჭოთა ბიოლოგიური იარაღიც შეიქმნა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ეს კვლევები დასაწყისშივე შემტევ და არათავდაცვით ხასიათს ატარებდა. წითელმა არმიამ 1936 წელს ჩაატარა ფართომასშტაბიანი საარმიო სწავლება, სადაც დაიხვეწა ბიოიარაღის (უპირველესად შავი ჭირისა და ციმბირის წყლულის) გამოყენების ტაქტიკა და მეთოდიკა.

ამავე პერიოდში არალის ზღვაში მდებარე უდაბურ კუნძულ ,,ვოზროჟდენიაზე“ მშენებლები გამოჩნდნენ. სულ ორიოდე წელი დასჭირდათ, რათა მიწისზედა და მიწისქვეშა ნაგებობების მთელი კომპლექსი აეშენებინათ. მშენებლებმა კუნძული ისე დატოვეს, რომ თავადაც არ იცოდნენ, რა მიზნებს უნდა მომსახურებოდა ეს ქალაქი.

თავდაპირველად კუნძული წითელი არმიის საიდუმლო სამედიცინო სამეცნიერო-კვლევითი ინსტი-

ტუტის სპეციალისტებმა დაიკავეს, თანდათანობით კი ექიმებს ბიოლოგები ცვლიდნენ. სახელიც ,,საინტერესო“ მოუძებნეს - ა რ ა ლ ს კ ი-7.

საიდუმლო ქალაქს საკუთარი აეროდრომი ჰქონდა. ორ და სამ სართულიან ყაზარმებში წვევამდელები (რომლებთაც მხოლოდ გარე პერიმეტრის დაცვას ანდობდნენ), ხოლო შორიახლოს მდგარ კოტეჯებში ზევადიანი სამხედრო მოსამსახურეები ცხოვრობდნენ.

ქალაქისაგან რამდენიმე კილომეტრის დაცილებით საიდუმლო ლაბორატორიები და საცდელი პოლიგონი მდებარეობდა. ისინი მაღალი მავთულხლართებიანი ბადის ორი ზოლით იყო შემოღობილი. კუნძულს ავტონომიური ელექტრო და წყალმომარაგება ჰქონდა, რასაც იქ მდებარე ორი ელექტროსადგური უზრუნველყოფდა. კუნძულის საზღვაო აკვატორიის დაცვას სამხედრო კატარღები და თვითმფრინავები უზრუნველყოფდნენ [32. 63].

1936-1939 წლებში აქ ინტენსიურად მიმდინარეობდა ბიოლოგიური ბომბების გამოცდა, რომლებიც დატენილი იყო ტიფის, შავი ჭირის, ციმბირის წყლულის და სხვა ბაქტერიებით. მოგვიანებით, დამატებით შეიქმნა ახალი საველე სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია სახელწოდებით ,,ბარხან“-ი. 800-მდე მოიმატა სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობამ, რომლებიც იცავდნენ 1500 მეცნიერ-თანამშრომელს და ტექნიკურ პერსონალს [33, 14].

ცნობილი რუსი მეცნიერის ლევ ფიოდოროვის მტკიცებით, სტალინმა ბიოლოგიური იარაღი 1942 წელს პაულიუსის არმიის წინააღმდეგ გამოიყენა. 30-იანი წლების დასაწყისში ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებით თავი განსაკუთრებით იაპონიამ გამოიჩინა. იმ დროს ამომავალი მზის ქვეყანა სწრაფად ვითარდებოდა და აშკარად თუ ფარულად აცხადებდა რეგიონში ბატონობის სურვილს. იაპონელთა აზრით, იმპერიის ძლიერება მისი შეიარაღებით გამოიხატებოდა. სწორედ ამიტომ ორ პოტენციურ მოწინააღმდეგესთან - აშშ-სა და სსრკ-თან ბრძოლისთვის ქვეყანას ეფექტური იარაღი სჭირდებოდა.

1932 წელს ოკუპირებულ ჩინეთში, ქალაქ ჰარბინის მახლობლად, საიდუმლო ლაბორატორია ამოქმედდა. ადგილი საგანგებოდ იყო შერჩეული - საშიში მასალების გაჟონვის შემთხვევაში საფრთხე ადგილობრივ მოსახლეობას დაემუქრებოდა და არა - იაპონიას. სამათასიან კვლევის ჯგუფს, რომელსაც მოგვიანებით ,,დანაყოფი 731“ ეწოდა, სათავეში პოლკოვნიკი ს ი რ ო ი ს ი ედგა. ისი ბიოლოგიური იარაღის მომხრე და მისი საბრძოლო მიზნებით გამოყენების ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი იყო. საარტილერიო ჭურვებისა და საავიაციო ბომბებისგან განსხვავებით, ბიოლოგიური იარაღი სამიზნე ჯგუფებს შედარებით ნელა, თუმცა თითქმის 100%-ით ხოცავდა. მისი გამოყენება ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანი ჩანდა. იმავდროულად, პირველი

მცირე შეტევის შემდეგაც კი გამრავლებული ბაქტერიები იარაღის მოქმედების ეფექტს საგრძნობლად ზრდიდა. ეს გარემოებები ისიმ იმპერატორ ხიროხიტოსთვის მომზადებულ მოხსენებაში ასახა. შედეგმაც არ დააყოვნა - პოლკოვნიკს საჭირო ფინანსები და მოქმედების თავისუფლება მისცეს.

,,დანაყოფი 731“ (ოფიციალური სახელწოდება ,,კვანტუნის არმიის ნაწილების წყლით მომარაგებისა და პროფილაქტიკის მთავარი სამმართველო“) მრავალპროფილური ორგანიზაცია იყო. მასში შემავალი ჯგუფები სხვადასხვა ვირუსულ დაავადებას (შავი ჭირი, დიზენტერია, ციმბირის წყლული, ხოლერა, ტიფი, ტუბერკულოზი) სწავლობდნენ, მუშაობდნენ პათოგენეზებსა და სპეციალურ საბრძოლო საშუალებებზე. კვლევები და ექსპერიმენტები ადგილობრივ ჩინელებსა და ტყვე სამხედროებზე ტარდებოდა. შესასწავლ ობიექტს კონკრეტული ვირუსით აავადებდნენ და შემდგომ ორგანიზმს აკვირდებოდნენ. ხშირად ჯერ კიდევ ცოცხალ ,,პაციენტებს“ კვეთდნენ და ინფექციური დაავადების შინაგან ორგანოებზე ზემოქმედებას იკვლევდნენ.

მთავარი ამოცანა ბიოლოგიური იარაღის ბრძოლის ველამდე ტრანსპორტირების მეთოდის მოძიება იყო. ხანგრძლივი ექსპერიმენტების შემდეგ არჩევანი რწყილებსა და ფაიფურისკორპუსიან სპეციალურ ბომბებზე შეჩერდა. ჩვეულებრივი ბომბებისგან განსხვავებით, მათ

არც ამფეთქი ჰქონდათ და არც - ასაფეთქებელი ნივთიერება. დაბალი სიმაღლიდან ჩამოგდებული ფაიფურის ბომბი მიწაზე დაცემისას იმსხვრეოდა და შიგნით მოთავსებული ათასობით ,,მკვლელი“ თავისუფლდებოდა.

1940 წელს ახალი იარაღი ჩინურ ქალაქ ნინბოს მოსახლეობაზე გამოსცადეს. იაპონური თვითმფრინავებიდან ქალაქის თავზე ჩამოყრილ ფაიფურის ბომბებში ლაბორატორიებში გაზრდილი და შავი ჭირით დაინფიცირებული რწყილები იყო მოთავსებული. ასეთივე ბომბები იაპონელებმა 1943 წელს ქალაქ ჩანდესთვის გამართულ ბრძოლებშიც გამოიყენეს. 1944 წელს იაპონიის გენშტაბი ბიოლოგიური იარაღით აშშ-ზე შეტევის გეგმასაც განიხილავდა. აშშ-ის ტერიტორიაზე საჰაერო ბურთებით ადამიანებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის საშიში ვირუსების გაგზავნა იგეგმებოდა [8, 30].

1940-იან წლებში ციმბირის წყლულის ბიოლოგიურ იარაღად გამოყენებაზე ბრიტანელებიც მუშაობდნენ. 1942 წლისთვის სამეფო სამხედრო ავიაციამ შეიარაღებაში ბიოლოგიური ბომბი მიიღო. საბრძოლო საშუალება ციმბირის წყლულის სპორებიან სამ ლიტრ სუსპენზიას შეიცავდა.

ომის დროს ბრიტანელები საიდუმლო ოპერაცია ,,ვეგეტარიან“-ს ამზადებდნენ. ჩანაფიქრით, მსხვილფეხა საქონლის ინფიცირებისათვის გერმანიის ვრცელ

საძოვრებზე ავიაციის მეშვეობით ე.წ. ტორტების (ციმბირის წყლულის სპორებით დაინფიცირებული მცენარეების და ბალახის ნარევი) გაფანტვა იგეგმებოდა. ჩანაფიქრი შოტლანდიის მახლობლად მდებარე კუნძულ გ რ უ ა ნ ა რ დ ზ ე გამოსცადეს. შედეგი ისეთი ეფექტური გამოდგა, რომ ნიადაგის ძლიერი დაბინძურების გამო 1990 წლამდე კუნძული დახურულ ზონად ითვლებოდა. ევროპაში ნაცისტების წინააღმდეგ ბიოლოგიური იარაღის გამოყენებაზე ლონდონმა უარი თქვა და გამზადებული 5 მილიონი ,,ტორტი“ ღუმელში გაანადგურა [8, 30].

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში საერთაშორისო ორგანიზაციები, უპირველესად კი გაერო, ცდილობდნენ აეკრძალათ მასობრივი იარაღის წარმოება, შენახვა და გამოყენება. ამიტომაც, თითქმის ყველა დიდი ქვეყანა ბიოლოგიური იარაღის შექმნის გეგმებს და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს მაქსიმალურად ასაიდუმლოებდა.

საბჭოთა კავშირმა კი ბიოლოგიური იარაღის წარმოება და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები კიდევ უფრო გააფართოვა. ქალაქი სვერდლოვსკი ბიოიარაღის კვლევების და წარმოების ცენტრად იქცა. მიწისქვეშა ბუნკერებში განთავსებული იყო საიდუმლო ლაბორატორიები და საწარმოო საამქროები. შეიქმნა ერთიანი კომპლექსი, რომელიც ოფიციალურ მიმოწერაში მე-19 სამხედრო ქალაქად მოიხსენიებოდა. ვირუსოლოგიისა

და ტოქსინების მიმართულებით მუშაობდა ქალაქ ზაგორსკში მდებარე საიდუმლო ინსტიტუტი (ზაგორსკი - 6).

1960-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა სამხედრო-ბიოლოგიური პოტენციალი ძირითადად სამ ქალაქში იყო თავმოყრილი. სვერდლოვსკში ბაქტერიების ,,მოთვინიერებაზე“ და მის საბრძოლო ბიომასად ფორმირებისთვის დანადგარებზე მუშაობდნენ. კიევში შავი ჭირის შტამები გამოჰყავდათ, ხოლო ზაგორსკში ,,შავი ყვავილის“ ბაქტერიებს ზრდიდნენ. ასე რომ, საბჭოთა კავშირს ბიოლოგიური იარაღის რაოდენობითა და მრავალფეროვნებით ვერავინ წაართმევდა ლიდერობას.

1972 წელს საბჭოთა კავშირის კპ ცკ-მა სპეციალური დადგენილება მიიღო მოლეკულური ბიოლოგიის აღორძინების ღონისძიებათა შესახებ, თუმცა ამ გადაწყვეტილების მიღმა საბჭოთა გენერლების შორეული სამხედრო მიზნები იმალებოდა. საბჭოთა ხელისუფლება ცდილობდა, გაეროს გენერალური ასამბლეის 1971 წლის კონვენციის გვერდის ავლით გაეგრძელებინა ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის ფარული წარმოება.

საბჭოთა კავშირი ფულს არ იშურებდა ბიოლოგიური იარაღის შექმნის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გასაფართოებლად. მოსკოვთან და ნოვოსიბირსკთან ახლოს შეიქმნა მძლავრი ვირუსოლოგიური კვლევის სამეცნიერო-სამრეწველო ცენტრები, ლენინ-

გრადში კი ამ პროფილის ახალი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გაიხსნა. ყველაზე მეტად კი ყაზახეთს ,,გაუმართლა“. უდაბურ სტეპებთან ახლოს აშენდა მიკრობიოლოგიური კვლევების მთელი ქალაქი - სტეპნოგორსკი. იქ მიმდინარე თეორიული კვლევების შედეგები არალის ზღვაში მდებარე კუნძულ ,,ვოზროჟ-დენიეს“ საცდელ პოლიგონზე მოწმედებოდა [32, 63].

ვოზროჟდენიეს პოლიგონზე ექსპერიმენტები კვლავ გრძელდებოდა. ცდები ტარდებოდა ძაღლებზე, მაიმუნებზე, ზღვის ღორებზე, ვირთხებზე. მკვდარ ცხოველებს საცხოვრებელი ტერიტორიიდან შორს მარ-ხავდნენ. განსაკუთრებით მასშტაბური ცდები ტარდე-ბოდა 1980 წელს, როდესაც სხვადასხვა ვირუსით დაასნებოვნეს აფრიკაში ნაყიდი 500 მაიმუნი. მათი ნარჩენების კრემაცია და დამარხვა ხდებოდა პოლიგო-ნიდან არცთუ ისე შორს [33, 15].

პარალელურად მსოფლიოს ,,ცხელ წერტილებში“ დაპირისპირებული მხარეები, ქიმიური იარაღის აშკარად გამოყენებასაც არ ერიდებოდნენ. მაგალითად, ერაყ-ირანის ომის დროს (1980-1988 წწ.) ბაღდადის რეჟიმმა რამდენჯერმე გამოიყენა 1925 წლის ჟენევის პროტოკოლით აკრძალული ქიმიური იარაღი, როგორც ირანის არმიის, ისე საკუთარი მოქალაქეების წინააღ-მდეგ. ფართოდ გახმაურდა პატარა ქალაქ ჰ ა ლ ა ბ ჯ ა ს (ერაყის ქურთისტანი) მოსახლეობის მომწამლავი გა-ზით განადგურება 1988 წლის მარტში: ბაღდადი

ქურთებს ირანთან თანამშრომლობაში ადანაშაულებდა. ჰალაბჯაში დაიღუპა 3-5 ათასი ადამიანი და 7-10 ათასი სერიოზულად მოიწამლა [34, 159].

ორი სუპერსახელმწიფო - საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები - ბიოლოგიური იარაღის შექმნის პროცესში ერთმანეთს არ ჩამორჩებოდა. აშშ-ში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი-საწარმოო სამუშაოები განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გააქტიურდა. ამის მიზეზად ამერიკის ხელისუფლება, საბჭოთა პოლიტბიუროსი არ იყოს, ,,ცივ ომს“ ასახელებდა. 1975 წელს აშშ-ის პრეზიდენტმა ჯერალდ ფორდმა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს (ცსს) საქმიანობის შემსწავლელი კომისიები შექმნა. ერთ-ერთ კომისიას სენატორი ჩერჩი ხელმძღვანელობდა. საიდუმლო დოკუმენტების შესწავლის შემდეგ სენატორების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა [35, 37].

საბჭოთა-რუსული პროპაგანდის მტკიცებით, 1980 წელს აშშ-მა კუბის წინააღმდეგ ბიოლოგიური იარაღი გამოიყენა, რასაც დიდი მატერიალური ზარალი მოჰყვა. ამ ვერსიის თანახმად, ამერიკის დაზვერვას შეუსწავლია რა კუბის ეკონომიკა, დაუდგენია, რომ ძირითად საექსპორტო შემოსავალს ფიდელ კასტროს რეჟიმი შაქრის ლერწმისა და ღორის ხორცის ექსპორტით იღებდა, ამიტომაც აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს კუბაზე ფარულად გაუვრცელებია ღორისა და შაქრის ლერწმის ინფექციური დაავადების გამომწვევი

ბაქტერიები. კა-გე-ბესა და კუბის სპეცსამსახურების მტკიცებით, ამერიკელებმა მომაკვდინებელი ბაქტერიე-ბით დაავადებული კოღოები ჰავანის აეროპორტში გაუშვეს. ამის შედეგად, როგორც ამ ვერსიის აქტიური მხარდამჭერები აცხადებენ, კუბაზე ღორები სულ გაწყვეტილან, ხოლო შაქრის ლერწმის მოსავლის 80% განადგურებულა [36, 34].

1987 წლისთვის საბჭოთა კავშირში ბიოლოგიური იარაღის წარმოების საიდუმლო პროგრამებზე მუ-შაობდა ათამდე ინსტიტუტი და ლაბორატორია, სადაც 15 ათასზე მეტი კაცი იყო დასაქმებული. ბიოიარაღის სამრეწველო ტექნოლოგიების და მოწყობილობების შექმნაზე, ბიოიარაღის მწარმოებელ მხოლოდ ერთ-ერთ ცენტრში (კერძოდ, ზაგორსკ-6-ში), 1980-იანი წლების ბოლოს ,,ყვავილის“ მიკრობების 20-ტონიანი მარაგი ჰქონდათ. ხოლო სვერდლოვსკის საიდუმლო ლაბორა-ტორიებში ყოველწლიურად 200 კგ-მდე ,,სუპერ შავი ჭირის“ ბაქტერიები შეეძლოთ ეწარმოებინათ, რაც საკმარისი იყო 5 მილიონი ადამიანის გასანადგურებ-ლად. ეს ციფრები განსაკუთრებით საბჭოთა გენერლე-ბის გულებს ახარებდა. მათ ისიც გაიანგარიშეს, რომ მოწინააღმდეგის ქალაქის თავზე ჩამოგდებულ ციმბი-რის წყლულის ბაქტერიებით დატენილ 50 კგ-იან ჭურვს 20 კვ.კმ. ტერიტორიაზე ყველა ცოცხალი ორგანიზმის დაავადება შეეძლო.

საბჭოთა ,,პერესტროიკა“ ძალას იკრებდა და სამეცნიერო კონტაქტები უფრო და უფრო ხშირი ხდებოდა. ,,რკინის ფარდის“ მოხსნამ საბჭოთა იმპერიას ბევრი პრობლემა შეუქმნა. 1989 წელს ლონდონში გაიქცა საფრანგეთში სამეცნიერო მივლინებაში მყოფი ლენინგრადის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვ ლ ა დ ი მ ე რ პ ა ს ე ჩ ნ ი კ ი, რომელმაც საბჭოთა ბიოიარაღის მთელი საიდუმლო ბრიტანელებს და ამერიკელებს გადასცა. აღნიშნულის შედეგი იყო, რომ ერთ-ერთ ოფიციალურ შეხვედრაზე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა და ,,რკინის ლედიმ“ მარგარეტ ტეტჩერმა და გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი მწვავე კითხვებით კუთხეში მოიმწყვდიეს.

,,პერესტროიკის არქიტექტორი“ ამის შემდეგ იძულებული გახდა მცირე ხნით მართლაც შეეჩერებინა ბიოიარაღის სამეცნიერო და საწარმოო პროგრამები, რომელთა საიდუმლო კოდური სახელწოდება იყო ,,ფერმენტი“. საბჭოთა პრეზიდენტმა ამ საიდუმლო განკარგულებას 1990 წლის 5 დეკემბერს მოაწერა ხელი. საბჭოთა კავშირის ოფიციალური განცხადება ბიოლოგიური იარაღის წარმოების სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო პროგრამების შეჩერების შესახებ მორიგი საბჭოთა ტყუილი აღმოჩნდა. რადგანაც სამხედროები, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს მე-15

მთავარ სამმართველოს უფროსის, გენერალ-ლეიტენანტ ე ვ ს ტ ი გ ნ ე ე ვ ი ს ხელმძღვანელობით მუშაობას მაინც აგრძელებდნენ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არალის ზღვაში მდებარე კუნძული ,,ვოზროჟდენიე“ ორი სუვერენული სახელმწიფოს - ყაზახეთის და უზბეკეთის ტერიტორიულ საზღვრებში მოექცა. რუსეთმა კუნძულიდან ყველა დოკუმენტაცია, აპარატურა და მასალები თავის ლაბორატორიებში გადაიტანა. ხოლო საიდუმლო ბიოლოგიური ლაბორატორიის და პოლიგონის მუშაობის ამსახველი საარქივო მასალები ყაზახეთისა და უზბეკეთის ხელისუფლებას არც კი გააცნო.

ამიტომაც ამ კუნძულიდან მიწაში ჩამარხული ციმბირული წყლულის და შავი ჭირის შტამების გავრცელების საშიშროება ძალზე რეალური იყო. მეცნიერები შიშობდენენ, რომ ფრინველებს და მღრღნელებს შეეძლოთ ეს შტამები მატერიკზე გადაეტანათ. ამის მიუხედავად, ამ ორი შუააზიური სახელმწიფოს ხელისუფლება სხვადასხვა მიზეზების გამო დიდი ხნის მანძილზე თავს არიდებდა უსაფრთხოების აუცილებელი ზომების მიღებას [32, 63-64].

ამერიკელების ზეწოლის შემდეგ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი იძულებული გახდა, 1992 წლის ბოლოს სპეციალური განკარგულებისთვის მოეწერა ხელი, რომლითაც რუსეთს თავდასხმითი ბიოლოგიური იარაღის წარმოება უნდა შეეწყვიტა.

თუმცა ბიოიარაღის სამეცნიერო კვლევა და საწარმოო პროგრამები ფარულად კვლავ გრძელდებოდა.

ამჟამად რუსული ბაქტერიოლოგიური იარაღის შექმნაზე ისევ მუშაობენ ზაგორსკში, ეკატერინბურგსა (ყოფილი სვერდლოვსკი) და კიროვში განლაგებული სამეცნიერო-საწარმოო ლაბორატორიები [36, 36].

ჯერ კიდევ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, კახელი გლეხების მოსავალი ლამაზად შეფუთულმა, მაგრამ უხარისხო შხამქიმიკატებმა გაანადგურა. ვინც ვენახი ამ ნივთიერებით შეწამლა, ყველას გაუფუჭდა, ხოლო ვინც მამაპაპური წესით, გოგირდშაბით შეწამლა, გადაურჩა. საკითხავია, ეს შემთხვევითი იყო თუ წინასწარგანზრახული? ვინმე ხარბმა ბიზნესმენმა მოითბო ხელი გლეხების უბედურებაზე და უხარისხო შხამ-ქიმიკატი შემოიტანა თუ ზოგიერთი ,,მეგობარი“ ქვეყნის ხელისუფლებამ იზრუნა ქართული ღვინის უხარისხობასა და მძიმე ლითონების შემცველობის გაზრდაზე? სამწუხაროდ, ეს კითხვები მაშინ უპასუხოდ დარჩა და ასეა ახლაც. გავიდა ორი-სამი წელი და ქათმის გრიპმა გააჩანაგა საქათმეცა და ბარაქაც. ხელისუფლების არგუმენტი, ეს მსოფლიო პრობლემაა და ჩვენ რა ვქნათო, საქართველოს მოსახლეობამ ჩვეული მორჩილებით მიიღო. შემდეგ კი ,,აფრიკული ჭირი“ დაეტაკა მაინცდამაინც საქართველოს ღორებს.

ცნობილია, რომ სასიკვდილო ბაქტერიებისა და ვირუსების ფარულად გავრცელებისათვის სხვადასხვა მეთოდს იყენებენ: თვითმფრინავებიდან გადმოასხურებენ ან კონტეინერს, სადაც ვირუსებით დაავადებული მღრღნელებია, აგდებენ. კონტეინერი იმსხვრევა, თაგვები და ვირთხები გარბიან და სასიკვდილო ვირუსებს ავრცელებენ. ამავე დროს არსებობს ბიოიარაღის გავრცელების უფრო თანამედროვე საბრძოლო ტექნოლოგიებიც. კერძოდ, რაკეტები, საავიაციო და საარტილერიო ჭურვები და სხვ. სპეცსამსახურებისა და ტერორისტების სამიზნე ხალხმრავალი ადგილებია (მეტრო, ბაზარი და ა.შ.), სადაც იოლია ვირუსის ფარულად გავრცელება [32, 34].

ამერიკელები თბილისთან ახლოს, ალექსეევკის დასახლებაში ერთ-ერთი ყოფილი სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე საიდუმლო ვირუსოლოგიურ ლაბორატორიას რამდენიმე წელი აშენებდნენ. შეთანხმება უმაღლეს სახელისუფლებო დონეზე იყო მიღწეული. ინფორმაცია ამის შესახებ პრესაში პერიოდულად ქვეყნდებოდა. ათასგვარმა ვერსიამაც არ დააყოვნა - ზოგი ფიქრობდა, რომ აქ ამერიკელები ბაქტერიოლოგიური იარაღის წარმოებას აპირებდნენ; ზოგს მიაჩნდა, რომ ჩვენთან ყველა უცნობ ბაქტერიასა და ვირუსს შემოიტანდნენ და აქ მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ჩატარდებოდა; ზოგიერთი კი ამტკიცებდა, რომ ამერიკელებმა ,,კეთილშობილური“

მისია იკისრეს და ჩვენთან ბაქტერიოლოგიური იარაღისგან თავდაცვის საშუალებებს დაამზადებდნენ.

ლაბორატორიას 2012 წლის 20 სექტემბრამდე ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორია“ ეწოდებოდა, ხოლო შემდეგ სახელი შეეცვალა და ,,რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევის ცენტრად“ გარდაიქმნა.

2013 წლის გაზაფხულზე საქართველოს პრეზიდენტ საკაშვილის ყოფილმა მრჩეველმა ჯ ე ფ რ ი ს ი ლ ვ ე რ მ ა ნ მ ა ინტერვიუში განაცხადა: ,,ლაპარაკია 150-მილიონიან პროგრამაზე, რომლის ფარგლებშიც საქართველოში ბიოლოგიური იარაღის კომპონენტების კვლევა მიმდინარეობს და შესაბამისი ლაბორატორიაც არსებობს, რომელსაც პენტაგონი კურირებს. ლაბორატორია თბილისის აეროპორტის გვერდითაა. იქ მიმდინარეობს ბიოლოგიური იარაღის კომპონენტების კვლევა, რაც ამერიკის ტერიტორიაზე აკრძალულია. რაიმე გაუთვალისწინებელი თუ მოხდა, საქართველო წაილეკება“ [32, 32-33].

ეს ყველაფერი ბიოლოგიური იარაღის ამკრძალავი კონვენციის გვერდის ავლის მიზნით კეთდება. აშშ-ს არ აქვს უფლება, განაგრძოს სახიფათო ბიოაგენტების (ნივთიერებების) კვლევა, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ იარაღად. ბიოლოგიური იარაღის შესახებ კონვენცია საკანონმდებლო ქარტიაა, რომელიც კრძალავს

ბიოლოგიურ იარაღს, მის გამოყენებას და ცდების ჩატარებას ადამიანებზე.

2013 წელს ლუგარის ლაბორატორიაში მოხდა თანამშრომელთა ინფიცირება. ინფიცირებული პერსონალი საიდუმლოდ გადაიყვანეს ,,არამიანცის“ საავადმყოფოში სამკურნალოდ და თანხაც გადაიხადეს მედიასაშუალებებისთვის, ინფორმაციის დამალვის მიზნით.

2015 წლის ნოემბერში ჯეფრი სილვერმანმა სენსაციური განცხადება გააკეთა: ,,მე მაქვს დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ ლუგარის ლაბორატორიაში... აწარმოებენ ჯანმრთელობისთვის საშიშ ნივთიერებებს და ცდიან ადგილობრივ მოსახლეობაზე... დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოში ადამიანებსა და ცხოველებზე სახიფათო ექსპერიმენტებს ატარებენ. თბილისის ლაბორატორიაში ამზადებენ ჯილეხს, ციმბირის წყლულს, შავ ჭირს და ე.წ. ღორის გრიპს. და თუ მოხდება უბედური შემთხვევა, საქართველო აღიგვება დედამიწის პირისაგან ... [37, 3].

პარალელურად, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ინტენსიურად აგრძელებს ეპიდემიების გამომწვევ იარაღზე მუშაობას. რუსი პროფესორის, ლევ ფიოდოროვის ინფორმაციით, რუსეთში, ვლადიმირის ოლქის ერთ-ერთ ქალაქში, დღესაც მოქმედებს საიდუმლო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც მოწინააღმდეგის პირუტყვის (ძირითადად - ძროხებისა

და ღორების) დაავადების გამომწვევი ბიოიარაღის შექმნაზე მუშაობს. რუსი მეცნიერები ცდილობენ, ისე „გამოზარდონ“ ბაქტერიები, რომ აცრის მიუხედავად ნებისმიერ ორგანიზმში შეიჭრნენ და იმუნური სისტემა დააზიანონ.

ამ მიმართულებით სამეცნიერო კვლევების სპექტრი მეტისმეტად ფართოვდება. მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის, ნათესებისა და პირუტყვის განადგურების „პროზაული“ მიზნების მიღწევის შემდეგ რუსმა სამხედროებმა მეცნიერებს უფრო რთული ამოცანები დაუსახეს. ამჟამად რუსეთში განსაკუთრებით გასაიდუმლოებულია კვლევები, რომლებიც მოწინააღმდეგის საბრძოლო ტექნიკის ან საწვავის „შემჭმელი“ ბაქტერიებისა და ვირუსების გამოყვანას ისახავს მიზნად.

წარმოვიდგინოთ - უხილავი „დამშეული“ ბაქტერიები „მადიანად“ ნთქავენ ტანკის ელექტროიზოლაციას, მოკლე ჩართვას მწყობრიდან გამოჰყავს საბრძოლო მანქანის ელექტრობა და ჩნდება ხანძარი. ან კიდევ - ავზი, რომლშიც საწვავი იყო, უცბად წყლით აღმოჩნდება სავსე. არ გავიკვირვოთ - შეიძლება ესეც ბაქტერიების დამსახურება აღმოჩნდეს.

ეს სტანისლავ ლემის ან აიზეკ აზიმოვის ფანტასტიკური ნოველიდან ნასესხები სიუჟეტი არ გვეგონოს - ამ მიმართულებით სხვადასხვა ქვეყანაში დღესაც მიმდინარეობს ძვირად ღირებული საიდუმლო სამეცნიერო კვლევები [32, 36].

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მსოფლიოში ახალი კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა: „უახლოეს დღეებსა და კვირებში ველოდებით, რომ დაინფიცირების შემთხვევები, გარდაცვლილთა რაოდენობა გაიზრდება. ჩვენ მივედით დასკვნამდე, რომ დაავადება კოვიდ-19 შესაძლოა შეფასდეს, როგორც პანდემია“. პანდემია ეწოდება ძლიერ ეპიდემიას, რომელსაც ახასიათებს ინფექციური დაავადების გავრცელება მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, მოსაზღვრე ქვეყნებში და ზოგიერთ შემთხვევაში - მრავალ ქვეყანაში.

დაავადების პირველი შემთხვევები ჩინეთში ოფიციალურად 2020 წლის ინავრის ბოლოს აღინიშნა და ყოველდღიურად გეომეტრიული პროგრესიით იზრდებოდა. შემდეგ იგივე განმეორდა ირანსა და იტალიაში. ვირუსის გავრცელების სწრაფმა ტემპმა და ლეტალურ შემთხვევათა დიდმა რაოდენობამ ვირუსის წარმოშობა-გავრცელების გამო დაეჭვება გამოიწვია [32, 34]. ხალხს ეგონა რამდენიმე თვეში პანიკა ჩაცხრებოდა, თუმცა მდგომარეობა დღითი დღე მძიმდებოდა. ახალი კორონავირუსით მილიონობით ადამიანი დასნეულდა, გაიზარდა დაღუპულთა რიცხვი. სახელმწიფოებმა საზღვრები ჩაკეტეს, შეჩერდა ეკონომიკური და საგანმანათლებლო, კულტურული საქმიანობა ...[38, 48]. რა დაამარცხებს კორონას, ვაქცინაცია თუ დაწესებული შეზღუდვები?

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. О. Покровский, Грозные всадники апокалипсиса, журн. „Загадки истории“, 2020, #38
2. ჯ. სამუშია, შავი ჭირი ეპიდემიები მსოფლიოსა და საქართველოში, ჟურნ. „ისტორიანი“, 2020, #4
3. თამარ-ბარბარე თომაძე, პლატონი, თბილისი, 2019
4. ნათან კონსტანტინი, კანიბალიზმის ისტორია, ინგლისუ-რიდან თარგმნა გურამ აბაშიძემ, თბილისი, 2012
5. А. Лаврентьев, Пир во время зимы, Журн. „Загадки истории“, 2020, #6
6. Д. Митюрин, Долгая зима в европе, Журн. „Загадки истории“, 2020, #48
7. სვეტა კვარაცხელია, იოჰან გუტენბერგი, თბილისი, 2019
8. ა. აფაქიძე, უხილავი მკვლელი–ბიოლოგიური იარაღი, ჟურნ. „არსენალი“, 2020, #5
9. ჯ. სამუშია, შავი ჭირის ეპიდემიები საქართველოში, ჟრნ. „ისტორიანი“, 2020, #5
10. ა. გელაშვილი, მეფე ერეკლეს დროშია... თბილისი, 2015
11. Е. Зимин, Самая веселая эпидемия, Журн. „Загадки истории“, 2020, #42
12. И. Родионов, Откровения святого вита, Журн. „Загадки истории“, 2020, #50
13. Лев Каплин, Спутница богины и ведьм, Журн. „Загадки истории“, 2021, #8
14. Д. Митюрин, Жатва черной смерти, Журн. „Загадки истории“, 2018, #47
15. რუსა შელია, ლეონარდო და ვინჩი, თბილისი, 2016

16. ს. ცინცაძე, დიპლომატია რიშელიედან გორბაჩოვამდე, თილისი, 2016
17. ნიკოლო კაპონე, ნიკოლო მაკიაველი, თბილისი, 2013
18. პიტერ აკროიდი, შექსპირი, თბილისი, 2013
19. П. Ежов, Подвески для фаворита, Журн. „Загадки истории“, 2020, #1-2
20. მ. ასლამაზაშვილი, ჟანა დარკი, თბილისი, 2017
21. А. Фролов, Цветы на все золота, Журн. „Загадки истории“, 2021, #6
22. თ. ჩაჩანიძე, პანდემიამ ატომურ ავიამზიდსაც შეუტია, ჟრნ. „არსენალი“, 2020, #5
23. Ада Михайлова, Черные тени мангазей, Журн. „Загадки истории“, 2021, #7
24. О. Смирнова, Земский доктор, Журн. „Загадки истории“, 2021, #3
25. Синтаро Накамура, Японцы и Русские, перевод с японского с окращениями, М., 1993
26. Д. Калюжный, Пандемии былых времен, Журн. „Загадки истории“, 2020, #43
27. პატრიკ იურჟედნიკი, ევროპეანა მეოცე საუკუნის მოკლე ისტორია, ჩეხურიდან თარგმნა გიული ლეჟავამ, თბილისი, 2009
28. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2020, #28
29. ჯონ ტენერი, ოცდაათი წელი ინდიელთა შორის, თბილისი, 1965
30. Секретные операции, „Тайны XX века“, 2020, #3 (33)
31. თ. ჩაჩანიძე, ბიოლოგიურ საფრთხესთან მებრძოლი სამხედრო ტექნიკა, ჟურნ. „არსენალი“, 2020, #5

32. ბ. ალადაშვილი, ბიოლოგიური იარაღი: XXI საუკუნის მთავარი საფრთხე, ჟრნ. „არსენალი“, 2013, #10
33. О. Покровский, „Обитель зла“: от рассвета до заката, Журн. „Тайны ссср“, 2021, #1
34. რ. გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი, ორ ტომად - ტომი II, თბილისი, 2019
35. ბ. ალადაშვილი, კოვიდ - 19, ჟურნ. „არსენალი“, 2020, #5
36. ჟურნ. „არსენალი“, 2020, #6
37. გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, 2015, #42
38. თ. ჟორჟოლიანი, საბჭოური აპოკალიფსური ციმბირული წყლულის ამოუცნობი ეპიდემია, ჟურნ. „არსენალი“, 2021, #2

„მიუკარებლები“ ინდოეთსა და იაპონიაში

ინდოეთი მდებარეობს სამხრეთ აზიაში, ინდოსტანის ნახევარკუნძულზე. ტერიტორია 3. 28 მილიონი კვ. კმ. დამოუკიდებელი გახდა 1947 წელს. მისი მოსახლეობა ერთგვაროვანი არ იყო, იგი შედგებოდა სხვადასხვა ტომებისგან. მიუხედავად ამისა, ძველი ინდოეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ არაერთგვაროვან ტომობრივ ჯგუფებსა და გაერთიანებებს ერთიანი თვითმყოფადი კულტურა გააჩნდათ.

პერიოდი, რომელიც ცნობილია ვ ე დ უ რ ი ეპოქის სახელით, უცხოელი დამპყრობლების – ა რ ი ე ლ ე ბ ი ს შემოსევასთან არის დაკავშირებული. დამპყრობლები თავიანთ თავს „არიელებად“ ანუ „კეთილშობილებად“ თვლიდნენ, ლაპარაკობდნენ ერთმანეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა დიალექტზე, რომელთა ერთობლიობას ვ ე დ უ რ ე ნ ა ს უწოდებდნენ. არიელთა ყოფაცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ უხუცესები, რომლებიც სახალხო კრებებში (ს ა მ ი ტ ი) დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ. საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების დონით არიელები დამორჩილებულ ხალხზე გაცილებით დაბლა იდგნენ. მიუხედავად ამისა, მათ დაამარცხეს ეკონომიკურად და პოლიტიკურად დაწინაურებული ადგილობრივი მოსახლეობა და შეძლეს დაპყრობილი ხალხის განვითარების დონეზე ამაღლება. კერძოდ,

ისინი გადავიდნენ ბინადარ ცხოვრებაზე და დროთა განმავლობაში გაითქვიფნენ ადგილობრივ მოსახ-ლეობაში [1, 55-56].

რეალურად ეს ქვეყანა მრავალი განსხვავებული ეთნიკური ჯგუფისაგან შედგება, რომლებიც განსხვავე-ბულ ენებზე ლაპარაკობენ. ინდოეთი მოსახლეობის მიხედვით მსოფლიოში მეორე ადგილზეა (1 მი-ლიარდზე მეტი ადამიანი). იგი ამავე დროს ერთ-ერთი ყველაზე მრავალენოვანი ქვეყანაა. ინდოეთის კონსტი-ტუცია თექვსმეტ ენას აღიარებს, მაგრამ აღწერის მიხედვით ინდოეთში, დიალექტების ჩათვლით, 1500-ზე მეტ ენაზე საუბრობენ. სამი ყველაზე გავრცელე-ბული სახელმწიფო ენებია: ინგლისური, ჰინდი, ურდუ. ჰინდიზე ინდოეთის მოსახლეობის ერთი მესამედი ლაპარაკობს. ინგლისური ელიტარული მოსახლეობის ენას წარმოადგენს, მასზე ძირითადად საუნივერსიტეტო განათლების მქონე ადამიანები ლაპარაკობენ. ურდუ კი ინდოეთის მუსლიმების ენაა, რომლებიც ქვეყნის ყველაზე დიდ უმცირესობას წარმოადგენენ [2, 284]. გამოჩენილი ინდოელი მოღვაწე მ ა ჰ ა თ მ ა გ ა ნ დ ი ენობრივ მონაცემებს კიდევ უფრო აკონკრეტებს. კერ-ძოდ აღნიშნავს, რომ „ჰინდისთან ერთად, ოფიციალურ ენებად ითვლება: ბენგალიური (83 მლნ.), ტელუგუ (74 მლნ.), მარათული (72 მლნ.), ტამილური (61 მლნ.), ურდუ (52 მლნ.) გუჯარათული (46 მლნ.) და სხვ. [3, 441].

მოსახლეობის სიჭრელეზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ გასული საუკუნის ბოლოს ინდოეთში გამოდიოდა გაზეთები 84 ენასა და დიალექტზე 51 მილიონი ეგზემპ-ლარის რაოდენობით. ყოველდღიური პრესა მხოლოდ ჰინდის ენაზე 3, 6 მილიონი ტირაჟით იბეჭდებოდა. ინგლისურენოვანი 3, 3 მილიონი ეგზემპლარი. რადიოგადაცემები კი მიმდინარეობს 21 ენასა და 246 დიალექტზე [4, 18-19].

შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ინდოელი ტომები, მიუხედავად განსხვავებული ნიშნებისა: ბენგა-ლიელები, მარტახები, გუჯარელები, თამილები, ანდხ-რაები (ტელუგები), ორიები, ასამცები, კანარები, მა-ლაიელები, სინდჰები, პენჯაბელები, პატანები, ქაშმი-რელები, რაჯპუტები... და ხალხთა „ცენტრალური უდი-დესი ჯგუფი“, რომლებიც ლაპარაკობენ ჰინდუსტანის ენაზე, ასწლეულების განმავლობაში შეინარჩუნეს მათთვის დამახასიათებელი თავისებურებანი [5, 91].

ინდუსი თუ შეიტყობს, რომ მის ძარღვებში უცხო სისხლი ჩქეფს, ინდუისტური რელიგიიდან გამომდი-ნარე მისი ადგილი საერთოდ აღარ არის ინდოეთის მორწმუნე საზოგადოებაში, რომლითაც ასე ამაყობდა [6, 140].

განდი ინდუიზმთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ „ადამიანს შეიძლება არ სწამდეს ღმერთი, და მაინც უწოდებდეს თავს ინდუსს. ინდუიზმი – ეს არის შეუ-

პოვარი სწრაფვა ჭეშმარიტებისკენ... ინდუიზმი არის ჭეშმარიტების რელიგია“ [5, 114].

სწორედ რელიგიურმა მრავალფეროვნებამ განაპირობა, რომ ინდოეთში ერთმანეთის პარალელურად სამი სამართლებრივი სისტემა განვითარდა: ინგლისური სამართალი, მუსლიმური სამართალი და ინდოეთის ეროვნული სამართალი. ინდუსური სამართალი კი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება და ყველა მოქალაქეს შეეხება, მიუხედავად ეროვნული, რელიგიური თუ თემური კუთვნილებისა. ბუნებრივია, ინდოეთის ეროვნულ სამართალზე გავლენა მოახდინა ინგლისურმა საერთო სამართალმა და პრეცედენტების სისტემამ [7, 589].

უდიდესი ძალისხმევა დასჭირდა პოლიტიკურ ელიტას, რომ ინდოეთი არ გადაქცეულიყო ი ნ დ უ ი ს ტ უ რ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო დ, როგორც ეს მოხდა მუსლიმურ პაკისტანში [4, 6]. სინამდვილეში რა არის ინდუიზმი? – არავის რამდენიმე სიტყვითაც კი არ მოუცია მისი ფორმულირება. ასევე არ არის ერთიანი აზრი, როგორია ამ რელიგიის ძირითადი ნიშნები. იმასაც კი ვერ იტყვი ინდუიზმი მონო თუ პოლითეისტური რელიგიაა, რადგან ერთდროულად არსებობს როგორც ერთი ღმერთი, ასევე უამრავი ჰიპოსტასები და სხვა ღმერთები. წმინდა წიგნებში – ვედებსა და უპანიშადებშიც კი გამოთქმულია ეჭვი ღმერთის არსებობის შესახებ [4, 56].

ინდუიზმმა, როგორც ინდოელების რწმენისა და კულტების ერთობლიობამ საბოლოო ფორმა მიიღო შ ა ნ კ ა რ ა ს რეფორმების შედეგად (ახ. წ-ის VIII საუკუნეში). ძირითადი კანონიკური ტექსტებია „ბრახმასუტრა“, „ბხაგავატგიტა“, „უპანიშადები“ შანკარას კომენტარებით [6, 17].

აღსანიშნავია, რომ ინდუიზმი მიმდევართა რაოდენობით მესამე რელიგიაა (ქრისტიანობისა და ისლამის შემდეგ). ამ ნიშნით იგი ბუდიზმს უსწრებს, რომელიც მსოფლიო რელიგიად მიიჩნევა. ინდუისტთა საერთო რაოდენობა ერთ მილიარდამდე აღწევს, რომელთა აბსოლიტური უმრავლესობა აზიაში, ორ მილიონამდე ჰინდუსი აშშ-ში, ერთნახევარი მილიონი კი აფრიკასა და ევროპის ქვეყნებში ცხოვრობს. მცირე ჯგუფები არიან ასევე დანარჩენ კონტინენტებსა და ქვეყნებშიც.

ინდუსიტური რელიგიის ისტორიული სახელწოდება სანსკრიტზე ჟღერს, როგორც „ს ა ნ ა ტ ა ნ ა დ ჰ ა რ მ ა“, რაც ნიშნავს „მარადიულ წიგნს“. ცნება „ინდუიზმი“ კი წარმოიშვა სიტყვისგან „ჰ ი ნ დ უ“ (მდინარე „სინდჰუ“-ს სანსკრიტული სახელწოდების სპარსული ვარიანტი) [8, 267].

ინდუისტური რელიგიისათვის დამახასიათებელია მრავალღმერთიანობა. ამ მრავალრიცხოვან ღვთაებათა შორის უმნიშვნელოვანეს ღმერთებად ითვლება ბ რ ა ჰ მ ა, შ ი ვ ა და ვ ი შ ნ უ. ამ ღმერთებმა ერთმანეთში

შემდეგი ფუნქციები გაინაწილეს: შემოქმედებითი (ბრაჰმა) დამსჯელი (შივა) და მფარველობითი (ვიშნუ).

ინდუიზმის რელიგიური სწავლების თანახმად, ბრაჰმას შექმნილია როგორც ეს სამყარო (ადამიანის ჩათვლით), ასევე დანარჩენი ღვთაებებიც. ბრაჰმა არ არის პიროვნული ღმერთი, ამიტომ მორწმუნის მხრიდან შეუძლებელია მასთან პიროვნული ურთიერთობა ლოცვისა თუ სხვა რელიგიური ქმედებების საშუალებით. იგი სამყაროს სულია, გაბნეულია მასში [8, 270].

შეიძლება ითქვას, რომ რელიგიას ვერასოდეს ავხსნით მისი გარემომცველი მატერიალური პირობებით. ძვ. წ.-ის პირველი ათასწლეულის ბოლომდე ინდოეთს, ჩინეთის მსგავსად აგნატურ ჩამომავლობაზე და მათგან წარმოებულ პოლიტიკურ ფორმებზე დამყარებული სოციალური სტრუქტურა ჰქონდა. მაგრამ ამის შემდეგ ინდურმა საზოგადოებამ მკვეთრად შეიცვალა გეზი, რასაც ბრაჰმანული რელიგიის აღმოცენების გარდა, სხვა ვერაფრით ავხსნით. კონკრეტული მეტაფიზიკური წარმოდგენები, რომლებიც ამ რელიგიის საფუძველია, მეტად რთული და დახვეწილია. მცდელობა, მისი შინაარსი ჩრდილოეთ ინდოეთის კონკრეტული ეპოქის ეკონომიკური და გეოგრაფიული პირობებიდან გამოგვეყვანა, დროის ფუჭი ხარჯვა იქნებოდა [9, 461].

ინდუსები თაყვანს სცემენ ზოგიერთ ცხოველს, რაც ტოტემისტური კულტის გადმონაშთია. განსაკუთრე-

ბულ პატივში არიან მაიმუნები და ძროხები. საერთოდ, მაიმუნის წმინდა ცხოველად მიჩნევა მრავალ ხალხში გვხვდება. ვიდრე მეცნიერები დაამტკიცებდნენ, მითო-სურმა ფანტაზიამ დაინახა ადამიანისა და მაიმუნის სიახლოვე: ზოგან უძველეს მღვიმეებში ადამიანები გამოსახულია მაიმუნის თავითა და კუდით. სამხრეთ ინდოეთის ტომები ადამიანის წარმოშობას მაიმუნ რ ა მ ა ს უკავშირებდნენ [10, 29]. სხვა მითის თანახმად მაიმუნების ბელადი ხ ა ნ უ მ ა ნ ი დაეხმარა „რამაიანას“ მთავარ გმირს რამას დემონების მმართველის წინაარმდეგ ბრძოლაში. ინდეოთში არის ხანუმანის სახელზე აშენებული ტაძრებიც კი [4, 103].

ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე ინდოეთის ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედებდა 136 მილიონი „ღორმუცელა“ მაიმუნის გამანადგურებელი შემოსევები სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. ინ-დუიზმის კანონით კი მათი „განდევნა“ არ შეიძლებოდა. ინდოეთის ქალაქების ქუჩებში დახეტიალობდა 200 მილიონზე მეტი „წმინდა“ ძროხა მაშინ, როცა ხორცის დეფიციტით ინდოეთი ერთ-ერთ ბოლო ადგილზე იყო მსოფლიოში. ინდოელის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 26 წელს აღემატებოდა. მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციისა და ათასწლოვანი მდიდარი კულტურის ერის 85 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო [11, 240-241].

საჭიროა აღინიშნოს, რომ ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით ინდოეთში უმცირესობად არ მოიაზრება რასობრივი და ეროვნული უმცირესობა, არამედ მხოლოდ რელიგიური. შეიძლება ითქვას, რომ ინდოეთში არასდროს ყოფილა რასობრივი პრობლემები. რელიგიური გრძნობა მნიშვნელოვნად ძლიერია ეროვნულ წინააღმდეგობასთან შედარებით. თუმცა რელიგია არ წარმოადგენს გადაულახავ ბარიერს. თავისთავად არის შესაძლებელი ერთი აღმსარებლობიდან მეორეზე გადასვლა. რელიგიაშეცვლილი ადამიანი არ სცილდება თავის ეროვნულ გარემოცვას, კულტურულ მემკვიდრეობას და ენას [12, 163-164]. რასიზმი ინდოეთში გამოიხატებოდა არა იმდენად ინგლისელთა დაპირისპირებით რამდენადაც მთლიანად ევროპელის აზიელისადმი. ინდოეთში ყოველი ევროპელი, იქნებოდა ის გერმანელი, პოლონელი ან რუმინელი, ავტომატურად მიეკუთვნებოდა მმართველ რასას. რკინიგზის ვაგონებში, ვაგზლის მოსაცდელ დარბაზებში, დასასვენებელი პარკის სკამებზე და ა. შ იყო წარწერები: „მხოლოდ ევროპელთათვის“ [11, 16].

როგორც დავინახეთ ეთნიკური და ლინგვისტური განსხვავებების გარდა, ინდოეთი რელიგიური ნიშნითაც მკვეთრად დაყოფილი ქვეყანაა. ინდუიზმი ინდოეთის მოსახლეობის უმრავლესობის რელიგიაა, მაგრამ მუსლიმური მოსახლეობის რიცხვიც საკმაოდ დიდია (მთლიანი მოსახლეობის 11%). არიან სხვა

მნიშვნელოვანი რელიგიური უმცირესობები (სიქჰები, ჯაინები, პარსიები, ბუდისტები და ქრისტიანები).

რელიგიური მსოფლმხედველობა ს ი ქ ჰ ი ზ მ ი აღმოცენდა XV საუკუნეში, როგორც რეფორმატორული მიმდინარეობა ინდუიზმში. სიქჰები აღიარებენ ერთ-ღმერთიანობას, ადამიანთა თანაგრძნობას, არ სცნობენ ღმერთის გარეგნულ ფორმას. XVIII საუკუნეში სიქჰებმა შექმნეს თავისი სახელმწიფო პენჯაბის ტერიტორიაზე. სიქჰები მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ინგლისელ კოლონიზატორებს [6. 43].

ინდოეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პერიოდულად ადგილი ჰქონდა მოწინააღმდეგე რელიგიურ თემებს შორის დაპირისპირებას. ზოგჯერ ერთ-ერთი რელიგიური ჯგუფის წარმომადგენელი მეორე ჯგუფის წევრებს ხოცავდა. ასეთი შემთხვევები ინდუსებს და მუსლიმებს ერთმანეთის წინააღმდეგ განაწყობდა. მსგავსი დაპირისპირებები ხდებოდა ინდუსებსა და სიქჰებს შორისაც. 1984 წელს სიქჰმა პირადმა მცველმა მოკლა ინდოეთის ინდუსი პრემიერ-მინისტრი, ინდირა განდი. 1991 წელს მოკლეს ინდოეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ინდირა განდის ვაჟი რაჯივ განდი, რომელიც პრემიერ-მინისტრის პოსტის ხელახლა დასაკავებლად საარჩევნო კამპანიას აწარმოებდა. ძალადობით აღსავსე წარსული ამძაფრებს უარყოფით დამოკიდებულებას და ხელს უშლის შერიგებას და კომპრომისს [2, 284]. და მაინც ყველაზე

მეტი დაპირისპირება რელიგიურ ნიადაგზე, ინდუსებსა და მუსლიმებს შორის ხდებოდა.

XIII საუკუნის დასაწყისში მამლუქმა სულთანმა ყ უ ტ ბ ა დ-დ ი ნ ა ი ბ ა კ მ ა დელის მუსლიმური სასულთნო დააფუძნა. სასულთნომ 320 წელი იარსება, გაცილებით დიდხანს, ვიდრე ნებისმიერმა ადგილობრივმა ინდურმა იმპერიამ. მუსლიმთა მმართველობის გამოძახილია ისეთი სახელმწიფოების არსებობა, როგორიცაა პაკისტანი და ბანგლადეში, ასევე ინდოეთის 150 მილიონამდე მუსლიმი მოქალაქე [9, 207].

ინდოელი მაჰმადიანების ლიდერი ჯ ი ნ ა მართალია არ დადიოდა მეჩეთში, სვამდა ღვინოს და მიირთმევდა ღორის ხორცს, მაგრამ შეძლო ინდოსტანის მუსლიმი მოსახლეობის მიმხრობა და სარგებლობდა მათი ბრმა ნდობით [11, 227]. ჯინამ, რომელიც ამავე დროს მხარს უჭერდა კოლონიურ მმართველობას წამოაყენა დამანგრეველი იდეა – „ინდოეთის ორი ერის შესახებ“ – ინდუსური და მუსულმანური [13, 165]. ბუნებრივია, რელიგიური ლიდერის ასეთი პოზიცია კიდევ უფრო ამძაფრებდა ერთი ერის ორი კონფესიის დაპირისპირებას და იღვრებოდა ინდუსების, მაჰმადიანების, სიქჰების სისხლი. ერთხელ ინდუსმა ფანატიკოსებმა დაიჭირეს მაჰმადიანი ქალი, გაახვიეს ძონძებში, დაასხეს ბენზინი და დამწვარი ადამიანი დააგდეს ნერუს სახლის სადარბაზოში [11, 232]. სისხლისღვრა კი გრძელდებოდა. 1924 წლის სექ-

ტემბერში კ ო ხ ო ტ ა შ ი მაჰმადიანებმა დახოცეს 155 ინდუსი [13, 163].

ყველაზე საშინელი, ძმათამკვლელი სისხლის ღვრა მოხდა 1946 წლის 16 აგვისტოს. კალკუტის ქუჩებში და მოედნებზე უმოწყალოდ ხოცავდნენ ერთმანეთს ინ-დუსები და მაჰმადიანები. დაიღუპა ათასობით ადამია-ნი, მათ შორის ქალები და ბავშვები. ოთხი დღე მიმდი-ნარეობდა სისხლიანი დაპირისპირება. ინგლისის კო-ლონიზატორულმა ხელისუფლებამ, მხოლოდ მეთვალ-ყურის პოზიცია დაიკავა. რელიგიურ-თემური „ჭირის“ ეპიდემია მოედო ბიხარას, ბომბეის, აღმოსავლეთ ბენგალიას. განხეთქილების ძირითადი მიზეზი იყო არა ღმერთისადმი რწმენა, როგორც ასეთი, არამედ ინგლი-სელთა მიზანმიმართული პოლიტიკა... [13, 353-354].

რასობრივ სიწმინდესა და სოციალურ სტაბილუ-რობაზე გადაჭარბებული ზრუნვის გამო, ინდოელთა წინაპრებმა საზოგადოება დაყვეს შეუღწეველი ჯები-რებით. ამდენად, კასტური იერარქია საფუძველი გახდა ადამიანთა უდიდესი მასის გარიყვისა, როგორიც არიან „მ ი უ კ ა რ ე ბ ლ ე ბ ლ ე ბ ი“. ეს მასობრივი ფენა ინდოეთის საზოგადოების წყევლად იქცა [6, 11].

ძველი დროიდან ინდოეთის საზოგადოებრივი წყობილების დამახასიათებელ თავისებურებას წარ-მოადგენს ქვეყნის მთელი მოსახლეობის ოთხ ძირითად კასტად დაყოფა. ცნობილი იყო და არის შემდეგი კასტები: ბ რ ა ჰ მ ა ნ ე ბ ი, ქ შ ა ტ რ ი ე ბ ი, ვ ა ი შ ე ბ ი

და შ უ დ რ ე ბ ი. ყველაზე უმაღლეს კასტას საზოგადოებაში ბრაჰმანები წარმოადგენდნენ. მანუს კანონებში ნათქვამია: „ცოცხალ არსებათა შორის ყველაზე უკეთესებად ითვლებიან სულიერნი, სულიერთა შორის გონიერნი, გონიერთა შორის – ადამიანები, ადამიანთა შორის ბრაჰმანები“. ისინი ყოველივე არსებულის მბრძანებლები არიან. ბრაჰმანების უფლება-მოვალეობას შეადგენს: საღვთო წიგნების სწავლება, ღმერთებისათვის მსხვერპლის შეწირვა. როგორც თავისი, ასევე სხვისი სახელით, საჩუქრების მიღება და გაცემა. ბრაჰმანებს ეკრძალება ვაჭრობა, ხელოსნობა, მწყემსობა და სხვასთან სამსახური. ბრაჰმანები აქტიურ დახმარებას უწევდნენ ქვეყნის მმართველებს სახელმწიფოებრივი ხელისუფლების განხორციელებაში.

ბრაჰმანების შემდეგ ყველაზე ღირსეულ კასტას ქშატრიები წარმოადგენდნენ. ქშატრიების უფლება-მოვალეობა ბრაჰმანებთან შედარებით შეზღუდულია. მანუს კანონებში ნათქვამია, რომ ქშატრიებს ევალებათ „ქვეშევრდომთა დაცვა, წყალობის გაცემა, მსხვერპლის შეწირვა, ვედების შესწავლა და ამქვეყნიურ სიამოვნებაზე უარის თქმა“. გარდა ამისა, ქშატრიების ვალდებულებას შეადგენდა ქვეყნის მართვა.

ცალკე კასტას ქმნიდენ ვაიშები, რომლებიც ყველაზე მრავალრიცხოვანნი იყვნენ. ვაიშები მისდევდნენ მიწათმოქმედებას, მესაქონლეობას და ა. შ. მანუს კანონების მიხედვით ვაიშების უფლება-მოავლეობას

შეადგენს საქონლის მწყემსვა, წყალობის გაცემა, მსხვერ-პლის შეწირვა, ვედების შესწავლა, ვაჭრობა, მევახშეობა და მიწის დამუშავება.

ყველაზე უმდაბლეს კასტას შუდრები წარმოად-გენდნენ. შუდრები ფაქტიურად მონების მდგო-მარეობაში იყვნენ. მანუს კანონები ადგენს: „შუდრას მხოლოდ ერთი საქმე დააკისრა უფალმა – დანარჩენი ვარნებისათვის მოთმინებით სამსახური“. შუდრები თა-ვისუფალ მოსახლეობაში შედიოდნენ, მაგრამ პოლი-ტიკური უფლებით არ სარგებლობდნენ [1, 58-59].

ჩვენამდე მოღწეული ძველი ინდოეთის ძეგლების მიხედვით ეს კასტები ღვთაებრივი წარმოშობისაა და საზოგადოების ამგვარ დაყოფას ქვეშევრდომთა საქმია-ნობის ხასიათი განსაზღვრავს. ამ კასტებისაგან შემდ-გარი საზოგადოება დაყოფილი იყო ორ ნაწილად: ორჯერ დაბადებულად და ერთხელ დაბადებულად. ბრახმანებს, ქშატრიებს და ვაიშებს ორჯერ დაბადებუ-ლებს უწოდებდნენ, რადგანაც მათი წარმომადგენლების მიმართ ასრულებდნენ ინიციაციას (ზიარების) განსა-კუთრებულ რიტუალს, რაც მეორედ დაბადებას ნიშნავდა. ორჯერ დაბადებულები საზოგადოების პრივილეგიურ ნაწილს შეადგენდნენ]1, 59-60].

სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადების რაოდენობა კასტების მიხედვით განისაზღვრებოდა. თუ ბრაჰმანები გადასახადებს საერთოდ არ იხდიდნენ, სა-მაგიეროდ ვაიშებზე (მიწათმოქმედები, მესაქონლეები,

ვაჭრები და ხელოსნები) გადადიოდა გადასახადების მთელი სიმძიმე. ძვ. წ. აღრიცხვის VII-III საუკუნეებში „ა რ ტ ხ ა შ ა ს ტ რ ა“-ს ტრაქტატის თანახმად, ვაიშები იხდიდნენ მოსავლის ნახევარს. მოგვიანებით, მანუს კანონების მიღების შემდეგ მათმა გადასახადმა დაიწია ერთ მეექვსედამდე [14, 26].

რაც შეეხება მანუს კანონებს, იგი ლექსად დაწერილი რჩევა-დარიგებებია, რომლებიც შეიცავს სხვადასხვა სახის სოციალური ქცევის წესებს. კანონები იწერებოდა საუკუნეების განმავლობაში (ძვ. წ. II ს. – ახ. წ. II ს.) და შედგება 12 უსათაუროდ დაყოფილი 2685 მუხლისაგან. მანუს კანონებზე დიდი ზეგავლენა მოახდინა მ ა უ რ ი დ ე ბ ი ს იმპერიის ფუძემდებლის ჩ ა ნ დ რ ა გ უ პ ტ ა მ ა უ რ ი ა ს (ძვ. წ. 321-298 წწ., მინისტრის კ უ ტ ა ლ ი ა ს (ჩანაკიას) მიერ შეთხზულმა კანონადქცეულმა სწავლებამ [1, 99].

რიგვედას (ვედების) პირველი წიგნის თანახმად: ღმერთებმა, როცა ადამიანი დაანაწევრეს... ბრაჰმანი იყო მისი პირი, მისი მხრებიდან შეიქმნა მეომარი, თეძოები გახდა ვაიშა (სიტყვა „ვიშ“-იდან – ხალხი, ტომი, დასახლება მომდინარეობს) {15, 87], მისი ფეხებიდან იშვა შუდრა. ღმერთების მიერ მსხვერპლშეწირვით ასე შეიქმნა წმინდა კანონები... [9, 186].

კასტების სისტემა ეფუძნება კ ა რ მ ა ს კონცეფციას ანუ იმას, რასაც ინდივიდი მთელი ცხოვრების განმავლობაში საქმიანობს. თითოეულ პროფესიას დაბალი ან

მაღალი სტატუსი აქვს. იმისდა მიხედვით, რამდენად უკავშირდება ის დაბინძურების წყაროს – სისხლს, სიკვდილს, ჭუჭყს, ბიოლოგიური ცხოვრების ხრწნადობას. ისეთი პროფესიები, როგორიცაა ტყავის დამუშავება, ყასბობა, პარიკმახერობა, მეეზოვეობა, ბებიაქალობა, მკვდარი ცხოველების ან ადამიანების მესაფლავეობა – ყველაზე უწმინდურად მიიჩნეოდა. ადრეული პერიოდის ბრაჰმანებს ჰქონდათ გამოთქმა, რომლის თანახმადაც, „სისხლი დაბადებასთან ასოცირდება, ტანჯვა და დეფორმაცია – ავადობასა და ძალადობასთან, ზიზღი – ადამიანის სხეულიდან ნარჩენების გამოდენასთან, ხრწნა და ლპობა – სიკვდილთან“.

ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ, ბრაჰმანები ყველაზე წმინდად ითვლებოდნენ, რადგან ისინი სხვა ინდივიდების იმედად იყვნენ, როცა საქმე ისეთ საქმიანობებს ეხებოდა, რასაც სისხლთან, სიკვდილთან, და ჭუჭყთან ჰქონდა კავშირი. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ბრაჰმანთა შორის ვეგეტარიანიზმის გავრცელება – ხორცის ჭამა მათთვის გვამის შეჭმის ტოლფასია [9, 188-189]. აღსანიშნავია, რომ ბრაჰმანთა გარკვეული ნაწილისათვის „მიუკარებლებისთვის“ თვალის შევლებაც კი განწმენდის ხანგრძლივი რიტუალის ჩატარებას საჭიროებს [9, 187].

საზოგადოების ამა თუ იმ ფორმით კასტებად დაყოფა დამახასიათებელია ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, მაგრამ ინდოეთში დახურული სოციალური

ჯგუფების იერარქიულმა სისტემამ განსაკუთრებული უნიკალური თვისებები შეიძინა. ის აღმოცენდა სამი ათასზე მეტი წლის წინათ და დღემდე მნიშვნელოვნად მოქმედებს ინდუსების ცხოვრებაზე.

სიტყვა „კ ა ს ტ ა“-ს არავითარი შეხება არ გააჩნია არც ჰინდი-ენასთან და არც სანსკრიტთან. ტერმინი ნასესხებია პორტუგალიურიდან და ითარგმნება, როგორც „წარმომავლობა“ ან „ჯიში“, „გვარი“, „მოდგმა“. ის, რაც მიღებელია იწოდებოდეს „კასტად“, სინამდვილეში ეწოდებოდა „ვ ა რ ნ ა“, რაც ნიშნავს „ფერს“. სწორედ ვარნები გახდა ინდოეთის ვედური საზოგადოების თავდაპირველი ფუნდამენტი.

პირველად ოთხივე ვარნა იხსენიება ინდური ვედური ლიტერატურის ძირითად ძეგლში „რიგვედაში“. ყოველი ვარნა მიუთითებს შესაბამის ფერზე. ბრაჰმანები იცვამენ თეთრ ტანსაცმელს, რაც სისუფთავის და სიწმინდის დემონსტრირებაზე მიანიშნებს. ენერგიული ქშატრიების სიმბოლო წითელი ფერია. ვაიშების – ყვითელი, ხოლო შუდრა შავი ფერით იმოსება.

რაც შეეხება „მიუკარებლებს“ ანუ „ა ჩ ხ უ ტ ე ბ ს“, მათ საერთოდ არ გააჩნიათ ვარნა და არ ითვლებიან ღმერთის რომელიმე ნაწილად. ისინი დანარჩენი ვარნების გაგებით ფეკალიებს წარმოადგენენ [16, 10]. მანუს კანონების XI თავი „მიუკარებლების“ – ჩ ა ნ დ ა ლ ე ბ ი ს ცხოვრების წესის რეგულირებას ეძღვნება. (ვარაუდობენ, რომ „მიუკარებლები“ ვარნებს შორის

ქორწინების შედეგად წარმოიშვა, რაც დჰარმის დარღვევას ნიშნავდა) [15, 108].

მართალია „მიუკარებლები“ აღმსარებლობით ინდუსები არიან, მაგრამ მათ უფლება არა აქვთ შევიდნენ ინდუსების ტაძარში. ასევე აკრძალული აქვთ დალიონ წყალი იმ წყაროდან, საიდანაც კასტების წარმომადგენლები სვამენ; უფრო მეტიც, არ შეიძლება მათ გვერდით გაჩერდნენ, რათა არ შებღალონ მათთან შეხებით სხვა ადამიანები. „მიუკარებლების“ უზომოდ დამცირების ნიშანი ისიც არის, რომ ყელზე ატარებენ გამაფრთხილებელ პატარა ზანზალაკს [13, 253-254].

სამხრეთ აფრიკაში ყოფნის დროს, როდესაც „თეთრმა“ პარიკმახერმა უარი უთხრა განდის მომსახურებაზე, მან გულისტკივილით გააცნობიერა, რომ ასეთივე შერჩევითი დამოკიდებულება იყო მის მშობლიურ ინდოეთში. ინდოელი პარიკმახერი არა-ვითარ შემთხვევაში არ მოემსახურება საზოგადოე-ბისაგან გარიყულ თანამემამულე – პ ა რ ი ა ს („მიუკარებელს“). განდის აზრით ძველი ებრაელები იმიტომ დაისაჯნენ, რომ საკუთარ თავს თვლიდნენ ყველა სხვა ხალხისაგან გამოყოფილ ღმერთის რჩეუ-ლებად. ახლა კი მსგავს ცოდვას ატარებდნენ ინდუსები, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ იყვნენ ცივილიზებული არიელები, ხოლო მათი თანამემამულეების ნაწილს თვლიდნენ ყოველგვარი კასტების გარეშე არსებებად [13, 35].

განდის დამოკიდებულაბა კასტებისადმი, და განსაკუთრებით მისი უარყოფითი პოზიცია „მიუკარებლების“ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ქმნიდა საშიშროებას, რომ თანამემამულეები მას დაადანაშაულებდნენ ერესში. „თუ მე დამარწმუნებენ – აღნიშნავდა განდი –, რომ „მიუკარებლების“ სამარცხვინო სისტემა ჩვეულებრივ დამახასიათებელია ინდუისტური რელიგიისადმი, მაშინ მე აშკარად გამოვალ თავად ინდუიზმის წინააღმდეგ“. განდიმ იშვილა 7 წლის გოგონა „მიუკარებლების“ ფენიდან, რომელსაც დედობრივი სიყვარული გაუწია განდის მეუღლე კ ა ს ტ რ უ ბ ა ი მ [13, 72-72].

განდი „მიუკარელბლების“ მხარდასაჭერად გამოსცემდა სპეციალურ ყოველკვირეულ ჟურნალს „ხარიჯანი“, რაც ნიშნავს „ღვთის შვილებს“. ასე უწოდებდა განდი „მიუკარებლებს“. ჟურნალში იბეჭდებოდა სტატიები, რომელშიც თამამად აკრიტიკებდნენ ინდუიზმის ორთოდოქსულ პოსტულატებს, რომლებიც ამართლებდნენ საზოგადოებრივ ცნობიერებაში ასეთი სოციალურ-რელიგიური მოვლენების არსებობას. განდი მოითხოვდა საკანონმდებლო ორგანოში „მიუკარებელთა“ წარმომადგენლების ჩართვას მათთვის არსებული საარჩევნო კურიის ლიკვიდაციის გარანტიით [13, 254-255].

ინდოეთის 1950 წლის კონსტიტუციამ ცნო კასტების თანასწორობა და „მიუკარებლების“ სრული

იურიდიული უფლებები. კანონი კრძალავს ტერმინის – „აჩხუტის“ გამოყენებას. კასტურ იერარქიას კანონი დასაშვებად მიიჩნევს, მხოლოდ რელიგიური რიტუალების ჩატარების დროს.

აღსანიშნავია, რომ 1997 წელს ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა კ ო ჩ ე რ ი ლ რ ა მ ა ნ ნ ა რ ა ი ა ნ ა ნ მა, რომელიც „მიუკარებელთა“ ფენას ეკუთვნოდა [16, 11]. თუმცა ცხოვრება კვლავ ტრადიციული შეხედულებებით გრძელდება.

შეიძლება ითქვას, რომ „მიუკარებლების“ გარდა მცირერიცხოვან, მაგრამ განსკაუთრებულ ფენას ქმნიან ა ნ გ ხ ო რ ე ბ ი. ამ ფენომენის უკეთ გასაგებად საჭიროა მოკლედ განვიხილოთ მიცვალებულის დაკრძალვის რიტუალი და ის წმინდა ადგილი, სადაც ყველა მორწმუნის ოცნებაა დაასრულოს სიცოცხლე.

ვ ა რ ა ნ ა ს ი – ინდუისტების წმინდა ქალაქი, ისეთივე, როგორიც რომია კათოლიკებისათვის. წახვიდე მოსალოცად ვარანასში და განიბანო განგის ტალღებში, ყველა მორწმუნის ვალად ითვლება. მრავალი მათგანი ოცნებობს აქ დაასრულოს თავისი ცხოვრების გზა. ხოლო უცხოელ ტურისტებს ვარანასი იზიდავს კრემაციის მისტიკური რიტუალით.

ინდუსებს ვარანასი მიაჩნიათ დედამიწაზე ყველაზე უძველეს ქალაქად. ისინი ამტკიცებენ, რომ ეს ქალაქი შექმნა ღმერთმა შ ი ვ ა მ 5000 წლის წინ. მეცნიერთა მტკიცებით ქალაქი „მხოლოდ“ 3000 წლისაა,

ანუ ვარანასი – ფივის, ბაბილონისა და ნინევიის თანატოლია. თუმცა წარსულის ამ დიდებულმა ქალაქებმა დიდი ხანია დატოვეს სარბიელი და მათი ნაშთები უდაბნოს ქვიშამ დაფარა; ხოლო ვარანასმა დროის ქარტეხილებს გაუძლო.

ინდუისტურ კოსმოლოგიაში ვარანასი ითვლება სამყაროს ცენტრად. ამ ადგილას ღმერთები ეშვებიან მიწაზე. ინდუსებს სწამთ სულების გადასახლება. ყველაზე საუკეთესო საშუალება კი ვარანასში სიკვდილია. ამიტომ ყოველ წელს ინდუსების წმინდა ქალაქში მოდის მილიონობით მორწმუნე. ზოგიერთი კი აქ წლების მანძილზე ელოდება გარდაცვალებას, ნაწილს მოყავს მომაკვდავი ახლობლები, რათა დაწვას მათი სხეული წმინდა მდინარის ნაპირზე დანთებულ კოცონზე. ეს კოცონები დღედაღამე ანთია სანაპიროს კიბეებზე, რომელიც მდინარე განგისკენ ეშვება. ადამიანის დამწვარი ხორცისა და თმების სუნი, რომლის გამო უცხოელ ცნობისმოყვარეებს მძაფრი შეგრძნებები ეუფლებათ, სასიამოვნოა ვარანასის მფარველის – უდიდესი და საშინელი შ ი ვ ა ს ა თ ვ ი ს.

შ ი ვ ა – არის ინდური სამების ერთ-ერთი ღმერთი – ღმერთი დამანგრეველი. ინდუსებს სწამთ, რომ შივა ცხოვრობს იმ ადგილებში, სადაც ხდება კრემაცია. მისი ამალის წევრები არიან საშინელი დემონები ბოროტი ქალღმერთის კ ა ლ ი-ს მეთაურობით. ამასთან ერთად შივა არ არის ადამიანების მტერი. ის ანადგურებს

მხოლოდ დრომოჭმულსა და მომაკვდავს, რათა დასაბამი მისცეს ახალს [17, 11-12].

ქალაქის მთავარ კრემატორიუმში – გ ხ ა ტ-ში, ყოველდღიურად წვავენ 200-დან 400-მდე გვამს. აქ მოხვედრილი ტურისტი, რომელიც აღზრდილია დასავ-ლეთის ტრადიციებსა და კულტურაზე, შეიძლება შეექმ-ნას შთაბეჭდილება, რო ის მოხვდა ჯოჯოხეთში ან უკეთეს შემთხვევაში გადასაღებ მოედანზე საშინელება-თა ფილმის გადაღების დროს. ანთებულია ათეულო-ბით კოცონი, სადაც იწვის ადამიანთა გვამები. იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ზოგიერთი გვამი ცდილობს ცეცხლიდან თავის დაღწევას“. კოცონიდან ზოგჯერ ვარდება მიცვალებულის ხელი, ფეხი ან თავი. სიცხისგან გაოფლიანებული მუშები ბამბუკის ჯოხებით მიცვალებულის ნაწილებს ცეცხლში აბრუნებენ, რათა სწრაფად დასრულდეს კრემაციის რიტუალი. აქვე ძაღლების ხროვა მოძრაობს და იტაცებს ცეცხლიდან გადმოსროლილ მიცვალებულის ნარჩენებს. ძაღლებს ყურადღებას არავინ აქცევს. ირგვლივ საშინელი კვამლი ტრიალებს, ცხვირში გეცემა დამწვარი გვამების სუნი. ყველგან გვამებია, რომლებიც „თავის რიგს ელიან“ კრემაციისათვის. ინდუსები ყოველივე ამას ჩვეულებ-რივად აღიქვამენ და შეუძლიათ ამ სანახაობას საათობით უყურონ. ევროპელები, ამერიკელები, იაპო-ნელები ფრთხილად მოძრაობენ გ ხ ა ტ ი-ს ტე-რიტორიაზე. უყურებენ ფეხების მოძრაობას, რათა არ

დააბიჯონ სიბინძურეს, სახეს იფარავენ ცხვირსახოცით ან მარლის პირბადით [17, 12].

კრემაციისთვის შეშის გაყიდვა გარკვეულ ბიზნესს წარმოადგენს. გვამის დაწვისთვის საჭიროა 300-400 კილოგრამი შეშა და ოთხი საათი დრო. კილოგრამი შეშის ფასი იწყება ოთხი რუპიიდან. მთლიანი სამგლოვიარო ცერემონია შეიძლება დაჯდეს 3-4 ათასი რუპია, ანუ 60-80 დოლარი. მდიდარი ადამიანები სასიამოვნო სუნისთვის ცეცხლს ამატებდნენ სანდალოზის ხეს, რომლის ერთი კილოგრამი ღირს დაახლოებით 160 დოლარი (თუმცა, როგორ განასხვავებ მის არომატს ირგვლივ შექმნილი დაბინძურებული ჰაერისაგან, ძნელი სათქმელია).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღარიბებს არ ყოფნით თანხა, რათა ბოლომდე დაწვან გარდაცვლილი. ამიტომ ნახევრად დამწვარ ან სიმბოლურად „შებოლილ“ მიცვალებულს აგდებენ განგში.

საერთოდ, ყველა გარდაცვლილი ინდუსი არ ექვემდებარება კრემაციას. არ შეიძლება დაწვან ს ა დ ხ უ, ბავშვები 13 წლამდე და ფეხმძიმე ქალები. ამ შემთხვევაში მიცვალებულებს აბამენ ქვებს და მდინარის ფსკერზე უშვებენ. ასევე აკრძალულია კობრას ნაკბენით გარდაცვლილის კრემაცია, რადგან ითვლება, რომ ისინი არ კვდებიან და მხოლოდ კომაში ვარდებიან. გარდაცვლილთა ნეშტს დებენ ბანანის ხისგან გაკეთებულ ნავში და უშვებენ მდინარეში. იმედოვნებენ,

რომ მათ დაიჭერენ და მკვდრეთით აღადგენენ წმინდა მეუდაბნოები.

ყოველ წელს განგში აგდებენ 45 000-მდე მიცვალებულს, რომელთაც არ ჩაუტარდათ კრემაცია. არსებობს გვამების შემგროვებლის პროფესია, თუმცა მათი ძალისხმევა დიდ შედეგს არ იძლევა.

განგი შედის მსოფლიოს ყველაზე დაბინძურებულ ხუთ მდინარეს შორის, წყალში ზოგიერთი მიკრობი დაშვებულზე 100-ჯერ მეტ მომწამვლელ ნივთიერებებს შეიცავს. ერთია, რომ ინდუსებს რიტუალური განბანვის დროს ხელს არ უშლის მოტივტივე გახრწნილ გვამებთან შეხება. მათ შეუძლიათ ხელით გასწიონ გვამის ნარჩენები და განაგრძონ რიტუალის შესრულება. უფრო მეტიც, მრავალი მათგანი წყალს პირდაპირ მდინარიდან სვამს. გამოდის, რომ მშობლიური მიკრო-ფლორა უსაფრთხოა აბორიგენებისათვის?

ვარანასის ნამდვილი საშინელებაა ა ნ გ ხ ო რ ე ბ ი – ძველი მისტიკური სექტის ადეპტები, რომლებიც ითვლებიან ღმერთ შივას თაყვანისმცემლებად. ანგხო-რები დადიან ჯგუფებად – გამურული, დაუბანელი, ჭუჭყიანი თმებით. მათთვის არ არსებობს არავითარი ტაბუ. ისინი „ცხოვრობენ“ კრემაციის ადგილას არამხოლოდ შივას საპატივსაცემოდ, არამედ საკვებად. ანგხორები აწყობენ გარდაცვლილი ადამიანის ნარჩე-ნების რიტუალურ ჭამას, რაც კრემაციის დროს ვერ დაიწვა. ასევე იჭერენ განგში მიცვალებულის ნაწილებს.

ისინი სხდებიან მიცვალებულებზე და ეწევიან მედიტაციას, აკეთებენ რიტუალურ სასმისებს თავის ქალასაგან, სვამენ ადამიანისა და ძაღლის შარდს, შეექცევიან ექსკრემენტებს. ყველაფერი ეს ხდება ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის ზემოქმედებით, რომელიც გამოიყენებოდა მაღალი დოზით. ანგხორები ძირითადად იკვებებიან ნაგავსაყრელებიდან. მათთვის არარსებობს სიკეთე, ბოროტება, მეგობარი, სიყვარული, სილამაზე, სიმახინჯე, ცუდი და კარგი, გემრიელი და უგემური, ღირსეული და უღირსი [17, 14].

„მიუკარებლების“ და „ანგხორების“ გარდა ინ-დოეთში არიან ადამიანთა ჯგუფები, რომელთაც სახელს ვერ მოვუძებნით. ესენი არიან სიღარიბის უკიდურეს ზღურბლზე მყოფი ხალხი, ვისაც შეიძლება პირობითად „ტროტუარის მცხოვრებნი“ უწოდოთ და ასეც მოიხსენიებენ, მათ არ გააჩნიათ სხვა „ქონება“ გარდა ბრინჯის მოსახარში ქვაბისა. ძნელია წარმოიდგინო, რომ ადამიანი შეიძლება დაიბადოს ტროტუარზე და მთელი ცხოვრება აქ გაატაროს. ინდოეთის სხვა ქალაქებზე რომ სხვა აღარაფერი ვთქვათ, მხოლოდ კალკუტაში არანაკლებ 800 ათასი „ტროტუარის ბინადარია“.

ქალაქის ცენტრის მახლობლად, სადაც არის იმედი ადამიანმა რაღაც გამოიმუშაოს, ტროტუარის ნაწილს უსახლკარი ოჯახები თავის ტერიტორიად აქცევენ. ადამიანები პირდაპირ ასფალტზე იძინებენ და

დაფლეთილ ტანსაცმელს იფარებენ. დღისით შიშველი ბავშვები დარბიან „სახლი-ტროტუარის“ ტერიტო-რიაზე... წარმოვიდგინოთ რა ჰიგიენა იქნება დაცული, როცა ქალაქების მეტწილ ტერიტორიაზე ნაგვის ურნებიც არ არის [4, 37-38].

ინდოეთის მოსახლეობა კი ყოველ წელიწადს 14 მილიონით იზრდება, რაც ქვეყნის წინაშე მრავალ პრობლემას ქმნის. შემთხვევითი არ არის, რომ ინ-დოეთის ქალაქებისა და სოფლების სახლების კედლებ-ზე გამოკრულია პლაკატები, რომლებიც ბავშვების ნახატებს მოგვაგონებს. მასზე გამოსახულია მამა, დედა, ბიჭი და გოგო. პლაკატის ქვეშ შემდეგი წარწერაა: „მეტი ხე, და არა ადამიანები“! -18, 449].

ახლა მოკლედ შევჩერდეთ აზიის, და მთლიანად მსოფლიოს გამორჩეული სახელმწიფოს – იაპონიის შესახებ, სადაც მსგავსი ფაქტები არსებობს.

ჩვენ მივეჩვიეთ ჩავთვალოთ, რომ იაპონია – ეს არის მაღალგანვითარებული ქვეყანა, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება მაღალი ტექნოლოგიები, თანამედროვე გზატკეცილები, საოცარი მანქანები და უმაღლესი „აზროვნების“ რობოტები. ძნელი წარმოსა-დგენია, მაგრამ ყველა ამ წარმატებასთან ერთად იაპონიაში დღემდე არსებობს შუა საუკუნეების ზოგიერთი გადმონაშთი. კერძოდ, საზოგადოებისგან გარიყული კასტა, რომელთაც ჩამორთმეული აქვთ მთელი რიგი უფლებები.

ამომავალი მზის ქვეყანაში ეს თემა ტაბუდადებულად ითვლება. თუმცა აქ ცხოვრობს მრავალი ადამიანი, რომლებიც „მეორე ხარისხის“ მოქალაქეებად ითვლებიან – ბ უ რ ა კ უ მ ი ნ ე ბ ი ანუ ბ უ რ ა კ უ.

ძველად, როდესაც იაპონიაში დამკვიდრდა კასტური საზოგადოება, უმაღლეს კასტას ეკუთვნოდნენ ს ა მ უ რ ა ე ბ ი, შემდეგ მოდიოდნენ გლეხები, ხელოსნები და ვაჭრები. მოსახლეობის ნაწილი აღმოჩნდა განსაკუთრებულ მდგომარეობაში, რომელთაც დაეკისრათ ყველაზე ბინძური სამუშაოს შესრულება. მათ აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი – „კ ე გ ა - რ ე“ – საძულველები, ლაჩრები. სამეცნიერო ლიტერატურაში ადამიანთა ეს ფენა ხშირად მოიხსენიება „მიუკარებლებად“ ინდოელთა ანალოგიური ჯგუფის მსგავსად. მათი პროფესიებიც მემკვიდრეობითია [17, 75].

იაპონელი „მიუკარებლები“ აუცილებელია ცხოვრობდნენ სპეციალურ დასახლებებში და ეცვათ განსაკუთრებული ტანსაცმელი, რათა უცებ ჩანდეს მათი წარმომავლობა. ასევე, ეკრძალებათ ლოცვა და საზოგადოებრივ აბანოში შესვლა. გარდაცვლილ „მიუკარებელს“ ძაღლთან ერთად მარხავდნენ. მათი დაკრძალვა საერთო სასაფლაოზე არ შეიძლებოდა.

ე დ ო-ს ეპოქაში – ტ ო კ უ გ ა ვ ა-ს კლანის მმართველობის დროს (1603-1868 წლები), „მიუკარებლები“ შეიტანეს სპეციალურ რეგისტრში და მათი შეზღუდული უფლებები კანონმდებლობით განამტკი-

ცეს. 1871 წელს მ ე ი ძ ი ს ეპოქის წყალობით, იმპერატორ მ უ ც უ ხ ი ტ ო ს საგანმანათლებლო პოლიტიკიდან გამომდინარე იაპონიაში კასტური სისტემა გაუქმდა.

მიღებული კანონიდან გამომდინარე 150 წლის გასვლის მიუხედავად, იაპონურ საზოგადოებაში დღემდე არსებობს „ბინძური პროფესიის“ წარმომადგენელთა დისკრიმინაცია [17, 76-77].

ბურაკუ-ს წარმომადგენლები ძირითადად ცხოვრობენ კუნძულ კიუსიუზე – ოსაკასა და კიოტოსთან ახლოს. ოფიციალური სტატისტიკით იაპონიაში ამჟამად ცხოვრობს 1, 2 მილიონი ბურაკუ 4 400 დასახლებაში. უფლებათა დამცველების მონაცემებით კი „მიუკარებელთა“ რაოდენობა სამ მილიონზე მეტია და ცხოვრობენ 6 000 სოფელში. მათი ზოგიერთი დასახლება ქალაქების ზრდასთან ერთად გარეუბნად იქცა, სადაც საკუთარი თავის პატივისმცემელი იაპონელი იქ არ დასახლდება.

საინტერესოა, რომ ი ა კ უ ძ ა-ს (იაპონური მაფია) წევრების 60% „მიუკარებელთა“ წარმომადგენელია, ხოლო ამავე მაფიის ყველაზე დიდი სინდიკატის – ი ა მ ა გ უ ტ ი გ უ მ ი ს 70% იმავე ფენის რიგებიდანაა. ეს ყველაფერი აიხსნება იმ გარემოებით, რომ „მიუკარებელთათვის“ უბრალოდ დახშულია შესაძლებლობა ნორმალური ცხოვრებისა და მუშაობისათვის [17, 77].

უფრო მეტიც, ქორწინების დროს მშობლები ამოწმებენ სასიძოს თუ სარძლოს წარმომავლობას, ხოლო

ღვთისმსახურები კანონიერ ქორწინებად არ თვლიან თუ ერთ-ერთი მათგანი „მიუკარებელთა“ წოდებას ეკუთვნის. სწორედ ამის გამოა, რომ ჩაგრულთა ფენა მიისწრაფვის საზღვარგარეთ წასვლაზე, რათა დაიწყოს ახალი ცხოვრება, სადაც არავის ეცოდინება მათი სოციალური წარმომავლობა [17, 78].

აქვე აღვნიშნავთ, რომ ხიროსიმაში ასი ათასი ხ ი - ბ ა კ უ ს ი ცხოვრობს, რომლებმაც გადაიტანეს ატომური აფეთქება. ყოველ მათგანს გადაცემული აქვს „სამკურ-ნალო წიგნაკი“ მითითებით, ეპიცენტრიდან რა მანძილზე იმყოფება. სწორედ ამ „მეტრებით“, და არა სიცოცხლის წლებით ზომავენ თავის საუკუნეს ძირძველი ხ ი რ ო ს ი მ ე ლ ე ბ ი [18, 154].

ხიბაკუსების უფასო მკურნალობა, მხოლოდ 1957 წლიდან გახდა შესაძლებელი, ისიც საზოგადოების ზეწოლის გამო ტრაგედიიდან 12 წლის შემდეგ. დღემდე ყველა პაციენტი სპეციალურ შემოწმებას გადის წელიწადში ორჯერ. მაგრამ რეგისტრაციას მხოლოდ ნაწილი აწარმოებს. მრავალი მათგანი არ ამხელს, რომ ის ხიბაკუსია. გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ ვინც გადაიტანა აფეთქება არცთუ ხალისით იღებენ სამ-სახურში, მათგან ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას გაურბიან, ქორწინებისაგან თავს იკავებენ. შეიძლება ითქვას, რომ ხიბაკუსები საზოგადოებისაგან განდევნილნი არიან და „მიუკარებელთა“ ერთგვარ კასტას წარმოადგენენ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ვ. აბაშმაძე, საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1989
2. თომას მ. მაგშტადტი, გავიგოთ პოლიტიკა, თბილისი, 2011
3. მოჰანდას კარამჩანდ განდი, ჩემი ავტობიოგრაფია ანუ ჭეშმარიტების ძიების გზა, ინგლისურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ლ. დუმბაძემ, თბილისი, 2010
4. В. Я. Ивбулис, Моя золотая бенгалия, пер. с латиш. М., 1988
5. Джавахарлал Неру, Открытие индии, книга первая, Перевод с английского, М., 1989
6. Кришна Крипалани, Рабиндранат тагор, перевод с английского Л. Н. Асанова. М., 1989
7. მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფოს და სამართლის ზოგადი ისტორია, თბილისი 2013
8. დ. თინიკაშვილი, ზ. ჯაში, მსოფლიო რელიგიები, თბილისი, 2012
9. ფრენსის ფუკუიამა, პოლიტიკური წესრიგის წარმოშობა, თბილისი, 2019
10. ს. სიგუა, კულტუროლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2021
11. А. Володин, П. Шастико, „Пусть не обманет надежда!.. „ Жизнь и борьба Джавахарлала Неру, М., 1990
12. Джавахарлал Неру, Открытие индии, книга вторая, Перевод с английского, М., 1989
13. А. Горев, Махатма Ганди, М., 1989

14. В. Штерн, Заплати и спи спокойно, Журн. „Загадки истории“, 2021, #16
15. მ. გარიშვილი, მ. ხოფერია, საზღვარგარეთის ქვეყნების სამართლის ისტორია, თბილისი, 2014
16. Е. Зимин, Четире цвета дхарми, Журн. „Загадки истории“, 2020, #42
17. Дикие племена, „Тайны XX века“, 2019, #5 (35)
18. В. Овчинников, Горячий пепел, М., 1986

Summary

Each of the issues presented in the book has not only theoretical but also practical significance. The problems described are inherently multifaceted/multilateral and diverse. Materials of Georgian history, as well as problems of politics and international relations are presented here.

The problems and issues presented in the book are distinguished by its diversity and versatility. It presents here as current, problematic and very acute issues for Georgia, such as border problems, but also modern and not only, events characteristic of international relations. Besides, in addition to studying specific issues in the history of Georgia, the book assesses world events in relation to Georgia and, conversely, in particular, devotes a separate chapter to discussing the Caribbean crisis in the context of world events in relation to Georgia. Great attention is also paid to the study of understanding the role of Georgia in the global context. In this regard, one of the chapters of the work is devoted to the murder of an American spy in Georgia.

The book discusses a fairly topical issue of gender problems today and assesses it against the background of the Soviet regime. At the same time, some attention has been paid to the hitherto unknown details of the biography and work of Hitler, one of the leading figures of the twentieth century, which will allow us to analyze the research in a new direction.

The present book explores the issues that address current world events, such as the political and/or economic-religious problems of modern Syria. The book pays some attention to the

assessment of the issue of Crimean belonging in relation to modern Ukraine and Russia. Also, one of the most pressing issues for the world today, including Georgia - is the pandemic. The historical and current challenges of this event are assessed here.

The issue of discussing various events in the context of complex analysis is actively raised in the modern scientific literature. Naturally, the analysis of certain problems in the history of Georgia, which are very relevant in today's Georgia, should not be without interest. The paper focuses on the assessment and study of various issues of international relations. The topics covered in the book include topical issues of modern political processes. The problems of history, political science and international relations, are purposefully presented from a different perspective in the research. The significance of the two letters of David Batonishvili sent to the Emperor Alexander I is evaluated. The movement, known as the conspiracy of 1832, is not shared in the scientific literature. In our point of view, it was a preparation for the uprising, which ended in defeat. The term "conspiracy" is introduced by the empire, which is incorrectly shared in the literature. The conquered country does not conspire against the conqueror. It may revolt to achieve independence.

A large part of the investigation is devoted to the activities of the Nazi party and the reasons for Hitler coming to power. The essence of Nazi anti-Semitism is explained. The rich factual materials reveal the barbaric method applied by the Nazis in concentration camps. It is worthy of interest, that the Georgians in the service of the Third Reich saved many Jews

from physical destruction, for which they deserved the thanks of the Supreme Rabbi. The study shows the threat that awaited the world, including Georgia, in case of an escalation of the Cuban crisis, which has not been addressed until recently. The reasons for the assassination of American spy Frederick Woodruff in 1993 are interestingly described, after which the West's attitude towards Georgia has changed radically.

In modern international relations, much attention is paid to the legal successor of the Soviet Union - the Russian Federation, which is fighting for the status of a superpower and is trying to play its role in the new world order. In this regard, the issue of Crimean affiliation is interesting, to which special attention is paid in the investigation. Also, the subject of our discussion is the Kuril Islands in Russian-Japanese relations.

A separate place is devoted to the discussion of the problems of the Near East. The main focus is on Syria, which since 2021 has become a geopolitical topic of special interest in the modern world.

An important part of the book is discussing the social strata of the "Outcastes" in India and Japan.

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com